

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2017 წ.

№8

სარჩევი

1. ბადრი ზუსანიძე	3
უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები	
2. გია კვაშილავა	35
პროტოქართველების, საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ	
3. ომარ გაგუნია	43
რაზე საუბრობენ საყანჩიას გათხრები	
4. ომარ კაკანაძე	47
დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით	
5. ამირან ნიკოლეიშვილი	59
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება	
6. ომარ ქაბნიძე	65
სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში	
7. შალვა შარაშენიძე	74
„ვანელი“ ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით	
8. გურამ ყიფიანი	77
განაცხადი	
9. აკაკი თევზაძე	87
ერთი ოცნების ტყუპისცალი	
10. ინდირა გომოძე	102
უწმინდესი კალისტრატე ცინცაძე – სულიერი მისია	
11. ლუკა დვალისხილი	113
სოფელ სულორის ტოპონიმები	
12. გალაქტიონ სვანიძე	118
დიდგორის ბრძოლა — საბრძოლო ხელოვნების ნიმუში	
13. თაიგურაზ ადეიშვილი	123
ვასილ ლომინაძე – მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორი	

კრებული „მატიანე“, არაერთ საინტერესო მიგნებასთან, კვლევებსა და მზის სინათლეზე გამოტანილ მასალებთან ერთად, სისტემატურად აქვეყნებს საკითხებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ, ეს თემა აქტუალურია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ვარაუდი იმისა, რომ მსოფლიო ცივილიზაცია ძველი კოლხეთიდან იღებს სათავეს, ვფიქრობთ, თანდათან სინამდვილეს უახლოვდება, რადგან ამ მიმართულების მკვლევარ მსოფლიო მეცნიერთა აზრი თითქმის, ან, რამდენადმე შეჯერებულად უნდა ჩაითვალოს. აქვე დავსძენთ: აღნიშნულ საკითხზე ჭეშმარიტ და უდიდეს ცოდნასა და წარმოდგენას იძლევა ქართული ეროვნული და ეროვნულ საძირკველზე მდგომი უდიდესი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო მარის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი მელიქიშვილის, აკაკი ურუშაძის, ოთარ ლორთქიფანიძის, თამაზ გამყრელიძის, ლევან სანიკიძის ზ. კიკნაძის, ზ. პატარიძის და ა.შ. ფუნდამენტური შრომები, რომელთა გაცნობა-შესწავლა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ქართულ სასწავლო დაწესებულებებში ქართველთა ისტორიის სწავლება ფრაგმენტულად და კითხვა-პასუხის დონეზე არ უნდა იყოს დაყვანილი“.

ჩვენ ამ პრობლემით კრებულის დაარსებისთანავე დაინტერესდით, სადაც „მატიანეს“ მეორე ნომრიდან ვაქვეყნებდით ანგარდაცვლილი პროფესორის, ბატონ ამირან ნიკოლეიშვილის სტატიათა ციკლს „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, რომელიც შემდეგ ჩვენი სამსახურის – „კვლევის ცენტრის“ ინიციატივითა და ძალისხმევით წიგნად გამოიცა.

შემდეგი შეხება ამ საკითხთან გვექონდა, მეცნიერის, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრის, ბატონ თეიმურაზ ადეიშვილის წერილით – „ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემები“.

მომდევნო სტატიის კრებულ „მატიანეში“ გადმოტანა ვთხოვეთ, მეტად საინტერესო წერილის ავტორს, ლინგვისტს, ქალბატონ მაია ჭელიძეს – „მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?“ ანუ „ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4000 წელი?“, რომელიც უდაოდ მოახდენს შთაბეჭდილებას მკითხველზე თავისი ფართო ანალიზითა და ფაქტთა კონსტანტაციით. ამჯერად კი, ავტორის თანხმობით მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ბადრი ბუხაიძის ნაშრომზე – „უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები“, რომელიც ამონარიდია მისივე წიგნიდან „კაცობრიობის იბერთა-კოლხური ფესვები“ და აქვე გთავაზობთ წიგნის ავტორის მიმართვას ქართველი მკითხველისადმი – „ძვირფასო მკითხველო, წინამდებარე ნაშრომი (საუბარია „კაცობრიობის იბერთა-კოლხური ფესვების“ შესახებ) ჩემი მოკრძალებული ცდაა საკითხისადმი – ქართველთა პრეისტორიულობის და კაცობრიობის ცივილიზაციაში მათი როლი – ახლებურად მიდგომის შესახებ. როგორც ერთი რიგითი ქართველი, თავს ვალდებულად ვთვლი სამშობლოს ტაძრის შენებაში, ქართულ საქმეში ერთი აგური მეც დავდო და ჩემი ამასოფლისა ყოფნით მცირედით შევეწიო. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი წინამდებარე ნაშრომს ზედმეტად გადაჭარბებულად მიიღებს, არ ირწმუნებს, ბევრს კი, სიამაყის გრძნობა აღავსებს და სხვებს და სხვებს ქართულ სისხლს გაუღვიძებს. ურწმუნოთა საყურადღებოდ ვიტყვი: შეგიძლიათ ჩემი პირადი მოსაზრება არ გაიზიაროთ... მაგრამ წიგნში მოყვანილ ფაქტებს, უცხოელ და ქართველ გიგანტ მეცნიერთა ნააზრევს რა ვუყოთ?! რუსთაველს შევახსენებ ასეთ ურწმუნო თომებს: „ესე არაკი მართალი, ჩინს ქვასა ზედა სწერია“. ეს ის ქვაა, ლაზარეს რომ ედო საფლავზე, იბერთა კოლხეთიდან დაიწყო ხილული და უხილავი ჭეშმარიტების აღმოცენება“...

კრებული „მატიანე“ იზიარებს ავტორის მოსაზრებებს და სჯერა მისი გულწრფელობის. ამასთან ავტორს საკითხის დადგენისას უზარმაზარი შრომა აქვს განუწეული და ეყრდნობა ქართველ და მსოფლიოს განთქმულ მეცნიერთა ნააზრევს.

აქვე, წინამდებარე ნომერში მკითხველს ვთავაზობთ არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვან თემას ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების შესახებ, რომელიც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის „ენის, ლოგიკის, მეტყველების“, მსოფლიო რანგის მეცნიერ-მკვლევარს, პროფესორს, ბატონ გია კვაშილავას ეკუთვნის — „პროტოქართველების საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ“ (ბატონი გია გახლავთ ის მეცნიერი, რომელმაც უძველესი კოლხური დამწერლობის ნიმუში — „ფევსტოსის დისკო“ გაშიფრა) „მატიანე“ მადლიერების გრძნობითა და სიამაყით აღნიშნავს, რომ ბატონი

გია არაერთ სასიქადულო მეცნიერთა და თანამდგომთან ერთად დახმარების ხელს უწვდის „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს“ და კრებულ „მატიანეს“.

ყველაფერი ეს, კრებულ „მატიანეში“ იმ მიზნით კეთდება, რომ ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, თუ რა განზომილება და მნიშვნელობა აქვს ამ უკიდევანო სამყაროში, ორ ზღვას შუა მოქცეულ პატარა სახელმწიფოს-საქართველოს და რა მისცა მსოფლიოს ჩვენმა ქვეყანამ. აღმოჩნდა და დღეს თითქმის სადაოც აღარ არის, რომ საქართველო უძველეს ევროპელთა სამშობლოა. ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, იტალიელები თუ ბრიტანელები – 1,8 მილიონი წლის წინათ საქართველოს მინა-წყალზე მცხოვრები „Homo Georgicus“-ად მონათლულ უძველეს ევროპელთა შთამომავლები არიან. მეორე კი ის არის, რომ საქართველო ძაფის უძველესი სამშობლოა, რადგან მეცნიერთა სარწმუნო ვარაუდით 340 საუკუნის წინათ (როგორც სხვადასხვა წყაროები გვამცნობენ), სწორედ, დასავლეთ საქართველოში დაიწყო პირველი ძაფი. შემდეგი ის, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, რადგან აქ არის აღმოჩენილი 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი ყურძნის ნიპნებით. (გაერომ (იუნესკომ) ქართული ქვევრი და ღვინის წარმოება, კაცობრიობის არამატერიალურ მემკვიდრეობად აღიარა). შემდეგ კიდევ ის, რომ საქართველო ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა. ამას მხოლოდ არგონავტებისა და „ოქროს სანძისის“ მითი კი არ ამყარებს, არამედ თბილისის მახლობლად, საყდრისთან აღმოჩენილი 8 ათასი წლის წინანდელი-ძველევგვიპტურ საბადოებზე ადრინდელი ოქროს საბადო და უძველესი ხელსაწყოებიც ადასტურებენ. აღიარებულა, რომ ჩვენი სამშობლოა მეტალურგიის უძველესი მუშავე. აღმოჩენილი არტეფაქტების გარდა, ბიბლიაში ვკითხულობთ, უძველესი მეტალურგები თუბალები (თაბალები) ანუ პროტოქართველები იყვნენ. ამას გარდა, ძველბერძნულ ენაში პროტოქართველ ხალიბთა, ხალდეველ-ქალდეველთა ტომის სახელი „ხალიფუს“ ითარგმნება როგორც „რკინა“. ანუ სწორედ აქედან, პროტოქართული ცივილიზაციიდან გავრცელდა მეტალურგია და რკინის იარაღები ასირიაში, მესოპოტამიასა და ძველ საბერძნეთში, მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენი ქვეყანა სულ მალე შეიძლება თავლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ!... არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად აღმოაჩინეს 5,5 ათასი წლის წინანდელი თავლის ქურჭელი, რაც ორი ათასი წლით ძველი თავლია იმაზე, რომელიც ეგვიპტეში ტუტანხამონის სამარხშია აღმოჩენილი. სწორედ იმ ტუტანხამონისა, რომელსაც შვეიცარიელი გენეტიკოსების დასკვნით კავკასიური გენები აქვს, როგორც თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტს...

ასე, რომ საქმე გვაქვს უდიდეს მოვლენასთან, უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებთან, ისეთ ფაქტებთან, რომლებიც მიუხედავად ირგვლივ მრავალი საოცრებისა, მაინც ალაფრთოვანებს მსოფლიოს. 21-ე საუკუნის მსოფლიოს გაოცება კი დამეთანხმებით არც თუ ისე ადვილია...

ამიტომ, ქართველებს გვაქვს საამაყო ჩვენი წარსულითა და აწმყოთი, თვითმყოფადი სამშობლოთი, უძველესი კულტურითა და მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ქართული ცივილიზაციით. გადავარჩინოთ გადაგვარებას ჩვენი ჯიში, მოდგმა, რადგან ქართულ გენს, მსოფლიო ცივილიზაციის აღმავლობის გზაზე უზარმაზარი წვლილი მიუძღვის, როგორც პირველ მესაძირკვლეს და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

P.S. ქართველთა წარმომავლობის საკიხებთან დაკავშირებით, კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებულ კვლევებში, არაერთხელაა მითითებული, რომ ქართველი ერის შედარებით სრულყოფილი ისტორია, შედგენილი ქართული ისტორიული მეცნიერების გრანდების, ბატონების: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ, ქართულ საშუალო სასწავლებლებში (სკოლებში) სავალდებულო სასწავლო საგნად ითვლებოდა, „საიდანაც თვალნათლივ ჩანდა თანამედროვე ქართველის წარმომავლობა, საიდან მოვდივართ და მთლიანად, მსოფლიოსათვის რამხელა მნიშვნელობის ისტორია გვაქვს“ ეს ხდებოდა ე.წ. სტალინურ ეპოქაში და თითქმის მისივე ინიციატივით იმ დროს, რომელშიც დღევანდელი გაგებით, ასევე ე.წ. ტოტალური რეჟიმი არსებობდა. სამწუხაროდ და ალბათ, სამარცხვინოდ, დღეს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისას, არათუ ამ ღირსეული სახელმძღვანელოთი ისწავლება ქართველი ერის ისტორია, არამედ ამ საგნისა და სახელმძღვანელოთი სწავლების შესახებ სიტყვაც იშვიათად თუ მობრუნებულია. დიდი ილიას პერიფრაზით რომ ვთქვათ — კაცი, რომელმაც არ იცის საკუთარი წარსული, ჰგავს იმ კაცს, რომელმაც არ იცის საიდან მოდის და საით მიდის.

უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები

მეცნიერები არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით აღიარებენ, რომ თანამედროვე ადამიანის წინაპარი ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოიშვა და აქედან გადაინაცვლა ჩრდილოეთში, საიდანაც გავრცელდა დედამიწაზე. არქეოლოგიის უკანასკნელი მიღწევებით ასკვნის, რომ აფრიკიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლებული ადამიანის წარმომადგენლებია დმანისში აღმოჩენილი ე.წ. „მზია“ და „ზეზვა“, საიდანაც შემდეგ მიგრაცია მოხდა ევროპაში. ისტორიულ რეალობასთან ასეთი მიახლოების მიუხედავად, მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პირველი ადამიანის სამშობლო კავკასიაშია. დმანისელი „ზეზვა“ და „მზია“ – Home Erektus-ების (მუშა ადამიანი)ადრეულ ჯგუფს, Home ergaster (გამართული ადამიანი)-ს განეკუთვნება და თარიღდება 1,8 მილ. წლით. პირველ ადამიანთა საზოგადოება საქართველოს მინა-წყალზე უხსოვარი დროიდან, ქვის – პალეოლითის ხანიდან – 2,5 მილ. წლის უკან ჩამოყალიბდა. საქართველო მსოფლიო ისტორიაში პირველი მინათმოქმედი და მესაქონლე ტომების უმნიშვნელოვანესი კერაა. იბერიულ-კოლხური ტომები იყვნენ მონინავენი ადრეულ ლითონის ხანაშიც – ლითონი ხომ ქართულმა ტომმა, ხალდებმა მისცეს კაცობრიობას. დღეს თუ არა ხვალ ამ რეალობის, – კავკასია პირველი ადამიანის სამშობლო – აღიარება მოხდება. მეცნიერების მიერ უნდა მოხდეს ბიბლიური წერილების ფაქტად აღიარება, რაც საგრძნობლად გაადვილებს და დააჩქარებს ისტორიული რეალობის დადგენას. „ვისაც ძველი აღთქმის არც ერთი სიტყვის არ სჯერა და უკუაგდებს ისტორიულად სწორ დედაარსს, მითიურ თქმულებებთან ერთად, მხოლოდ მას შეუძლია შუმერი ერისა და კავკასიის რეგიონებს შორის კავშირის იგნორირება“ (Э. Церен. Б.Х.ст.193,194). ცნობილი გერმანელი მკვლევარი კერამი პირდაპირ მიუთითებს, რომ შორეულმა შუმერებმა დაასახლეს ტიგროსისა და ეფრატის დელტა და თან მოიტანეს უკვე ჩამოყალიბებული კულტურა (კ. კერემი.დ.ა.მ.გვ.280). შუმერები ისტორიაში ცნობილია, როგორც ყველაზე უძველესი ტომი. არსებობს საფუძვლიანი ვერსია, რომ შუმერები შუამდინარეთში ჩრდილოეთიდან მივიდნენ (ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კავკასია-კოლხეთია, ბიბლიისა და უძველეს ხალხთა მითების თანახმად) და დასახლდნენ არა ქვეყნის სამხრეთით, „... არამედ ჩრდილოეთში, სადაც მოგვიანებით აქადელები გამოჩნდნენ, აღმოჩენილია კვალი სრულიად უცნობი, „უენო“ ხალხისა, რომელთაც არქეოლოგები ამ კულტურული კვალის აღმოჩენის დღევანდელი ადგილის მიხედვით არქმევენ სახელს. ჰასუნას, ჰალფის, სამმარას ხალხი, როგორც მათი ხელოვნება მონიშნავს საკმაოდ დანინაურებული კულტურის მატარებელი ყოფილა. მათ კერამიკაზე გამოსახული ქარიშხალისებრი მოძრაობანი, ერთი ცენტრის გარშემო მოტრიალე სვასტიკები, ჯვრები ... კენტი რიცხვების სიმბოლიკა, ხარები ... კოსმოგონური წარმოდგენათა გამომხატველი ნიშნები“ (ზ. კიკნაძე. შ.მ. გვ. 8). ანალოგიური კოსმოგონური წარმოდგენათა გამომხატველი ნიშნები, ბორჯღალო, სვასტიკა, ჯვარი და სხვ. გამოსახულებები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს მინა-წყალზე. იბერიულ-კოლხურ საკულტო პანთეონში ხარი უპირველესია და იგი დღემდეა შემორჩენილი ქართულ სინამდვილეში. პირველი ხარის ფიგურა ადამიანის ფიგურასთან ერთად აღმოჩნდა კალატჯარმოს კულტურის გათხრების დროს, ზაგროსის მთებში (ირანი) და იგი დათარიღდა ძვ. წ. VII ათასწლეულით. ძვ. წ. VI ათასწლეულში წარმოიშვა ჰასუნა-სამარის კულტურა, სადაც ხარის თავი ძალიან პოპულარულია. ასევეა ძვ. წ. V ათასწლეულიდან თელ-ობ-ეიდის კულტურაშიც, კოლხურ ტომებს ხარის თავის კულტი ზაგროსის მთებიდან მოჰყვება. ჰასუნა-სამარისა და ელ-ობ-ეიდის კულტურის შემქმნელი ხალხი ერთი და იგივე ხალხია – კოლხური ტომები. „შ. მ. ოტენმა, ერიდუში ელობეიდის ნამარხების ნარჩენებიდან წინასწარი ანალიზის საფუძველზე, საკუთარ თავზე აიღო გამბედაობა – შუმერები კავკასიელ ხალხად ეღიარებინა“ (მ. ბელეცკი. შ.დ.ს. გვ. 52).

ძველ კოლხურ მითოლოგიაში ხარი ფართოდ გავრცელებული კულტია. მის ქვეშ იგულისხმება გენურ მუტაციაში მონაწილე ციკლოპ-გიგანტები, რომელთა მეშვეობითაც მიღებული იქნა

გონიერი ადამიანი. ხარი – გამანაყოფიერებელი და ანუს შვილები ანუნაქები, რომლებიც „მუ“-ს ეპოქაში უშუალოდ „ხელმძღვანელობდნენ“ ადამიანის შექმნის პროცესს. ამიტომ გამოჰყავთ ანუნაქები, როგორც რქებდასხმული ღმერთები. ხარის ქვეშ იგულისხმება უზენაესი ღმერთი ენქი – აია. ხარის კულტი ატლანტიდაში იშვა. სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გუმბათზე – VII ს. დაბადების კანონიკა — ხარია გამოსახული, რომელიც ბიბლიური „ბაალ-კაფონის“ იგივე ენქი-აიას სიმბოლიკაა. სვეტიცხოველის აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია; ორი საყვირებიანი კაცი ეშვება და ჯდება ხარის კისერზე, რითაც „დედამინის „მამა“ ეთნოსის სულიერი მისიაა საკრალურად გადმოცემული. ეგვიპტეში საკრალური მზის ხარის სახელწოდებაა „ბუხ“, რაც ქართულში „ბუღ“-ს იდენტურია და საღვთო ხარია. ჩრდილოეთ ინდოეთში წერს განთქმული ინდოლოგი ა. ბეშემი – ახ.წ. VIII ს. ინდოეთში ყველაზე მსხვილი და კულტურული ცენტრი იყო მაუქხარაის სამეფო. ასევე ძლევამოსილი სამეფო იყო გურჯარაპრატი ხარის დინასტია. ხარი და ხარა იდენტურია, ღმერთების ვიშნუს და შივას იგივე ენქი-აიას ერთ-ერთი სახელია. აქედან გავრცელდა ხარის კულტი მსოფლიოში. ხარის კულტი, ხარი როგორც ნაყოფიერებისა და ძლიერების სიმბოლო, მასთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალები დღემდე შემორჩენილი საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან რეგიონებში სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში, სამეგრელოში.

შუმერები სათავეს შუამდინარეთში ძვ.წ. XVI ათასწლეულიდან იღებენ. ზოგიერთი წყაროების მიხედვით უძველესი სახელწოდება შუმერის – „ენგური“ იყო. მათ – შუმერებს, არაფერი „არ ახსოვთ“ თავიანთ „პირველყოფილ ეპოქაზე“. საკუთარი ისტორიის უძველეს პერიოდს ისინი დამწერლობის შექმნას უკავშირებენ, რომელიც არა უმცირეს 11-12 ათასი წლისაა. ს. კრამერი თვლის, რომ შუმერებს შუამდინარეთში მოსვლამდე უკვე ჰქონდათ დამწერლობა, თავიანთ თავს „შავთავიანებს“, ხოლო თავიანთ ქვეყანას „ქალამს“ უწოდებდნენ, სავარაუდოდ თავიანთ თავს ასევე „ზანგიგას“ უწოდებდნენ. მათი ენა არ ენათესავება არცერთ ენათა ჯგუფს, ბოლო კვლევებით დადგინდა, რომ იგი სიღრმისეულად ენათესავება ქართულ ენას. შუმერები, როგორც რასა, განეკუთვნებიან ხმელთაშუა ზღვის აუზის რასას. მათი პირველადი სამშობლო, არსებული მასალებით მცირე აზია – სამხრეთ კავკასიაა, მთიანი ადგილიდან და ზღვისპირეთიდან არიან. რამდენადაც შუმერები კარგი მეზღვაურები იყვნენ, მათ შექმნეს საზღვაო ხელოვნება. თავდაპირველად შუამდინარეთში მცირე რაოდენობის ჯგუფი მივიდა სანაოსნო გზით, მთიანი ქვეყანა მათი სამშობლოა და ისინი „მთას“ და „ქვეყანას ერთი სიტყვით „ქალამით“ აღნიშნავდნენ. „შუმერელებს ხე-ტყე შემოჰქონდათ მეზობელი თუ შორეული მთიანეთიდან, სადაც მრავლად იპოვებოდა იგი. ამიტომაც უდიდესი პატივით იხსენიება ხაშურის /?!ბ.ბ./ მთიანეთი, მზის აღმოსავლეთში“ (ზ.კიკნაძე.მ.მ.გვ.6). დღეისათვის დადგენილია, რომ შუმერები იაფეტიის შტოდან არიან. იბერიულ-კოლხური სამყარო-ეთნოსი ყველაზე უძველესია და შემოქმედია მსოფლიოს თავდაპირველი და უწყვეტი ცივილიზაციისა. „შუმერული ენა ძველი ნელთალრიცხვის სულ ბოლო დრომდე კულტის მსახურთა, ქურუმთა, სწავლულთა და ასტრონომთა ენად ითვლებოდა“ (რ. პატარიძე.ქ.ა.გვ.95). ს. ჯანაშვილი წერს: „სპარსეთის მეფე (სავარაუდოდ ბალასში ან კავად I. ბ.ბ.) ეუბნება ვახტანგ გორგასალს, „ნოესითაგან ჯაზირის (შუამდინარეთი) ნახევარი მამათა შენთა წილ არის“ (ს. ჯანაშვილი. პ.ი.თ. გვ.30).

„ახლა კი გავეცნოთ რუსი შუმეროლოგის ანატოლი კიფშინის მოსაზრებას: „არქეოლოგიური მასალები უძველესი ეთნოკულტურების განვითარების მყარ კონას გვიჩვენებენ დონზე ქვის ბალკა II-ის სადგომიდან (ძვ.წ. XVIII ათასწლეული) ხერგულის კლდეზე და თარო კლდეზე საქართველოში (ძვ.წ. XV ათასწლეული). შემდგომში კი მოხდა ეგრეთწოდებული „დიადი ენის“ ეთნოკულტურის (კაცობრიობის დასაბამისეული სვანური სამეტყველო კოდის – ბ.ბ.) დაყოფა ორ კულტურულ მიმდინარეობად: 1. წინარე ქართულისა – საგვარჯილეში და 2. წინარე შუმერულისა – საკაჟიაში, მღვიმევესა და დევის – ხვრელში.

მაგრამ ძვ.წ. XII ათასწლეულში წინარე შუმეროიდები სახლდებიან გვარჯილის კლდეში – აღმოსავლეთ საქართველოში. და აქ ვითარდება განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები: ყინულისაგან თავისუფლდება კავკასიის მთის გასასვლელები და წინარე შუმეროიდები ტოვებენ რა საქართველოში თავიანთ თანამემამულეებს, „შორეული წინაპრების ენის“ პერიოდში, როგორც თვითონ შუმერები ამბობდნენ, შედიან ქურისტანის ტერიტორიაზე (ც –) 14 10045 ± 400 წელი ძვ. წ. აღ.-ით) აქ ისინი დაახლოებით ძვ. წ. 9200-8900 წლებში (ეს გახ-

ლავთ პატრიარქ იარედის ეპოქა, როცა მასობრივად დაიწყო საიდუმლო სწავლების სკოლების აღზრდილთა გადინება წინა და შუა აზიის არეალში – ბ. ბ.) ქმნიან ზავი-ჩემი-შანიდარის მეზოლითურ ერთობას. ეს გაერთიანება მალევე იშლება და პროტოშუმერების მოხეტიალე ტომები სახლდებიან თეფეასიბის რაიონსა და ქარ-ი-კარის გამოქვაბულში, სადაც სულ მალე ჩნდება მსოფლიოში უძველესი ცივილიზაცია. წინარე შუმერები ჯერ კიდევ მე-9 ათასწლეულში პირველად გადავიდნენ ნეოლითში, როცა მათ ააშენეს დედამინაზე პირველი ქალაქი – განჯი-დარე (დეკოდირებულად „ძე კაცის სიბრძნის გაღებას“ ნიშნავს) ირანში (8 450±170 ძვ.წ.).

... შუმერები კვლავ იძულებულნი ხდებიან ზაგროსიდან სამხრეთში, სამხრეთ მესოპოტამიის ქაობიან ჯუნგლებში გადასულიყვნენ, სადაც „მარად მოხმაურე ზღვის ნაპირებზე“ (3624 წ. ძვ.წ.) იშვა ერიდუს შუმერული ცივილიზაცია“.

ცნობილი რუსი შუმეროლოგის ეს სტრიქონები კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობენ იმ ჭეშმარიტებას, რომ შუმერიდან კი არ შემოვიდა ცივილიზაცია გიორგია-კოლხურ არეალში, არამედ პირიქით, სწორედ ლაზური არედან გასულმა სვანურ კოდზე მეტყველმა ქურუმ-მისიონერებმა დაუდეს საფუძველი თორმეტიდან ორ უძველეს – შუმერულ და ეგვიპტურ ცივილიზაციას. და ეს ყოველივე სპონტანურად კი არ ხდებოდა, არამედ ჯერ კიდევ ენოქის ეპოქიდან მოყოლებული (ძვ.წ. 8111 წ.) ხეთა-ლარჩუა-ბეთლემ-ნოეს-ქალაქის არეალი იყო ის ერთადერთი საერთაშორისო-საკოორდინაციო ცენტრი – „ლასკარის“ სახელმწიფო ინსტიტუტით, საიდანაც იმართებოდა დანარჩენი კაცობრიობა“ (გ.პ.ც. №3. გვ.5 შ. ცხაკაია).

გიორგიანული განათლების შედეგია შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციები, რაც დღესაც აღფრთოვანებას იწვევს. 1938 წ. გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ კიონიგმა ბალდადის მუზეუმში აღმოაჩინა 2 500 წლის უკან, თიხიდან დამზადებული ცილინდრული ფორმის ლარნაკი. მასში მოთავსებულია სპილენძის ღერო და ბიტუმი. შედუღებულია ტყვიით და კალით. მეცნიერულად დადასტურდა, რომ მიკრო ზომის ამ ლარნაკს ყურძნის წვენით გავსებისას შეეძლო ელექტროობის გამოყოფა. 20 საუკუნით ადრე ვიდრე გაღვანი და ვოლტი მოახერხებდა ამას, შუმერები ჰელიოცენტრულ-მზის სისტემასაც იცნობდნენ, ცენტრში მზით და მრავალი სხვა.

ძვ.წ. V საუკუნის უდიდესი ზანი ქურუმი ეზრა, კოლხეთსა და პალესტინაში ააროდინების მღვდელმთავართა დინასტიის უდიდესი წარმომადგენელია, რომელთანაც არის გეოგრაფიული სახელდება არცარეთი – იგივე არათა. „იმ ქვეყნამდე დიდი გზა იყო გასავლელი – ერთი წელი და ნახევარი. ქვეყანას ეწოდებოდა არცარეთი“ (მესამე ეზრა 13-45). არათა – ნოეს ეპოქის კოლხური სახელმწიფოა, რომელიც ძვ. წ. VI ათასწლეულში ჩაისახა. მისი ადმინისტრაციული ცენტრი ურმის ტბის სამხრეთით მდებარეობდა (ეპიკური პოემა „ენმენქარი და არათას მმართველი“). მეცნიერები თვლიან, რომ ურუქის მეფე ენმენქარი და არიელი ნიმროდი ერთი და იგივე პიროვნებაა. ინგლისელი არქეოლოგი და ისტორიკოსი დევიდ როლი წერს: „ენმენქარი სხვა არავინაა, თუ არა თვით „დაბადების“ წიგნის ლეგენდარული მეფე ნიმროდი, დედამინაზე პირველი მბრძანებელი. იგი ითვლება ურუქის, ურის და ბაბილონის დამაარსებლად“ (Д. Ролл. Г. И. Ст. 63). ამ ორ შუმერულ სახელმწიფოს შორის მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური კავშირი არსებობდა. „ამ მიწების ბინადარნი – იქვე განაგრძობს როლი – ერთ ენაზე მეტყველებდნენ და ერთი და იმავე ღმერთებს ემსახურებოდნენ... ორივე ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურები იდენტური იყო“. არათას ქალაქ-სახელმწიფოს მიმდებარე მთები მდიდარი იყო ოქროთი. მინერალებით მდიდარ მთას ჭანები – ძველი არათელები ქურ-ხაშურის მთას უწოდებდნენ. შუმერებს თავისი ხაშურიც ჰქონდათ ეფფრატის ველზე. აქვე იყო ქალაქი – ხაბმე, სოფელი ხაბუმე გვაქვს მდინარე ხობის მარცხენა სანაპიროზე. იყო მეორე ხაშურიც – კოლხეთში, „მზის აღმოსავლეთში“, საიდანაც ძვირფასი ხე-ტყე გაჰქონდათ შუმერში. ხაშური ქართულ „მარგალიტის“ ენაზე „სულის დაბადების ადგილს“ ნიშნავს; შური=სული, ხალა, ხა=შობა. შუმერებიც სწორედ ამ „ხაშურიდან“, „მზის აღმოსავლეთიდან“, კოლხეთიდან მივიდნენ შუამდინარეთში. „როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი“ (დაბ. 11-2,3), აგურის გამოგონება შუმერებს ეკუთვნის.

ამ რეალობაზე დაყრდნობით განაცხადეს, შესაბამისად, გაიუს პლინიუს სეკუნდუს უფროსმა და ფრ. შლოსერმა: რომ „სწორედ კოლხეთში მდებარეობს სამყაროს ბრუნვის წერტილი“ და „კავკასიურმა ტომმა, ჯერ კიდევ შორეულ დროში, სხვებზე განდიდებულებმა თავისი პირველობა გვიანდელ პერიოდშიც შეინარჩუნა ...შეადგენს კაცობრიობის ბირთვის და ცენტრს, რომლის ირგვლივ ბრუნავს მთელი სამყაროს ისტორია“.

ზემოთ აღვნიშნე ვაზის შესახებ, რასაც ისევ უნდა შევეხო; ვაზის სამშობლო საქართველოა, ამის გაცხადება ცალსახად შეიძლება დღეისათვის არსებულ მასალებზე დაყრდნობით. ვაზზე და ღვინოზე არსებული მასალების სიძველე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს და ქართული ეთნოსის პრეისტორიულობაზე. ამ ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობა კაცობრიობის „დაბადებიდან“ აწარმოებდა ღვინოს, შექმნა ვაზისა და ღვინის კულტურა. ბიბლიური ნოვა, რომელმაც გააშენა პირველი ვენახი, იგია პირველი მინათმოქმედი, რასაც ძველი ბერძნები ღიად აცხადებდნენ – „ნოე ანთროპოს გეორგოს“. არქეოლოგიური მეცნიერების მიერ საქართველო მიჩნეულია, როგორც წყარო მსოფლიოს პირველი დამმუშავებელი ვენახისა და ღვინის წარმოებისა. საქართველოში შულავერში აღმოაჩინეს მსოფლიოში უძველესი ღვინო, რომლის ასაკი 8 000 წლით განისაზღვრა. ეს აღმოჩენა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადასტურებს, რომ საქართველო, ქართული ეთნოსისა და ვენახისა და ღვინის კულტურის შემოქმედი ქვეყანა და ერი. ქართული ლექსემა „ღვინო“ უცვლელადაა შესული მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ენაში. ძვ. წ. 4 000 წლის უკან ქართული ტომები ღვინოს უკვე ქვეყნებში ასხამდნენ. ასეთი არქეოლოგიური მასალები არა მარტო მევენახეობის ფაქტობრივი დადასტურებაა, არამედ იგი აშკარა მტკიცებულებაა იმისა, რომ 8 000 წლის უკან ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე წინარე ქართულ ტომებს ჰქონდათ, როგორც ერს, საკუთარი თვითმყოფადი კულტურა. რამოდენიმე წლის უკან, მადნეულში აღმოჩენილი იქნა ოქროს მაღარო თუ საამქრო, რომელზეც ზემოთ აღვნიშნე. ეს ნათელ სურათს ქმნის იმაზე, რომ იმდროისათვის ქვეყანაში საკმაოდ განვითარებული და ჩამოყალიბებული საზოგადოება ცხოვრობდა. ცხადია, რომ სახელმწიფო წარმონაქმნის გარეშე ეს საზოგადოება ვერ იქნებოდა.

ზემოთ აღნიშნული გლობალური კატასტროფების დროს: ატლანტიდის ჩაძირვა, ბიბლიური წარღვნა – გადარჩენილმა ხალხმა, იბერებმა კავკასიასა და მცირე აზიას, შუამდინარეთს შეაფარეს თავი. იბერთა ტომის მიგრაციის გზად ჩრდ. განედის 42⁰-ის მიმართულებით ვრცელდებოდა. იბერია, საქართველო ჩრდ. განედ. 42⁰ და აღმ.გრძ. 42⁰ გადაკვეთაზე მდებარეობს. ამ ორი კორდინატის გადაკვეთის წერტილი არის გლობალური კატასტროფების ადგილი და შედეგის ცენტრი, საიდანაც განივრცო გადარჩენილ ატლანტთა, იბერთა მიგრაცია და მათ მიერ ცივილიზაციის დანერგვა ქვეყნის ოთხივე მხარეში.

ძვ. იბერების შესახებ გთავაზობთ ამონარიდს ბ-ნ რ. ერისთავის წიგნიდან „მზის შვილები“-დან: „ძველი იბერების ანუ პროტოქართველური ტომების ამ პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას, ცნობილი რუსი შუმეროლოგი, ანატოლი კიფიშინი თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში: „შუმერებამდელი პროტოქართველური ტომების ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება გვიანი ნეოლითის პერიოდში“. ეს მონოგრაფია, რომლის მოცულობა 500-ზე მეტი თაბახის ნაბეჭდი გვერდია, საბჭოურმა გამომცემლობებმა შეგნებულად არ დასტამბეს. არავის სჭირდებოდა იმ პერიოდში საქართველოს წარსულის ზენიტში წარმოჩინება და ისიც რუსი ავტორის მიერ. ამ მონოგრაფიაში (ავტორის წყალობით, მე მას ხელნაწერებში გავეცანი), ანატოლი კიფიშინი დასაბუთებულად აყალიბებს აზრს, რომ შუმერებამდელი პროტოქართული ტომები კავკასიაში გამოჩნდნენ 18 000 – 15 000 წლის წინათ ჩვენს ერამდე. მხოლოდ ამის შემდეგ მათ შექმნეს ის კულტურა, რომელმაც ხელმეორედ ფეხზე წამოაყენა მსოფლიო ცივილიზაცია“ (რ. ერისთავი. მ.შ. გვ.84). ა. კიფიშინის ეს მოსაზრება კიდევ ერთი მტკიცებულებაა იბერთა ატლანტიდური შთამომავლობისა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადამი მეცნიერთა დასკვნით დედამიწაზე ძვ.წ. 24 000 წლის უკან ჩნდება, თანამედროვე ადამიანი კი ძვ.წ. 18 000 წლის უკან იწყებს მოღვაწეობას. ამაზე მიუთითებენ პლატონი და სხვა ზემოთ ნახსენები ავტორები, როდესაც ამბობენ, რომ იბერები ატლანტთა გადარჩენილი ნაწილი და შთამომავლები არიანო. ქართული ტომები „დაბადებით“ სამხრეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობაა და მათ აზრს მეცნიერთა დიდი ნაწილი ცალსახად იზიარებს. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანო-

ვის მიხედვით ქართველები თავიდანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ ამიერ კავკასიაში, კერძოდ მცირე კავკასიონის ცენტრალური და დასავლეთ ნაწილის მთიანეთში. ბოლო ათწლეულების კვლევების მიხედვით – მ. კლიმოვი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, მ. ქურდიანი – ქართველთა საცხოვრისად ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ამიერკავკასია და მისი სამხრეთ რეგიონები ივარაუდება. „ცენტრალურ ამიერკავკასიაში (სამხრეთ კავკასიაში) ქართველთა ავტოქთონობის თეორია არგუმენტირებულად პირველად წამოაყენა ბ. კუფტინმა. მისი აზრით „სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც“ (ბ. კუფტინი..ქ. კ.უ.კ.თ. გვ. 14, 16, 37).

...ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთანავე საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთის შავი ზღვისპირეთის ტერიტორიაზე... ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით დღეს სრულიად უცილობელია ქართველთა წინაპრების ავტოქთონურობა კავკასიაში“ (ტ. ფუტკარაძე. ქ. გვ.223, 224).

რადიონახშირბადული მეთოდით გამოკვლეული მტკვარ-არაქსის კულტურა თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულით. ამ კულტურის კვლევის მასალებიც ცხადყოფენ, რომ იბერიულ-კოლხურ ეთნოსს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა წინა აზიასთან. როგორც ჩანს, ინტენსიური ხასიათი ჰქონდა მათ მიგრაციას შუამდინარეთში. იბერიულ-კოლხური ეთნიკური ერთობა ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულში შეინიშნება, რომლის ნაშთები მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევამ ცხადყო და მეცნიერები აღიარებენ, რომ მისი ცენტრი ამიერკავკასიაა და ამ კულტურის ავტორი იბერიულ-კავკასიური ტომებია.

ატლანტები, ანუ ნოეს ეპოქამდელი და ნოეს ეპოქის ადამიანები გიგანტები იყვნენ. ცნობილი მეცნიერის კარლ ლეინის აზრით გიგანტების არსებობა უდავო არის და პირველი ადამიანები ადამ და ევას სახით, რომლებმაც დასაბამი მისცეს დღევანდელ კაცობრიობას, გიგანტური სიმალლისანი იყვნენ. მეცნიერებაში მიღებული ტერმინოლოგიით არსებობს ეთნოსების ქამიტური, სემიტური და იაფეტური მოდგმა – ანუ ნოეს სამი შვილის, სამი ძის ნიადაგზე აღმოცენდა და წარმოიშვა ეროვნული და ენობრივი ნიშნით დიფერენცირებული წარღვნის შემდგომი კაცობრიობა. ბიბლიის „პირველი ნეშტა“ თავის მიხედვით, ადამიდან ნოეს სამი ვაჟის ჩათვლით გენიალოგიური ხაზი ასეთია: ადამი, შეთი, ენოში, კაენი, მაჰალალეელი, არედი, ენოქი, მეთუშელახი, ლამექი, ნოე, ქამი, სემი და იაფეთი. ნოეს შვილების ქამის, სემის და იაფეთის მოდგმა ასეთია (შეჯერებულია ძველი აღთქმისა და ექვთიმე მთაწმინდელის შეხედულება):

ქამის მოდგმა: 1. ქუში (ქუშიმ შვა ნებროთი), 2. მიცრაიმი (მიცრაიმიდან იშვა ფილისტიმელები, წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მიხედვით), 3. ფუტი, 4. ქანაანი (ქანაანიდან იშვა სიდონი, ამორეველნი, ხეთი. წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მიხედვით), 5. აქადი.

სემის მოდგმა: 1. ელამი, 2. აშური, 3. არფაქშადი (არფაქშადიდან იშვა ებერი. წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მიხედვით), 4. ლუდი, 5. არამი, 6. ყუცი, 7. ხული, 8. გეთერი, 9. მეშექი (ალბათ მეშეყი), 10. ხალეები, 11. ური.

იაფეთის მოდგმა: 1. გომერი, (გომერისაგან-იგივე თარგამოსი-იშვა აშქენაზი), 2. იავანი, 3. ელიში, 4. თუბალი (იგივე იბერი), 5. მეშექი (მესხი), 6. მაგოგი, 7. მადაი, 8. თირამი. ჩამოთვლილი ხალხების აბსოლუტური უმრავლესობა ისტორიულად და ბიბლიურად იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისაა. მამის, ნოესაგან უპირატესობა იაფეთს, პროტოიბერიულ წარმომავლობას ხვდა წილად: ...,წყეულიმც იყოს ქანაანი! (ქანაანის მამამთავარია ქამი. ბ.ბ.) თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს! თქვა: კურთხეული იყოს უფალი ღმერთი სემისა! მორჩილად გაუხდეს მას ქანაანი! განუფართოს ღმერთმა იაფეთს, სემის კარვებში დაემკვიდროს! დაემორჩილოს მას ქანაანი“ (დაბ. 9-25, 26, 27). ისტორიოგრაფიაში რატომღაც დამკვიდრდა შეხედულება (ნ. მარი), თითქოს, მხოლოდ იაფეთური მოდგმა იბერიულ-კავკასიური, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ქანაანელები ქალდეველების შთამომავალია, ასევე ხეთები, ებერი, მეშექი, თუბალი, იავანი, ხალდეები, გომერის ძე თოგარმა და სხვ. ეპიფანე კვიპრელის, წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის, წმინდა კირიონ მღვდელმონაზმის საძაგლოშვილის თანახმად,

ქართველები ებრაელებთან ერთად სემის ქეშმარიტი შთამომავლები არიან. მათი მტკიცებით სემიტური ტომებია დღევანდელი მეგრელები (ზანები, ჭანები, ლაზები), აფხაზებიც და ჰერცი. სემის თერთმეტივე მოდგმა იბერიულ-კავკასიური, ქალდეური ოჯახისაა. ასევე იაფეთის მოდგმა, თუმცა ზოგიერთის წარმომავლობაზე თავს იკავებენ – წარმოშობა გაურკვეველია. ქამის შთამომავლებიდან სიდონელი, ამორეველნი და ქანანელნი აფრიკიდან მოსული ტომებია. ხეთები შეერივნენ სემიტურ-იბერიულს, ფილისტიმელთა წარმომავლობა გაურკვეველია. ისტორიული ფაქტებით დადგენილია, რომ აფრიკაში აღმოჩენილი იქნა ქართულად მოლაპარაკე ზანგები.

ქართველი ხალხის უძველეს წარმომავლობას, ქართული საისტორიო წყაროებიც ნოეს შვილებს უკავშირებენ. ფეოდალური (XI ს.) ხანის საქართველოს გამოჩენილი ისტორიოგრაფი სუმბატ დავითის ძის მიხედვით ქართველ მეფეთა, ბაგრატიონიანთა წარმომავლობა სემის მოდგმით ადამის (ატლანტ-იბერები) ჩამომავლები არიან (დიდი ალბათობით მეშექის-მესხის შტო), რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებით“ ნებროთიანებს, ბიბლიის თანახმად ნებროთი ქამის შვილიშვილია, ქუშის ძე. „ოფიციალური ვერსია ქართველი ხალხის წარმომავლობისა, გვაკავშირებს ნოეს უმცროს ვაჟთან იაფეთთან და იაფეთის შთამომავლებთან. ქართველი ხალხის წარმომავლობის ამ უკანასკნელ, ოფიციალურ ვერსიასთან არის დაკავშირებული იბერიის გაბრწყინების კანონიკური თეორია. იაფეთის შთამომავლების ბრწყინვალე მომავალი „განმარტებითი ბიბლიის“ მიხედვით უკავშირდება ნოეს, ანუ მამისეულ კურთხევას... და თქვა „განავრცენ ღმერთმან იაფეთ და დაუმკვიდრენ საყოფელთა შინა ხემისათა და იქმენ ქანან მონა მისი“ (დაბ. 9-27). დამონებული ბიბლიის განმარტებაში ვკითხულობთ: „იაფეთი“ კი, აღნიშნავს „ფართოდ გავრცელებას“. ამგვარად, იაფეთის შთამომავლობას უწინასწარმეტყველეს ფართოდ გავრცელება მინის ზედაპირზე და მართლაც, კავკასიური რასის ხალხების სახით, ისინი აზიის დიდ ნაწილში, თითქმის მთელს ევროპასა და ამერიკაში არიან დასახლებული. იმაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ისინი შეადგენენ ძველი და ახალი სამყაროს დანარჩენი ქვეყნების პრივილეგირებულ ნაწილს. და ბერძნები კოლხებს იაფეთიანებს უწოდებენ“. „ნოე – წარღვნის შემდგომი კაცობრიობის საერთო მამაა. მისი სამი ვაჟი, ყველა ადამიანების სამი მამამთავარი. საკრალური თვალსაზრისით, ისინი არიან სამი სხვადასხვა საფუძველი, სიცოცხლის სამი პლასტი, რომლებზეც თავიდან აიგო კაცობრიობის ერთიანი სული“ (ვ. ვახანია. კ.ს.ე. გვ.386,387,388).

ქართველი ერის წარმოშობა, მისი ეთნოგენეზისი დღევანდელი საქართველოსა და ისტორიულად მის სამხრეთ ტერიტორიაზე მოხდა საუკუნეების სიღრმეში. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება, წარმომავლობა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადაუჭრელი, რაც საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ამისათვის უამრავი წერილობითი და არქეოლოგიური მასალები არსებობს. ქართული, იგივე იბერიულ-კოლხური ეთნოგენეზისის შესწავლას ისიც ართულებს, რომ მას დედამიწაზე არა ჰყავს მონათესავე ეთნიკურ-ენობრივი ერთეული. იგი ცალკე დგას, როგორც გენეტიკურად, ისე თავისი თვითმყოფადობით. ამ უძველესი ეთნოსის ფორმირება კავკასიასა და წინა აზიის ტერიტორიაზე მოხდა ბიბლიურ წარღვნამდე გაცილებით ადრე. ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართულად მეტყველი სამი ერთობის, წარმომდგარი ერთი ძირეული ფესვიდან, სამი – ერთი ტომის ადამიანები მუდმივად იყვნენ ერთმანეთთან კავშირში. ისტორიულმა თანაცხოვრებამ ისინი ერთ ეთნიკურ ერთეულად – ერთად ჩამოაყალიბა. ქართული ტომები დასაბამიდან იმდენად მაღალი კლასისანი არიან, რომ თვითმყოფადი ენის, დამწერლობის, კულტურისა და მეურნეობის გარდა, ერთად ჩამოყალიბების განმსაზღვრელი მიმანიშნებელი ნიშანი, სახელმწიფოებრიობის წარმონაქმნები ძვ.წ. IV-III ათასწლეულიდან აქვთ, ხოლო ძვ.წ. XVIII-XVII საუკუნიდან არსებობს ძლიერი ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი – ძვ. აია, ეგრისი, იბერია, დიოხი, ლაზიკა.

ივანე ჯავახიშვილის კონცეფციით ქართველები სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადასახლებული ხალხია, ხოლო სიმონ ჯანაშიამ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ეს კონცეფცია უარყო, ფაქტიურად ქართველთა სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადმოსახლების საკითხი მოხსნა და დაასკვნა, რომ ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ, მკვიდრ მოსახლეობას წარ-

მოადგენსო. ისინი აქ დაახლოებით 6 000 წლის წინ ცხოვრობდნენ. ძვ.წ. III-II ათასწლეულში წინა აზიის მკვიდრი ქართული მოსახლეობიდან ცნობილი იყვნენ ხეტები და სუბარები. ხეტები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, სუბარები კი ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე. მუსკები, იგივე ბიბლიური მეშექები ანუ მესხები თავიანთი სიძლიერით გამოირჩეოდნენ და ძირითადად, დღევანდელ სამხრეთ საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ძვ.წ. IX-VIII ს.ს ახალი სახელმწიფო ურარტუ შექმნეს. იმ დროისათვის ძლიერ ასურეთის სამეფოს დიდ წინააღმდეგობას თუბალები, იგივე იბერები უწევდნენ. ისტორიის ამ მონაკვეთში არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა. ძვ.წ. VI საუკუნის ეს ქართული ტომები ძლიერ დაწინაურდნენ და ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და შექმნეს ორი ქართული სახელმწიფო – კოლხეთი და იბერია. დაახლოებით ასეთია ს. ჯანაშიას კონცეფცია, რაც ყველაზე ახლოს დგას რეალურ ისტორიასთან, გათვალისწინებით უცხოელ მეცნიერთა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. ასეთივეა დასავლეთის მეცნიერთა აზრიც, ქართველთა ნათესაობის შესახებ ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან.

XIX ს. ძველი ასურული ლურსმნული ნაწერების აღმოჩენით კიდევ უფრო გამოჩნდა თუბალები და მეშექები, როგორც ძვ.წ. II ათასწლეულში დიდი გაერთიანებების შემოქმედები მცირე აზიაში, ეს ქართველთა წინაპრების გაერთიანებებია. ამავე აზრისანი არიან გამოჩენილი მეცნიერები მასპერო და ლენორმანი. ასევე ქართული მოდემისაა ქაშქები, ასურული და ხეთური წყაროების მიხედვით, უშუალოდ კოლხთა წინაპრები არიან. ძვ.წ. VI ს. ზემო მესოპოტამიაში მცხოვრები კარდუხები, ქსენოფონტეს განაცხადით ქართველთა წინაპრებს მიეკუთვნება. კ. ფ. ლემან-ჰაუპტი თვლიდა, რომ ქართველები, იგივე იბერები ჩრდილო მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შედეგად ჩამოყალიბდნენ. ეს აზრი გაიზიარა ივანე ჯავახიშვილმა.

მატერიალური კულტურის მონაცემებით არაერთი მკვლევარი ცდილობდა ქართველების ინდოევროპულ სამყაროსთან დაკავშირებას. ი. კასტრის მიხედვით ქართველები არიან იბერები, ეს ის არიული ზედაფენაა, რომელიც გაბატონდა კავკასიის იბერებზე. არქეოლოგიური და სხვა ისტორიული მასალებით დგინდება, რომ ქართველები კავკასიაში ძვ.წ. V-IV ათასწლეულში მივიდნენ. ქართველები და არიელები (ინდოევროპელები) მონათესავე ხალხებია.

ი. კასტრის ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ცნობილი არქეოლოგი ბ. კუფტინი. იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალების საფუძველზე უძველესი დროიდან შეინიშნება კულტურული განვითარების ადგილობრივი უწყვეტი ჯაჭვი. კუფტინი თავის ნაშრომში: „К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на кавказе по данным археологии“ (ქართულად – „არქეოლოგიური მონაცემებით, ძველი ქართული კულტურის ფესვების საკითხისათვის კავკასიაში“) პირდაპირ ილაშქრებს ქართველი ტომების კავკასიაში გამოსახლების მანამდე გავრცელებული თეორიის წინააღმდეგ და გადაჭრით აღნიშნავდა, რომ მის მიერ გამოვლენილი უძველესი კულტურა „ეკუთვნოდა სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ეთნიკურად და აქ ქმნიდა თავის ისტორიას. არავითარი საფუძველი აღარ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესოპოტამიასა და მცირე აზიაში ვეძებოთ. სწორედ სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც“.

ისტორიკოს-მკვლევართა დასკვნების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ქართული ტომები დასაბამიდან ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთით, კაბადოკიაში და სხვ. ამის დასტურია – ძვ.წ. VII-VI ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურის არქეოლოგიური მასალები. რუსი მიტროპოლიტის, ევგენი ბოლხოვიტდინოვის დასკვნა – 1804 წლის გამოკვლევაში იგი წერს, რომ ძირძველი საქართველო ჩრდილოეთით იყო დონის აუზის ჩათვლით. არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება, რომ კოლხური კულტურა ვრცელდებოდა დღევანდელ აზერბაიჯანზე, სომხეთზე და ჩრდილო კავკასიაზე. მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. კოლხური კულტურაა. ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ქართველი ეთნოსის ძირძველობას საქართველოს ტერიტორიაზე, რითაც უსაფუძვლო ხდება

ქართველი ერის სამხრეთიდან მოსვლის კონცეფცია.

ყველა ერს ერთი საერთო წინარე ერი ყავს და ასეთად კაცობრიობას (ისტორიულ-არქეოლოგიური და ნერილობითი წყაროებზე დაყრდნობით) წინარე ქართული, პროტოიბერიული ტომები და ეთნოსი ევლინება. ეს ტომები ისტორიაში ცნობილია, როგორც ქალდეველები, ხალდეები, მესხები, თუბალები... და მათგან წარმოქმნილი პელაზგები, ეტრუსკები, ხალიბები.

„ერი, სახელმწიფო, ქართული ეროვნება წარმოადგენს ძველი კავკას-ქალდეური რასის, მისი შემდგომი ქალდეურ, ურ-ურუკის, ბაბილონ-ქარდუხის და ურართუ-ქალდეას ახალ „აპანასტას“, ანუ „ალორძინებას“. 3 000 წლის წინათ და უფრო ადრეც ქრისტეშობამდე ოთხივენი განუყოფელი იყვნენ. ქრისტეშობამდე დაახლოებით 3 000 წლის წინ ოთხ ზღვას (შავი, კასპიის, სპარსეთის უბე და ხმელთაშუა ზღვა) შუა მდებარე ღმერთ ქალდუს გეოგრაფიულად და პოლიტიკურად თანდათან გაერთიანებულ მიწა-წყალზე, დაიწყო სხვა რასის, სემიტების შეხიზვნა. ყოველწინარე შემოქმედებით ნიჭს მოკლებული ეს მოქმედი უმცირესობა, ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს. მხედრულად უკეთესად განწყობილმა და უკეთესად შეიარაღებულმა დისციპლინით დაიჩემა დამხვედურების მიწა-წყალი, მათი სარწმუნოება (გამოცვალა მხოლოდ ღმერთების სახელები), მიითვისა მათი ხელოვნება, დამწერლობა და საზოგადოდ, მთელი მათი ცივილიზაცია (კულტურა); „შეჰქმნა მხოლოდ ვერაგი გენერლები და სისხლისმსმელი მეომრები“ (გ. მასპერო), „შეჰქმნა მსოფლიოში პირველი იმპერია სარგონ I მეთაურობით“ (რ. გაბაშვილი. კ.რ.ნ.მ.ც.გვ.22, 24). ამავე მოსაზრებისაა ჰ. კლარკი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ჟ. კონტენო, ს. ვული, მ. ნერეთელი და სხვა. დაახლოებით ქრისტეს წინარე 6000 -5000 წლის წინათ სამხრეთ კავკასიიდან იბერიული ტომები წინა აზიაში გავრცელდნენ, საიდანაც შემდგომში მათი მიგრაცია მოხდა ევროპისა და ჩრდილო აფრიკის კონტინენტზე. „ქართველთა უშუალო წინაპრები არიან ხეთა-სუბარები, რომლებიც განფენილნი იყვნენ ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე; ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ქართველთა საცხოვრისი ცენტრი თანდათან ინაცვლებს ჩრდილოეთისაკენ“ (ტ. ფუტკარაძე. ქ.გვ.225). დიბუა დე მონპერიესა და ფრიდრიხ ჰომელის კონცეფციაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერს: „ექვგვარეთ უნდა გვეკონდეს, რომ ხსენებულ ხალხთ (ტიბარენნი, მოსიკენნი, მაკრონნი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი) ნამდვილად ჰქერიათ თითქმის მთელი სივრცე ჰალისის მდინარიდამ მოყოლებული ვიდრე კავკაზის მთებამდე... ახლა იმათ ქართულ შთამომავლობაში თითქმის არ ეჭვნიულობენ“ (ტ. ფუტკარაძე.ქ. გვ.225). გასული საუკუნის მიწურულიდან ისტორიოგრაფიაში მტკიცედ მკვიდრდება აზრი, რომ ქართველთა საცხოვრისად ძვ.წ. VI ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასია და მის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალი მოიაზრება. ქართული მოდგმის პრეისტორიულობაზე – როგორც დასაბამისეულ ხალხზე, უტყუარ ისტორიულ სურათს ყველაზე მეტად გენეტიკური, ქართველთა დნმ-კვლევა იძლევა. უკანასკნელი კვლევები ადასტურებენ, რომ ქართველი ერი, მისი წინაპარი ჩამოყალიბებული სახით ძვ.წ. 5 000 წლის იქეთ გვხვდება. ამ მხრივ საინტერესო და ყურადსაღებია ბატონ გ. ანდრიაძის — კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგენეტიკური კომისიის წევრი — დასკვნა: „ეთნოგენეტიკური კვლევა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალური სიზუსტით დავადასტუროთ ჩვენი განვითარების სქემა... შეიძლება ითქვას, რომ პირველადი სურათი ნათელია: ქართველ ადამიანში დომინანტურია J2 და G2 ჰაპლოჯგუფები... მსოფლიო მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ J2 და G2 ჰაპლოჯგუფების წარმოშობის ადგილია ვანის ტბის მიდამოები და შუამდინარეთის ზემო წელი, ასევე ზაგროსის მთების რეგიონი... გენეტიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ხალხი არის შუამერულ-ქალდეური წარმოშობის. ურარტუ მართლაც უძველესი წინარექართული სახელმწიფოა. წინარექართული რასა არა მხოლოდ აქ დაიბადა, სადაც ახლა ვცხოვრობთ, არამედ კავკასიონიდან გაცილებით სამხრეთით იყო განფენილი და ე. წ. ნაყოფიერ შუამდინარეთს ემიჯნებოდა“.

ცოდვით დამძიმებულ და უფსკრულისაკენ გასაწირად დაქანებულ კაცობრიობას მამა ღმერთი გასაწირავად არ იმეტებს და განიკითხავს, სასჯელს მოუვლენს, ადამიანში ღვთიური სულის გასაღვიძებლად და ისევ განღმრთობისაკენ უბიძგებს. მორიგი სასჯელით – დაახლოებით 7 000 წლის უკან – ღმერთმა დიფერენცირებულ სამყაროს ჩაუყარა საფუძველი და ადამის მოდგმას ბაბილონის გოდოლი დაუნგრია. ბაბილონის შენება ცალკე აქტია, იგი ადამიანური

თავხედობა, „მინიერისაგან ზეციერის დაუშვებელი ხელყოფა,“ ხოლო მისი მიზანი კაცობრიობის ერთფეროვნების შენარჩუნება იყო. ბაბილონი „ნიმანსვეტი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც ცენტრისკენული ძალით დააკავებდა ხალხს და იხსნიდა უმწყემსო ფარასავით გაფანტვისაგან. გაფანტვა ორგზის ხდება შესაქმის ნიგნში და ორივეჯერ ერთი და იმავე სიმბოლოს ვარიანტებთან არის დაკავშირებული: ორივეგან, როგორც აღმოსავლეთის ედემში, ისე შინეარში ადამიანი შეეცადა ღმერთს გატოლებოდა – იქ „ცნობადი ხის“ ნაყოფის გემოს ხილვით, აქ ცასთან შემაერთებელი გოდოლის აგებით, რასაც, როგორც ვიცით შუამდინარელნი დურ-ან-ქის უწოდებდნენ და დიდის შთაგონებით აშენებდნენ. საბოლოოდ, ედემის ადამმა ღვთიური ცოდნის ნაცვლად სიკვდილი ჰპოვა, ანუ დაჰკარგა სულისა და ხორცის განუყრელი ერთიანობა; მსგავსადვე, შინეარის ხალხის ნაცვლად იმისა, რომ ზეცას მისწვდომოდა, დედამინის ზურგზე განიფანტა და თუ ადრე ერთპირად მეტყველებდა, ახლა სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა, რამაც საბოლოოდ გათიშა კაცობრიობის ერთი ორგანიზმი“ (ზ. კიკნაძე. შ.გ. გვ.119).

ბაბილონის გოდოლის ეპოქიდან დიფერენცირებულ სამყაროში ერების ისტორია იწყება. ერი – ამ ტერმინის შემოღება-დამკვიდრება ბიბლიურ ნოეს ეკუთვნის. თავდაპირველად ერი ეწოდებოდა მარადისობის უზენაესი კანონიკის მცოდნე ქურუმთა კასტას, ხალხის მონინავე და ეროვნულ ნაწილს. ეს არის სჯულით ჩამოყალიბებული ტომი, ხალხი. ერი ბოლომდე შეუცნობელი ორგანიზმია, რომლის გაჩენაც, არსებობაც და მისიის განსაზღვრაც ღმერთის ნებაა. როგორც ადამიანი, ისე მთელი ერი, დამოკიდებული არის გენეტიკურ მემკვიდრეობაზე, რასაც ღმერთი განსაზღვრავს. **ერი გენეტიკური კოდის მატარებელია და მასში არა მარტო მემკვიდრეობა, არამედ ერის საკაცობრიო მისიაც არის კოდირებული. ამიტომ, ერი ღვთაებრივი ფენომენია და იგი ხელოვნურ ჩარევას ვერ იტანს – ირღვევა. კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი აქ, იბერია-კოლხეთში, გიორგიანულ არეალში დაირწა და ხალხთა ერებად ჩამოყალიბება გიორგიანული განათლების სისტემისა და ცივილიზაციის ფესვებზე იწყებს აღმოცენებას.**

ქართული ტომები და მათი მიგრაციის გზები

სათანადო მასალებზე დაყრდნობით ზემოთ აღვნიშნე, რომ იბერია-კოლხეთში ცივილიზაცია შუმერიდან კი არ შემოსულა, არამედ გიორგიანული არეალიდან გასულმა უძველესმა ქართულმა მოდგმამ, შუმერებად წოდებულმა ხალხმა, უძველეს ქართულ ენაზე, სვანურ დიალექტზე, შუამდინარეთში საფუძველი დაუდეს მსოფლიო ცივილიზაციას და გვევლინებიან ქალდეური ტომის წინაპრად. ქალდეელები, რომელთაგანაც მომდევნო ხანებში უშუალოდ იშვა არა ერთი იბერიულ-კოლხური ტომი. იბერები, იგივე ბიბლიური თუბალები, თაბალი, თობელი. კოლხები, იავანები, სიმრები, იგივე ლაზები, მესხები, ბიბლიური მეშექი, ტიბარენები, ხალიბები, ზანები, სანები-სვანები, მოსინიკები, მაკრონები, ფასიანები, ჭანები და სხვ.

ქალდეა – ქალდეელები (იგივე ხალდეები), სამხრეთ ბაბილონის მკვიდრები, შუმერების უშუალო მემკვიდრეები, მათ უწოდებენ შუმერთა ხალხს. ბიბლიურად სემის შთამომავალ არფაშადიდან არის ქალდეელნი, ამბობს წმიდა ექვთიმე მთაწმინდელი. ისტორიაში ჩნდებიან ძვ.წ. IV ათასწლეულიდან, სამხრეთის ორმდინარეთის, ტიგროსისა და ეფფრატის უძველესი ცივილიზაციის შემოქმედები. „ძველი აღთქმა“ შუმერს ქალდეას უწოდებს. ძვ.წ. I ათასწლეულში „ქალდე“ ურარტუს წარმართული პანთეონის უპირველესი, მთავარი ღვთაებაა. შუა საუკუნეებში ბერძნები ლაზებს ქალდეებად მოიხსენიებდნენ. ბერძნები, რომაელები, ეგვიპტელები კარგად იცნობდნენ ქალდეელთა ასტროლოგიებს, ვარსკვლავთმრიცხველებს, მოგვებს, მისნებს, მითოლოგიურ სამყაროს, მათ მიღწევებს. ქალდეები მისდევდნენ მინათმოქმედებას, მეჯოგეობას, ამუშავებდნენ მადნეულს, თაყვანს სცემდნენ მთავარს ღმერთს და მიაჩნდათ უფროს ღმერთად, ისე, როგორც ძვ. კოლხებს. ქალდეელებისა და ქართული ტომების იდენტურობას ადრევე მიაქცია ყურადღება ლენორმანმა, მ. წერეთელმა, ვულიმ, კონტენომ, კლარკმა და სხვ. ქალდეელთა ეთნიკურ ვინაობას, რომ ისინი ქართული ეთნოსის ნაწილია, სომხური (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს) წყაროებიც აღიარებენ. სვანეთში გვაქვს სოფ. ქალდე, გვარი ქალდანი. სვანური სიმღერა „იავ ქალდი“, ქედი ქალდე. ანტიკურ ხანაში ხალიბთა, ლაზთა ქვეყანას, პარალელურად ხალდეათი იხსენიებენ. ქალდეელები გამოირჩეოდნენ თავინთი გან-

საკუთრებული განსწავლულობით. თვით დანიელი, ბიბლიური ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველი, ქალდეველია. მეფე ნაბუქოდონოსორი თავის ხალხს მოუწოდებს ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერება უნდა შეისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო (დან.2-47,3-4), (შდრ. გიორგიანული განათლება ქვეყნის ოთხივე მხარეში). დანიელ წინასწარმეტყველს ღმერთი ეუბნება: „იმ დროს აღდგება მიქაელი (მიქაელი და გაბრიელი – ქრისტე და სულიწმიდა. ბ.ბ.) დიდი მთავარი, შენი ხალხის შვილთა მფარველი, ისეთი მძიმე დრო მოვა, ხალხის გაჩენის დღიდან ამ დრომდე რომ არ ყოფილა. იმ დროს შენი ხალხიდან ყველა გადარჩება, ვინც კი წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდება (დან.12-1). ამასვე გვეუბნება იოანე ზოსიმე, რომ ამ ენით (ქართული) გაცხადდება მეორედ მოსვლა და განიკითხება ამ ენით. მაცხოვრის, იესო ქრისტეს დაბადება ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. ისინი უდიდესი ცოდნის მატარებელი იყვნენ და იესოს შესახებ იცოდნენ. ბერძნები ქალდეველებს ბაბილონელებად მოიხსენიებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ბაბილონში – ქალდეაში იყო აღმოჩენილი პირველი წარწერებიანი თიხის ფირფიტები შუმერების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით ქალდეა შედგებოდა იბერიულ-კოლხური ტომებისაგან: ტამალები, ტაბალები, კასკები, მუსკები, ჰელოხები, კარდუხები და ტიბარები (ივ.ჯავახიშვილი. ქე.ი. წიგ. II გვ.1). ცნობილია, რომ იესო ქრისტე ჯვარცმისას ბოლო სიტყვებით ასე მიმართავს მამა ღმერთს: „ელი, ელი ლამა საბაქთანო? (მათე – 27-46). „ლამა სულხან-საბას მიხედვით – ვლამოზ, ვაპირებ, ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს – მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში, ერთ-ერთ დღესასწაულზე – მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო“ (პ. ქორჩაკაძე – ჭალადიდელი მწერალი). ეს ფაქტია და ფაქტია ისიც, რომ ყოველი ადამიანი გარდაცვალებისას ბოლო სიტყვას მშობლიურ ენაზე იტყვის, მითუმეტეს განკაცებულმა ღმერთმა ეს სიტყვები იმ „გასაიდუმლოებულ“ ენაზე წარმოთქვა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ეს კი საფუძვლიან ეჭვს ბადებს ქრისტეს ებრაულ წარმოშობაზე, იგი ქალდეველია. ქალდეური და ებრაული ენები სხვადასხვაა. ამის შესახებ 380 წ. ნეტარმა ერონიმე სტრადონელმა განაცხადა: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო. „ეს ხალხი (ისრაელი) ქალდეველების შთამომავალია“ (ივლითი 5-6), ანუ ქანაანელები – ებრაელთა წინაპრები ქალდეველთა შთამომავლებიაო. ქალდეველთა პროტოქართველობას გვამცნობს თეოლოგის და ისტორიკოსის არქიმანდრიტ პეტრე სოლიარკის ცნობა, რომ „ქალდეველთა კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის /შუმერის/ და ეგვიპტის ქურუმებს, კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია“ (ვ. ვახანია. კ.ს.ე. გვ.377). ამასვე მონიშნა რიგი სომხური წყაროებიც, რომ ქალდეველები იგივე ჭანებია. ქალდეველ მოგვთა და ქურუმთა მოდგმა მიზანმართულად ასწავლის ებრაელებს ქალდეურ „ნაწერებს“ და ენას, ... შეეძლებოდათ მეფის კარზე სამსახურის განევა და ქალდეველთა მნიგნობრობისა და ენის შესწავლა“ (დან.1-4). ამის შემდეგ ქალდეველები ებრაელებს უქმნიან ენას „ივრითს“ და სჯულს „იუდაიზმს“, რომელიც არამეულ ენაზე იწერება. ქალდეველებმა თავიანთი „ნაწერები“ (მოდღვრება სამყაროზე, ჭეშმარიტებაზე, რომელიც გადმოცემულია შუმერულ ეპოსში „გილგამეშიანში“) და ენა, ჭეშმარიტების, ღმრთის სიტყვის შესანახად ებრაელებს მიანდეს და თავიანთ ნაწერებშიც უპირატესობაც მათ დაუთმეს ძის უფლებით. „...რამდენადაც მათ მინდობილი აქვთ ღმრთის სიტყვა... და რომლებსაც ეკუთვნით ძეობა და დიდება, მცნებანი და რჯულისდება, ღმრთის მსახურება და აღთქმანი“ (რომ. 3-2. 9-4). ამიტომ არის ბიბლია იგავარაკის ანუ სახისმეტყველებით, სიბრძნით გადმოცემული დიდებისმეტყველება, რომელშიც კოდირებულია ჭეშმარიტება, ქალდეური სარწმუნოება, ენა და ისტორია. ძველ აღთქმაში ებრაელთა ღმერთი, იახვე ებრაელ ხალხს ლოცვას ქალდეურ ენაზე თხოვს. თალმუდის თანახმად ებრაელებმა ლოცვაში ღმერთის მიმართ თუ რაიმე თხოვნა აქვთ, ღმერთს ქალდეურად უნდა მიმართონ – ილოცონ. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ II, ოფიციალურად პირველმა განაცხადა, რომ ქართველები ქალდეველები არიან; „...რომ ქრისტესშობამდე VII-VIII ათასი წლის წინ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ ხალხები (ქალდეები), მათ პირველებმა მსოფლიოში შექმნეს თავისი მაღალი ეროვნული კულტურა, რომელიც შემდგომში გახდა წყარო და მაგალი-

თი მომდევნო ხალხების კულტურისათვის.“ ამასვე აცხადებს „ქართლის ცხოვრებაც“; „კუალ-
 ად გამოვიდნენ სხვანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშვნენ იგინიცა ქართლს.“ ებრაელები
 გენეტიკურად ურის უძველეს აბორიგენ მოსახლეობას, შუმერებს ეკუთვნოდნენ; „ეს ხალხი
 ქალდეველთა შთამომავალია“ (ივდ. 5-6), აბრაამი ძვ.წ. XVIII საუკუნეში ქალდეურ ხარანში გა-
 დასახლდა /დაბ.11-31/, ხოლო ძვ.წ. VI საუკუნეში ებრაელები საქართველოში მოვიდნენ.

„...რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ჩვენი საპატიო პარლამენტი აზიაში შემდგარა. ...იგი
 მოუწვევიათ იმ ქვეყანაში რომელსაც ძველად შუმერი ეწოდებოდა ...ძვ.წ. III ათასწლეულ-
 ში ...შუმერი დასახლებული იყო იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცივილიზაციის
 მქონე ხალხით. ...უნიჭიერესმა შუმერელმა მოაზროვნეებმა შექმნეს რელიგიურ-ფილოსოფიურ
 შეხედულებათა მთელი სისტემა... გასაკვირი სულაც არ არის, რომ შუმერმა საკმაოდ წინ
 გადადგა ნაბიჯი პოლიტიკურ სფეროშიც. სწორედ აქ იყო პირველი ცდა დემოკრატიული მთავ-
 რობის შექმნისა, მთავრობისა, რომელიც ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ცნობდა სახ-
 ალხო კრების უფლებებს (ს.კრამერი. ი.ი.შ. გვ.39,40).

ქალდეველებმა სათავე დაუდეს კოლხურ-სემიტურ ხანას, რომლის სახელიც ბიბლიურ პა-
 ტრიარქ სემიდან მომდინარეობს. გამომდინარე აქედან, სემური ეპოქის პატრიარქები; არ-
 ფაქშადი, შალახი, ყებერი, ფალეგი, რელუ, სერუგი, ნახორი, თერახი, აბრაამი, ისაკი და ია-
 კობი ბიბლიის- ძველი აღთქმის აპოკრიფებში ეპოქის მიხედვით სემიტებად, ხოლო ეთნიკური
 წარმოშობის მხრივ, ქალდეველებად ანუ ჭანებად იწოდებიან. „იგივე ქალდეველები, ბიბლიური
 მოსეს სახელის მიხედვით, მოსოხებად – მოსხებად ანუ მოსეს მშობელ ხალხად იქცნენ. მოგვი-
 ანებით კი – იგივე მოსხები – მესხებად – მესიის – იესოს მშობელ ეთნოსად გვევლინებიან.
 რაც შეეხება სუფიქს „ხი“-ს /“ხი“, „ხა“, „ხალა“ ზანურ-მეგრულად = „შობა“. ავტ. ბ.ბ./, იგი
 როგორც შობა დაბადებისა და კუთვნილების აღმნიშვნელი, სასულიერო კოდი „მარგალიტის“
 ჩასახვიდან – პატრიარქ ადამის ეპოქიდან მომდინარეობს“ (შ. ცხაკაია).

იბერები – ბიბლიური თაბალი, თუბალი, თობელი. ასურულ წყაროებზე დაყრდნობით ქვეყ-
 ანა თაბალი მდებარეობდა კაბადოკიაში. თუბალი ვრცელი ქვეყანა იყო, იგი 30-მდე მცირე
 სამეფოს აერთიანებდა. ბიბლიაში იგი თუბალ-კაინად იწოდება. ეს იყო „რვალისა და რკინის
 საჭურველთა მჭედელი“ (დაბ. 4-22). სახელწოდება თუბალი, თობელი, მეშექი, მოსოხი, მესხი,
 ისტორიულად — ბიბლიის თანახმად ნოეს ეპოქიდან მოდის, დაახლოებით ქრისტეს წინარე
 VII-VI ათასწლეულიდან. „იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“
 (დაბ.10-2). ი. ფლავიუსის, პ. ინგოროყვას, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ვ. მარტენის მტკიცე-
 ბით და ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით თუბალის შთამომავლები იბერები არიან. ტერმინ
 იბერს სასპერების გვიანდელ სახელად ვარაუდობს ტ. ფუტკარაძე; „სასპერების გვიანდელ
 სახელად, სავარაუდოა, განზოგადდა ტერმინი იბერები, რომელიც ადრე ერთი პატარა ტომის
 სახელი უნდა ყოფილიყო“ (ტ.ფუტკარაძე. ქ. გვ.104). უძველესი დროიდან იბერია დასახლე-
 ბული იყო რამოდენიმე ქართული ტომით, რომლებსაც ძველი ჟამთაღმწერები იბერებს უწოდე-
 ბენ. „XI ს. ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცესი ამტკიცებს, იბერები და ალანები ერთ ხალხს
 შეადგენენო, ხოლო XV ს. სომეხი მემატთანე თომა მენოფელი განუმარტავს მკითხველს, რომ
 „ქართველთა სახლში“, ე.ი. ქართულ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში შედის 8 ტომი –
 ქართველები (ვრაცები), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვალელები და ოსები.
 ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებული იქნა საქართველოს სამეფოს დაშლის შემდე-
 გაც“ (ს.ი. გვ.11). მოსოხებს და სასპერებს (კლასიკური ხანის ისტორიკოსებისა და ჰეროდოტეს
 მიხედვით) მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამ მხრივ ტომების გაერთიანებაში და სახელმ-
 ნიფოდ ჩამოყალიბებაში., ელინისტური ხანის იბერია ყოველთვის ერთ პოლიტიკურ სახელმ-
 ნიფო ერთეულს აღნიშნავდა, რომელიც მოიცავდა საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთისა
 და ნაწილობრივ დასავლეთის ტერიტორიას, კაბადოკიის ნაწილს. ამ უძველეს ქართულ მიწა-
 წყალზე წინაელისტურ ხანაში მრავალი სატომთაშორისო გაერთიანება და ადრეკლასობრივი
 სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო. მესხები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს იბერიის
 სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში ძვ.წ. VI საუკუნეში, მოვიდნენ იბერიაში-ქართლში და დააარსეს
 ქ. მცხეთა, რომელიც ძვ.წ. V საუკუნეში პოლიტიკურად ძლიერი იბერიის ცენტრი, სატახტო
 ქალაქი გახდა და მისი იურისდიქცია ქართლზეც ვრცელდებოდა. იბერებს ზემოთ აღნიშ-

ნულ ტერიტორიაზე ათავსებს; იპოლიტე რომაელი (III ს.), გელასი კესარიელი (IV ს.), ეპიფანე კვიპრელი (IV ს.), ევსევი კესარიელი (III-IV ს.), ერემია სოზომენე (V ს.), თეოდორიტე კვირელი (IV-V ს.), ამ მხრივ საყურადღებო კვლევა გააჩნია ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს; „განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკიფორე ქსანთოპულოსის (XIII-XIV ს.) ცნობა, რომელიც იბერიად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც: „იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლისი, აფსარის ციხე, პისის ნავსადგური და მდინარე ფაზისი, მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები;“ შდრ., აგრეთვე: „ხოლო იგი ანდრია წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგიკა 1967, გვ.113-114); აქვეა ს. ყაუხჩიშვილის შემდეგი კომენტარი; „ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უაღრესად შემცდარია დღემდე მოქმედი თეორია დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ: დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო არა მარტო მეგრულ-ჭანური ტომებით, არამედ იბერებითაც (გვ.117). შდრ., აგრეთვე, ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.): იბერია გადაჭიმულია ეგრეთწოდებულ ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე; ისტორიკოსის აზრით, იბერიაში შედის სამეგრელოც, გურიაც ... (გეორგიკა, 1970, გვ.91). საყურადღებოა კიდევ ორი ცნობაც: სტრაბონთან დამოწმებული გადმოცემით (სტრაბონი, 1964, გვ. 473: XI, II, 19; თ. ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; შდრ., მიუშენკოს თარგმანი: სტრაბონი, 1879, გვ. 507), ოქროს საწმისი აღმოსავლეთის იბერთა ქვეყანაში, კერძოდ, სვანთა მხარეშია, ხოლო დედის მხრიდან აბაზგური (მეგრულ-ჭანური? -ტ.ფ.) წარმომავლობის იოვანე ცეცეს აზრით, იბერების ტომისანი არიან აბაზგებიც (გეორგიკა, 1967, გვ.23)“ (ტ.ფუტკარაძე, ქ. გვ.106,107).

იბერს, თაბალს დღეისათვის არსებული წერილობითი წყაროების თანახმად, პირველად ასურეთის მეფე სალმანისარ III (ძვ.წ. 859-824) მოიხსენიებს: „ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისა-სა ოცდამეორესა მეოცდაერთჯერ ევფრატი გადავიარე, ჩავედი ტაბალად და ტაბალის 24 მეფისაგან საჩუქრები მივიღე.“

რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ.წ. 116-27 წ.წ.) წერს, რომ იბერები, რომლებიც ესპანეთში ცხოვრობენ, საქართველოდან წამოსულები არიან ძვ.წ. XV საუკუნეში. ამავე აზრის არიან დემორგანი, აპიანე, დიურიკი, კ.ულენბეკი და სხვ. გასული საუკუნის ბოლოს, ესპანეთის იბერიაში-ბასკეთში ნაპოვნი იქნა იბერიული ტაბულა, რომლის წაკითხვა შესძლო ქართველმა ინჟინერმა შ.ხვედელიძემ, ძველი ქართული დამწერლობის დახმარებით. ტაბულა ასეთი შინააარსის წარწერით იყო, რომ დაახლოებით ძვ.წ. XV საუკუნეში საქართველოში ძლიერი მიწისძვრა იყო, რომელიც იწინასწარმეტყველა იბერიული ტომის ბელადმა რიომ, რომელმაც ფურისულა ყვავილი ნახა მთაში, იგი მიწისძვრამდე გარკვეული დროით ადრე კვდება. ხალხის დიდმა ნაწილმა რიოსი დაიჯერა, დაახლოებით 400 000 კაცმა დატოვა საცხოვრებელი და დასავლეთისაკენ გაემართნენ. დასახლდნენ კორსიკაში, კართაგენში, პირინეის მთიანეთში, ბისკაის ყურეში და ესპანეთში. მათი სახელი აქაც იბერია იყო, ხოლო ძვ.წ. V ს. – დან ბასკებად იწოდებიან. იბერთა მიგრაციის გზა ჩრდილოეთ განედის 42⁰ გადიოდა, მათი გადაადგილების მიზანზე საინტერესო, არგუმენტირებული მოსაზრება გააჩნია რ. ერისთავს: „როდესაც მცირეაზიელები (იბერები) კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში მივიდნენ და დასახლდნენ, თითქოსდა მათ აქ უნდა შეენყვიტათ მიგრაცია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, გადიოდა დრო, წლები და ისინი თანდათან იწყებენ განთესვას დედამიწის სხვადასხვა რეგიონში. ქართველთა ტომები ფაქტიურად გამოდიოდნენ მისიონერების როლში. ჩადიოდნენ რა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ აბორიგენებთან მიჰქონდათ ცივილიზაცია და განათლება. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება სიმართლეს შეეფერება, რადგან საქართველოს ტერიტორიიდან ლოკალური კატაკლიზმებისა და კატასტროფების დროს, დაახლოებით 400 000 კაცმა მიატოვა სამშობლო. ამ ერთ მუჭა ხალხს სრულებით არ ესაჭიროებოდა ახალი მიწების დაპყრობა ან ათვისება, ისედაც ყოფნიდა ის ტერიტორიები, რაც მათ ეკავათ. როგორც ჩანს, მათი საყოველთაო განთესვა დედამიწაზე იყო ველურ აბორიგენტთა შორის ცივილიზაციის გავრცელება... ცნობილი ფაქტია, რომ მსოფლიო ხალხების ეპოსებში, თქმულებებსა და მითებში, მოხსენიებულია ამბავი თეთრი ადამიანის ანუ ბელადის მათთან მოსვლის შესახებ, რომელმაც შემდეგ მათ განათლება და მშვიდობა მოუტანათ. მსგავსი რამ არა აქვთ ქართველ

ხალხს. მათში გავრცელებულია მხოლოდ ის თქმულებები, სადაც კავკასიიდან თეთრი ადამიანების წასვლაა ნახსენები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა ადამიანი, მხოლოდ ქართულ ენაში ფიგურირებს და იგი წარმოშობილია სიტყვა ადამიდან. სხვა არცერთი ხალხის ენაში მსგავს მოვლენას ადგილი არა აქვს“ (რ. ერისთავი. მ.შ. გვ.31, 32, 33).

იბერიელთა მიგრაციაზე და მათ მისიაზე ბევრი ინერება, რასაც არა ერთი უცხოელი მეცნიერი არგუმენტირებულად ამტკიცებს: ვ. ჰუმბოლდტი, ბოდრიმონი, ფრანსუა დიურკო, რენე ლაფონი, ნ. მარი, ბ. ბრეინშპოლი, ი. მოსენსკისი და სხვა.

„უძველეს ხანაში ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ ხეთურ-იბერიული გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და აქედან დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვედური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. ასე იყო პირენეს ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი იბერიული მოსახლეობის შთამომავალნი, ბასკებად წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილი, ასევე მოხდა აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც ეტრუსკებმა შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულს ინდოევროპელ ბერძნებსაც პელაზგების პირვანდელი დანიშნაურებული მოსახლეობა დახვდათ“ (ს.ი. გვ.19).

ბასკები ევროპის კონტინენტზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ, და ერთადერთი არიან, რომლებიც არ არიან ევროპელთა მოდგმის და ცხოვრობენ ყოფილი იბერიის ანუ დღევანდელი პირინეის ნახევარკუნძულზე. ისტორიულად არსებობს აღმოსავლეთისა (საქართველო) და დასავლეთის იბერია (პირინეის ნ/კ). იბერიამ თავის აყვავების ხანას ძვ.წ. VIII საუკუნეში მიაღწია, ძვ. წ. II საუკუნეში იგი რომაელებმა დაიპყრო და შესაბამისად მოხდა მათი რომანიზაცია. დასავლეთში ამ პროცესს ბასკები გადაურჩნენ. გიორგი მთაწმინდელი ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებიდან გვიამბობს: ნეტარმა მამა იოანემ განიზრახა თან წაეყვანა თავისი ძე და რამდენიმე მოწაფე და წასულიყო სპანიაში (ესპანეთში)... იოანეს გაგონილი ჰქონდა, რომ არამცირედნი ქართველი ტომები და ხალხები ცხოვრობდნენ სპანიაში.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ რკინის დამუშავების პიონერები ქართული ტომებია. ამასთან დაკავშირებით ნ. მარი ამბობს: ქართული მოდგმის ხალხმა შეაღწია პირინეის ნახევარკუნძულზე ლითონის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით. ამ აზრს განამტკიცებს 1965 წელს არქეოლოგ ფუსტიეს მიერ ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი 5 000 წლის წინანდელი სპილენძის საბადო, სადაც აღმოჩენილი იქნა ადამიანის ჩონჩხები. ფუსტიეს დასკვნით ეს ჩონჩხები განეკუთვნება კავკასოიდურ რასას. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იბერთა მიგრაციის ჩრდილო განედის 42⁰-ზე მდებარეობს მათი განსახლების ადგილი დღევანდელ ესპანეთსა და საფრანგეთში. ესპანეთში ცხოვრობს 950 000 ბასკი, იბერიის მთებსა და პირინეის მთებს შორის, ხოლო საფრანგეთში 140 000, პირინეის მთის ჩრდილოეთით. ბასკები თავიანთ ქვეყანას „ეგუს სკალდუნს“ უწოდებენ. ბასკურ ენაზე „ეგუს“ – მზე, „სკალდუნ“ – ამომავალი მზის ქვეყნიდან მისული. საქართველოს იბერია ესპანეთის იბერიიდან, აღმოსავლეთითაა. ლენტეხში დღემდეა სკალდეს სახელის მატარებელი ეკლესია.

კანადის უძველესი რკინის საბადოები ხუთი ტბის მიდამოებშია და იგი ჩრდილო განედის 42⁰-ზე გადის. ვფიქრობ, რომ დედამიწაზე რკინის საბადოების გავრცელების არეალი ეს განედია. „იბერებმა თავიანთი მეტალურგიული საქმიანობა აქაც გააჩაღეს. როგორც ჩანს, ამ ხუთი ტბის სახელწოდებანი მათი წყალობით უნდა იყოს შერქმეული. მაგ. ერის ტბა და ქალაქი ერი, ერი ხომ ქართული სიტყვაა და ხალხს, ტომს ნიშნავს. ტბა გურონი, ალბათ ქურონი. ქურო ქართული სიტყვაა და ლითონის სადნობ ლუმელს ეწოდება. ტბა მიჩიგანი, ალბათ მინიგანი (მინის განი). ეს ტბა ვინროა და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განივად არის მიმართული. საქართველოშიც ხომ არის მსგავსი გეოგრაფიული დასახლებები: გოდოგანი, ზეგანი... რაც შეეხება ზემო ტბას, ეს სახელწოდება ყველა ენაზე ზემო ტბის სახელით გამოითქმება“ (რ. ერისთავი. მ.შ. გვ.47).

ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ფულის მტკიცებით ძვ. წ. XIII საუკუნეში იბერები ნაოსნობდნენ ამერიკაში. ინდიელების წარმართული ღვთაებების სახელები ძალიან ჰგავს ზანურ-
2. მატანე

მეგრულ სიტყვებს: ვირაკოჩა, (ვირა=ამაღლებული, კოჩი=კაცი), ბოჩიკა, გაგუა (ბოჩი და გაგუ იბერიულ-კოლხური ღვთაებებია), სუა (სუა=ფრთა), გუგუ-მაცი და სხვ. კონტინენტი ამერიკის სახელიც იბერიული წარმოშობის უნდა იყოს, საქართველოში ხომ გვაქვს იმერი და ამერი, „კა“ ძველ ეგვიპტურში გაიგივებულია ძღვეამოსილ მეფესთან (ვრცლად იხ. ბ ბუხაიძე ლ.წ. მ. გვ. 161,130) ამერიკის კონტინენტზე აბორიგენი მოსახლეობის კულტურები უშუალოდ იბერიულ-კოლხური ეთნოსების მიგრაციის შედეგად იქმნებოდა. ინდიელ აბორიგენ მოსახლეობას შორის გავრცელებულია ერთი და იგივე აზრი, რომ მათთან ჩრდილოეთიდან მოვიდნენ თეთრკანიანი ბელადები და მოუტანეს ცივილიზაცია და განათლება. მეცნიერი ბარონ ჰუმბოლდტი ამტკიცებს, რომ მექსიკის ტერიტორიაზე აცტეკების სახელით, ეს ხალხი მოსულები არიან და მათი სამშობლო ჩრდილო განედის 42⁰ მდებარეობს. ცნობილი მკვლევარი და მოგზაური ტურ ჰეიერდალი ამბობს: „უძველეს ხანაში, ჩვენს პლანეტაზე ხალხთა ისეთ მიგრაციებს ჰქონდა ადგილი, რომლის წარმოდგენა დღესაც კი ჭირს“. რომ არა ასეთი მიგრაცია, ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობა ასეთ კულტურას ვერ შექმნიდა, გამომდინარე უძველეს ინდიელთა პრიმიტიულობიდან (როგორ უნდა დაიჩემონ კულტურის შექმნა ხალხმა, რომლებიც ცოცხალ ადამიანებს გულს გლეჯენ მკერდიდან და ცეცხლზე წვავენ), ეს აშკარაა და მეცნიერებიც აღიარებენ იბერთა ზეგავლენას.

ძველმექსიკური რიტუალების ცენტრალური ფიგურაა კეცალკოპტლი – ოქროს ხანის ღვთაებრივი მეფე. ამ მეფის გარეგნული აღწერილობა – მაღალი, ღია, ნათელი ფერის კანი და წვერი, რაც უდავოს ხდის ამ ხალხის მსგავსებას კავკასიის რასასთან (წყარო; გ. ხენკოვი, ს. ფაია. ც.ს. გვ. 35). „აშშ მინესოტის შტატის დასავლეთ ნაწილში გათხრებისას ნაპოვნი ჩონჩხი არ ეპყება ტრადიციულ აზრს... რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ: 9 000 წლის წინ ახალ სამყაროში გადასახლებულ პირველ ადამიანთა შორის იყვნენ კავკასიური რასის ადამიანები“. წერს აშშ სმიტსონიანის ინსტიტუტთან არსებული საბუნებისმეტყველო ეროვნული მუზეუმის დირექტორი დენის სტენფორდი და იქვე განაგრძობს: „სიტუაცია ძალზე საინტერესოა და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჩრდილოეთ ამერიკის განსახლების ისტორიის სერიოზული გადასინჯვის მიჯნაზე ვართ“. (წყარო; გაზ. „ვაშინგტონ პოსტი“ 1997 წ. 15. 04). „მაიას ქურუმები ერთმანეთს ჭანებს, სხვანაირად გველებს ეძახდნენ“. (Э. Джильберт, М. Коттерелл. Т. М. Ст. 142). ამერიკელი წარმოშობით ინდიელი ჭანი, ისტორიკოსი ტიტსკან (ტიტ-სკან, სკან=შენ) ვოტიტჩი მიიჩნევს, რომ ტეხასის შტატში მდ. ლანოს სახელი აღმოცენებულია ნაკლებად ცნობილი ინდიელი ჭანების ტომისაგან. შესაძლოა ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ტომების შესახებ სახელმძღვანელოში ეს სახელი ჭანები ვერც კი იპოვოთ, მეცნიერები მას „სანა“ ანუ „ზანა“ ხალხების სახელით იცნობს. 1716 წლიდან ზემოთ ნახსენები მდინარე ლანო პირველად გახდა ცნობილი, როგორც რიო დე ლოს ჭანა. ვინ იყო ეს ხალხი? სვამს შეკითხვას ვოტიტჩი და იქვე პასუხობს: იაკვალეები ანუ გადმოხვენილინი? შეიძლება ისინი იყვნენ უძველესი ხალხის რასა? 1793 წლიდან ისინი ითვლებოდნენ ყველაზე ცნობილ ტომად მთელს მისიონერთა საკრებულოში, ოღონდ ისინი ცნობილი იყვნენ ზანების სახელწოდებით. ჭანი ხალხის შთამომავალი, ტეხასის ისტორიის მათიანეში ცნობილია, როგორც შთამბეჭდავი სასამართლო პროცესის ჩამტარებელი, ასკვნის ინდიელი ვოტიტჩი. ინდიელი ტომების სახელი მაია, ინკა და აცტეკი იბერიულ-კოლხურია და ვინც ცოტა მაინც იცის დღევანდელი მეგრული უსიტყვოდ დამეთანხმება. მაია, უფრო ზუსტად მააია, ერთი „ა“ იკვეცება. მა=მე, აია=მზის ღვთაება, ანუ მზის ღვთაების შვილობას ადასტურებს. ინკა – დღეისათვის სამეგრელოში ამ სიტყვას ნაკლებად ხმარობენ. ინკა, ინა – ნიშნავს უცხო მხრიდან მოსულს, კა–სული. აცტეკი ანუ ათ-თექი=აქ, აგერ. იბერთა დამსახურება ამერიკის კონტინენტის ცივილიზაციაში დაწვრილებითაა აღწერილი წიგნში „ინკების სახელმწიფოს ისტორია“. კანადის ქალაქ შერბურკის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება წარწერებიანი ქვები, რომლებიც „მონშობენ იმაზე, რომ კართაგენის ტერიტორიაზე მცხოვრები ბასკები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩასულან 2000 წლით ადრე, ვიდრე კოლუმბი იქ ჩავიდოდა. ქვებზე წარწერები შესრულებულია 700 წელიწადს ჩვენს ერამდე“ (რ. ერისთავი. მ. შ.გვ. 46).

უცხოელი და ქართველი მეცნიერების დასკვნის თანახმად, ადრეისტორიულ ხანაში ხმელთაშუა ზღვის აუზი, ძველი შუამდინარეთი, ეთიოპია, ეგვიპტე დასახლებული იყო იბერიული მოდგმის ტომებით. იბერიულადაა მიჩნეული კრეტა-მინოსის კულტურა, რომელსაც ატლანტიდური

კულტურის გაგრძელებად მიიჩნევენ. იბერიულ ხალხებადაა მიჩნეული პელაზგები, ეტრუსკები, სორდები, სიკილები, ტროელები. ამ უკანასკნელის იბერიულ-კოლხური წარმომავლობა განმტკიცა XIX საუკუნეში შლიმანის გახმაურებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. „... ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლი თავის ნაშრომში „არიელები და იბერიელები“ წერს: „В авангарде наступления на Запад были картвелы, первыми на земле оседлевшие лошадей и, похоже дошедшие до Австрии и создавшие около 2 800 лет до н.э. баденскую культуру. Картвелами, возможно, были и легендарные троянцы. Но сейчас от них сохранился только один народ – грузини... ქართულად – „დასავლეთზე იერიშის ავანგარდში იყვნენ ქართველნი, დედამიწაზე ცხენის პირველი შემკაზმელები, ჩანს ავსტრიაში მიაღწიეს და ძვ. წ. 2 800 წელს შექმნეს ბადენის კულტურა. შესაძლებელია ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც კი, მაგრამ ახლა მათგან შემორჩა მხოლოდ ერთი ხალხი – ქართველები“. უკრაინელი ისტორიკოსის და ეთნოლოგის ა. აბაკუმოვის აზრით: „Иберы просуществовали на Пиренейском полуострове и юго-западе Галии достаточно долго. Отсюда и марровские топонимические „прояфетизмы“ 8-тысячелетней давности..., ქართულად – „იბერიელებმა საკმაოდ დიდხანს დაჰყვეს (იარსებეს) პირენეის ნახევარკუნძულზე და გალიის სამხრეთ-დასავლეთში. აქედანაა მავრების ტოპონიმური „პროიაფეტიზმი“ 8-ათასწლიანი სიძველით“. უფრო შორს მიდის ებრაელი პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენსკისი, რომელსაც არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ციკლიდან „**Грузинские истоки первых цивилизаций**“ (ქართულად – პირველი ცივილიზაციების ქართული წყაროები). მე, მხოლოდ ამ ნაშრომების სათაურებს შემოგთავაზებთ: „ქართველები ძველევგვიპტური კულტურის შემქმნელები“, „უცნობი ქართული ენა და ქართული დინასტიის 600 წლიანი მმართველობა მესოპოტამიაში“, „ქართველები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი მცხოვრებნი“, „ქართველები ძველ ბრიტანეთში“. 2006 წელს რუსი ჟურნალისტი ოლგა სოლოვიოვა იტალიიდან გამოგზავნილ კორესპოდენციაში, სახელწოდებით – „ცხვრის კუნძულის საიდუმლებანი“ ერთობ საგულისხმო რამეს წერს. კერძოდ, ამ ქალბატონმა კუნძულ სარდინიაზე აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ დღესასწაულზე სარდინიელები, არც მეტი, არც ნაკლები, ქართულ ცეკვას („**Лезгинка**“) ასრულებდნენ. როდესაც მან ხანში შესულ სარდინიელს ჰკითხა ეს რა ცეკვა არისო, ასეთი პასუხი მოისმინა: უძველეს დროში ბასკების ქვეყნისკენ მიმავალი ქართველები სარდინიაზე გაჩერდნენ და ჩვენს კუნძულზე ქალებს ბევრი-ბევრი ბავშვები დაუტოვესო...“ (გ.ა.დ. №49. ბ. ხოტივარი).

როგორც კოლხები, ისე იბერები მამაცი, ზღვაოსანი ხალხი იყო. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპებზე ნადირობა და მისი ხორცისა და ქონის გამოყენება. ჰქონდათ ხომალდები არც თუ ისე დიდები, მაგრამ ძალზე სწრაფმავალი. თავისუფლად დაცურავდნენ ატლანტიკის ოკეანის რეგიონებში. კარგად იცნობდნენ სანავიგაციო ჩვევებს, ქარების მიმართულებებსა და რიფების მდებარეობას. ასევე შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები. მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს ზღვებსა და ოკეანეებში, ძვ. წ. III ს. ბერძენი მწერლების მტკიცებით, კოლხებს ახლაც შემონახული აქვთ კვირბები, რომლებზედაც მათი მამაპაპის მიერ გაკეთებული წარწერებია და მოგზაურებისათვის ნაჩვენებია ყველა გზა, წყლისა და ხმელეთის საზღვრებიო. ეს წარწერებიანი კვირბები უძველესი კოლხური გეოგრაფიული რუკებია. იბერია-კოლხეთში ზღვაოსნობა მაღალ დონეზე იყო. ამ ფაქტს ძვ. წ. II-I ს. პონტოს მეფის მითრიდატე IV, დიდი ევპატორიელის დროინდელი ცნობებიც ადასტურებს. იგი კოლხეთიდან რეგულარულად იღებდა საჭირო მასალებს საზღვაო ძალებისათვის, ხომალდების სამენ ხეტყესა და მეზღვაურებსაც კი. მითრიდატეს სამეფოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართული ტომები შეადგენდა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მითრიდატეს ერთ ვაჟს სახელად ქართული სახელი მახარე ერქვა. იბერების საზღვაო სიძლიერე იმ დონეზე იყო, რომ ატლანტიკის ოკეანის ახლო რეგიონებსა და ბისკაის ყურეში მათი ფლოტის სიძლიერის შიშით მტერი ადვილად შესვლას ვერ ბედავდა.

ცნობილი ფაქტია, რომ **მსოფლიო მეცნიერები კავკასიურ რასას (იბერიულ-კოლხური) განიხილავენ ცალკე, როგორც ყველა დანარჩენი რასის ამოსავალი ძირი.**

ვილჰემ ჰუმბოლტი ასკვნის, რომ პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების

პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა, ანუ პროტოიბერები. ამ ხალხიდან მომდინარეობს გვიანდელი ევროპელი მოსახლეობა, პელაზგები და ეტრუსკები. პლუტარქეს აზრით, პელაზგები საბერძნეთის უძველესი მოსახლეობაა და მეზობელი ეტრუსკების წინაპრებია, ამას თავის დროზე ჰეროდოტე და ჰეკატე მიღეთელიც ადასტურებდნენ. ასირიელ, ბაბილონელ და ძველი იტალიის ქურუმების საერთო წინაპარი პელაზგები იყვნენ – ასკენის ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი და არქეოლოგი ჯონ ფურლანი. პელაზგები მატერიკული საბერძნეთის უძველესი ტომები არიან. ღმერთების კულტი საბერძნეთში პელაზგების შემოღებულია. დიოსკურების, ჰერას, ვესტას, თემიდას, ქარიტებისა და ნერეიდას ღმერთების სხვა კულტები პელაზგებმა შემოიღეს საბერძნეთში. პელაზგები იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ.

იტალიელი მეცნიერის ჩელის აზრით, არ არის გამორიცხული ეტრუსკებს სცოდნოდათ ამერიკის კონტინენტის არსებობა და ბასკებთან ერთად ამერიკაშიც გადასულიყვნენ.

ეტრუსკები აპენინზე ყველაზე ძველამოსილი ხალხი იყო. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბინადარი ქართული ტომის, განთქმული მეტალურგების – ხალიბების პირდაპირი მემკვიდრეები. ეტრუსკთა უმრავლესობა იტალიაში პატრიციების გვარს შეადგენდა, ეტრუსკებმა მისცეს დასაწყისი ქ. რომს, მათ ააშენეს ეს ქალაქი და რომაელებს გადასცეს ქალაქმშენებლობის ხელოვნება, მედიცინა, მათემატიკა და სხვ. რომაული ციფრები ეტრუსკულია. რომის სიმბოლო ძუ მგელი – ბრინჯაოს ძუ მგელი, რომელიც დღეისათვის კაპიტოლიუმის მუზეუმშია, ეტრუსკული შემოქმედებაა. ბიბლიური პატრიარქის ნოეს მიერ დასავლეთისათვის დაწესდა ტოტემი მგელი და აღმოსავლეთისათვის ლომი (მგელი, როგორც ქალწულობის, ერთცოლიანობის ინსტიტუტი-სიმბოლო და ლომი ერთგულების). XIX ს. ცნობილი მეცნიერი ე. რეკლიუ ასე გადმოსცემს ეტრუსკების გარეგნობას: მათი საერთო ტიპი წარმოადგენს ადამიანს ჯმუხს, ხშირად ჩასუქებულს, ძლიერს, მხრებგანიერს, კეხიანი ცხვირით, ფართო, უკან ნაწეული შუბლით. ეს ტიპი არადამახასიათებელია როგორც ელინთა, ისე იტალიელთა უმრავლესობისათვის. აპენინები კოლხური ცივილიზაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ დასაყრდენს წარმოადგენდა ევრაზიის კონტინენტზე.

ხმელთაშუა ზღვის აუზის ნახევარკუნძულები და კუნძულები უძველესი დროიდან დასახლებული არიან პროტოკავკასიური, პროტოქართული მოდგმის ხალხით. კავკასიაში ძლიერი მინისძვრების გამო მიგრირებული ხალხი, იბერთა ტომები, მათ შორის, პელაზგები სახლდებიან დღევანდელი საბერძნეთის მიწაზე. აქედან იწყება საბერძნეთის ისტორია, ეს იყო დაახლოებით ძვ. წ. XV-XIV საუკუნე. კუნძულ კრეტაზე დასახლებული პელაზგები მოგვიანებით ქმნიან ისტორიაში ცნობილ კრეტა-მიკენის კულტურას. ბერძნულ მითებში მინოსის მეუღლე პასიფეა კოლხეთის მეფის აიეტის შვილია, მედეას და. აიეტის და კირკე ლათინი ერის ეპონიმის ლათინის დედაა, ლათინი ერის მამამთავარია, ლათინთა პირველი მეფეა. ბერძნულმა მითმა კირკე იტალიელი ერის დიდ დედად გამოაცხადა. მითის თანახმად კირკე იტალიელი ხალხის ეპონიმის, მამამთავრის იტალოსის დიდი დედაა. ამას აღიარებს ბერძენი, ლათინი, რუსი და სხვ. მითოლოგები.

ისტორიულად ცნობილია, რომ ძველი და ახალი ნელთაღრიცხვის გზაგასაყარზე ხმელთაშუა ზღვის აუზი დიდმა კატაკლიზმებმა მოიცვა, რამაც განადგურა ელინური ცივილიზაცია, მინამ შთანთქა კრეტა-მიკენის კულტურა, ასევე განადგურდა იბერიული მოდგმის მოსახლეობის უმეტესობა. საბერძნეთს მოედვა ბარბაროსული ტომები, რომლებმაც დროის მცირე მონაკვეთში შთანთქეს ადგილობრივი მოსახლეობა და მიითვისეს ნამდვილ – „ი-ბერ-ძენ-თა“ ბერძენთა მიღწევები. ძველმა „იბერთა ძეებმა“, პელაზგებმა, ბერძნებმა მსოფლიოს მისცა გენიოსების მთელი თაობები, მეცნიერების დარგები, ღმერთების პანთეონი, ცივილიზაცია. თანამედროვე ბერძნებმა ანალოგიური ვერაფერი შექმნეს, გენეტიკურად სხვა ხალხია.

ამ ორიოდ წლის უკან შვეიცარიელმა მეცნიერებმა თავისი აღმოჩენით მსოფლიო შოკში ჩააგდო. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ პროფესორ კ. შელიას მოსაზრებას: „ციურის-ის გენეალოგიური კვლევის ცენტრს, ეგვიპტელმა მეცნიერებმა თუთანხამონის მუმის ძვლის ქსოვილებიდან აღებული დნმ-ის ნიმუშები გადასცეს. აღმოჩნდა, რომ თუთანხამონს და თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტს კავკასიური გენები აქვთ, გერმანელთა

45%, შვეიცარიელთა 50%, ესპანელთა 80%, ბრიტანელთა და ფრანგთა 70%, თანამედროვე ეგვიპტელთა მხოლოდ 1% აღმოაჩნდა ფარაონის გენები. ციურისის გენეალოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა რ. შოლცმა განაცხადა: „ვფიქრობ, ეგვიპტელი მმართველებისა და ევროპელების საერთო წინაპარი 9 500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. 7 000 წლის წინ კი მისი შთამომავლები ევროპაში დასახლდნენ. ნაწილმა ეგვიპტემდე მიაღწია და მმართველ კასტად ჩამოყალიბდა“. კვლევის ცენტრში ასევე ამტკიცებენ, რომ ფარაონთა ოჯახის კავკასიიდან ან შავი ზღვის სანაპიროდან წამოსული წინაპრების შთამომავალი არა მარტო დასავლეთ ევროპას, არამედ მსოფლიოს მოედვნენ. სწორედ, მათი ერთი შტო აღმოაჩინეს გენეტიკოსებმა ეგვიპტესა და კონტინენტის სამხრეთში. კ. შელიას კვლევით, ძვ.წ. XV საუკუნის შუა წლებში ჩრდ. საქართველოს სამეფოს, მითანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე იყო რატი, რომლის ასული თათუ ქიმეთი, ანუ ეგვიპტის ფარაონმა ექნატონმა (ეხნატონი, ექნათონი-აჩინა) შეირთო ცოლად და რადგან მისი მეუღლე გახდა, ტრადიციისამებრ, დაერქვა ახალი სახელი – ნეფერტიტი, რაც უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ულამაზეს ქალბატონს უნდა ნიშნავდეს. თათუ ბატონიშვილს თავზე სწორედ ისეთი გვირგვინი ადგას, როგორც კოლხეთის მეფე ანმარეს (ანმარეს იმპერია). ქმრის სიკვდილის შემდეგ თათუ-ნეფერტიტი ფარაონი გახდა, 3-4 წელიწადში ნეფერტიტი გარდაიცვალა და ტახტზე დასვეს ცხრა წლის თუთანქიათენი-თუ-თანქამონი, რომელიც უმაღლესი ქურუმის, კოლხი აიეს, მეფე რატის ძმის, ანუ თათუს ბიძის დახმარებით მართავდა ქვეყანას“.

ფრანგი ე. დემოლინისი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ეტრუსკები და პელაზგები კოლხეთიდან ჩამოსულები არიან. გერმანიისა და საფრანგეთის მიწაზე იბერები სახლობდნენ. სწორედ კოლხეთმა და კოლხეთიდან ჩამოსულმა ეტრუსკებმა და პელაზგებმა დაუდეს სათავე მედიტერანულ კულტურას. ამის დასტურია ის, რომ კორსიკელები დღესაც „ქართს“ უწოდებენ საკუთარ ენასა და ქვეყანას, ხოლო ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორც იბერს-კოლხს ისე მოიხსენიებენ. თვით ნაპოლეონი კარგად უწყობდა თავის კოლხურ-ბასკურ წარმომავლობას. ამის გამოდახილია მისი ახლო ურთიერთობა სამეგრელოს თავადებთან, დადიანებთან. 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის გმირის, გენერალ პ. ბაგრატიონის გარდაცვალებისას ნაპოლეონმა წუთიერი ღუმელი გამოაცხადა და მუხლმოდრეკილმა მიაგო პატივი გენერლის ხსოვნას.

გავეცნოთ დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე იბერთა მიგრაცია-მოღვაწეობას.

ბრიტანეთის კუნძულებზე IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ნელ-ნელა შეღწევა იწყეს ლაზურმა ტომებმა, იბერიელებმა. ა.ლ. მორტონი წერს: „თუმცა ზუსტი ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება ნეოლითის იბერიელების შესახებ, მაინც მათზე შეიძლება გაკეთდეს საკმაოდ უტყუარი ვარაუდი, რამდენადაც მათ მიწაზე დატოვეს თავიანთი აქ ყოფნის ნათელი კვალი. გარდა ამისა, ისინი გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში...“ (ა.ლ. მორტონი. ი.ი. გვ.21). ლაზი მამამთავრების გასვლა სამყაროს ოთხივე მხარეში იმაზე მიუთითებს, რომ პროცესები კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში გარედან – გიორგიადან იმართებოდა, საკითხში სიღრმისეულად დარწმუნებისათვის გავეცნოთ ბ-ნ შ. ცხაკაიას მოსაზრებას: „... პირველმა ლაზურმა ტალღამ ჩაუყარა რა საფუძველი სასულიერო-საგანმანათლებლო კერებს, მომდევნო ეტაპზე იზრუნა ქვეყნის ფიზიკური სახის გარდაქმნაზე. სულ მალე იწყო დიდი და მცირე ასტრონომიული ცენტრების გამართვა, სათავე დაუდო მეგალითურ კულტურას, დახვეწა სამინადმოქმედო ინსტიტუტი ... ძვ.წ. VII ს-ში ბრიტანეთის კუნძულებზე ნელ-ნელა შესვლას იწყებს მესამე ლაზური ტალღა – კელტური ტომების სახით, რომელიც მეომარ-ცხენოსანთა მძლავრ სამხედრო კასტას შეადგენდა. ამ დროისათვის ბრიტანეთის კუნძულები კოლხურ-გიორგიათული „იმპერიის“ ერთიან ნაწილს წარმოადგენდა. „იბერებმა ოდესღაც ბრიტანეთის კუნძულების კოლონიზაცია მოახდინეს“, განაცხადა რომაელმა ისტორიკოსმა პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსმა I საუკუნეში.

ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მიმოფანტულნი იყვნენ ანბანურ-რიცხობრივი დოგმატური ათვის მცოდნე ზანები, მოგვები-ბერები, რაზეც მიუთითებს ადგილობრივ ტოპონიმიკაში „ბერი“ ლექსემის შემცველი არაერთი კომპოზიციც... სოლსბერი, ცისბერი, დოულბერი, გლადსტონბერი, ეიბერი. ეს უკანასკნელი დასახლებული პუნქტი მთელი სამი ათასწლეულის მანძილზე

ლაზ ქურუმთა მძლავრ რელიგიურ კერას შეადგენდა.

მთელი ორი ათასწლეულის მანძილზე შოტლანდიის ქალაქ ალბანეში ფუნქციონირებდა გიორგიანულ-ჭყონდიდური საიდუმლო სწავლების კერა. ასევე მრავლისმეტყველია ბრიტანეთის კუნძულების იმდროინდელი ლაზური სახელწოდებაც – „კლას მერდინი“. „მერდინი“ – „მერდე“ სვანურ სამეტყველო კოდზე „მყოფს“, „არსებულს“ ნიშნავს, ცნობიერ პლანში კი „მომავალში არსებობაზე“ მიუთითებს.

იმავე პერიოდში ირლანდიის (ჰიბერნია) ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ემან მახის მახლობლად გამართული იყო მეორე ლაზ დრუიდთა ფარული სწავლების კერა. სხვადასხვა წყაროებით მისი ლოკალიზებაც ხდება, ანუ სკოლა ფუნქციონირებდა ლუკანის წმიდა კორომში (ფრანსუაზა ლერუ. „დრუიდები“, სანკტ-პეტერბურგი. 2000.გვ.97).

მესამე კერა უშუალოდ ინგლისის (ლაზური სახელწოდება „ალგალია“ გახლავთ) მომავალი დედაქალაქის ლონდონის არეალში მდებარეობდა (ლონი-ჩრდილი, დინი-კანონი, მეგრ) და რომელსაც „ალბონი“ ერქვა (გაზეთი „პრომეთეს ცეცხლი“ №3. გვ.5).

ირლანდიის ტერიტორია უძველესი დროიდან კავკასიური იბერიულ-კელტური ტომებით იყო დასახლებული და ირლანდიის სახელიც უძველეს დროში ჰიბერნია იყო, რა თქმა უნდა იბერია. ეს ტომები აქ ხმელთაშუა ზღვიდან მოვიდნენ, სადაც უძველეს დროში კავკასიის იბერები დასახლდნენ. ამის დასტურია ის, რომ „დ. ლუბიმოვის ნიგში „ძველი მსოფლიოს ხელოვნება“, გვ. 282, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იქ გამოქვეყნებულმა კელტური მონეტის ფოტოსურათმა. მონეტის ერთ მხარეზე ამოკვეთილია თეთრ ცხენზე მჯდარი მხედარი, როგორც ჩანს თეთრი გიორგი, ქართველთათვის ყველაზე სათაყვანებელი პიროვნება, კელტური მონეტის ორივე მხარეს ამოტვიფრული იყო წარწერა. მონეტის ერთ გვერდზე ეწერა „გიურგი“, ხოლო მეორეზე – „იროძირი“ მეგრული სიტყვა „იროძირი“ თანამედროვე ქართულ ენაზე „სულ ნახეს“ ნიშნავს. (რ. ერისთავი. მ.მ. გვ. 41,42), ხოლო „ვარძირი“, „ვერ გნახეს“ ნიშნავს, აქედანაა ტოპონიმი „ვარძია“ (იხ. ბ. ბუხაიძე. ლ.ქ.მ. გვ.118, 141).

შოტლანდია, შოტლანდიის მთიანეთი გელების საცხოვრისია – ჰაილენდი, ჰებრიდის კუნძულები, რომლებიც „მანამდე „ინის გეილად“ ანუ გელების კუნძულის სახელით იყო ცნობილი“ (შ. ცხაკაია. ხელნაწერები). გელების ტერიტორიაზე არაერთ ლაზურ ტოპონიმს ვხვდებით, მათი უმრავლესობა „იბერ“, კოდურ ლექსემასთანაა დაკავშირებული. სკოტიაში გვაქვს დასახლებული პუნქტები: იბერერი, იბერ-გორდონი, იბერური, ინგლისის ტერიტორიაზე გვაქვს მდ. იორი შოტლანდიის მთიანეთიდან.

ჰაილენდიდან გამოვიდა გლეხების მძლავრი არისტოკრატიული ფენა მორეის გრაფების (ერლები) სახით. ვისაც კი შეხება ჰქონია ბრიტანეთის ისტორიასთან, ერთხმად აღნიშნავენ „კეთილშობილური სისხლის“ მქონე ერლებს, რომელთა წრიდან იშვა შოტლანდიის, ირლანდიის და „გელების კუნძულის“ მეფეთა დიდი ნაწილი, რომელთა საგვარეულო სამარხი იყო კუნძულ აია-ზე მდებარე ტაძარში. უკანასკნელი იბერი მეფე, ვინც კუნძულ აიაზე დასაფლავდა იყო ლორდი მაკბეტი. ეს იყო 1057 წ. მაკბეტის ცხოვრება საფუძვლად დაედო შექსპირის ტრაგედიას.

გელების გვარი მეტწილად იწყება პრეფიქსით „მაკ“, რაც ამ ქვეყანაში ზანი ქურუმების კოდირებული და „ღვთის ძეს“, „მზის შვილს“ აღნიშნავს. მაკ-კენზი, მაკ-დოლანდი, მაკ-ლინი და სხვ. გელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მარულა, რელიგიურ დღესასწაულებზე კოლხურ გუდასტვირზე დამკვრელთა შეჯიბრებები იმართება. შეტლენდის კუნძულზე დღემდე შემორჩენილია ცეკვა ხანჯლების თანხლებით. გერმანელი მეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ მუქთმიანი ირლანდიელები, ასევე შოტლანდიისა და საფრანგეთის სამხრეთში, პორტუგალიისა და ესპანეთის დიდ ნაწილში მცხოვრები ტომები იბერიის ნახევარკუნძულზე არსებული ბასკების შთამომავლები არიანო. არ ვიცი რამდენად შემთხვევითია ის ფაქტი, რომ შოტლანდიის მფარველად ითვლება პირველწოდებულად შერაცხული, ქრისტეს მოციქული ანდრია. ირლანდია ძვ. კოლხური ტომებით, ჯერ კიდევ ნოემდელ ეპოქაში იყო დასახლებული. ინგლისელი მეცნიერები ირლანდიის მიწაზე იბერთა კოლონიის ჩასახლების თარიღად ძვ.წ. 3 200 წელს მიიჩნევენ. იბერებს ძველ ირლანდიაში საკუთარი ლიტერატურა გააჩდათ, სადაც ხაზს უსვამდნენ კოლხურ წარმომავლობას.

„ბ. გრენშპოლი თავის ნაშრომში – „არიელები და იბერიელები“ – წერს:

„На территории Британских островов, Франции, Испании, таким образом, появился новый народ – Иберы. Нынешние баски их остаток. У них, особенно на территории Англии, началось бурное строительство замков, напоминающих средневековые. Использована была техника строительства мегалитов. Многие легенды, к примеру о короле Артуре, явно опираются на память о тех временах.....“

ქართულად: „ამრიგად, ბრიტანეთის კუნძულების, საფრანგეთის, ესპანეთის ტერიტორიაზე გაჩნდა ახალი ხალხი – იბერები. დღევანდელი ბასკები მათი ნაშთია. მათ, განსაკუთრებით ინგლისის ტერიტორიაზე წამოიწიეს შუასაუკუნეების მსგავსი ციხე-სიმაგრეების მზარდი მშენებლობა. გამოყენებული იყო მშენებლობის მეგალითური ტექნიკა. ბევრი ლეგენდა, მათ შორის მეფე არტურზეც, ეყრდნობოდა წარსულ დროთა (იმდროინდელ) მეხსიერებას“ (გ.ა.დ. 49. გვ.35) ვნახოთ, ამასთან დაკავშირებით რას ამბობს XX ს. ამერიკელი მკვლევარი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი რ. უოკოპი: „კრომანიონური დვრიტა გააჩნიათ ინგლისელებსაც და მას უნდა უმადლოდნენ ისინი თავიანთი ნათელი გონებისათვის, ფიზიკური სიმარჯვისათვის და ღირსესანიშნავი გონებრივი შესაძლებლობებისათვის და თუ მათი სისხლის მნიშვნელოვანი ნაწილი იბერიულია, ეს უკანასკნელიც ხომ ატლანტური წარმოშობისაა და განა იბერიული სისხლის მინარევმა არ მისცა ინგლისს გამორჩენილი პოეტები... იბერიული სისხლის მინარევს უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენ შექსპირს და ბერნსის...“ დაახლოებით 4-5 წლის წინ გ/კ რუსთავი-2 საინფორმაციო გამოშვებამ გაავრცელა ინგლისელ მეცნიერთა ოფიციალური განცხადება, რომ „ინგლისელ ისტორიკოსთა დასკვნით, ინგლისს სამეფო გვარის უინძორების უკანასკნელი შტო ქართველი ჯაყელების შთამომავალიაო.“ განსჯა თქვენთვის მომინდვია ძვირფასო მკითხველო.

ბუნებრივია, გაგვიჩნდება კითხვა, რას წარმოადგენდა ბრიტანეთის გეოგრაფიული არეალი იბერიული ტომების შესვლამდე? ან სულიერ-სხეულებრივი განვითარების რა ეტაპზე იდგა აბორიგენი მოსახლეობა? შირლი ენდრუზი — მთლიანობაში ბრიტანეთის კუნძულები, მისი ავტობიოგრაფიული მიყრუებულ ადგილს წარმოადგენდა. წინარე ეთნოსები იყვნენ მათ შორის ბრიტანეთში, შოტლანდიასა და ირლანდიაში. ისინი ტყეებში მდინარის სანაპიროებზე ბინადრობდნენ და პირველყოფილი წესით ცხოვრობდნენ. შედარებისთვის ღირს აღინიშნოს, რომ ევროპის ავტობიოგრაფიული ტომებისა და ახალმომენეთა /იბერები. ბ.ბ. / განვითარების დონე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა როგორც ცა და მიწა.

კოლხები – სვანები, ზანები, ხალიბები, ხალღები, ჭანები, ლაზები, მესხები, მოსინიკები, ჰენიოხები, მაკრონები, აფსილები...“ კოლხები – სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ქართული ტომების საერთო სახელი, რომლის მიხედვით ბერძნები მათ ქვეყანას კოლხეთად მოიხსენიებენ. მათ შექმნეს კოლხური კულტურა და ძლიერი კოლხეთის სახელმწიფო. კოლხეთი იგივე ეგრისი, კოლხეთის სახელით მას პირველად ბერძენი ევმელოს კორინთელი (ძვ.წ. VIII ს) მოიხსენიებს, უფრო ადრეული წყაროები კოლხეთს „აია“-ს, „აქ აია“-ს სახელით იხსენიებენ. ამას ჰეროდოტეს, ა. როდოსელის, სტრაბონის ცნობები, ს. ყაუხჩიშვილის, ო. ლორთქიფანიძის და სხვ. კვლევები ადასტურებენ. „აქ აია“ – ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან ენგურიდან ნოვოროსიისკამდე ტერიტორიას მოიცავდა, ხოლო აღმოსავლეთით კასპის ზღვის ჩათვლით რაც დეკოდირებულად „ღვთაებრივი სიბრძნის“ ქვეყანას ნიშნავს.¹

კოლხეთი – აღმოსავლეთიდან, მზის სახლიდან გამოსული პირველი ეთნოსის – ლაზი ერის არეალი. ღვთაებრივ შესაქმეში „აია“ – უსასრულო კოდირებული, კოსმიური სამყარო, რომელიც აბსოლუტური ერთის არსსა და უზენაეს ღვთაებრივ კანონიკას ემორჩილება, რამეთუ ღმერთი – კანონიკა – ერთია და ამ კანონიკის აღმასრულებელი ერთიც ერთია. კოლხეთია ქვეყანა პირველი ანბანისა და მღვდელმთავრისა, პირველი მსხვერპლთშენირვისა და სალოცავისა, მზის კულტისა, პირველი სჯულისა და პირველი ვაზისა. მთელს მსოფლიოში გავრცელებული

¹ უნდა გვახსოვდეს, რომ გადმოცემით ქართის - საქართველოს მეფე აია-აიეტი და ფარსის – პერსიის, სპარსეთის დამაარსებელი მეფე პერსე ძმები იყვნენ. ამით შთამომავლობას გადაეცემოდა ცოდნა ქართველისა და პერსების, ფარსელების - სპარსების ათასწლეულების წინათ ნათესაობის შესახებ. დიდი ხნის წინ პერსიას ერქვა „მეღია“, მეღეთი. ეს ქართველი ქალის მეღეას, მის შემდგომ კი მისი ვაჟის - სახელად „მეღე“-ს მეფობისას შერქმეული სახელია. მანამდე ქართველთა ერთ-ერთი ტბის (ამჟამინდელი სახელწოდებით, კასპიის ტბის) ირგვლივ მიმდებარე მინა-წყალს ერქვა „არია“ ანუ „არიელების ქვეყანა“. (ნ. ფოფხაძე) მაშასადამე - მიდიის სამეფოს სწორი სახელია „მეღია“ და არა „მიღია“ - რუსული ვარიანტი. ბ.ბ./

მისტერიებისა და კულტების ერთადერთი შემოქმედი. კოლხეთი, სადაც კაცობრიობისთვის გაცხადდება უზენაესი კოდირებული საიდუმლო მეორედ მოსვლის ჟამს. „მაშინ აეხილებათ თვალები ბრძებს და ყრუებს სასმენელი გაეხსნებათ. მაშინ ირემივით იხტუნებს მკელობელი და მუნჯის ენა იგალობებს, რადგან ამოხეთქავს უდაბნოში წყალი და ტრამალზე – ნიაღვრები“ (ესაია 35-5,6). კოლხთა საკაცობრიო საგანმანათლებლო გზა დედამიწის ოთხივე მხარეზე გადის და ადამიდან ქრისტემდე სასულიერო მისიის სანყისი ეტაპის ორგანიზატორია, რასაც კოლხი ქურუმების უდიდესი ასტრონომიული ცოდნა და კოსმოგონური თქმულებებისა და მითების კანონიზაცია განაპირობებდა. ამის შესახებ ბიბლია გვაუწყებს: „მთელი დედამიწის ზურგზე გადის მათი ხაზი და სამყაროს კიდებამდე აღწევს მათი სიტყვები; მან მზეს კარავი დუდგა მთაში“ (ფსალ.18-5)

კოლხეთია ის ქვეყანა, სადაც იშვა „დედა ენა“, უუსრულესი ანბანი და ე.წ. ეფუთი – ბიბლიის ძველი ალთქმა. ქართველისათვის ანბანი „ბედისწერის წიგნია“, ლოგიკურია ანბანსა და ეფუთს ჩვენი წინაპრები ერთმანეთთან რომ აიგივებენ. ეს არის ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის აკვნისა. კოლხეთია ის ხალხი, რომლებსაც მამა-პაპათაგან გააჩნიათ კვირბებზე ნაწერი უძველესი საგზაო და საზღვაო რუკები, იყვნენ განთქმული მეზღვაურები. ქ. ქუთაისის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში არის ექსპონატი, რომელიც შუქს ფენს ძვ. კოლხეთის საზღვაო კავშირ-მიმოსვლის საკითხებს. ეს არის იმ დროინდელი (დაახ. ძვ.წ. II-I მიჯნა) ღუზა – თანამედროვე ღუზების ყველაზე შორეული წინაპარი. იგი არის მსხლის ფორმის გრანიტის ლოდი, 8-10 ფუთის წონის. ეს ექსპონატი გასული საუკუნის დასაწყისშია ნაპოვნი მდ. რიონზე ქუთაისის მახლობლად. ამგვარი ღუზები ძვ.წ. VII-V ს.ს. იხმარებოდა ბერძენთა სანიჩბო ხომალდებზე. კოლხებთან ერთად იბერებიც მამაცი ზღვაოსანი ხალხი იყო. ეს ის ხალხია, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ვეშაპებზე ნადირობა და მისი ქონისა და ხორცის გამოყენება. ჰქონდათ საშუალო ზომის ძალზე სწრაფი გემები, დაცურავდნენ ატლანტიდის ოკენამიც. მაღალ დონეზე ფლობდნენ სანავიგაციო ცოდნას.

კოლხურ ცივილიზაციაზე და კოლხი ქურუმების სასულიერო საგანმანათლებლო მისიაზე საფუძვლიანი დასკვნები გააჩნია ბ-ნ შ. ცხაკაიას: „ქამიტური და სემური ეპოქის კოლხი ქურუმები თანამედროვეთაგან განსხვავებით, სულ სხვა კატეგორიებით აზროვნებდნენ. თუ საკუთრივ გიორგია – ლაზური არე, ცის ხატად და ანარეკლად მოიაზრებოდა, დანარჩენი დაღმავალი გენეტიკური ხაზის მქონე იოკუმენი, ერთიან ლაზურ პროვინციად აღიქმებოდა, რაც სამყაროს წყობითა და მარადისობის კანონით იყო განპირობებული. გამომდინარე აქედან მეექვსე ათასწლეულის დამდეგს, ანუ პატრიარქ ნოეს ეპოქისათვის, ლასკარის ქურუმთა საბჭოზე შედგენილი იყო ლაზურ-კავკასიური ტომების ცივილიზატორთა მომავალი განსახლების რუკა. პლანეტა დედამიწის ზედაპირი კოლხი ასტროლოგების მიერ დაყოფილი იყო რეგიონებად, რომელთაც ესა თუ ის ზოდიაქალური ნიშანი შეესაბამებოდათ. რუკაზე წინასწარ იყო განსაზღვრული ამა თუ იმ ცივილიზაციის სანყისი და დამამთავრებელი ეტაპი, რაც კვლავ და კვლავ ზოდიაქალური ციკლიდან გამომდინარეობდა. ათასწლეულების მანძილზე ადათ-წესებისა და რიტუალების ცვალებადობას „მცხეთა გზა“ განსაზღვრავდა. ამა თუ იმ ასტროლოგიური ერის გავლის შემდეგ კოლხი ქურუმებისაგან მიღებული ცივილიზაციის განადგურება, რაც ენის, სჯულისა და დამწერლობის ევოლუციით იყო გამოწვეული.“ ... „ლაზი მეფის, ინახის, შემდგომ აღსანიშნავია სახელოვანი ლაზი ქურუმის, კეკროფის განმანათლებლური მოღვაწეობა, რომლის დროსაც მთელი საბერძენეთის არეალი „კეკროფიად“ იწოდებოდა. ხსვებთან ერთად, სწორედ მან, ატიკის გარეუბანში, კოროფში დააარსა საიდუმლო რელიგიის პირველი კერა მატერიკზე – „ათენა“, რომელიც „ათვლის საბაზისო ენის“ შემსწავლელთა სკოლას წარმოადგენდა. ხოლო ღია სარიტუალო ენაზე „ცოდნის სიბრძნის ამკრეფი“ სკოლის სახელს ატარებდა. სწორედ ამ კერის ირგვლივ გაშენდა ქვეყნის მომავალი დედაქალაქიც, რომელსაც ლაზმა ქურუმებმა „ათენა“ დაანათლეს (ლაზურად „აი აქ, აგერ“), ამ სკოლის სახელი. ამიტომაც „ათინა პალადა“ – სიბრძნისა და ცოდნის ქლამერთი ლაზურ-ელინიურ პანთეონში. აღსანიშნავია, რომ ათენის ამ გარეუბანს ახ.წ. 27 წლის ზაფხულში სტუმრობდა იესო ქრისტე სხვა ლაზ ქურუმებთან ერთად. ის ციხე-სიმაგრე სადაც მან ღამე გაათია, დღესაც „იესოს ციხე პალატის“ სახელს ატარებს“ („შ. ცხაკაია. ხელნაწერები, გ.მ.მ. №38. შ. ცხაკაია. წყარო; ე. ბლავატსკაია. ა.ს. გვ. 30).

ბერძენთა მიერ საკუთარის განდიდება და სხვა დანარჩენის, მათთვის „ბარბაროსების“ დამცირება, ყველა დროში მოდაში იყო. გამონაკლისი მხოლოდ კოლხთა ქვეყანა იყო. ბერძნებმა კოლხები დასაბამიდანვე აღიარეს ღმერთთა შთამომავალ ხალხად, როგორც ძლიერი და განათლებულნი. ბერძნულმა მითოლოგიამ კოლხები მზის შვილებად მიიჩნია, როგორც კულტურული ფენომენი, მათთვის მხოლოდ კოლხეთი წარმოადგენდა ინტერესის სფეროს და კოლხეთში მოხვედრა ყველა ბერძენისათვის დიდი პატივი და ოცნება იყო. კოლხური კულტურის ზეგავლენა უძველეს დროში მსოფლიო ხალხებზე აშკარაა, მაგ. გერმანელი მეცნიერი კურტმპრენგელი აცხადებს, რომ ეგვიპტელთა კულტურაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხურმა კულტურამ. ეგვიპტელებმა კოლხებისაგან გადაიღეს მინადმოქმედების და წამალთმცოდნეობის ხელოვნება. ძველეგვიპტური ღმერთების პანთეონი კოლხური ჩამომავლობის არისო. „მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად, მთელი ცხოვრება და ენამსგავსი აქვთ“ (ჰეროდოტი). უახლესი მეცნიერული გამოკვლევებით არა თუ ეგვიპტელები მისულან და დასახლებულან კოლხეთში, არამედ პირიქით, ეგვიპტელთა წინაპრებია წასული კოლხეთიდან. გერმანელი რ. შტაინერი პირდაპირ ასკვნის კოლხური სკოლის უდიდეს ზეგავლენას მსოფლიო ცივილიზაციაზე და მის არსებობას ძვ. წ. III ათასწლეულში ადასტურებს.

საყურადღებო ფაქტია, ცნობილი მეცნიერები: ე.ხაიმი, დ.ლენგი, ს.კოელი, ვ.პენი და სხვ. ცალსახად აცხადებენ, რომ ხორბლის, ქერის, ვაზის და ღვინის სამშობლო კოლხეთია.

აკად. ო ჯაფარიძის აზრით ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში საქართველოს ფიზიკური რუკა ასეთი უნდა ყოფილიყო; კოლხეთის მთიანეთი ძირითადად სვანი ტომების საცხოვრის წარმოადგენდა. კოლხეთის ბარი მიმდგომი მხარეებით სვანი ტომების ადგილსამყოფელი იყო. აღმოსავლეთ საქართველო მიმდებარე მიწა-წყლით ქართველ ტომებს ეკავათ. პირველყოფილი ეპოქა სწორედ ის ხანაა, როდესაც კავკასიაში ეთნიკური, კულტურული ერთობებისა და ძირითადად ენობრივი ოჯახების ფორმირების ხანგრძლივი პროცესი მიმდინარეობდა. იგი ვარაუდობს, რომ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის ავტოხტონური წარმომავლობის იდეა კიდევ უფრო მეტი საფუძვლიანობით წარმოჩინდება(ო. ჯაფარიძე. ქ.ე.ე.ს. გვ. 366)

სვანები – (სვან-მუშვანი, სვან.მეგრ.შონი) პრეისტორიული წარმომავლობის ქართული მოდემის ეთნოსი. წინარე ქართული ენა დღემდე ცოცხლობს სვანურ დიალექტში. ისტორიულად ცხოვრობენ სვანეთში, დალის ხეობაში – მისიმიანეთში, ე.წ. აფხაზეთის სვანეთში. სვანური ტომები წარსულში უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, დასავლეთ საქართველოს მთაში, კოლხეთის დაბლობზე, დღევანდელ აფხაზეთში და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ნიკოფსია-ტუაფსემდე, კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე, მდინარე ყუბანის ზემო წელამდე. სვანური ტომი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო, რომლის საფუძველზე მოხდა ქართველი ერის, ხალხის ფორმირება. „საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ, ფლობენ ისინი ირგვლივ ყოველივეს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომელიც დიოსკურიის ზემოთ არის, ...ისინი ძალგულოვანი არიან და თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე შეუპოვარნი არიან, ჰყავთ მეფე და სამასკაციანი საბჭო... საჭიროების ჟამს გამოყავთ 200 000 კაციანი ლაშქარი“ (სტრაბონი). ძველი ბერძნული წყაროები და პროკოფი კესარიელი მათ „სანებად“ მოიხსენიებს, ამავე წყაროებით სვანებს ხშირად მაკრონებთან აიგივებენ. „მაკრონები ამჟამად იწოდებიან სანებად“-წერს სტრაბონი. „ჭანების ტომი წინა ხანებში სანებად წოდებულნი“, აღნიშნავდა სტეფანე ბიზანტიელი. სვანებს მტრისაგან განადგურება არ განუცდია, ძირძველი ქართული მოსახლეობა უცვლელი დარჩა. საქართველო, განსაკუთრებით მისი ეს მხარე, სვანეთი, ეს არის ჭეშმარიტებაზე საიდუმლოებათა სკივრი.

ზანები – მკვიდრობდნენ არამარტო დასავლეთ საქართველოსადა შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც, ქართლ-კახეთის და მთიანეთის ძირითად მოსხლეობას შეადგენდნენ. ზანებზე მიგვანიშნებს ჰიდრონიმი „ალაზანი“, „ზანდაკარა“ და „ზანდაკი“ ჰქვია სოფლებს ჩეჩნეთში და ასე ჰქვია მწვერვალს საინგილოში. კოლხური გაერთიანებები განვრცობილი იყო ჩრდილოეთითაც და მათი კვალი შეიმჩნევა ტოპონიმებში: რიაზანი, კაზანი, ბერეზანი და ა.შ. მომთაბარე თათრული ტომები, როგორც ირანის ასევე ჩრდილოეთის სტეპების, „ზანების“ ქვეყანას ეძახდნენ „გურზანს“ (გურ=გული. ე.ი.ზანის გული). რუსული ტერმინი „გრუზინი“ რუსებს არა ირანელებისაგან, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე მომთაბარე თათარი ხალხებისაგან, სარმატებისგან, ხაზარებისგან და

ა.შ. აქვთ გადაღებული. არ არის გამორიცხული თავად რუსები იყვნენ ამ თათრული ტომების პირდაპირი შთამომავლები, რა თქმა უნდა, სლავურ ტომებთან ერთად. ლექსემა „ზანთან“ არის დაკავშირებული ტოპონიმი „ბიზანტია“. „ბი“ ორს გამოხატავს, ე.ი. „ბი-ზან-ტია“ — „ორი ზანი“, ბიზანტია ორი ნაწილისაგან შედგება, ევროპისა და აზიის. ცნობილია, რომ შუმერები თავიანთ თავს „ზანგიას“ ეძახდნენ. არ არის გამორიცხული, რომ დასაწყისში „ზანგი“ შუმერ ან ეგვიპტელ ზანს ნიშნავდა აფრიკაში დღემდე გვაქვს ტოპონიმები: მო-ზან-ბიკი, ტან-ზანია, ზან-ზიბარი, ლ-იბერია და ა.შ.

ხეთები და სუბარები – ხეთები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და „ხეთები ანატოლიაში კავკასიიდან მოვიდნენო“ წერს XX საუკუნის ინგლისელი მეცნიერი ჯ. ტომსონი. სუბარები მათი მეზობლები იყვნენ და მოიცავდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან კავკასიამდე ტერიტორიას. მათ ბიბლია ჩრდილოეთის ხალხად მოიხსენიებს. ხეთებმა და სუბარებმა სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების ზენიტს ძვ. წ. მესამე ათასწლეულში მიაღწიეს. ისინი „ერთ-მანეთს ეცილებიან პირველობისათვის აღმოსავლეთში. ამ მეტოქეობაში უპირატესობა ჯერ ხეთებს დარჩათ. მე-18 საუკუნეში (ძვ.წ.) ხეთების სამეფომ დიდ ძლიერებას მიაღწია, ხოლო იმავე საუკუნის დამლევს, პირველი ადგილი სუბარებმა დაიჭირეს. სუბარებმა ამ დროს მთელი გადატრიალება მოახდინეს სამხედრო საქმეში, მათ შემოიღეს მსუბუქი ორთვალა საბრძოლო ეტლი, რომელშიაც ცხენს აბამდნენ, მათი ლითონის საჭურველი საუკეთესო იყო ...და ნაწილობრივ უკვე შეიცავდა რკინის იარაღს. რკინას იმ ხანაში მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში ამუშავებდნენ. ცნობილია, რომ მეორე ათასწლეულის (ძვ.წ.) პირველ ნახევარში ეგვიპტე დაიპყრო აზიიდან შესეულმა ხალხმა, რომელმაც შეიტანა ეგვიპტეში საომარი ეტლი. თვით ცხენიც ეგვიპტელებმა პირველად ამ დროს გაიცნეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ დიდი მოძრაობის სათავეც სუბარეთში უნდა ვეძებოთ“ (ს.ი.&4).

სუბარების ხელოვნებაში განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს მარადიული სიცოცხლის ხე, ფრთოსანი არსებები და ფრთოსანი მზე. მზე უზენაესი ღვთაებაა, რომელიც ქალღმერთია. მისი მეუღლე იყო ამინდის ღვთაება - ხათისა. მზეს განსაკუთრებული ადგილი ხეთებშიც აქვს დათმობილი. მაგალითად, ხეთების მეფე თავის თავს „ჩემ მზეს“ უწოდებდა. „ჩემმა მზემ ეს და ეს გავაკეთეო“- წერენ ხეთის მეფეები თავიანთ დოკუმენტებში. საყურადღებოა, რომ გამოთქმა „ჩემმა მზემ“ დღემდე არის შემონახული სასაუბრო ქართულში.(ს.ი. გვ. 20) თვითმყოფადობით გამოირჩევა ხეთურ-სუბარული არქიტექტურა. შენობის საძირკვლად ქვის მასალას იყენებდნენ. შენობას აგებდნენ ქვისა და თიხის მონაცვლეობით. სახლის გადახურვაც გამორჩეული იცოდნენ, სახურავი ბრტყელი იყო და კედლებზე გადმოცილებული. „ხალდეები კლდეში შესანიშნავ ციხე-დარბაზებს ჰკვებდნენ. ამ რიგის ხუროთმოძღვრების ნიმუშია საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე (გორის მახლობლად მდ. მტკვრის ნაპირას)“(ს.ი.გვ.36). ხალდეებმა კაცობრიობას რკინის აღმოჩენით, მისი დამუშავებითა და რკინის იარაღის კეთებითაც დაამახსოვრეს თავი. ამაზე წერს ძველი დროის ისტორიკოსი კალიმახი:„დაე განადგურდეს ხალიბების ტომი, რომლებმაც აღმოაჩინეს ეს ბოროტი ქმნილება (რკინა) და მიწიდან ამოიღეს“. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხეთური კანონები-უძველესი სამართლებრივი ძეგლი, რომელიც 1906-1912 წ. გათხრების დროს აღმოჩნდა ბოლაზქოის არქივში. ძეგლი თიხის ფირფიტებზეა დაწერილი და ტექსტის თანახმად ორ ნაწილად იყოფა, შესავალი სიტყვების თანახმად ასე იწოდება „უკეთუ კაცი“და „უკეთუ ვაზი“. ძეგლი ძვ.წ. XVII-XVI ს. განეკუთვნება. ხალდეების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია:ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენენ. რიგი სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ხალდეები იგივე ჭანებია, ე.ი. ის ცნობილი ქართული მოდგმის ტომი, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი თურქეთში“(ს.ი.გვ.36) ხეთა-სუბარების სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემაში, საყურადღებო ფაქტია ის, რომ მეფე არ იყო ერთადერთი, მონოკრატი მმართველი. მის უფლებებს ხელისუფლება განსაზღვრავდა და გარკვეულწილად ზღუდავდა სამეფო საბჭო. ჰუმანურობით გამოირჩეოდა ხეთური სამართალი, სიკვდილით დასჯა მხოლოდ უმძიმესი დანაშაულის ჩადენისას იყო დაწესებული. ხეთელია ბიბლიური დავით მეფე. ქართველი მეფეები თავიანთ თავს ასე მოიხსენიებდნენ: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონიან“. „პალესტინის სამხრეთით ხეთების ტომი ალბათ ჩრდ. დიდი კავშირიდან (ხეთების) გამოყოფილ კოლონიას წარმოადგენდნენ(იუდეას ტომი). დავითის ორი სახელგანთქმული მხედარმთავარი ურია და აქიმელექი ასევე ამ ტომიდან იყვნენ. და

თუ ბერსაბე (ურიას ცოლი), მოგვიანებით სოლომონის დედა, ამავე ტომიდან თუ იყო, მაშინ იუდეას მეფეთა გვარის ყველა პირდაპირ ჩამომავალთ, მაცხოვრის ჩათვლით, თავის ძარღვებში ხეთური სისხლი ჰქონია“. (P. Андерсон. У.Ц.В. стр.94) ამ რეალურ ფაქტორზე აღმოცენებული ლეგენდად ქცეული თქმულება იმის შესახებ, რომ როცა ქრისტე ამაღლდა გვირგვინი ბაგრატიონებს გადასცაო, წერს ი. ბატონიშვილი.(ქ.ც.გვ.46) ხეთები ქართული ტომია, ბერსაბე და იერუსალიმელები დედით ხეთელებია: „...და უთხარი ასე ეუბნება-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმს, შენი დასაბამი და შენი სამშობლო ქანაანის ქვეყანაშია, მამაშენი ამორეველია და დედაშენი ხეთელი“. (ეზეკ. 16-13).

ძვ.წ. მე-11 ს. ასურული ნაწერები იხსენიებენ სუბარების ქვეყანას, „მის ამაყ და ურჩ ხალხს“. ამ დროს კი ხეთურ-სუბარულ ტომებიდან უფრო ძლიერი იყვნენ მუსკები, მერმინდელი მესხები. მათ სიძლიერეზე მიუთითებს, სხვა თავებთან ერთად, ბიბლიის ეს თავიც: „იქ არიან მეშექი და თუბალი და მთელი მათი სიმრავლე, ...რადგან შიშის ზარს სცემდნენ ცოცხალთა ქვეყანას“. (ეზეკ. 32-26).

საქართველოს, „ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა მეექვსე საუკუნეში (ძვ.წ.) აღწერილია სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს მიერ. მეოტიდის ტბიდან (ე.ი. აზოვის ზღვიდან) კოლხების ქვეყანამდე და მდინარე ფასიდამდე ოცდაათი დღის გზაა მარჯვე ქვეითისათვის. კოლხეთიდან მიდამდე უკვე შორს აღარ არის. ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს – სასპერები. კოლხები ცხოვრობენ ჩრდილოეთის ზღვასთან (ე.ი. შავ ზღვასთან), რომელსაც მდინარე ფასიდი ერთვის. მათ ქვემოთ ცხოვრობენ სასპერები, სასპერებს ქვემოთ – მიდიელები, მიდიელებს ქვემოთ კი, სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც „წითელი“ ეწოდება. (ე.ი. სპარსეთის ყურე). ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდეო, გვიამბობს ჰეროდოტე.“ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ტიბარელების, ხალიბების, სანების, სასპერების, ჭანების და სხვ. ქართული ტომებისაგან შედგებოდა ცნობილი პონტოს სამეფოს მოსახლეობა. საყურადღებო ფაქტია, პონტოს ლეგენდარული მეფის, მითრიდატე დიდის ერთ-ერთი ვაჟიშვილის სახელი მახარე(?) იყო. როგორც ვხედავთ, სხვა ქართულ ტომებთან ერთად ძვ.წ. III-II ათასწლეულში აზია-ევროპაში ქართული ტომებიდან ცნობილი იყვნენ: ხეთები, სუბარები, იბერები. აზიაში ხეთები დანინაურდნენ, ევროპაში იბერები, ხოლო შუამდინარეთ-მესოპოტამიაში იბერ-სუბარები.

საქართველოში დღესაც გვაქვს გვარები ხეთერელი, ხეთაგური, ხეთაგაშვილი, ხეთაგურაშვილი, სუბარი, სუბელიანი და სხვა ტოპონიმები ხეთა, მც-ხეთა...

მესხები – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სამცხე-ჯავახეთის ძირძველი მხარის მკვიდრები არიან. მესხეთის ტერიტორია – სპერი, ერშუმეთი, ტაო, არტაანი, ლაზეთი, ჭანეთი, თორი, ტაო-კლარჯეთი ერთიანი საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა, რაც დაახლოებით 34,2 ათასი კმ². აქედან დღეისათვის 9,4 ათასი კმ² საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული, ხოლო დანარჩენი ნაწილი თურქეთის ფარგლებშია. „იაფეთის შვილს მოსოხს, დედმინაზე პირველი ახალშენების სახით ეკუთვნოდა კაბადოკია, ტრაპეზუნდის მთელი ოლქი და კოლხიდა. რადგანაც იოსებ ებრაელი ამტკიცებს, რომ კაბადოკია ოდესღაც მოსხად იწოდებოდა. ჰეროდოტეს, პლინიუსის, სტრაბონის, პტოლემესა და სხვათა, ძველი დროის მწერლების საიმედო და დამაჯერებელი მოწმობით ყველა ნათლად ხედავს, რომ მოსხებს, მოსინიკებს ეკავათ როგორც კაბადოკია ისე ნაცნობი კავკასიის ხეობები შავი ზღვის მახლობლად. ...ამასთან თავიანთ სამფლობელოებსაც აფართოებდნენ და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებამდე მიადნენ, მდინარე ტანაისთან მივიდნენ, აქედან კი თანდათანობით მთელს რუსეთში გაიფანტნენ. ...დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მოსხებმა სარმატების ქვეყანა მიიერთეს, მოსხებმა ჩრდილოეთში ორი დიდი კოლონია დააარსეს“. (Я. Рейтенфельс. С.с.т.к. ст. 16-17. შ. ცხაკაიას ხელნაწერები).

ანტიკურ ლიტერატურაში მესხები მოიხსენება როგორც მოსოხი, მოსხები, მოსინიკები, მუშქები, მეშექები და სხვა. იტალიაში იწოდებიან როგორც ბრეგები, ინდოეთში – ბრიგები, ილირიაში – ბრიგები. მესხეთის ტერიტორიაზე ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე არსებობდა ცალკეული ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დიაოხი, კოლხა, ეგრისი. ბიბლიაში მოხსენიებულ პროტოქართულ ტომთაგან – ფილისტიმელნი (პელაზგები), ხეთელნი, სიმრები (ლაზები), ქალდეველნი (პროტოკოლხები), ჩრდილოეთის ხალხი (პროტოქართული

ტომები), თუბალები (იბერები) და სხვა. ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი მეშექს, მესხურ ტომს უკავია. სახელწოდება მეშექი – მესხი ნოეს ეპოქიდან მოდის. დაახლოებით ქრისტეს წინარე VII-VI ათასწლეულიდან, „იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“. (დაბ.10-2). უცხოელი ისტორიოგრაფები მესხების შესახებ – „კროტინა თავდაპირველად ეკუთვნოდათ ბრეგებს, რომელთაც ლათინები ობრიკებს უწოდებდნენ. ცნობილია, რომ ტროა ხშირად იხსენიება, როგორც ფრიგიული, მოსხური ქალაქი“. (С. Дарда. П.М. страница 18). „მოსხური ტომი ძველ ასირიულ წყაროებში ძვ.წ. 1500 წლისათვის იხსენიება, რომლებიც ამ დროისათვის კილიკიის მახლობლად ცხოვრობდნენ“. (В. Худадов. О.А.Т. ст. 166). „ატომთა შესახებ ძველი დროის სწავლება მომდინარეობს ტროას ომამდე მცხოვრები მოსხისაგან“(სტრაბონი). ი. შოპენი წერს: „მოსხები-ქუროსის ზემოთისა და ქუროსის ბინადარნი. ეს მოსხები ანუ მეშექნი უნდა იყვნენ მცხეთის დამაარსებელნი. ყველა ქართველმა გეოგრაფმა შეინარჩუნა სახელწოდება მოსოხი ანუ მესხი, რომელი სახელწოდებაც მიეკუთვნება ქვეყანას, რომელიც ვრცელდებოდა ქართლის და ქართლის ყველა საზღვრებიდან ბაიბურთამდე და ჭანეთამდე. დღეს ეს ქვეყანა ქართველებში საათაბაგოდ, ხოლო არმენებში სამცხედ იწოდება“. (И. Шопен. Н.З.Д.И.К.О. ст. 197-198). რატომღაც შოპენი არ აღნიშნავს, რომ სამცხე ქართული სიტყვაა, რაც სამებით ცხებულს ნიშნავს და ეს სიტყვა ქართულადაც ხშირად იხმარება. ძვ.წ. VI ს. გენეტიკურად ყველაზე სუფთა და არა ასიმილირებული მუშქები ებრაელებთან ერთად საქართველოში მოვიდნენ და დააარსეს ქალაქი მცხეთა, სადაც ჩამოიტანეს წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი – კვართი. მესხების მიგრაციის არეალი იყო, როგორც ევრაზია ასევე ინდოეთიც. გ. ვებერი წერს: „ფათალის ზემოთ იდო მუშქების მიწა, რომლებიც ცხოვრობენ მეფეთა ძალაუფლების ქვეშ. მუშქებს ალ. მაკედონელის ხანაში მეფეებად მუშქები ჰყავდათ“. (Г. Вебер. Б.И. ст. 333). ინდოეთში გავრცელებული ეთნოტოპონიმები ჰინდი და ინდი, ეკუთვნოდა კოლხური მესხების ტომს, პირველი ქვეყნის სახელწოდებად იქცა, მეორე კი მდინარისა. მესხებს ინდურ-კოლხურ მატრიანებში მღერხებებს ანუ ბარბაროსებს¹ უწოდებენ არიელები, რაც აქცენტით მოლაპარაკებს ნიშნავს. ქართული ტომების წარმომავლობაზე, მათ მიგრაციულ არეალზე და ნათესაურ კავშირებზე საინტერესო მოსაზრება გააჩნია ცნობილ მკვლევარს და ისტორიკოსს მასპეროს: „Хети, так же какъ и родственные имъ табалы и мушки, принадлежали, вѣроятно, къ расѣ, населевшей Кавказъ. Поселившись впервые на самыхъ высокихъ плоскогорьяхъ Кападокии, они проникли сквозь ушелия Тавра в северную Сирию и Киликию. Некоторые племена при этом, увлеченные во следъ гиксамъ, остоновились по среднему течению Иордана, и у береговъ Мертвого моря и там сконцентрировались вокругъ Хеброна, где природный местности долго служилъ имъ защитной отъ нападения соседнихъ народов“. ქართულად: „ხეთები, ისე როგორც მათი მონათესავე თაბალები და მუშქები ალბათ მიეკუთვნებოდნენ იმ რასას, რომელიც სახლობდა კავკასიაში. დასახლდნენ რა პირველები კაბადოკიის მაღალ ფერდობებზე, მათ შეაღწიეს ტავროსის ხეობით სირიის ჩრდილოეთში და კილიკიაში. ამასთან ერთად, ზოგიერთი ტომი ჰიქსოსების კვალობაზე გართულები, შეჩერდნენ მდინარე იორდანეს შუაწელთან და მკვდარი ზღვის ნაპირთან, იქ თავი მოიყარეს ხებრონის ირგვლივ, სადაც ადგილმდებარეობის ბუნებრივმა თავისებურებამ, დიდხანს ემსახურა მათ მეზობელი ხალხების თავდასხმისაგან დასაცავად“. მოსხები, თუბალები, იავანები, ხეთები, ხალიბები, ზანები, სვანები... ესენი იყვნენ კოლხური კულტურის დასაყრდენი ძალა.

ეთნიკურ-ტომობრივ ჭრილში პირველი სლავები-სლოვენები მოსხები იყვნენ. ძვ. წ. XIV საუკუნიდან მათი ერთი ნაწილი ვენეტების სახელითაა ცნობილი, რომლებიც ისტორიაში სლავების სახელით დამკვიდრდა. IX ს. კიევ-პეჩორის ლავრის ბერი ნესტორი ეხებოდა რა სლავების გენეალოგიას, ისინი იაფეთური მოსხებისაგან გამოჰყავდა. შუა საუკუნეებში გენეალოგიურმა

1. ეს სიტყვა ზანურ-ლაზური „ბარბალიდან“ და სვანური „ბარბალიდან“ მოდის, რაც „ბორბალს“ ნიშნავს. „მესხები“, როგორც „მარადიულობის“ მცოდნენი თავიანთ თავს და სხვებზე „ბარბალებს-ბარბაროსებს“ უწოდებდნენ. აქედანაა „ბარბალობა“ ანუ მარადიულობა. (დანვრილებით იხ. პ. ბუხაიძე. ლ.ჟ.მ. გვ.214-182) ბორბალი, როგორც მარადიულობის სიმბოლო ბუდისტურ რელიგიაშიც არის... „буддийской религии есть колесо которое символизирует круговорот жизни и смерти... ..ассоциируя вечность души с цикличностью жизни и смерти“. ქართულად: „ბუდისტურ რელიგიაში ფიგურირებს ბორბალი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს სიცოცხლისა და სიკვდილის წრებრუნვას... ასოცირებს მარადიული სულის ციკლურობას სიცოცხლესა და სიკვდილთან“. (Э. Мүлдашев. О.М.П. ст.80). სიტყვა „ბარბაროსმა“ მოგვიანებით შეიძინა ყარყოფითი შინაარსი.

კვლევებმა ზენიტს მიაღწია. 1561 წ. ბაზელში გამოიცა იტალიელი მეცნიერის გულემო პოსტელოს (1510-1581) ნაშრომი „კომპენდიუმი კოსმოგრაფიაზე“, რომლის ერთი თავი ასე იწოდება: „ხალხთა წარმომშობ იაფეთსა და მათ შთამომავალთა შესახებ“, სადაც ყველა ხალხის დამფუძნებლად ძველი აღთქმის კოლხი მამამთავრები სახელდებიან. კომპენდიუმში საუბარია სლავებზეც, რომელთაც პოსტელო მოსკოვიტებს უწოდებს და მოსხებისაგან წარმოშობილად თვლის. ანალოგიური აზრია გამოთქმული გერმანელი თეოლოგისა და ისტორიკოსის ჰერმან მოზემან-ბაბრონიუსის (1570-1634) ისტორიულ გეოგრაფიაში, მ. ლომონოსოვიც „შრომების“ მეორე ტომში სლავებს მოსხების შთამომავლად მიიჩნევს. XIII ს. დასაწყისში სანკტ-პეტერბურგში გამოიცა მონოგრაფია სახელწოდებით: „რუსული ისტორიის ბირთვი“, რომელშიც ვკითხულობთ: „რუსი ხალხი — რუსები, უკრაინელები, მალდოროსები და ბელორუსები, თავდაპირველად რუსებად არ იწოდებოდნენ, არამედ თავიანთი მამამთავრის სახელის მიხედვით მოსხებად იწოდებოდნენ. მოსხებმა XII ს. დააარსეს და თავიანთი ეთნიკური სახელი მისცეს რუსეთის დედაქალაქს, მოსხა-მოსკოვს. ეს სახელწოდება ფიგურირებს ებრაულ დოკუმენტებშიც. მოსკოვის თავდაპირველი სახელი „მოსხა“, პირველად შუასაუკუნეებში (XII ს.) ბიზანტიელ იაკობ ბენ-რუბიმთან იხმარება. „მოსკოვში ჯერ კიდევ XII საუკუნეში არსებობდა გადმოცემა, რომ თავდაპირველად პატარა ქალაქი ლეგენდარული მოსოხისადმი მიკუთვნებული, აგებული იყო იაუზის შესართავთან“. (М. Тихомиров Д.М. ст. 15).

ამ საკითხისადმი დიდი ინტერესის გამო მკითხველს ვთავაზობ შესანიშნავი ქართველის, ყურნალისტიკის ბატონ რ. ერისთავის კვლევას „ვინ დააარსა მოსკოვი“ – შემოკლებით: „...1988 წ. 31 აგვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა წერილი „გათხრები ნითელ მოედანთან“. ...რუსი არქეოლოგები მოელოდნენ, რომ აქ აღმოჩნდებოდა XV-XVII ს.ს. მატერიალური კულტურის ძეგლები, ...მოხდა გაუგონარი რამ, გათხრები ერთ თვეში დააკონსერვეს. ...აი, რა მოხდა: არქეოლოგიური გათხრებისას მოსკოველმა მეცნიერებმა უფრო ადრინდელ XII-XIII ს.ს. დასახლების ნაშთებს მიაკვლიეს, სრულიად მოულოდნელად წააწყდნენ ...ივერიის მონასტრის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლის საკურთხეველს და მასთან ერთად აღდგომის კარიბჭეს. ...ამ ფაქტის უარყოფა აღარ შეიძლებოდა. თვით რუსმა მეცნიერებმა აღიარეს ყოველივე ეს. ცნობილია, რომ ათონის მთაზე, ივერიის მონასტერში, ღვთისმშობლის ხატი 999 წ. 27 აპრილს, აღდგომა დღეს დამკვიდრებულა. მისი სასწაულმოქმედების ამბავი ძალზე შორს ყოფილა გავრცელებული. რუსეთში ამ ხატის ასლის ჩამოსვენება XVII ს. განუზრახავთ, მაშინდელ მეფეს ალექსი მიხეილის ძეს (პეტრე I მამად წოდებულს) და პატრიარქ ნიკონს. ამ საქმის მოთავე ყოფილა ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონი, ანუ საქართველოს სამეფო კარის ნუსხაში ერეკლე I წოდებული... რუსი ისტორიკოსები თვლიან, რომ ივერიის მონასტრის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის პირველი ასლი რუსეთში XVII ს. ჩამოუსვენებიათ ათონის მთიდან, მაგრამ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი: აღნიშნული ხატის პირველი ასლი, როგორც ზემოთ მოხსენებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა, ჩამოუსვენებია იმ ხალხს, ვინც პირველი დასახლდა მოსკოვის ტერიტორიაზე XII-XIII საუკუნეში... მოსკოვის პირველი მცხოვრებლები, რომ ქართველები ყოფილან, ეს სხვა ისტორიული წყაროებიდანაც მტკიცდება... გ. სმოლიცკაიასა და მ. გორბანევსკის წიგნი „Топонимия Москвы“. ...მოტანილია ციტატები მოსკოვის დაარსების შესახებ ერთადერთი წერილობითი წყაროდან – იპატიევსკის ქრონიკებიდან, რომელიც დათარიღებულია 1147 წ.(Полное собрание русских летописей. т2. С.П.Б. 1868 г. გვ.346). აი რას წერენ მასში ავტორები: „Как известно, Москва впервые упоминается в Ипатьевской летописи под 1147г. Владимир-Суздальской князь Юрий Долгорукий пригласил в Москву князя Святослава...“ ქართულად – „როგორც ცნობილია, პირველად მოსკოვი ნახსენებია იპატიევსკის მატეიანეში 1147 წ. ვლადიმერ-სუდადლის მთავარმა იური დოლგორუკმა მიიპატიჟა მოსკოვში მთავარი სვიატოსლავი... და ამის შემდეგ მოჰყავთ ციტატები იპატიევსკის ქრონიკებიდან ძველ სლავურ ენაზე: „И шедь Святославъ и взя люди голядь верхъ Поротве. И тако ополонишася дружина Святославля, и приславъ Гюргии (Юрий) рече: приди ко мнѣ брате в Московь“. „На утрии же день повель Гюрги устроити обьдь силень и створи честь велику имь и даль Стославу дары многы...“ „И обьшася Гюрги сна пустите ему, яко же и створи“. ქართულად: „წავიდა სვიატოსლავი და წაიყვანა მებრძოლები მდინარე პროტვის ზემოთ. ასე შეავსო სვიატოსლავმა თავისი რაზმი და გიურგიმ (იური) შეუთვალა: მოდი ჩემ-

თან ძმაო **მოსკოვს**. მეორე დღეს გიორგიმ მოაწყო დიდი ნადიმი და საკადრისი პატივი მიაგო მათ და სვიატოსლავს დიდი საჩუქრები უძღვნა...“ და შეპირდა **გიურგი** ხალხით დახმარებას, როგორც ადრე.

როგორც ტექსტიდან ჩანს, იპატიევსკის ქრონიკებში მოსკოვის პირველ მფლობელად ხსენებულია თავადი გიურგი (ეჭვგარეშეა გიორგი), მაგრამ საოცარია ის, რომ ამ ციხატების გვერდით ავტორები თავიანთ ტექსტში გიურგის (გიორგის) იურიით იხსენიებენ. არსად არ არის მითითებული, თუ ვინ შეუცვალა გიურგის სახელი იურიით და ან რის საფუძველზე. ასევე არ არის განმარტებული, თუ რატომ უწოდებენ მას ზედმეტსახელად დოლოგორუკს. როგორც ჩანს, ავტორებმა არ იციან (ან იციან და შეგნებულად სდუმან), რომ დოლოგორუკი – ეს არის საქართველოში იმ პერიოდში გავრცელებული ზედსახელი მხარგრძელი. Долгий – აქ გრძელი და Рук – მხარი... იპატიევსკის ქრონიკებში მოსკოვი ხსენებულია არა როგორც Москва, არამედ ისე, როგორც ეს ქართულად გამოითქმის – Москов-ი... 1947 წ. რუსმა მეცნიერმა ნ. შაშინმა გამოთქვა აზრი, რომ სახელწოდება Москва-ს ორივე კომპონენტი – Моск და ва მიეკუთვნება კავკასიურ ენებს და რომ Моск არის ქართველთა ტომ მოსხისთან პირდაპირ კავშირში. ამ აზრს იზიარებდა რუსი მეცნიერების დიდი ნაწილიც. 1987 წ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ს. დუმინი წერდა: დროა დავუბრუნდეთ მოსკოვის მივიწყებულ ლერბს, რომელიც ვასილ ტიომნიმ ამოკვეთა რუსულ მონეტაზე XV ს. ...დუმინის აზრით, ეს არის რუსი რაინდი, რომელიც თეთრ ცხენზე ზის და შუბით გმირავს ურჩხულს... ეს მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. ვ. ტიომნიმ მონეტაზე ამოკვეთა არა რუსი რაინდი, არამედ ქართველთა სათაყვანებელი წმინდანი გიორგი ძლევამოსილი, რომელიც ზის არა რუსულ ცხენზე, არამედ თავის ბედაურზე – „იროძირზე“ (იროძირი=სულ გნახე)... ვინ არის ვასილ ტიომნი ანუ შავგვრემანი? შემთხვევით ეს იმ ქართველთა შთამომავალი ხომ არ არის, პირველები, რომ დასახლდნენ მოსკოვის ტერიტორიაზე და წმინდა მარიამისა და წმინდა გიორგის ხატები უწმინდეს სალოცავად მიაჩნდათ? ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ იგი იყო დიმიტრი დონსკოის შვილიშვილი. დონსკოი კი, ქართული წარმომავლობის პიროვნებაა, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია... რატომ იყო დაინტერესებული რუსეთის დიდი იმპერატორი პეტრე I აღნიშნული ლერბით და რატომ დაუმკვიდრა იგი საკუთრივ მოსკოვს. ამასთან დაკავშირებით მოგვიწევს შევხებით რუსი ხალხისთვის მეტად მტკივნეულ თემას – პეტრე I-ის გენეტიკურ წარმომავლობას...

როდესაც რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს პირველი მეუღლე უკურნებელი სენით გარდაეცვალა... რუსეთის სამეფო ტახტი კატასტროფის წინაშე დადგა: მეფეს არ ჰყავდა მემკვიდრე. ალექსი მეფე მაშინ 61 წლის იყო, ასაკისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო შთამომავლობის შექმნა აღარ შეეძლო... პატრიარქ ნიკონის დაჟინებული მოთხოვნით (და არა თხოვნით), მეფე მეორედ დაქორწინდა 20 წლის თავადის ქალზე, უმშვენიერეს ნატალია ნარიშკინაზე. საქორწინო ცერემონიალის ხელმძღვანელობა (ტისიაცკის მოვალეობის შესრულება) დაევალა ახალგაზრდა ქართველ უფლისწულს ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონს – ერეკლე I ...პატრიარქ ნიკონის არჩევანი სწორედ მასზე შეჩერდა – ქართველთა მეფის შთამომავალი... გენეტიკურად დახვეწილი რასის შვილი – დედოფალ ნატალიასთვის... შესანიშნავი პარტნიორი იქნებოდა ...პატრიარქ ნიკონის აზრით, ეს იყო პოლიტიკური თვალსაზრისით გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი... ცხრა თვის თავზე რუსეთს მოეწვინა ყველა დროის უდიდესი იმპერატორი. ... მან შესანიშნავად უწყოდა, რომ მის ძარღვებში ბაგრატიონების სისხლი ჩქეფდა. ასევე გამორიცხული არ არის, არ სცოდნოდა მოსკოვის ქართველ დამაარსებელთა შესახებ. კარგად მოეხსენებოდა ისიც, რომ წმინდა გიორგი დიდმონაშემ ქრისტიანი იყო და ქართველი ერი მას უდიდეს პატივს მიაგებდა. ამიტომ იყო, რომ ვ. ტიომნის მიერ შექმნილი ლერბი – წმინდა გიორგის გამოსახულებით – მოსკოვს დაუმკვიდრა. თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, მას ახლადდარსებულ სანკტპეტერბურგს უბოძებდა. პეტრე I, როგორც ქართველი, წმინდა გიორგის რომ უდიდეს პატივს სცემდა, იქიდანაც ჩანს, რომ მან XVIII ს. რუსეთის არმიას დააარსა უმაღლესი სამხედრო ჯილდოები – „წმინდა გიორგის ჯვრები“. პეტრე I გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის ლერბიც და „წმინდა გიორგის ჯვრებიც“ ერთბაშად მიივიწყა რუსეთმა. ...თეთრ ბედაურზე შემჯდარი წმინდა გიორგი იყო ძველი საქართველოს სამეფოს ლერბი. ყველა მოითხოვდა მოსკოვისათვის პეტრე I ლერბის აღდგენას, მაგრამ რა იცოდნენ ს. დუმინმა და... რომ მოსკოვის ლერბი ესაა ძველი საქართველოს სამეფოს ლერბი.

შემდეგ პეტრე I მიერ XVIII ს. მოსკოვისადმი მიკუთვნებული და თანამედროვე რუსი ისტორიკოსების მიერ მოდერნიზებული და შელამაზებული ვარიანტი – „თავზე რკინის მუზარადითა და ტანზე აბჯარასხმული“. აქვე აღვნიშნავ ბაგრატიონთა „უმნიშვნელო“ წვლილს, რუსეთის საგანმანათლებლო ცხოვრებაში. 1755 წ. დაარსებული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელი იყო ვახუშტი ბაგრატიონი მ. ლომონოსოვთან და ი. შუვალოვთან ერთად.

მესხები ატლანტების ერთ-ერთი შთამომავალნი არიან და ამის ნიშნად ატლანტების მსგავსად „სვასტიკის“ გამოსახულებას ატარებდნენ. „სვასტიკა“, სანკრისტის (ინდოეთი) ენაზე „კეთილად ყოფილს“ ნიშნავს. აქედან მომდინარეობს ის, რომ ქართული ტიტულატურული მესიანიზმის თანახმად ქართველ ბაგრატიონებს ცალი ბეჭი დაბადებით აქვთ არნივ (არ-ნივი?!), დარტყმული.

ლაზები – ისტორიულად ცხოვრობდნენ აღმოსავლეთით, ლიხის მთამდე, ესაზღვრებოდა იბერიის სამეფოს. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში, ჭოროხის აუზში, შავი ზღვის ჩრდილოეთში, ნიკოფსია – ტუაფსემდე, ნიკოფსია ძველი სახელი ლაზიკე (ფლავიუს არიანეს ცნობით II ს.) ეს მიწა-წყალი VIII ს-მდე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო.

სახელწოდება „ლაზი“ ძვ. წ. I საუკუნეში ჩნდება და იგი პირველად ამ სახელით მემონომა მოიხსენია. ლაზებზე მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა გაიუს პლინიუს სეკუნდუს უფროსი (I ს.), კლავდიოს პტოლემეოსი (II ს.), გელასი კესარიელი (IV ს.), ე. კვირელი (IV) და სხვ. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ლაზებს ადრე ჭანები და კოლხები ერქვათ. ჭანი და კოლხი დიდი ლაზური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეიცვალა სახელწოდებით — ლაზით. V საუკუნის ანონიმი მწერალი წერს: „დიოსკურიდან (იგივე სებასტოპოლი) ვიდრე აფსარის წყლებამდე, წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ სახელი ლაზები“. თვით ლაზები თავიანთ თავს კოლხების შთამომავლად თვლიდნენ და ამით ძლიერ ამაყოფდნენ. ამასთან დაკავშირებით აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) წერს; „ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ, ამაყოფდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ.“ ლექსემა „ლაზი“ მომდინარეობს სვანური „ლი-ზანი“-დან, რაც ადგილის სახელია, შემდეგ გავრცელდა, როგორც „ლაზი“ და ეთნიკური მნიშვნელობა შეიძინა, აქედანაა ლექსემა „პელაზგიც.“

ქართულმა ტომებმა ქრისტემდე შექმნეს ორი ძირითადი სახელმწიფოებრივი გაერთიანება: კოლხეთის, შემდეგ იგივე ეგრისის და იბერიის. ამ სახელმწიფოთა შემქმნელები იყვნენ სვანები, ძვ. კოლხები-ზანები, ჭანები, ლაზები, მესხები და იბერები. ეს და სხვა ქართული ტომები, ქართულად მეტყველები, ერთი წარმომავლობის სამი ტომის (სვანი, ზანი, იბერი) წარმომადგენლები ერთმანეთთან მუდმივ კავშირში იყვნენ, ერთმანეთში განიცდიდნენ ასიმილაციას და ისტორიამ ისინი შემდეგ ერთ ეთნოსად, ქართველ ერად შეკრა, ჩამოაყალიბა (სვანი+ზანი+იბერი=ქართველი).

„XX საუკუნის დასაწყისში ჟოზეფ კასტრის მიერ გამოითქვა აზრი, რომ პროტოქალდეებისა და შუმერელებ-ელამიტების სახით წარმოდგენილი იბერიულ ხალხთა სამყარო, ოდესღაც წინა ინდოეთში იყო გავრცელებული. მათ, აქ პრეისტორიულ ხანაში, კოლონიზატორულ-კულტურული ზედაფენა შეუქმნიათ. ეს დებულება შემდეგ მოსაზრებას ემყარება: 1.ჰეროდოტეს ცნობებს ეგვიპტელების პრეისტორიული გადასახლების შესახებ კოლხეთში. ამ უკანასკნელში მას სურს შეიცნოს არა პონტოს, არამედ პუნტის კოლხიდა, ე.ი. მხარეები კავკასია-ინდუკუს და ინდოეთის ოკეანეს შორის და უწინარეს წინა ინდოეთი, რომლის მიმართაც ძველ გეოგრაფიაში მრავალ ადგილას არის შემონახული სახელწოდება – კოლხიდა. კოლხიდური ინდოეთი ეფარდება ამ რაიონის იბერიულ, ე.ი. პრეისტორიულ პერიოდს. 2. ბეროსა ქალდეველის ცნობებს ქალდეების, მეტროპოლის, ლანკარასა და პანტიბიბლონის შესახებ, რომლებიც შუმერო-იბერების მომავალ სამხრეთ- აღმოსავლეთით გავრცელებაზე მიგვითითებს. რადგან ლანკარა ეთანადება თანამედროვე ცვილონს და სამხრეთ ინდოეთის ძველ სახელწოდებას – ლანკას, ხოლო პანტიბიბლონი უნდა იყოს ძველევგვიპტური პუნქტი, ე.ი. ინდოეთი. 3. ანთროპოლოგიური მოსაზრებით: ზოგიერთი ინდური კასტა, თუნდაც ბანიანები აამკარავენ კუშიტო-ქამიტოიდურ ხასიათს, ხოლო შუმერული თუ ეგვიპტოიდური ტიპი ჰინდუსტანსა თუ დეკანში მძლავრად გვიდგება თვალწინ. ის, ვისაც ჩვეულებრივად, საერთოდ მიღებული ტერმინოლოგიის თანახ-

მად, ინდოევროპელებს (ინდოარიელებს) ვუწოდებთ, არიან შერეული ხალხები, რომელშიაც სჭარბობს პრეარიული იბერიული ელემენტი გრძელი თავით შავგრემანი და ტანადი ადამიანები“ (რ. ერისთავი. მ. შ. გვ.68).

ჟ. კასტრის აზრით ინდოეთში პანდუ – პანდიონები ეწოდებათ იბერიული კულტურული ფენის მთავარ წარმომადგენლებს. იბერიულ-კოლხური მოდემის ხალხთა მიგრაციის შესწავლისას აშკარად იკვეთება, რომ ეს ხალხი უძველესი დროიდან სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამურ შუმერში ჩასულები ახალშენების სახით, ერთის მხრივ ინდოეთსა და ცვილონში, მეორეს მხრივ სირიასა და სამხრეთ დასავლეთ მცირე აზიაში, ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე გავრცელდნენ, სათანადო მისიის შესასრულებლად.

ინდოეთში, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება უამრავი დასახლებული პუნქტი, რომელიც „ურუ“-ზე და „ური“-ზე ბოლოვდება. მაგ. ელურუ, ნელურუ, ველურუ, კულურუ, ტოპური, პროდტაური და სხვ. ანალოგიური გეოგრაფიული დასახლებები გვაქვს საქართველოშიც: სილაური, მახინჯაური, გუდაური, ამბროლაური და სხვ. მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ ბერძნული და ინდური მითები ერთი წყაროსაგან წარმოდგებიან. ეს პირველწყარო კი, როგორც ვხედავთ, ატლანტიდური და კოლხური ეპოქების არის. ეს მითები და სხვა მოძღვრებები ასევე იბერიულ-კოლხური გზით იმკვიდრებენ ადგილს სხვა ხალხების ისტორიაში.

ინდოეთში ცხოვრობს ინდოელებისაგან ანთროპოლოგიურად სრულიად განსხვავებული თეთრკანიანი ტომი – თოდა. მეცნიერ-მკვლევარმა ჰ. გრეცესკიმ რამოდენიმე თვე იცხოვრა ამ ტომის ხალხთან და დაასკვნა, რომ თოდას ტომი უხსოვარ დროს მივიდნენ შუამდინარეთიდან და სამუდამოდ დარჩენილან იქ. „...ისმება კითხვა: ინდოელებს, რომლებთაც ფერადი კანი აქვთ, რატომ ჰყავთ თეთრკანიანი ღმერთები? რატომ არ არის მათ რელიგიურ პანთეონში თუნდაც ერთი ან ორი ფერადკანიანი ღმერთი. ბუდას, კრიშნას, ანდა ვედური რელიგიის წმინდანებს ილუსტრაციებზე (ხატებზე) ყველას თეთრი, თითქოსდა ვერცხლის ფერი გადაჰკრავთ სახეზე. საქმე იმაშია, რომ თეთრკანიანი ღმერთის ცნება მსოფლიო ხალხების რელიგიაში ერთნაირია. ღმერთი, ანუ „რა“ არის თეთრკანიანი, რომელიც მზის ნათებას ემსგავსება და მას ფერადკანიანი ანალოგები არ გააჩნია. ინდოელი ხალხის ყველა რელიგია, მათ შორის ბუდიზმი, კრიშნაიზმი და სხვები, შუმერთ რელიგიის ანალოგები არიან და ისინი ხელოვნურად არიან შექმნილი“. (რ. ერისთავი. მ.შ. გვ. 73) მივაქციოთ ყურადღება ინდურ რელიგიურ-ლიტერატურულ სიბრძნის ნიგნს „ვედას“. სიტყვა „ვედას“ ბატონი რ. ერისთავი ასე განმარტავს: იგი ძალზე წააგავს ქართულ სიტყვას ვედრებას. ეს განმარტება ახლოს არის რეალობასთან, სიტყვა „ვედა“ მართლაც ქართული წარმომავლობისაა. ზანური, დღევანდელი მეგრული დიალექტით ნიშნავს „არ ნახვიდეს“. მაგ. გიორგი ეთექ ვედა – გიორგი იქ არ ნახვიდე. როგორც ჩანს ინდოელთა წინაპრები ამ სიბრძნის წყაროს ჩამტანებს მართლაც შეევედრნენ „არ ნახვლას“.ერთი მაგალითიც: ვედური რელიგიის მიხედვით ცის ღმერთი არის „დიაუსი“, „დია-უსი“. შევადაროთ-რუსთაველი არაერთგზის ახსენებს „დია“ ღმერთს, იგივე „დად“ ღმერთი, დღევანდელ მეგრულ დიალექტზე „დია“=შემოკლებით – დედა. მაშასადამე ინდურ „დიაუსში“ გააზრებულია ღმერთდედა-კაცობრივი ჰიპოსტასი. ინდური ეპოსები „მაჰაბჰარატა“, იგივე „მახაბჰარატა“ და „რამაიანა“, მსოფლიო საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობაში და მსოფლიო მეცნიერულ სამყაროში აღიარებულია ინდოელი ხალხის შედევრებად. „მახა“ ნოეს ეპოქის კოლხური ღვთაებაა, „მახა-დევა“- „დიდი ღვთაება“, ხოლო ბხარატები მოსეს ეპოქის კოლხი ბარდები-დიდებულები არიან, სკანდინავიელი სკალდების მსგავსად. სკალდეს სალოცავი საყდარი დღესაც მოქმედებს ლენტეხის რაიონში. ეს ეპოსები ძვ.წ. II ათასწლეულშია შექმნილი, როცა ინდოეთში დამწერლობა არ იყო და მხოლოდ ზეპირი გადმოცემით იყო ცნობილი და „მათი ჩანერა მოუხდენიათ არიელ ხალხს I-II საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით სანკრისტულ ენაზე. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ეს ეპოსები, როგორც ირკვევა, საუკუნეების შემდეგ არიელებმა მიითვისეს და თავიანთ „ნამოღვანრად“ გამოაცხადეს... ეს ეპოსები ხომ არიელებზე გაცილებით ადრეა შექმნილები და მათში დრავიდული ხალხის, ანუ იბერების მოღვანეობაა აღწერილი. ...ეს ის პერიოდი, როცა ამქვეყნად არც არიელები არსებობდნენ და არც მათი დამწერლობა „სანკრისტი“ იყო გამოგონილი. ...პანდუ ანუ პანდავა (პანდიონები), როგორც ჟოზეფ კასტრი მიუთითებს, არის წინაარსი, ანუ პროტოიბერიული ფენების მთავარი წარმომადგენლები, რომლებიც მესო-

პოტამის დაბლობიდან მოსულან ინდოეთის ტერიტორიაზე. ასე რომ, ეპოსი „მაჰაბჰარატი“ წმინდა იბერიულ სიუჟეტზეა აგებული და აქ არიელებს არაფერი ესაქმებოდათ. ...რაც შეეხება ეპოსს „რამაიანას“, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი იდენტურია ძველი ქართული წარმართული სიმღერის სახელწოდებისა – „რამაიასი“. ეს ცეკვა-სიმღერა გავრცელებულია სვანეთში, რაჭაში და სამეგრელოში. იგი მზის ღმერთის წარმართულ საგალობელ სიმღერას წარმოადგენს“. (რ. ერისთავი. მ.შ. გვ. 74-75).

ვნახოთ რას წერენ ცნობილი მეცნიერები კოლხური ტომების მიგრაციაზე ინდოეთსა და ჩინეთში:

- ფრიდრიხ შლოსერი, გერმანელი მეცნიერი XIX ს. „ინდოელები, ისევე როგორც ჩინელები, არ იყვნენ ქვეყნის პირველმოსახლენი. ინდოელთა მითები გვატყობინებენ, რომ კავკასიელები ქვეყანაში მოვიდნენ ჩრდილო დასავლეთიდან, ...რომ ისინი განგის აუზის ზემო ნელში დასახლდნენ“.
- ჰანს ჰელმოლტი, გერმანელი მეცნიერი XIX ს: „ბრახმანამდელი ძველი პერიოდის სამხრეთ ინდოეთის არეალს კოლხი ერქვა“.
- ედუარდ შიურე, გერმანელი მეცნიერი, XIX-XX ს: „თვით ბრახმანების კასტა უზენაესი იყო, რომლებიც იდგნენ საწმენოებისა და მეცნიერების სათავეში და რომელთა ძარღვებში ჩქეფდა წმინდა არიული სისხლი“.
- შ. ცხაკაია: „კოლხი ბრახმანი) თხემით ტერფამდე, კოსმიური წესრიგისა და ჰარმონიის განსახიერება, ლაზარეს მისიის არსის ზედმიწევნით მცოდნე და მის სადარაჯოზე ურყევად მდგარი, რომელიც მუდამყამს ბამბუკის ხელჯოხით, განბანვისათვის საჭირო ჭურჭლითა და წყლით, მხარზე შემოვლებული წმინდა ზონარით დადიოდა“.
- ივან შოპენი, XIX ს: „ახალმა გადამთიელებმა ტანადმა, ნიჭიერმა ხალხმა, შეუპოვარი კავკასიური ტიპით, თავს არიელები უწოდეს, რაც ნიშნავს „აღმატებულნი“, „ძლიერნი“. ამ სიტყვით გამოხატავდნენ, რომ ისინი გამარჯვებულთა გაბატონებული ტომია. ...არიელები ინდოეთსა და პაკისტანში მოვიდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან“.

ცენტრალურ აზიაში კოლხურ-იბერიულ ტომების მასობრივი მიგრაცია) ჩასახლება ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დამდეგიდან იწყება. ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან ტერიტორია, შავი ზღვიდან ურალ-ციმბირით წყნარ ოკეანემდე, კოლხური ტომებით იყო დასახლებული. „უფრო მეტიც, იმ პერიოდში კოლხებმა დაადგინეს შვიდიდან ერთი დინება, რომელიც იაპონიის სამხრეთ ნაწილს ეხებოდა, შემდეგ ამერიკის მიმართულებით მიედინებოდა. ამ დინებით ზანი ქურუმები ახალ სამყაროში გადადიოდნენ. საკუთრივ დინებას მაშინ „თეზანი“ უწოდეს. (შ. ცხაკაია. ხელნაწერები). ძვ.წ. პირველ ათასწლეულში კოლხური ტომები ჩინეთის არეალში ინაცვლებს. ჩინეთი ბიბლიური სინიმის ქვეყანაა, რომელსაც ვხვდებით ესაია წინასწარმეტყველის წერილებში: „აჰა, ესენი შორიდან მოდიან, აჰა, ესენი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, ესენი კი სინიმის ქვეყნიდან“. (ესაია. 49-12). ჩინური ეთნოსის უდიდესი მკვლევარი გ. ვებერი აღნიშნავდა: „ჩინელები — ეს გამხმარი შტოა ისტორიის სიცოცხლის ხეზე“. ამ ვითარებას ჰერდერი ასე გამოხატავს: „ჩინეთის იმპერია, ეს ბალზამირებული მუმიანა იეროგლიფებით მოხატული და აბრეშუმით შეფუთული“. ჩინეთში განათლება-ცივილიზაცია გარედან შეტანილია.

ჩინეთში, შანის (შანი იგივე - შონი, ზანურ-ლაზურად=სვანი, იგივე სანი, სვან. სვანი=მუშვანი, სვანეთი=შვანი. საქართველოში დღესაც გვაქვს ფუძე „შან“-ზე სახელი-გვარი; ვარ-შანი, ვარ-შანიძე, შან-იძე და სხვ. ჩინეთში შან-ხა-ი, „ხა“ ზან.მეგრ=“შობა“, ტიან-შანი და სხვ. „შანი“ ასევე გვხვდება სპარსულში. მაგ. ცნობილი ანშანების დინასტია. ძვ.წ. III , ახ.წ. II ს.ს) საიმპერატორო დინასტიაში ძვ.წ. XVI-XI ს.ს. პირველი იმპერატორი ჭან-თანო იყო, ჩინურად ჩან, ჩენ-ტანი. ჩინეთის ხუთი დინასტიის – ძვ. წ. 2 800-დან, ახ. წ. 250-მდე მანძილზე კოლხურმა ცივილიზაციურულმა მოღვაწეობამ შედეგი გამოიღო. აბორიგენმა მოსახლეობამ პირველი სჯულის კანონის მოთხოვნა-გაცნობიერება დაიწყო, თუმცა უდიდესი მასა ისევ ველური რჩებოდა. „ცენტრალურ ჩინეთში, ქალაქ ციანში კოლხმა ქურუმებმა აღმართეს გიგანტური 300 მეტრიანი პირამიდა, რომელიც სულ ცოტა 5 600 წლისაა და რომელიც ქვეყნის ცენტრალურ წერტილს სულ რამდენიმე სანტიმეტრითაა აცილებული. სხვასთან ერთად ჭანი და სვანი ქურუმების მიერაა დაპროექტებული ჩინური კედელიც, რომელსაც ამ მოვლენის უკვდავსაყოფად „ვან-

ლი-ჭან-ჭენი (ჩინურად ვან-ლი-ჩან-ჩენი. ბ.ბ.) უწოდეს. ჩინური იეროგლიფური დამწერლობის თანამედროვე სტილი შვიდი ფერის კაცობრიობის სულიერ სხეულებრივი დინამიკის მესაიდუმ-ლე ზანებმა ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში შეიმუშავეს. ამ დამწერლობას „ქა-იშუ“ უწოდეს, რაც დეკოდირებულად „ღვთისაგან ნაბოძებს“ ნიშნავს. მესამე ათასწლეულის დამდეგიდან ჩინეთში კოლხური ტომების სახელის მიხედვით საიმპერატორო დინასტიები იქმნება. ბუნებრივია, ყველა მმართველი კოლხი იყო, ზოგიერთი იმპერატორი ქურუმის ფუნქციასაც ითავსებდა“.

კავკასიაში, სადაც ჭანების საცხოვრისია, გვაქვს ჭან-ჭახისა და ჭაუხის სახელწოდების ტოპონიმები: ჭანჭახი – მწვერვალი რაჭის კავკასიონის მთავარ ქედზე, ჭანჭახი მდინარე რიონის შენაკადი რაჭაში. ჭანჭახი – მთა არსიანის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში, ადიგენისა და აჭარის საზღვარზე. ჭანჭახა – სოფელი გორის რაიონში, ჭაუხი – მთა და უღელტეხილი კავკასიონის მთავარ ქედზე და სხვ. ანალოგიურ სახელებს ატარებენ ტიან-შანის აღმოსავლეთ განშტოების მთებიც, ეს მთები ჩინეთის ტერიტორიაზე გადიან. „ჩემი აზრით, შესანიშნავია ზოგიერთ მთათა სახელი კავკასიის ამ ნაწილში, როგორცაა ჭანჭახი და ჭაუხი, რომელთაც მე ნავანყდი ტიან-შანშიც“, (შ. ცხაკაია. ხელნაწერები). წერდა XIX ს. რუსი ეთნოგრაფი გუსტავ რადე. ტიან-შანის მთათა სისტემას სახელი „ცის შვილებმა“, შანის – ზემოთ აღნიშნული – დინასტიის ეპოქაში მისცეს, რომლის პირველი იმპერატორი და უზენაესი ქურუმი ჭან-თანი იყო. ტიან-შანი „ციურ მთებს“ ნიშნავს.

უძველეს ჩინურ ისტორიულ მასალებში ჭანების გვერდით ვან-სვანების ტომი ფიგურირებს. ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე დაფუძნებული ვან-სვანების ნაწილი განუმეორებელ მიგრაციას ახორციელებენ ჩინეთის საზღვრებისაკენ და ბიბლიური სინიმის ქვეყანაში „ჭანთან“ ერთად იმპერატორი ტიტულატურაში შემოაქვთ ეთნიკურობის განმსაზღვრელი „ვანი“, რაც ჩინურ და მონღოლურ ენაზე „მეფე-წინამძღოლს“ აღნიშნავს. ჩინელები თავიანთ ქვეყანას „ჭუნგუოს“ (ჭანგუო?!) უწოდებენ.

„ვუ-ვანი ჭეუს (ჯოუს) მესამე დინასტიის იმპერატორია, რომელიც მეფობდა ქრისტეშობამდე მესამე საუკუნის შუა წლებამდე, იმპერატორი ვუ-ვანი ითვლება ჩინეთის კანონმდებლად, კერძოდ მას მიეწერება სახელმწიფო ორგანიზაციის სრულყოფა. ვანები „ ცის შვილების“ ტიტულს ატარებდნენ“. (Г. Верер. В.И. ст.41). ჭეუს დინასტიის ეპოქაში დაიბადა ცნობილ ჩინელი სწავლული კონფუცი.

ორიოდე სიტყვა ჯერჯერობით საიდუმლოებით მოცულ ხალხზე – აინებზე. ამ ხალხის წარმომავლობა დღემდე უცნობია, ცხოვრობენ ჩრდილოეთ იაპონიაში, კუნძულ ხოკაიდოზე და კუნძულ ხონსიუზე, საერთო რაოდენობა 20 000 კაცს არ აღემატება. ფიზიკური მონაცემებითა და ენით რადიკალურად განსხვავდებიან მონღოლოიდური რასისაგან, ხასიათებიან შავგვრემანი კანით და ხშირი შავი თმით. ატარებენ დიდ თავსაბურავებს – ქუდს, ასევე ატარებენ წვერს და უღვაშებს, რაც იმ მხარისათვის უცხოა. მიუხედავად ზომიერი კლიმატისა, ზაფხულში ატარებენ თქობდაფარულ სამოსს. აინების წარმოშობაზე არსებობს რამოდენიმე ვერსია. ერთ-ერთით აინებს მიაკუთვნებენ ინდოევროპულ-კავკასიურ რასას. ეს არის მეცნიერების ჯ. ბეჩელოპისა და ს. მურაიამას ჰიპოთეზა. აინები თავიანთ თავს არაამქვეყნიურს უწოდებენ და მოსულებად თვლიან. მათი მითოლოგიის თანახმად, განსხვავებით იაპონურისაგან და სხვა აზიური ხალხებისაგან, მათ ჰყავთ ერთი უმაღლესი ღმერთი, შემოქმედი სამყაროსი და ღმერთების. შევადაროთ ძვ. კოლხების წარმოდგენას ღმერთზე, რომლებმაც დასაბამიდანვე უწყოდენ ერთი შემოქმედი ღმერთის შესახებ. საინტერესოა ისიც, რომ აინები ცხოვრობდნენ ჩრდილო განედის 42⁰ , სადაც იბერთა მიგრაციის გზა გადის. ჩრდილო განედის 42⁰ სარტყელზე მდებარეობს: იბერია-კოლხეთი, კავკასია, კ. კორსიკა, ბასკეთი, კანადა ხუთი ტბის არეალი, იაპონია – კუნძულები ხონსიუ და ხოკაიდო – აინები, ტიბეტი, იქ მცხოვრები საიდუმლოებით მოცული თეთრკანიანი ხალხი და ისევ იბერია-კოლხეთი.

ბია კვაშილავა – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის „ენის, ლოგიკის, მეტყველების“ მეცნიერ-მკვლევარი

პროტოქართველების, საერთოქართველური ენისა და წარწერების შესახებ

წინამდებარე წერილში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

1. სამხრეთ ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ;
2. მაკრელების, დოლიონებისა და მუშქების განსახლების შესახებ;
3. კორიბანტებისა და კირბების – კოლხური დამწერლობის შესახებ;
4. A კლასის ხაზოვანი, ფესტოსის დისკოს და კრეტული იეროგლიფური წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია;
5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების შესახებ;

დასკვნა:

1. სამხრეთ ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ

ამ პუნქტში უპირველესად დავიმომწმებ რამდენიმე ბერძნულ წყაროს.

ჰომეროსის და დიოდორე სიცილიელის ცნობით, ბრინჯაოს ხანის კრეტაზე სახლობდნენ პელასგები.

ჰეკატე მილეტელი ამბობს, რომ „ელინებზე უწინ პელოპონესის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ ბარბაროსები“.

ჰეროდოტე ამბობს, რომ „პელასგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ (არაბერძნულ) ენაზე. ...პელასგურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა“.

ჰელანიკე მიტილენელის მიხედვით, პელასგთა ერთი ნაწილი, რომელიც ელინებმა საბერძნეთიდან განდევნეს, დასახლდა იტალიაში, ტირსენიაში, ანუ ეტრურიაში.

უძველეს ხანაში პელასგები ასევე სახლობდნენ მთელ ელადაში, განსაკუთრებით კი – თესალიის ეოლიაში, კუნძულებზე: სკიროსზე, ლემნოსზე, სამოთრაკეზე, მცირე აზიის მრავალ ადგილას, ტროაში, პროპონტიდის (მარმარილოს) ზღვისპირეთსა და სხვაგან.

ამგვარი ცნობები დაცულია სხვა წყაროებშიც, რომელთა გაცნობა შესაძლებელია სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. აკ. ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964).

ამასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთი ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენ:

ა. ევანსი დარწმუნებით აცხადებს, რომ კრეტის მკვიდრი მოსახლეობა მეტყველებდა ბარბაროსულ ანუ არაბერძნულ ენაზე.

ბ. კრეჩმერის აზრით, მრავალი სიტყვა ბერძნულ ენაში ნასესხებია არაინდოევროპული მოდგმის წინაბერძნული მოსახლეობის (მაგ., ლელეგებისა და სხვების) ენებიდან, რომლებიც მას კავკასიური ტომების მონათესავე ენებად მიაჩნდა. ნასესხები სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, კრეტისა და მცირე აზიის ტოპონიმებს. ვ. კრეჩმერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა – ფრიგიელების გარდა – არაინდოევროპული, არასემიტური და არაურალურ-ალთაური წარმოშობის იყო; ეს იყო თვითმყოფადი ხალხი.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის, მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის

აუზის კუნძულების მოსახლეობა არაინდოევროპულია, რომელსაც იზიარებს ფ. შახერმაირიცი.

ედ. შვიციერი ამბობს, რომ წინაბერძნული და მცირე აზიის, არაანატოლიური და არაფრიგიული წარწერების ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და არც ინდოევროპული. იგი აღნიშნავს, რომ ამ ენათაგან ზოგიერთი უეჭველად ერთმანეთს ენათესავებოდა; ეს ენები ქმნიდნენ ე.წ. მცირეაზიურ ან ეგეოსურ-მცირეაზიურ ჯგუფს, რომელსაც კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთკავკასიურ ენებთან, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულთან.

ა. დირი წერს: „დღესდღეობით კავკასიურ ენებს – ამ სიტყვის ფართო გაგებით – განაკუთვნიებენ წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენათა მთელ წყებას, რომელთაგან ერთადერთი ენა ბასკურია, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს“.

ა. ტრომბეტი წერს: „ჩვენ უნდა დავეთანხმობთ ჰ. შუხარდტს იმაში, რომ კავკასიის ფარგლებში თავი მოუყრიათ ხალხებს, რომელნიც წინათ გავრცელებული იყვნენ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. უახლესი გამოკვლევები, ჩანს, იმაში ეთანხმება ერთურთს, რომ ოდინდელ კავკასიურ ენათა ჯგუფს მეტნაკლებად უკავშირდება შემდეგი ენები: ხალდური, მიტანი (ხურიტული), ელამური, ხათური, ეტრუსკული, კრეტული, იბერიული (ესპანეთში) და ბასკური“.

ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ კავკასიოლოგთა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს „ეტრუსკულ ენაში კავკასიური ელემენტების არსებობის შემოწმება“. შემდეგ იგი ამბობს, რომ ხათური, ურარტული და ხურიტული ენები ყოველგვარი ეჭვის გარეშე კავკასიურ ენათა მონათესავეა.

ვ. მილერი აღნიშნავს, რომ კავკასიურ ენებს უკავშირდებიან წინა აზიის ძველი ენები: ხათური, ურარტული, ხურიტული და ელამური.

გ. ჰიუზინგი ელამურ ენას უკავშირებს კავკასიურ ენებს.

ფ. ბორკმა და ვ. კრისტიანმა წამოაყენეს შუმერული და კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზა.

კ. კრამარუი და მ. წერეთელი უეჭველ ფაქტად მიიჩნევენ შუმერულისა და საერთოქართველურის ენობრივ ნათესაობას.

ზ. კიკნაძემ, ჰ. ფენრიხმა, ჯ. შარაშენიძემ, გ. გიორგაძემ, რ. გორდუზიანმა და სხვებმა წარმოადგინეს შუმერული და ქართველური ლექსიკური პარალელები.

ავტორიტეტული სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ყველა ეს ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ, ქამიტურ-სემიტურ და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს.

ან. მეიეს აზრით, ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად კავკასიური (კერძოდ, ქართველური) და მცირე აზიის ძველი ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რის ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს.

ე. ბუაზაკი წერს: „ელინები სხვადასხვა მხარეებში ხეტილობდნენ, სანამ ეგეოსისა და იონიის ზღვების სანაპიროებს მიაღწევდნენ; და აქ მათ უნდა განედევნათ ან თავის თავისთვის დაემსგავსებინათ სულ სხვა ხალხები, რომლებიც არც ერთ ინდოევროპულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ...“

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუძემდებლური თეორიის მიხედვით, ძვ.წ. IV ათასწლეულში დასავლეთი და ცენტრალური ევროპა უძველესი ბალკანური კულტურების განადგურების შემდეგ კიდევ დიდხანს იყო არაინდოევროპული, შესაძლებელია ძვ.წ. II ათასწლეულამდე, როდესაც დაიწყო ევროპის ინდოევროპეიზაციის პროცესი, ანუ ძველი ევროპული დიალექტების თანდათანობით გავრცელება ევროპაში.

ჯ. ჩედვიკი წერს, რომ ძვ.წ. XX საუკუნეში ერთიანი ბერძნული ენა ჯერ არ არსებობდა. ის ცნობილია ძვ.წ. XIV ს-ის B კლასის ხაზოვანი წარწერებიდან. ჯ. ჩედვიკის აზრით, ეს ენა შეიქმნა ბერძნების მიერ ზემოხსენებული ტერიტორიების კოლონიზაციის შედეგად, როდესაც ბერძნულად მოლაპარაკე მეომარი ხალხი შემოიჭრა ბალკანეთის ნახევარკულძულზე. იგი იქვე ამბობს, რომ ბერძნული ენა ჩამოყალიბდა ადგილობრივი მოსახლეობისა და შემოჭრილი ხალხების ენათა შერევის შედეგად.

ჯ. ჩედვიკი წერს: „უძველესი საბერძნეთის რუკაზე მრავალი ადგილის დასახელება, რომელთაც ბერძნულ ენაზე მნიშვნელობა არა აქვთ, უტყუარი მონიშნავს იმისა, რომ ოდესღაც აქ სხვა ენა იყო გაბატონებული, მაგრამ, კერძოდ, რომელი, არ არის ცნობილი“. მთელი რიგი ტოპონიმები „უდავოდ წარმოქმნილია უცნობი ენისაგან, რომელზედაც ადრე მეტყველებდნენ საბერძნეთში“.

ჟ. ჩედვიკი ასევე აღნიშნავს, რომ პროტობერძებმა ადგილობრივი მოსახლეობისგან ის-ესხეს მრავალი სიტყვა. განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმები, საამშენებლო ტერმინები, ტანსაცმლის, სახელმწიფო მმართველობის, მუსიკალური ინსტრუმენტების, მცენარეებისა და ცხოველების სახელები, ასევე, მათთვის უცნობ საგანთა სახელწოდებები, რაც აქ მოსახლე ხალხის ცივილიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს. ჟ. ჩედვიკი ამასვე იმეორებს კრეტის ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ, რომელიც ძვ.წ. XV ს-მდე ბერძულად არ მეტყველებდა. „მათ ენამ წერილობითი სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მისი ამოკითხვა მაინც არ შეგვიძლია. ეჭვგარეშეა, რომ ეს ენა ბერძნული არაა“.

ჟ. ჩედვიკი წერს, რომ კრეტის ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი ხნის წინათ შეიმუშავა სააღრიცხვო სისტემა და თავიანთ შრიფტს ასევე გამოიყენებდნენ სამლოცველოებზე შესრულებული მიძღვნილი წარწერებისთვის. ბერძნებმა მათგან ისესხეს წერიტი სისტემა, რომელიც მიუსადაგეს თავიანთ ენას და გააუმჯობესეს ანგარიშწარმოება.

ჟ. ჩედვიკი აღნიშნავს: „საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის საბერძნეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბერძნულად არ ლაპარაკობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთის დაპყრობა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის ასიმილაციის პროცესი ნელა მიმდინარეობდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკენური პერიოდის მოსახლეობაში სხვა ენების კვალი უფრო აღმოჩნდება, ვიდრე ბერძნულსა. კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები, არცთუ იშვიათად, იხსენიებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს, მაგ., პელაგებს, და, ამასთანავე, ძვ.წ. IV საუკუნეშიც კი კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე. ...თუმცა ჩვენ ინფორმირებული არა ვართ, რომ ისინი ჯერ ისევ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ უმეტესობა, ეჭვგარეშეა, არაბერძენი მოსახლეობის შთამომავალი იყო“.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი წერენ, რომ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს თვითონ არ შეუქმნიათ დამწერლობა. ისინი სესხულობდნენ წერით სისტემებს, რომლებიც შექმნილი იყო არაინდოევროპული ენებისთვის. ასე მაგ., ისტორიულ ხანაში მიკენის ბერძნებმა თავიანთი ენისთვის სხვა წყაროდან ისესხეს B კლასის ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნები. ეს წყარო იყო A კლასის ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც შეიქმნა არაინდოევროპული (მინოსური) ენისთვის, რომლის სიტყვის სტრუქტურა ღია მარცვლოვანია.

ჟ. ჩედვიკი აღნიშნავს, რომ ეს ენა მოცემულია A კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებულ თიხის ფირფიტებისა და სხვა ნივთების წარწერებზე, რომლებიც აღმოჩენილია კრეტის მრავალ ადგილას, მათი კვალი ასევე ჩანს ეგეოსურ კუნძულებზეც.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, ჰიპოთეზა ბერძნული ტომების მოსვლის შესახებ მათი საცხოვრისის ისტორიულ ადგილებში, მცირე აზიის გავლით ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და კონტინენტურ საბერძნეთში, გასაგებს ხდის ბერძნულში ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობის ლექსიკის მთელი შრის არსებობას. გაუგებარი ეტიმოლოგიის ბერძნულ სიტყვათა მთელი რიგი ახალი გამოკვლევების შუქზე არაორაზროვან პარალელებს ჰპოვებს ქართველურში და ადასტურებს ენობრივ კონტაქტებს, რომლებიც უძველეს ეპოქაში არსებობდა ბერძნულ და ქართველურ დიალექტებს შორის.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ასევე აღნიშნავენ, რომ მრავალრიცხოვანი ლექსიკური თანხვედრა ბერძნულსა და ქართველურს შორის, რომელიც თავს იჩენს სწორედ არაინდოევროპული წარმოშობის წინაბერძნულ სიტყვებში, უნდა აიხსნას იმით, რომ ბერძნულმა ისესხა ქართველურ სიტყვათა მთელი რიგი, ბერძნული და ქართველური ტომების კონტაქტისას სადღაც ახლო აღმოსავლეთში, წინარესამშობლოდან დასავლეთის მიმართულებით ბერძნული მიგრაციების დროს ისტორიული საბერძნეთის ტერიტორიებზე.

წინაბერძნული და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპოთეზებს ასევე გამოთქვამდნენ: ლ. ჰერვასი, ვ. ჰუმბოლდტი, ფ. ჰომელი, ფ. მიულერი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. სერგიევსკი, ს. ჯანაშია, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, გ. დეეტერსი, ა. ჩიქობავა, პ. ბერაძე, თ. ყაუხჩიშვილი, ე. ფურნეე, რ. შმიტ-ბრანდტი, რ. ბეეკესი, შ. ძიძიგური, რ. გორდეზიანი, ჰ. ცეპიში, ზ. გამსახურდია და სხვები.

2. მაკრელის, დოლიონებისა და მუშქების განსახლების შესახებ

აპოლონიოს როდოსელი მაკრელთა ტომს პელასგებად თვლის. ეს ცნობა შემდეგი სახისაა: „დოლიონებმა არგონავტებზე იფიქრეს, რომ მაკრელ ვაჟკაცთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო“, რასაც ბერძენი სქოლიასტი ასე განმარტავს: „მაკრელი — ეგრეთ ნოდებული მაკრონები, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან კუნძულ ევბეადან, საიდანაც მაკრონები ეწოდათ. საქმე ისაა, რომ კ. ევბეას მაკრისიც ერქვა. პელასგური კი იმიტომ თქვა პოეტმა, რომ კუნძული ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უნინ პელასგად იწოდებოდა. მაკრონები დოლიონების მეზობლები იყვნენ...“

სტრაბონის, სტეფანე ბიზანტიელისა და ევსტათი თესალონიკელის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, აკ. ურუშაძე და სხვები წერენ, რომ მაკრონი პელასგური მოდგმის, დასავლურ-ქართველური წარმოშობის მეგრულ-ჭანთა (ლაზთა) სატომო სახელს აღნიშნავს. აკ. ურუშაძე ამბობს, რომ მათი გვიანდელი განსახლების კერა იყო ევქსინის პონტოს, ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, მაგრამ მათი უწინდელი განსახლების სივრცე შავი ზღვისა და ეგეოსის ზღვის სანაპიროებს მოიცავდა.

დოლიონების შესახებ აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი წერს: „ეფორე კვიმელი ამბობს, რომ დოლიონები პელასგები იყვნენ...“

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, დოლიონები მოსახლეობდნენ მცირე აზიაში, მდ. ეს-ეპოსსა (გიონენსა) და მდ. რინდაკოსს (მუსტაფაქემალფაშას) შუა მდებარე მხარეში.

ნ. ხაზარაძის კვლევების მიხედვით, იეროგლიფურ-ლუვიურ და ასურულ ლურსმულ წარწერებში დასტურდება, რომ მცირე აზიაში, მდ. ჰალისის (ყიზილირმაკის) შუა დინების სამხრეთით მდებარე მხარეში სახლობდნენ მუშქები (მუსქები), რომელსაც ბ. ჰროზნი, რ. ბარნეტი, ე. ლაროში, პ. მერიჯი და სხვები უკავშირებენ ქართველურ ტომს — მოსხებს ანუ მესხებს.

ჰეკატე მილეტელი წერს: „მოსხები კოლხური ტომია.“

უძველესი წყაროებისა და მრავალი მეცნიერის მოსაზრებების გათვალისწინებით, აკ. ურუშაძე ასკვნის, რომ „ზემოხსენებული კოლხური ტომები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად, დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. ისტორიულ ხანაში კი ამ ტომების ოდინდელი სამკვიდრებლის თანდათანობითი დავიწროება მოხდა“.



„კავკასიური მოდემის“ განსახლების არეალი, ძვ.წ. VI-I ათასწლეულის I ნახევარი.
რუკა შედგენილია: ვ. ჰუმბოლდტის, ფ. კლუგეს, ფ. ჰომელის, ნ. მარის, ფ. შახერმაირის, ა. ჩიქობავას, გ. მელიქიშვილის, ზ. გამსახურდიას, ჰ. ცეზიშისა და სხვათა ნაშრომების მიხედვით.

3. კორიბანტიპისა და კირბეპის – კოლხური დამწერლობის შესახებ

სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიასში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი.

წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი წერს, რომ ქურუმ-ღვთაებებმა – დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი. ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ საფუძველი ჩაუყარეს არითმეტიკასაც.

უძველესი წყაროების მიხედვით, წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი ასევე ამბობს, რომ დაქტილებს მიენერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენისა და დამუშავების ხელოვნება.

თეოპომპე ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიბანტებს კირბეპის – საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიენერებათ (აგრეთვე იხ.: ლისია, პლუტარქე, პორფირი ტვირელი).

კრატინეს, ლისიას, პლატონის, ნონუსის, აგათია სქოლასტიკოსის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, ძენობიოსის, კომეტას ხარტულარიოსისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს საკრალური წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ან ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

აპოლონიოს როდოსელი წერდა: „...კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბეპზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

აპოლონიოს როდოსელის ცნობის მიხედვით, კ. რიტერი ამბობს, რომ „კირბეპი იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედაღვთაების რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიბანტებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პერგამონელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფია“-ს, ანუ „ოქროდამწერლობა“-ს (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმონებს წმ. ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს სანმისის“ განმარტებისას და წერს: „ოქროდამწერლობის მეთოდის გამო არგოს ლაშქრობა მოეწყო“.

პ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძე გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ძველბერძნულ წყაროებში დადასტურებული „ოქროდამწერლობა“ იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო „ოქროს სანმისზე“ – ვერძის ტყავზე და არგონავტებმა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბერძნეთიდან „ოქრომრავალ კოლხეთში“.

ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, ბ. კუფტინი, შ. ამირანაშვილი, ვ. თოლორდავა, ვ. ლიჩელი, ჰ. ფენრიხი და სხვები წერენ, რომ კოლხური დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. VI-II სს-ით, აღმოჩენილია სამტრედიის რ-ნში, სოფ. დაბლაგომსა და სხვაგან.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ უძველესი ქართული დამწერლობითი ძეგლები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე აზიაში, ხოლო აკ. ურუშაძეს მიაჩნდა, რომ ეს ნიმუშები აღმოჩნდება საბერძნეთის ტერიტორიაზეც.

4. A კლასის ხაზოვანი, ფესტოსის დისკოს და კრეტული იეროგლიფური ნარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია

1894-1909 წლებში სერ არტურ ევანსმა კ. კრეტაზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინა ეგეოსის აუზში გავრცელებული ბრინჯაოს ხანის ნარწერები, რომლებსაც უწოდა მინოსური კრეტის იეროგლიფური და A კლასის ხაზოვანი დამწერლობები (ხოლო უფრო გვიანდელ დამწერლობას – მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი). ეს ნარწერები გვხვდება თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, სარიტუალო მაგიდებზე, ჭურჭლეულზე, დოქებზე, ვაზებზე, ძვირფასი მეტალის სამკაულსა და სხვა საგნებზე. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, კრეტული იეროგლიფური და A კლასის ხაზოვანი დამწერლობითი ძეგლების რაოდენობა, შესაბამისად, შეადგენს 331 და 1427 საგანს, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. 2000-1450 წწ.-ით.

1908 წლის 3 ივლისს, კუნძულ კრეტაზე, ფესტოსის მინოსური სასახლის გათხრების დროს იტალიელმა არქეოლოგმა, ლუიჯი პერნიემ ფესტოსის დისკო აღმოაჩინა. ის არის მრგვალი თიხის ფირფიტა, რომლის დიამეტრია 15.8÷16.8 სმ, სისქე — 1.6÷2.3 სმ, ხოლო წონა — 380 გრ. ფესტოსის დისკო დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წწ.-ით.

ჯ. ჩედვიკი ამბობს, რომ ფესტოსის დისკო მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტია. ლ. გოდარი, დ. რუმპელი და სხვები წერენ, რომ ფესტოსის დისკოს ორივე მხარეს ოქროს ყალიბების საშუალებით დაბეჭდილია ნახატ-ნიშნები. ამ მონაცემის მიხედვით, ირკვევა, რომ ფესტოსის დისკო არის ოქროდამწერლობის ნიმუში.

ევროპის, ამერიკისა და რუსეთის ავტორიტეტული მეცნიერები თვლიან, რომ A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ნარწერების შემქმნელმა ხალხმა ადრებრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია.

ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ა. მორპურგო დევისი, დ. სანსონე, ე. ჯ. ბეკერი და სხვები წერენ, რომ A კლასის ხაზოვანი ნარწერები შესრულებულია არაბერძნულ ენაზე.

ს. ლურიე, ვ. ა. ისტრინი, ა. დ. ლეისი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, თ. ყაუხჩიშვილი, რ. გორდუზიანი და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ნარწერების ენა არაინდოევროპულია და არასემიტური.

ფ. შახერმაირის აზრით, კრეტის უძველესი ნარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებს, არის კავკასიური, რომლის გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში.

აკ. ურუშადის კვლევების მიხედვით, „როცა კრეტის ნარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი არაელინური – პელასგური (მაგ., მაკრელთა, დოლიონთა და სხვა) მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. მინოსურ მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული, მრავალი ძაფი აკავშირებს უძველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორიც კუნძული კრეტა იყო. თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ აკავშირებს კრეტას: კრეტის ლეგენდარული მეფის, მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აია-კოლხეთის მეფის, აიეტისა და აიაიელი კირკეს და, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა“.

აკ. ურუშადის საბოლოო დასკვნაა: „მინოსური დამწერლობის მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის – იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს“.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჰ. ცეპიშის მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ ფესტოსის დისკოს და A კლასის ხაზოვანი ნარწერები შესრულებულია პროტო-ქართველურ ენაზე.

დ. მუსხელიშვილი წერს: „აქ უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერებმა დღეს არსებული ქართველური ენების – ქართულის, ზანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის – საფუძველზე აღადგინეს საერთოქართველური ფუძე ენა ანუ ის ენა, რომელზედაც საუბრობდნენ უძველესი ქართველური ტომები, ვიდრე ისინი სამ ზემოდასახელებულ შტოდ განაწილდებოდნენ“.

5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების შესახებ

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფრვა საერთოქართველურ ენაზე წარმოვადგინე 2008-2014 წლის ნაშრომებში (იხ. სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვისას გამოვიყენებ ქართველურ ენათა შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მასალას. ამ მხრივ ვეყრდნობი ა. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის, მ. ჩუხუას და სხვათა ნაშრომებს.

ჩემი გამოკვლევის მიხედვით, ფესტოსის დისკოს A მხარეზე დაბეჭდილია სავედრებელ-საგალობელი, რომელიც ეძღვნება პელასგურ-კოლხურ ქურუმ-ღვთაება კორიბანტებს ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე; ფესტოსის დისკოს B მხარეზე დაბეჭდილია ვედრება პელასგ-კოლხთა ნაყოფიერებისა და მიწის დედაღვთაება ნენასადმი (რეა-კიბელესადმი), ამინდის ღვთაება თარხონისადმი, ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოსადმი, რათა ააყვავონ, განაახლონ, განწმინდონ ტაძარი, ოჯახი და სასახლე.

ჩემი კვლევების მიხედვით, A კლასის ხაზოვან წარწერათა უმრავლესობა არის სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტები. ამ წარწერებში მოცემულია: პელასგურ-კოლხური თეონიმი („ათანაი“), ანთროპონიმები („კიტუნე“, „ტიტიკუ“, „ნადარე“, „იკუტა“), ტოპონიმები („აია“, „კუტაი“, „ფაითო“, „ლასითი“, „იდა“, „დიკიტე“) და ეთნონიმები („მაკარიტე“, „კუკუ-დარა“), ასევე საოჯახო, რელიგიური და საკულტო დანიშნულების ჭურჭელი („კატი“, „კადი“, „კაპაი“, „ასამუნე“), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ლეღვი „ყიყინა“, სელი, ღვინო, ზეთის ზეთი, ზეთისხილი, სანელებლები; მარცვლეული, ხორბალი, ჭვავი, ქერი „დიაი“), პურეული („დიარი“ – პური, ფქვილი), წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ცხვარი, თხა, ღორი, ხარი, ძროხა), სატრანსპორტო საშუალება (ცხენი), სააღრიცხვო სისტემა, არითმეტიკული ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები („შეკრება“, „გამოკლება“), მთელი რიცხვები, ნილადი რიცხვები და სხვა.

ჯ. ჩედვიკის მიხედვით, ამ ჩანაწერთა სრული ავთენტურობა დიდი ფასეულობაა, რადგანაც ისინი წარმოგვიდგენენ საკუთარ სახელთა სიებს, შინაური ცხოველების, მარცვლეულისა და პროდუქტების აღრიცხვას, სიტყვებსა და ციფრებს, ჩანერილს კრეტის ცივილიზაციის შემქმნელი ქალებისა და მამაკაცების მიერ, რომლებმაც არქეოლოგებს დაუტოვეს ასეთი შესანიშნავი განძი.

დასკვნა

ჩემი სამეცნიერო კვლევებით მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები:

1. ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არაინდოევროპული, არაქამიტურ-სემიტური და არაურალურ-ალთაური წარმოშობის იყო; ეს იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ., ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ., ბერძნული) კულტურა და ენა;
2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერიტი ნიმუშების, კირბების –

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიპოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტოქართველურ, პროტონდოევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთოქართველური ენის გავრცელების ტერიტორია;

3. საერთოქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ანუ პელასგის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები საერთოქართველური წარმოშობისაა;
4. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის („სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“, თბილისი, 1965) მიერ, შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, აღდგენილი საერთოქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები;
5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი საერთოქართველური ტექსტების ლინგვისტიკური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და არითმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექმნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთოქართველური კულტურა იყო საძირკველი პროტობერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.

რაზე საუბრობენ საყანჩიას გათხრები

როგორც უკვე ცნობილია XX საუკუნის დასაწყისში ვანელი საზოგადოება ვანის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვას ითხოვდა, რაც განპირობებული იყო აქ შემთხვევით აღმოჩენილ, მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალების საფუძველით. 1947 წლიდან პირველი ქართველი არქეოლოგი ქალბატონის – ნინო ხომტარიას ხელმძღვანელობით საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების გადანყვეტილებით ვანში იწყება ინტენსიური არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები და აქედან არქეოლოგიური გათხრებიც, რაც შემდეგში კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სამუშაოებით წარიმართა. აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული რაიონის სოფლებისა და სტრატეგიული ობიექტების შესწავლა. სწორედ, ამიტომ გადანყდა რაიონის სოფლების იმ ტერიტორიებზე, სადაც დადასტურებული იქნა გათხრების აუცილებლობა, დროულად დაწყებულიყო სამუშაოები, ხოლო შემდეგში ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობის დროს მოძიებული და გამოყოფილი იყო თანხები აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად. ციხესულორის ნაციხარზე სამუშაოების წარმართვა დაევალა ქალბატონ მ. მინიშვილს, მთისძირში – ც. თოლორდავას, შემდეგ გ. გამყრელიძეს, სულორში – /საკაკლიას ტერიტორიაზე/ გ. ინაურს, ხოლო საყანჩიას ველზე – ვ. ლიჩელს.

ამდენად, 1974 წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა რაზმმა ვ. ლიჩელის ხელმძღვანელობით დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა საყანჩიას ველზე. ამის მიზეზი გახდა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი (მონეტა), ქვის თევზი, კერამიკული ფრაგმენტები.

საყანჩიას ველი მდებარეობს ახვლედიანების გორის, ჩრდილო-აღმოსავლეთით და მისგან 800-1000 მეტრითაა დაშორებული. იგი მოქცეულია მდ. რიონის და მის მარცხენა შენაკად მდინარე სულორს შორის და 1,5-2 მეტრითაა შემალღებული მდინარე რიონის ნაპირთან შედარებით. ამ ადგილს მოსახლეობა „სანიესოულსაც“ უწოდებს.

დაზვერვის შედეგად საყანჩიას ველზე აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ელინისტური ხანის კრამიტის, კოლხური ამფორების ქუსლების, თიხის პირამიდული საწაფების,¹ სინოპური და როდოსული ამფორების, ყავისფერი და რუხკეციანი კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

ანაკრეფი მასალის მიხედვით ნაქალაქარი საყანჩიას ველზე მოიცავს დაახლოებით 20-25-ჯა ფართობს. დაზვერვისას აკრეფილ მასალაში გამოიყოფა ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის რამდენიმე ჯგუფი. მასალაში დიდი რაოდენობითაა ყავისფერკეციანი კრამიტის ნატეხები, რომლებშიც მიუხედავად ძლიერი ფრაგმენტულობისა, მაშინდელ ხმარებაში არსებული კრამიტის ორივე ტიპი შეინიშნება – სოლენიცა² და კალიპტერიც.³ იმის გამო, რომ კრამიტის სრულყოფილი ეგზემპლარი არ გვაქვს, მისი განაზომებით შედარება ჩვენთვის ცნობილი ელინისტური ხანის კრამიტებთან არ ხერხდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ საყანჩიას ველზე მოპოვებული კრამიტი ტიპოლოგიურად ვანურს იმეორებს, ოღონდ გაცილებით მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რადგან საყანჩიისა, გაცილებით თხელია: ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი კრამიტის სისქე 2,5 სმ-დან-3 სმ-დეა. აკეცილი გვერდის სიმაღლე 5-4 სმ², ხოლო საყანჩიას ველის კრამიტის სისქე მხოლოდ 2 სმ-ია, აკეცილი გვერდის სიმაღლე კი 4 სმ.

ნაპოვნია რვა ცალი წაკვეთილი პირამიდის ფორმის ყავისფერკეციანი საწაფი, როგორც ცნობილია ასეთი საწაფების ფუნქციის შესახებ ერთხმად მიღებული აზრი არ არსებობს.

1 საწაფი – თიხის პირამიდული ფორმის ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება საქსოვ დაზგაზე კანაფის დასჭიმავად და დასაქსოვად, თევზის საჭერი ბადისათვის და ა.შ.

2 სოლენიცა – ფართე კრამიტი

3 კალიპტერიც – მრგვალი კრამიტი, გამოიყენებოდა სახურავად

ზოგიერთი მკვლევარი მას ძირითადად საქსოვ დაზგას უკავშირებს, ხოლო ზოგი კი მეთევზეობას. ერთ ნაწილს კი მიაჩნია, რომ მათ ორივე დანიშნულებით იყენებდნენ. მსგავსი საწარმოები აღმოჩენილია კოლხეთის როგორც ზღვისპირა ზოლში, (ფიჭვნარი, ბათუმის ციხე, სოხუმის მთა, ეშერა). ისე შიდა რაიონებში (ვანი, ზუგდიდი, ქუთაისი, სენაკი).

ყავისფერკეციანი (კოლხური) ამფორების ქუსლები წარმოდგენილია ი. ზეესტის მიერ გამოყოფილი ორივე სახეობით ძვ. წ. III-II და I სს-ისა. პირველი სახეობისა 13 – ქუსლია, ხოლო მეორესი 3 – ცალი.

ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, აღნიშნავს პროფესორი ვ. ლიჩელი ამფორების ის უსახო ფრაგმენტები, რომელთაც შიდა ზედაპირი შავი ჰქონდათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს ის სიშავე რომელიმე ორგანული ნივთიერების დანვის შედეგად მიღებული დანალექი იყო, მაგრამ ელექტროქიმიურ-ლაბორატორიაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ფრიად საყურადღებო შედეგი მოგვცა: აღმოჩნდა, რომ სიშავე ზედაპირზე ტემპერატურის არასრული რეჟიმის დაცვის შედეგი იყო. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ მეთუნე უკვე იმდენად დახელოვნებულია ამფორების დამზადებაში, რომ ჭურჭლის გამონვის სრულ რეჟიმზე დროს არ კარგავს და ღებულობს იგივე სიმკვრივის ნაკეთობას, როგორსაც ტემპერატურის რეჟიმის სრული დაცვის დროს, რაც თავისთავად, ადგილობრივ მწარმოებელთა სამეთუნეო ხელობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

მომდევნო ჯგუფი ანაკრეფი კერამიკული მასალისა, ადგილობრივი წარმოების მცირე მოცულობის ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, რომელთაგან პროფილი მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია და ისიც არასრულად.

შეგროვილ იმპორტულ კერამიკაში უმეტესობას როდოსული ამფორების ფრაგმენტები შეადგენდნენ: ოვალური და მრგვალგანაკვეთიანი ყურები (19 ფრაგმენტები) პირის ორი ნატეხი და სხვა. ასეთი ტიპის ყურები, პირი და ძირი დამახასიათებელია როდოსული ამფორების სტანდარტული ტიპისათვის, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება.

სინოპური ამფორების სულ შვიდი ფრაგმენტი – ოვალურგანიკვეთიანი ყურის ხუთი და კონუსისებური ძირის ორი ნატეხი. მსგავსი ქუსლები აქვთ გვიანდელ სინოპურ ამფორებს, რომელთაც კვერცხისებური ფორმა, დაქანებული მხრები აქვთ და ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდებიან.

ამფორებთან ერთად აღმოჩენილია სუფრის რამდენიმე ჭურჭელის ფრაგმენტიც. შავლაკიანი თეფშის პირი, ჩალისფერკეციანი ქუსლიანი ლანგარი.

წარმოებული დაზვერვების პარალელურად გაკეთდა ოთხი სადაზვერვო თხრილი, რომელშიც დადასტურდა ფენების შემდეგი მონაცვლეობა: 1. კორდოვანი (სიმაღლე 10-15 სმ); 2. რუხი-მონაცრისფრო (კულტურული) – 50-60 სმ; 3. წვრილი რიყის ქვიანი (საინტერესოა, აღნიშნავს ბატონი ვ.ლიჩელი კულტურული ფენა უმუშალოდ ადევს ისეთივე ხრეშის ფენას, რომელიც, ამჟამად, მდ. რიონსა და ნაქალაქარს შორის არსებულ ველს ქმნის, ჩნდება მოსაზრება ხომ არ ნიშნავს ფენების ეს მონაცვლეობა იმას, რომ დახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე რიონი კიდეც უფრო სამხრეთით – ახლანდელი ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიედინებოდა, ვიდრე ძვ.წ. III-I საუკუნეებში. ელინისტური ქალაქის არსებობის დროს? მაშინ გამოდის, რომ 2500-3000 წლის განმავლობაში მდ. რიონს დაახლოებით 1000 მეტრით „გადაუნაცვლებია ჩრდილოეთისაკენ“.

პირველსავე სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა მსხვილი რიყის ქვის ძლიერ დაზიანებული წყობის ნაშთი (სიგრძე 5-მეტრი), რომელსაც ზემოდან დამსხვრეული კრამიტების სუსტი ფენა ედო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადგილები ხშირად მუშავდებოდა საპლანტაჟედ და ამის გამო კულტურული ფენა მთელს შესწავლილ ფართობზე ძლიერ დაზიანებულია. ამავე თხრილში, ქვის წყობის აღმოსავლეთით 1,5 მ-ის დაშორებით ხის დანახშირებული ნნულის ნაშთი აღმოჩნდა.

კულტურული ფენა საკმაოდ მდიდარია როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული კერამიკული ფრაგმენტებით.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დაგროვდა ელინისტური ხანის კრამიტის ნატეხები, რომლებიც ზომებით ანურეფ კრამიტის ფრაგმენტებს იმეორებენ.

ყავისფერკეციანი ქვევრის გვერდის რამდენიმე ნატეხთან ერთად ნაპოვნია ადგილო-

ბრივი ამფორის ფრაგმენტები ძვ.წ. III-II სს. ერთადერთი ჭურჭელი, რომელიც თითქმის მთლიანად გადარჩა არის ადგილობრივ დამზადებული ყავისფერკეციანი თასი, რომელიც ზუსტად იმეორებს ელინისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ შავლაკიან ნახევარსფერულ თასს იმ განსხვავებით, რომ მას ქუსლი არ აქვს.

ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე: რამდენიმე თიხის პირამიდული საწაფი, რკინის ლურსმნები (სიგრძით 6-11სმ.). იმპორტული ნაწარმი ძირითადად ამფორებითა და სუფრის კერამიკითაა წარმოდგენილი.

სინოპური ამფორების ქუსლის, ყელ-პირის და კორის ამფორის ფრაგმენტებია წარმოდგენილი, აგრეთვე ანალოგიურად ესენიც ემსგავსებიან ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მასალებს და ძვ.წ. III-II საუკუნეებით თარიღდებიან.

მნიშვნელოვანია აგრეთვე შავლაკიანი კერამიკის სახეობა. კანთაროსები, რომლებიც ძირითადად ქუსლების სახითაა შემონახული, მხოლოდ ერთ მათგანს შემორჩა კანელურებიანი გვერდის ნაწილი, რაც მათი მეტ-ნაკლებად ზუსტად დათარიღების საშუალებას იძლევა. როგორც ცნობილია, კანთაროსების ქრონოლოგიურ ევოლუციაში კანელურებიანებს ძვ.წ. IV სს-ის დასასრულს მიაკუთვნებენ ან ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით ათარიღებენ. საყანჩიას კანთაროსი სწორედ ძვ.წ. III ს-ით უნდა დათარიღდეს, რადგან ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველა დანარჩენი ფრაგმენტებისათვის ეს ყველაზე დაბალი ქრონოლოგიური ზღვარია და კეცის მიხედვით ანტიკურ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

თასების ორი ვარიანტია: ნახევარსფერული, რომელსაც შავი ლაკი მხოლოდ ქუსლთან შემორჩა და პირგადაშლილია, რომლის მხოლოდ პირკედლის ნაწილი გადარჩა. ნახევარსფერული თასების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ სამყაროში (ათენის გორა), აპოლონია, ფანაგორია, ვანი რომლებიც ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II საუკუნის შუახანებით თარიღდება, ხოლო პირგადაშლილი თასი, რომელსაც მოყვითალო ნაბლისფერი კეცი აქვს ძვ.წ. III -ის პირველი ნახევრით თარიღდება (ნაპოვნია ათენის გორაზე და ვანში.).

საინტერესოა აგრეთვე სათევზე ლანგრები, რომლებიც საყანჩიას ველზე აღმოჩნდა, ისინი ორი სახის განსხვავებული თიხისგანაა ნაკეთები და შესაბამისად სხვადასხვა საწარმოო ცენტრებს უკავშირდებიან. ერთი მათგანი ყვითელი მოყავისფრო კეციანია და ალაგ-ალაგ აქვს შემორჩენილი შავი ლაკი. ვანში აღმოჩენილი პარალელების მიხედვით ისთია ძვ.წ. II ს-ით თარიღდება. ხოლო რაც შეეხება საწარმოთა ცენტრს, შევნიშნავთ, რომ ფ. ვაგეს ცნობით, ასეთი ფერის თიხა ელინისტური ხანის ათენის ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მსგავსი კეცი აქვს ანტიოქიის ელინისტური და ადრერომაული ხანის კერამიკასაც. ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ საყანჩიას ველზე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად უხვად იქნა აღმოჩენილი, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული სახის კერამიკული ნაწარმი, რაც მრავალ პარალელს ავლენს, როგორც ბერძნულ, ასევე სხვადასხვა უცხოურ და ადგილობრივ სავაჭრო ცენტრებთან.

მნიშვნელოვან აღმოჩენებთან აკავშირებს პროფ. ვ. ლიჩელი ბაზალტის ჯიშის ქვისგან გამოთლილ „თეფშს“, რომელსაც ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული ოთხი შვერილი აქვს გვერდებზე, ხოლო ერთი ვერტიკალური კი შუაში, პირის კიდის ზედა მხარე და ძირი სუფთად აქვს დამუშავებული, ხოლო გვერდების შიდა და გარე მხარე წვეტიანი იარაღითაა დაკეჭნილი, ამ თეფშის გამოყენება გამორიცხულია მისი ვერტიკალური შვერილის გამო. იგი ალბათ, რაიმე საკულტო რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს.

საინტერესოა ლისიმაქეს ოქროს სტატერი, რომელიც 1966 წელსაა ნაპოვნი საყანჩიას ველზე მიწის დამუშავების დროს №1 სადაზვერვო თხრილიდან დასავლეთით 30 მეტრის დაშორებით. ეს სტატერი, რომელიც ამჟამად ქუთაისის მუზეუმში ინახება გამოქვეყნებული აქვს გ. დუნდუას და დათარიღებულია ძვ.წ. 306-282 წწ. მონეტის შუბლზე გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის თავი დიადემაში (ამონის რქით), ხოლო ზურგზე ცხენზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც შუბი უჭირავს და მარცხენა ხელის იდაყვით ფარს ეყრდნობა. წინ განვდილ მარჯვენა ხელზე ნიკე დგას, ხოლო ნიკეს ქვემოთ ფრინველის გამოსახულებაა. აქვს წარწერა ΒΑΣΙΛΕΥΣ (ათენას უკან) ΑΡΧΙΜΑΧΟΙ (ათენას). საქართველოს ტერიტორიაზე ექვსი ასეთი მონეტა ყოფილა ნაპოვნი.

ამ არქეოლოგიური მასალებით, როგორც პროფესორი ვახტანგ ლიჩელი აღნიშნავს ამოიწურება საყანჩიას ველზე დღემდე დაზვერვით თუ შემთხვევით მოპოვებული მასალები¹ 70-80-იან წლებში. თან წერს: მოპოვებული მასალა გვაძლევს საფუძველს ამ ადგილას ვივარაუდოთ ქალაქის არსებობა, რომლის დაარსების ხანა ძვ.წ. III საუკუნეა. ქალაქი, როგორც ჩანს ფუნქციონირებდა ძვ.წ. I საუკუნემდე, ხოლო ამ დროიდან იგი ახვლედიანების გორაზე გათხრილ ნაქალაქართან ერთად კვდება და გაუკაცრიელებულ ველზე ელინისტური ნაგებობებისაგან წარმოქმნილი, რამდენიმე მცირე ბორცვიდა რჩება, რომელთა „გასწორება“, ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ თითქმის საბოლოოდ ანადგურებს ქალაქის პირვანდელ სახეს.

რა თქმა უნდა, სადაზვერვო მუშაობით მოპოვებული მასალა თითქმის არავითარ საფუძველს არ იძლევა ქალაქის ხასიათისა და სტრუქტურის შესახებ მსჯელობისათვის, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა, დასძენს პროფესორი ვ. ლიჩელი, საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს, კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 – საყანჩიას ველზე ქალაქის დაარსება ემთხვევა ახვლედიანების გორაზე გათხრილი ქალაქის აღორძინების ხანას. 2 – ქალაქი არსდება სატაძრო ქალაქთან ძალიან ახლოს, მაგრამ არა მის გარშემო (მანძილი ამ ორ ნაქალაქარს შორის ფეხით მოსიარულეს შეუძლია 15 წუთში დაფაროს). 3 – ქალაქი შენდება ზედ რიონის პირას, რომელიც როგორც ცნობილია, კოლხეთის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სანაოსნო მაგისტრალს წარმოადგენდა საკვლევ პერიოდში. მაშინ ცხადი ხდება ამ ქალაქის წარმოქმნის მიზეზიც და მისი ფუნქციაც. ამდენად, ახვლედიანების გორაზე დაარსებულ სატაძრო ქალაქს, რომლის მცირერიცხოვან მოსახლეობასაც მაღალი წოდება – კულტის მსახურებასთან დაკავშირებული პირები შეადგენდა, არსებობისა და ფუნქციონირებისათვის ესაჭიროებოდა გაცილებით დაბალი ვაჭრობისა და ხელოსნების ფენა, რომლის დანიშნულება სატაძრო ქალაქის მატერიალური უზრუნველყოფა იქნებოდა. ამდენად, საყანჩიას ველზე აღმოჩენილი ქალაქი წარმოადგენს ახვლედიანების გორაზე გათხრილი სატაძრო ქალაქისადმი დაქვემდებარებულ სამეურნეო დანიშნულების დასახლებას და ცხადია, ვერ ცვლის მის საკულტო ხასიათს.

მოპოვებული კერამიკული მასალა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ელინისტური კოლხეთის ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებასა და სავაჭრო აღებ-მიცემობის აღმავლობაზე, მისი შიდა რაიონების სავაჭრო ურთიერთობათა ფართო ქსელში მოქცევაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანი – III ვ. ლიჩელი ახლარმოჩენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე. 1977 წ.
2. ვანი – I გ. ლორთქიფანიძე ძველი კოლხეთის ისტორია. თბილისი 1970 წ.
3. ოთ. ლორთქიფანიძე ანტიკური არქეოლოგია თბ. 1971 წ.
4. ნ. მათიაშვილი ძვ.წ. III – I ს. კოლხეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1974 წ.
5. გ. დონდუა საქართველოში გავრცელებული მონეტები. ლისიმაქეს სტატერი.

დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით

„ვანის რაიონის ისტორიის, ენოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ წინა, მეშვიდე ნომერში გამოვქვეყნეთ სტატია „ვანის რაიონის ეკონომიკა 1985-2010 წლებში“, რომელშიდაც მიმოხილცვაც და ანალიზიც გაკეთებული იყო ზოგად ჭრილში, თუმცა ეყრდნობოდა ფაქტებს. რიგ მიმართულებებში გაკეთდა შეფასებებიც იმ დოზით, რის საშუალებაც მოგვცა სტატიის ფორმატმა. ითქვა ისიც, როგორ სირთულეთა წინაშე დადგა რაიონის მოსახლეობა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად, რაც ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში გაჰყვა გაუთვლელ, შეუმომხმებელ ექსპერიმენტებსა და ეკონომიკის, როგორც ბაზისის მიმართ მერკანტილურ, გულარხეინ დამოკიდებულებას, რის გამოც რაიონის ეკონომიკამ დაკარგა მთავარი – სოციალური პრობლემების დამბალანსებლების როლი, ხოლო შედეგებს ჰქონდა კატასტროფული სახე. საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ათასობით ადამიანი 1991-2010 წლებში აღმოჩნდა უმუშევარი, ამ და როგ სხვა ფაქტორთა ჯაჭვის გამო რაიონის მოსახლეობა 20-წლიან ციკლში შემცირდა 38%-ით, 15 000 კაცით, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ პროცესთა დისბალანსით უნდა აიხსნას.

წინამდებარე სტატიას ღრმა კვლევის პრეტენზია არ გააჩნია, მაგრამ ის რაც ზედაპირზე დევს და პრაქტიკული მაგალითების სახით ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ასევე ღრმა დაფიქრების საფუძველს მაინც იძლევა და მას ვერ განვიხილავთ, როგორც კონკრეტულ მოვლენას, მხოლოდ ვანისათვის. იგი გამომდინარეობს ქვეყანაში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კრიზისული განვითარების შედეგებიდან.

ჩვენს მსჯელობას ინფორმაციული ხასიათი აქვს, თუმცა ემყარება რეალობას, კონკრეტულად ვანთან მიმართებაში მაინც. საკითხი გლობალური პრობლემის შემადგენელი ნაწილია, დაკავშირებულია ასევე გლობალურად განვითარებულ მოვლენებთან, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გვაქვს სატირალი და ლოდინი არ ღირს იმაზე ქართველების გარდა სხვა ვინმე უფრო გულიანად ჩაერთვება ჩვენს საწარმოში, შვებას მოგვგვრის და პრობლემებს გადაგვწყვეტს. ამის გაკეთებას თუ რომელიმე ქვეყნის გარეძალა შეეცდება, იმასაც ეცდება, რომ ქართველთა სახელმწიფოს ხარჯზე სათავისოდ ღონიერი უკუგება მიიღოს, ეს ასეა ყველგან და ყოველთვის, რომელშიც ქართველები მთლად ღრმად გარკვეულად არ გამოვიყურებთ.

საერთოდ უნდა ითქვას: ყოფილი ხელისუფლებები, რომელთა მმართველობის დროსაც რაღაც 20-წლიან მონაკვეთში 5,6 მილიონიანი ერიდან ეკონომიკურ და სოციალური შეუსაბამოთა გამო ქვეყანას 2 მილიონზე მეტი კაცი დატოვებს და ელემენტარული პრობლემების მოსაწესრიგებლად სხვა ქვეყნებს შეეხიზნება, თანაც უაღრესად დამამცირებელი პირობებით, ვერც სრულყოფილებით დაიქადნის და ვერც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებსა და მართვის საკითხებში ღრმა ჩაუხედაობაზე.

ვინც ისტორიულ რეალობებს ზერელედ არ უყურებს ხვდება, რომ საზოგადოებრივი განვითარების ზიგზაგობრივ ველზე არაფერი ციდან არ ცვივა, იგი დატვირთულია უარყოფითი ტენდენციებით და ძირითადად განპირობებულია მართვის პროცესებში დაშვებული შეცდომებით, რომლის გასწორებაც დროულად ვერ მოხერხდა. არაერთ ფაქტორთან ერთად ბევრი რამ დამოკიდებულია კადრებზე, შემთხვევით კადრებზეც.

ის, რომ ვანი არამარტივი პრობლემების წინაშე დადგა, ამის მიზეზები როგორც ითქვა, მხოლოდ რაიონულ არეალში არაა საძიებელი. 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში გამეფებულმა რუტინამ განაპირობა ყოველივე ეს. რატომღაც მე ასე მგონია ხელისუფლებები, რომლებიც ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს, ტერიტორიების 20%-ი დაკარგავს, თავისი ხალხის მასიური გაღატაკების მოწმე გახდება, სამწუხაროდ, დიდი პოლიტიკური ჭკუითა და შორსგამჭვრეტელობით ვერ იამაყებს. მიუხედავად ვინ, როგორ ხოტბას არ უნდა ასხამდეს მათ, ისე

როგორც არავითარი გამართლება არ გააჩნია იმდაგვარ განვითარებას, როდესაც კომპლექსური მოშლილობის ფონზე ხელისუფლებები თითქმის ზედიზედ რევოლუციური გადატრიალებებით იცვლებიან. როგორი ეპითეტიდაც არ უნდა მოვიხსენიოთ პროცესი, გნებავთ ვარდების, გნებავთ ჭინჭრების და ა.შ. ქართველობამ ყოველივე ეს ამ მოკლე პერიოდში გამოსცადა, გამოსცადა როგორ ნიღბავდა ყველაფერს ცრუ დაპირებები, მერკანტილიზმი და ამბიციები. უნდა დავიმონმო ბატონ თამაზ ჩხენკელის მიერ 2001 წლის 22-28 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის ერთი ადგილი... „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ დამოუკიდებლობას არ მოუტანია ჩვენთვის მოსალოდნელი სიხარული და ერთუზიაში. მიზნის მისაღწევად თავად ჩვენ უაზრო მსხვერპლის გარდა არაფერი გაგვიღია. იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც ითავეს სახელმწიფოს გაძლოლა, ძალაუფლებისადმი პათოლოგიური ლტოლვა უფრო გამოავლინეს, ვიდრე პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და შედეგმაც არ დააყოვნა. საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი უცხო სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება, გამეფებულია ცხოველური ეგოიზმი, მოხვეჭის ველური ყინი, ჩვენი თავმოყვარეობა შელახულია, ნაციონალური ინტერესებისადმი სუფევს გულგრილობა და აპათია... ანტიქართულ ძალებს ხსნილი აქვთ გზა“. ეს შეფასება ნამდვილად ეხება ჩვენი მიმოხილვის პერიოდის ჩარჩოებს, რომელსაც შეიძლება დავამატოთ კიდევ ერთი რამ: სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წინ იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, მსხვერპლი და შიში, ასევე რამდენადმე სახელისუფლო, ქვეყნისშიგა ავანტიურიზმის გამოვლინებანი 26 მაისის საკუთარი ხალხის არნახული დარბევით, რომლის შედეგებიც მიუხედავად 2012 წლის პოლიტიკური კლიმატის ცვლილებისა ჯერჯერობით, საბოლოოდ არ გაფერმკრთალებულა. დემაგოგია იყო შეინიღბული ჭეშმარიტების მანტიით, ესაა უბედურება. საბოლოო ჯამში, პროცესთა ასეთი დალაგება „დიდებულად“ აისახა რეგიონებისა და რაიონების, მათ შორის ვანელთა ყოფაცხოვრებაზეც. სიღარიბე დააბიჯებს დღეს „საჩინოს სივრცეში, რომელმაც ნაშალა ვანელთა ოჯახების დიდი ნაწილის სიამაყე, მიადგა ტრადიციულ, ქართულ თავმოყვარეობას და ეროვნულ ზნეობრიობასაც, პატრიოტული ცნობიერების გათავისებასაც, რომელიც დღეს ნელ-ნელა იქცევა დასაცინ ფენომენად. თავგადარჩენის განცდა ფარავს ღირსების გრძნობას, ოჯახის წევრთა მთლიანობას. ერის აღსაზევებლად ღვთისგან მომადლებულ ინტელექტუალურ და ფიზიკური შესაძლებლობები სხვა ხალხთა აღორძინებას ემსახურება. უკიდურეს ისტორიულ ქარტეხილთა შუალედშიც კი, არ ახსოვს ქართველობას ოჯახებისა და ოჯახის წევრთა ასეთი დაფანტულობა.

სამწუხაროდ, არაერთ ქართველსა და ორგანიზაციას ასდის დღეს აღენ დალესის სუნი.

საყოველთაოდ ცნობილია, დემოგრაფია დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო პრობლემას, მაგრამ განუწყვეტელი აპელირება იმაზე, რომ ეს მსოფლიო პრობლემაა, უკვე არასერიოზულ სახეს იძენს. მონესრიგებულ ქვეყნებში ღონისძიებათა კასკადს მიმართავენ პროცესის შესაკავებლად. სხვა რომ არა მაგალითად დეგოლის მიერ საფრანგეთში გატარებული ღონისძიებებიც იკმარებს და იმის გაცნობიერებაც, რომ დიდი ქვეყნები ამ პრობლემით ეროვნული კატასტროფის წინაშე შეიძლება არ დადგნენ, მცირე ერებს გვაქვს ეს მოსალოდნელობა და ამისათვის ქართველთა მიერ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციათა კვლევების არდავინწყებაც ივარგებს. სანახევროდ დაცლილია საქართველო და ჯერ კიდევ არ გამოჩენილა სახელმწიფოებრივი რანგის მსჯელობა კონკრეტული გეგმით იმაზე, თუ რა გზას უნდა დავადგეთ, თუ არ ჩავთვლით თითზე ჩამოსათვლელ ერთეულ მეცნიერს. არც მეცნიერთაგან მასიურად, არც ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიიდან, არც ხალხის რჩეულთა სამუშაო შტაბიდან — პარლამენტიდან, ამ პრობლემაზე ფართო მსჯელობა საზოგადოების აზრის მოსამწიფებლად, პროცესთა შესაკავებლად, მოქმედებაში მოსაყვანად არ გვიგრძნია. არაფერს ვამბობთ მედეასაშუალებებზე საერთოდ, რომლებიც ხშირად ქადაგებენ „უმცირეს გამოჩენილთა“ უფლებების დაცვაზე, მაგრამ არც აინტერესებთ და იშვიათად, თუ იტყვიან იმ უპირველეს საკონსტიტუციო უფლებაზე, როგორიცაა შრომის, დასაქმების უფლება, ამ ფენომენის პრაქტიკულ შედეგებზე, რომელზედაცაა მიბმული მიგრაციული პროცესები. გაფერმკრთალებულია ნაციონალური აღზრდის მუხტის მნიშვნელობა, რადგან ერთია შექმნილი გაუსაძლისი პირობები, მაიძულებელი ადგილის ფუძის

მიტოვებისა, მაგრამ უმნიშვნელოვანესია თუ მასიურად იქნება მიტოვებული სამშობლო იმ ძალებისაგან, რომელთა მხარეებზეც უნდა დადგეს მომავალი, ვის უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის გადარჩენასა და სრულქმნაზე ზრუნვა?! ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ პრობლემა მართვადი პროცესის სახეს იღებს, ის თავბრუდამხვევი ტემპი, რაც ქვეყნიდან მთავარი, ახალგაზრდა, ჯანსაღი საწარმოო ძალების, ცოცხალი ადამიანების გადინებას განსაკუთრებულად, 1992-2005-2011 წლებში მოჰყვა, ტოვებს ასევე განცდას, რომ ხელისუფლებები ცდილობდნენ ადგილებზე ამდენი დაუსაქმებელი და გაღატაკებული, პერსპექტივადაკარგული ადამიანთა მასების გარეთ გადინებაზე ხელშეწყობით თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური დარტყმები და აფეთქებები, რომელიც უმუშევრობასა და აქედან გამომდინარეულ თანმდევ, მინიმუმ ორ ათეულამდე, სხვადასხვა პრობლემას პარალელურად მიჰყვება და ადრე თუ გვიან საშიშ ძალად ყალიბდება.

ჩვენ მივუთითეთ ოჯახის ფენომენის დასუსტებაზე, მხედველობაში გვაქვს ქალის, ოჯახის დედის როლი, ქვეყნისათვის, ერისათვის და განსაკუთრებულად, შვილებისათვის, ის რომ ისინი ხანდისხან „სკაიპით“ ესაუბრებიან ერთმანეთს ათასობით კილომეტრის დაშორებით ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაუხცოვება შვილებსა და მშობლებს შორის, რომელიც ხანგრძლივმა განშორებამ წარმოშვა არ არსებობს. მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებულად არასრულწლოვნები, რომელთათვისაც ნამდვილად იქცა უცხო დედის ფენომენი, მშობლის ფენომენი, რომელიც განსაკუთრებულად ზის ქართულ კოდში, ქართულ ხასიათში და თუ ამას გზადაგზა დაკარგავთ, მაშინ მართლაც „საძვარზე მიშვებულ ნახისრ დავემსგავსებით“.

ქართველობა არ მიეკუთვნება იმ ერს, იმ ნაციას (სხვა არაერთისგან განსხვავებით), რომელიც ასე ხელალებით და შეჭირვების ელემენტარული პირობების გამო ტოვებს თავის ფუძეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი ეხება სამშობლოს ფარგლებში იძულებით გადაადგილებასაც. მეცნიერულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს კოდი ათასწლეულთა სიღრმიდან მოჰყვება ქართველობას და მის შეზრდილობას იმ განუმეორებელ ლანდშაფტთან, გარემოსთან, იმ ეზო-კართან, რომელსაც ის უვლის, რომელშიდაც ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა და მოქმედებისა და ქცევის ნესებიც, ალამაზებს მას, ამ გარემოში ხედავს პერსპექტივას, სადაც მათ წინაპრებს უღვრიათ ოფლიც და სისხლიც. ამაში ჩანს უზადო სიყვარულის განცდაც წინაპართა მისამართით და დიდი ოპტიმიზმიც, მომავლისადმი რწმენაც. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში განვითარებული მოშლილობის შედეგად დადგა ისეთი გაუსაძლისი ჟამი, რომელმაც ადამიანები იძულებულყო გადაედგა ასეთი, შინაგან ბუნებას დაშორებული, არადაამახასიათებელი ნაბიჯი და ადგილის ფუძის იქეთ ეძებნა ხსნა. ვანის სინამდვილეში მომეტებულად ქალბატონებმა იკისრეს ეს მძიმე ტვირთი, რომელსაც გზადაგზა მიჰყვა მთლი ოჯახების გახიზვნა. ცხადია, აქ არ ვაპირებთ ამ პროცესთა დეტალიზებას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ შედეგი, რომელიც ქართული ოჯახის ფენომენის დასუსტებაში გადაიზარდა, ასეთი პროცესისადმი დამახასიათებელი ყველა ნიშნით და იგი ნელ-ნელა იწვევს ქვეყნის, ეროვნული ფენომენის, ღირსების ტრადიციულობის დასუსტებასაც, რომლის კომპლექსიასაც ვერ შეძლებს ქვეყნის გაერთ, იძულებითი შრომის საფასურად მოპოვებული გროშებით „გარემონტებული“ ქართული საცხოვრისები და მეორადი ტანსაცმელი, რომელშიდაც დღეს თითქმის მთელი საქართველო ვართ გახვეულნი. ასეთი შეფასებისათვის თავდახრილად ვიხდი ბოდიშს, საკუთარ ფუძეს დაშორებულ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული თითოეული ადამიანის და ადგილზე დარჩენილთა მიმართაც, მაგრამ ეს მოვლენა, ქვეყანაში გამეფებულმა შიმშილის შიშმა იმ დროის სახელმწიფოს მაკოორდინებელი როლისა და შეჭირვებისას ერთად დგომის გაცნობიერების დამდაბლებამ დაბადა ეს მოვლენა.

თუ საუბარი ნავა 1991-2010 წლებში სახელმწიფოს როლზე, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას (ეს ჩემი სუბიექტური აზრია) სახელმწიფო ვერც იქცა და არც უცდია მაქსიმალური ძალისხმევით პროცესების შემაკავებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც უპირველესად უნდა გამოვლენილიყო დასაქმების ადგილების შექმნით, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვით. თუ რაზე დაფუძნებით კეთდება ეს დასკვნა, ამაზე ცოტა ქვემოთ

შევჩერდებით. საუბარი იმაზე, რომ დასაქმების ადგილებს ქმნის ბიზნესი, ეს ასეა, მაგრამ ეს ასეა გამართულ, მონესრიგებულ ქვეყნებში, რომლებიც ასევე დაზღვეულნი არ არიან ცალკეული ზიგზაგობრივი განვითარებისგან, რომელ დროსაც სახელმწიფო თავისი ფუნქციიდან და პასუხისმგებლობიდან სიტუაციათა დასაწერიგებლად ბევრ რაიმეს იღებს საკუთარ თავზე. მაგალითად იკმარებს აშშ-ს 1930-იანი წლების კრიზისი, რომლიდანაც ქვეყნის გადასარჩენად არჩეული იქნა აშშ-ს საზოგადოებრივი ნყოფისათვის დროებითი, მაგრამ უჩვეულო გადახრა. შედეგმა გაამართლა, თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ განსხვავება მაშინდელ ამერიკულ კრიზისსა და ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენების დეტალებში ძალიან დიდია, მაგრამ აქ საუბარია ზოგჯერ არაორდინალურ და სარისკო გადანყვეტილებების მიღებაზე, რომელიც რეფორმის ტოლფასი შეიძლება იყოს, ხოლო, როგორც ცნობილია „ყოველგვარი რეფორმა წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება მტკიცე და ენერგიული ხელისუფლების ფარს ქვეშ.“

და კიდევ ერთიც: მესამე ათული წელი მიდის ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, რაც არ არის ცოტა დრო. ისტორიამ იცის მაგალითები დროის ამ მონაკვეთში აღმოცენებულა ახალი სახელმწიფოც, მიუღწევია მაღალი განვითარებისათვის და მომენტთა გამო შეუწყვეტია არსებობაც. ხანგრძლივია ეს დრო იმისათვის, რომ ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური პირობები დალაგებულიყო, რომ ადამიანებს ქვეყნის მიტოვებაზე არ ეფიქრათ. მითუმეტეს ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ცნობილია, ქვეყანამ მიიღო მილიარდობით დახმარება, „ტრანშების“, „გარანტიების“ სახით, მათ შორის 4 მილიარდამდე მარტო ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით (აღბათ იმიტომაც, რომ ამ კომპენსაციით მავანთა და მავანთათვის პრობლემები არ შექმნილიყო). ეს და ზოგიერთი სხვა პროცესები გვექონდა მხედველობაში, როდესაც ზემოთ სიტუაციების დანესრიგებაზე გვექონდა საუბარი. სამწუხაროდ, ფსიქიკა შეირყა, ნელ-ნელა ვკარგავთ საკუთარ პოტენციალზე რწმენას, გვერდს ვუვლით მეცნიერებას. საკუთარ უნიათობაზე ხშირად მივდივართ პროცესთა სხვაზე გადაბრალების გზით, გრძელდება სხვათა მოიმედების ნეგატიური ტრადიცია. დიდი ილია მინდა დავიმონმო: „რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან მოვიდოდა ჩუენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, ამას აღარ დავდევედით და პირღია შევეყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, სამზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგველო განუსჯელად, აუნონელად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა რა, ჩვენკენ გამოიბოდა, თან ორიოდ მზად გაკათებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენდა ხოლმე თვალწინ ჩვენ უმეცრებს და უცოდინარებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. სამზღვარგარეთ ესეაო, თქვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც სხვა გზა არა გვექონდა, უნდა დაგვეჯერებინა და ვიჯერებდით კიდევ. ამას კიდევ არ გვაკმარებდა ხოლმე, რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო, ჩვენც ვეძახდით მართალი ბრძანდებაო?“¹ საუბედუროდ, ბოლო პერიოდების მანძილზე ქართველობამ ბევრი ასეთი უსარგებლო მტვერი ჩავყლაპეთ. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მეცნიერული კვლევაა საჭირო, სადაც საკუთარი არ იკმარებს, გამოვიყენოთ სხვისიც ოღონდ არა ბედისმადიებლების. ღრმად ვართ დარწმუნებული ქართველ კომპენტენტურ მეცნიერებს, საკითხში ჩახედულ ადამიანებს თუ დრო და საშუალება მიეცემათ ამ საკითხის შესწავლა და ანალიზის დადება შეუძლიათ. შემდეგში კი ყველაფერი დამოკიდებული იქნება კვლევის შედეგების ხელშეწყობილ რეალიზაციაზე... სიტუაციიდან გამოსვლის ყოვლის მომცველი პროგრამაა საჭირო, ეს შეგრძნება დღეს განსაკუთრებულად დიდია.

თავის დროზე ვანში, რაიონის დინამიკური განვითარებისა და აქედან პრობლემათა გარკვეული წყების მოხსნისა, პრაქტიკა აჩვენებს, სასოფლო (აგრარული) რაიონები, ისეთე-

ბი როგორცაა ვანი, თავისი რელიეფური აღნაგობით და სიძნელეებითაც საჭიროებენ არ-ამარტო ადგილობრივ ხელისუფალთა, არამედ ქვეყნის ფართომასშტაბიან მხარდაჭერასა და დახმარებასაც. ამაში სათაკილო არაფერია, თვით მაღალგანვითარებულ, წამყვან ქვეყნებშიც იშვიათია შემთხვევა, რომ ეს სფერო დოტაციური არ იყოს, მონესრიგებული ქვეყნები ქმნიან მისთვის განვითარების კლიმატს, დაწყებული თანამედროვე ტექნიკური არსენალიდან, მისი ხელმისაწვდომობიდან, პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიების უზრუნველყოფით სანამ დარგი ფეხზე არ დადგება, მიუხედავად ბოლო ოთხ წელიწადში ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებებისა წარმატებულ საბოლოო შედეგებზე საუბარი ჯერჯერობით ზედმეტი იქნება, თუმცა ხსენებულმა ნახმარებამ ინდივიდუალურ მეურნეობებს საქმის კონკრეტული შემსუბ-უქება მაინც აგრძნობინა. ეს აუცილებლობა იგრძნობა XXI საუკუნის 10-იანი წლების შუა პერიოდშიც, საუბარი იმაზე, რომ ამდაგვარ რაიონებში ბიზნესი შექმნის წინაპირობას მდგო-მარეობის გასწორებისათვის, ეს მრავალმხრივი, ურთულესი პროცესია. ჯერჯერობით მყარად არ ჩანს და არაერთ მძაფრ პრობლემებთან ერთად იგი ასეთად დარჩება უახლოეს მომავალ-შიც, თუ არ მოიძებნა დაკონკრეტებული, არაპოპულიზმზე შემდგარი, პროგრამად ქცეული პრაქტიკით განივთებული გამოსავალი.

რისკფაქტორებიცაა ასეთ ზონებში და ვანშიც მეტისმეტად კონცენტრირებული, რის გამოც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჩნდეს ახალი და გაუთვალისწინებელი შემთხვევები, არაერთი, არამედ რამდენიმე ერთად. დროში ერთდროულადაც – დაწყებული მეტეოროლო-გიური ცვლილებებისა და მისი თანხლები სიურპრიზებიდან, სოციალური ასპექტის ისეთი თანმდევი ვითარების წარმოქმნით, რომელზედაც დამოკიდებულია მიგრაციული პროცესების მომენტალური განვითარება. ეს პრობლემა, რომელიც ძნელად ასშორებელია და მსოფლიო მოვლენის სახეს ატარებს საჭიროებს გათვლილი და გეგმაზომიერ საქმიანობას.

ამჟამად, განვითარებულ პრობლემათა გამო, დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზ-რისით ვანის მოსახლეობის რაოდენობა დაეშვა 144 წლის წინანდელ დონეზე, სადაც 1873 წლის აღწერის მიხედვით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული სტატის-ტიკური კომიტეტი იუნყებოდა (გამოქვეყნდა 1879 წელს), რომ იმ სოფლებში (დასახლებებში), რომელებიც დღეს შემოდინ ვანის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ცხოვრობდა 19 222 კაცი. მითუმეტეს კომლთა რაოდენობა მითითებული დოკუმენტის მიხედვით გაცილებით ნა-კლებია, ვიდრე დღეს და შემდგომი პერიოდების აღწერებიდანაც ჩანს, რომ დემოგრაფიული სალდო დადებითი ბალანსით მიემართებოდა. 1886 წლისათვის ვანში ცხოვრობს 4 197 კომლი, 22 580 მაცხოვრებლით. ამასთან ცნობისათვის საზოგადოებასა და მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ კონკრეტულ მონაცემს:

სსრ. საქ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ადმინისტრაციული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა
ტფილისი 1925 წელი.

თემებისა და მათი ცენტრების დასახელება	სოფლების თემობრივი დასახელება	კომლთა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი
გორას თემი ცენტრი ზეინდარი	ზეინდარი	147	614
	გორა	500	2342
	სალომინაო	401	1849
	როხი მე ² -	329	1556
	ვარციხე	237	1033
	ბაგინეთი	40	221(დღეს დაცლილია)
	ბაზოთი	76	362(დღეს დაცლილია)

ვანის თემი ცენტრი ვანი	გაღმა ვანი	116	554
	ქვედა და ზედა ვანი	633	2994
	ციხესულორი – (ზედა და ქვედა)	350	1556
	ტყელვანი	115	629
	სალხინო	250	1204
	დიხაშხო	243	1232
	ისრითი	190	908
	ციხისუბანი	42	212
	ონჯოხეთი	126	656
ამაღლების თემი ცენტრი ამაღლება	ამაღლება	216	1001
	ინაშაური	194	965
	ბზვანი	569	2913
დვალიშვილების თემი ცენტრი დვალიშვილები (დღ. სულორი)	დვალიშვილები	355	1880
	გადიდი	206	1104
	ძულუხი	228	1183
უხუთის თემი ცენტრი უხუთი	უხუთი	268	1323
	საპრასია	259	1292
	რომანეთი	213	102
საპაიჭაოს თემი ცენტრი საპაიჭაო	შუა სოფელი - საპაიჭაო	123	588
	დუცხუნი	109	579
	ვერხვანი	77	387
	მუქედის უბანი	114	577
	მაისოური	94	445
	დობირო	57	265
	პატელესოული	42	211
	ჭალის სამზერი	62	277
ტობანიერი თემი	ტობანიერი	149	710
	ზედა და ქვედა ეწერი	218	1019
	ჭყვიში	115	585
	მიქელეფონი	90	437
	კუშუმბური გაღმა გამოდმა	91	459
	შუამთა	351	1643
	ეწერი- ტობანიერი	49	221
	ქვედა მუქედი	133	649
	დაბლა ჭყვიში	23	407
	ჭყუმური -მთისძირი	76	349
	ჭაგან-ჭყუმური	142	709
	მთისძირის ნაწილი შედიოდა გომის თემში	61	263

ქუთაისის მაზრა

როგორც ცნობილია ვანი 1930 წელს ჩამოყალიბდა როგორც ადმინისტრაციული რაიონული სამართალსუბიექტი. ვაქვეყნებთ ინფორმაციას ამ დროის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ და საერთოდ, ყველა ზემო მოყვანილი მონაცემები რაიონის საზოგადოებისათვის ქვეყნდება პირველად.

სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული ადგილების სახელწოდება	კომლთა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი	ქართველი
ამაღლების სას. საბჭო	1039	5030	5026
ა მ ა ლ ე ბ ა	238	1076	1074
ბზვანი - ზედა	318	1006	1604
ბზვანი - ქვედა	259	1246	1246
ინაშაური	224	1102	1102
გორას სას. საბჭო	1194	5822	5821
ბაგინეთი	38	211	211
ბობოთი	74	366	366
გ ო რ ა	512	2589	2588
ზეინდარი	153	681	681
სალომინაო I	212	1095	1095
სალომინაო II	205	880	880
დვალიშვილების სას. საბჭო	833	4300	4297
გადიდი	211	1098	1098
დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი	385	1986	1983
ძულუხი	237	1216	1216
ვანის სას.საბჭო	2181	10709	10257
დიხაშხო	256	1264	1264
ვანი - გაღმა	111	527	527
ვანი - ზედა	233	1131	1121
ვანი - ქვედა	378	1880	1856
ვანი - ქვედა (ებრაელების)	73	418	-
ზენობანი	67	343	343
ისრითი	193	927	927
ონჯოხეთი	123	663	663
სალხინო	254	1154	1154
ტყელვანი	128	607	607
ციხისუბანი	45	239	239
ციხესულორი - ზედა	193	975	975
ციხესულორი - ქვედა	127	581	581
რომანეთი - საპრასიას	451	2261	2261
სას. საბჭო			
რომანეთი	204	1012	1012
ს ა პ რ ა ს ი ა	247	1249	1249

საპაიჭაოს სას. საბჭო	547	2791	2791
დობირო	53	289	289
დუცხუნი - ზედა	45	246	246
დუცხუნი - ქვედა	62	320	320
ვერხვანი	58	291	291
მაისოური	91	431	431
მიქელეფონი	38	198	198
მუხქედ-კაკასუბანი	54	304	304
პატელესოული	35	212	212
შ უ ა ს ო ფ ე ლ ი	53	221	221
ჭალა სამზიარი	58	279	279
ტობანიერის სას. საბჭო	1570	7376	7372
ეწერ-ტობანიერი	50	188	188
ეწერ-ტობანიერი - ზედა	81	403	403
ეწერ-ტობანიერი - ქვედა	143	646	646
კუშუბოური	91	471	471
მთისძირი-ჭყუშური	86	410	410
მიქელეფონი	90	443	443
მუხქედი - ქვედა	86	429	429
მუხქედი - ზედა	136	671	671
ტობანიერი გაღმა-გამოდმა	146	682	678
შ უ ა მ თ ა გ ა მ ო ღ მ ა	193	875	875
შუამთა გაღმა	184	814	814
ჭაგან-ჭყუშური	147	672	672
ჭყვიში	137	672	672
უხუთის სასოფლო საბჭო	290	1407	1407
უ ხ უ თ ი	290	1407	1407

სულ 8105 – კომლი 39696 – მცხოვრები 39232 – ქართველი

შენიშვნა: სხვაობა 412 ადამიანი წარმოადგენდა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ძირითადად – ებრაელებს

ვანის რაიონში დემოგრაფიულმა პრობლემამ თავი იჩინა 1970-იანი წლების დასაწყისიდან და არცთუღრმად შესამჩნევი ამპლიტუდით მერყეობდა 1990 წლის ბოლომდე, ხოლო აქედან მან ტალღური და მძლავრი ხასიათი შეიძინა 1990-იანი წლებიდან ვიდრე რამდენადმე განონას-ნორებული ბალანსი ქვეყნის ობიექტურ და სუბიექტური განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე საფუძვლიანად არ შეირყა და უსაშველოდ გაგრძელდა 2005-2007 წლებამდე, ვიდრე რაიონიდან მოსახლეობის გადინებამ არ მიაღწია პიკს და ნაწილობრივ გაგრძელდა ამის შემდეგაც. დასაწყისშივე მიფუთითეთ, რომ ჩვენი მიმოხილვის თარიღობრივ ჩარჩოებში რაიონის მოსახლეობა შემცირდა 15 000-მდე კაცით, 38%-ით. ასეთი მაღალი კლებალობის კოეფიციენტი არ ახასიათებთ ქვეყნის თითქმის არცერთ სასოფლო რაიონს.

ჩვენი აზრით რაიონში 1970-1990 წლებამდე დემოგრაფიული მერყეობა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1. მეორე მსოფლიო ომის (დიდი სამამულო ომის) შედეგებით, რადგან რაიონიდან განვეუ-

ლი 7000-ზე მეტი ახალგაზრდიდან დაიღუპა 3000-ზე ცოტა მეტი. საშუალოდ რაიონში შემავალ სოფლებზე 150 კაცი, მომავალი ოჯახი, რაც საფუძველი გახდა მომავალი აღწარმოების შემცირებისა. უმნიშვნელო იყო დაბადება 1941-1945 წლებში. ამ ფაქტორმა თავი იჩინა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან თაობათა ცვლისა და ბუნებრივი მატების პროცესში, ამის გამოც მითითებული პერიოდიდან მოსახლეობის კლება რაიონში არ შეიძლება მხოლოდ მიგრაციულ პროცესებს მივანეროთ. თუმცა ეს ბალანსი 1980-1985 წლისათვის ძირითადად გასწორდა.

2. რაიონში განვითარებული სტიქიური მოვლენები, რომელიც 1967 წელს ხანგრძლივ კოკისპირულ წვიმებს მოჰყვა, წარმოიშვა ძლერი მენყერული მოვლენები. გადაუარა ყველა მაღალმთიან დასახლებებს და გამოიწვია მთელი რიგი სოფლების – ყუმურის, სულორის, ძულუხის, გადიდის, საპრასიის, უხუთის, ფერეთას, ბაბოთის, ბაგინეთის და ა.შ. 11 დასახლებული პუნქტის მოსახლეობის გადაადგილება. სხვადასხვა ხარისხის დაზიანება განიცადა 1200-მდე კომლმა, გააჩინა ეკომიგრანტთა მასა, ამოსახლება დაექვემდებარა 860-ზე მეტი ოჯახი. მართალია, სახელმწიფომ და რაიონმა შექმნეს პირობები რაიონის ბარის ზონასა და უსაფრთხო ადგილებში მათი ჩასახლებისა, მაგრამ პროცესი მაინც გახდა სტიმული აყრილი მოსახლეობიდან (ეკომიგრანტებიდან) ახალგაზრდობის რაიონს გარეთ, ძირითადად ქვეყნის ქალაქურ დასახლებებში გადაადგილებისა.

3. საქართველოს რესპუბლიკის საქალაქო ურბანიზაცია, რომელიც წარმოების სწრაფ და პერმანენტულ განვითარებას მოჰყვა (რაც აუცილებელი და დადებითი მომენტიც იყო) ვაკანტური სამუშაო ადგილების შექმნითა და სოფელთან შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რამაც ხელი შეუწყო რაიონის სოფლებიდან ახალგაზრდობის მიზიდვას.

4. სოფლად, დროში მუდმივი დასაქმების პრობლემა (ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო სეზონურ სამუშაოთა დიდი წილი, აქედან ჭარბი მუშახელის გაჩენა, რაც პრობლემაა აგრარული რაიონებისათვის) სამრეწველო ორგანიზაციებთან შედარებით მონოტონური და ხელითშრომის მაღალი კოეფიციენტი. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის არც ისე მაღალი ღირებულება, რაც მომხმარებლისათვის კარგი იყო, მაგრამ მოქმედებდა სოფლის მშრომელის ანაზღაურებასა და საქმიანობაზე, კარგავს აგრარული შრომის ინტერესსა და სტიმულს.

5. რაიონიდან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში უმაღლეს და საშუალო და სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდებისათვის რაიონის ცენტრსა და ადგილებზე 1980-იან წლებამდე დასაქმების არამასიური შესაძლებლობა, რაც იძულებულს ხდიდა მათ სამუშაო ადგილები (სპეციალობით) ეძებნათ რაიონს გარეთ, ასეთთა რიცხვი ერთ ცვლაზე განისაზღვრებოდა 800-1000 ახალგაზრდით მაინც.

6. ვანში მცხოვრები ებრაელების მიგრაცია მათ ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში. მათი მიგრაცია იწყება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელშიდაც წამყვანი როლი ითამაშა ქ. ვანში არსებულმა სინაგოგამ, იგი ამ საკითზე პროპაგანდის მთავარ ცენტრად იქცა, ხოლო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ ხალხის მასიური გადინება დაემთხვა საქართველოში განვითარებულ რყევებს, კრიმინოგენული მოვლენების გამძაფრებას, რაც ერთნაირად გაუსაძლისი აღმოჩნდა როგორც ებრაელთათვის, ასევე ქართველთათვის.

ზემოთითებული პრობლემებთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება ითქვას: ამ მოვლენას უკავშირდება ვანის მასშტაბით 1970-1990 წლებში განხორციელებული განსაკუთრებული კონტროლები, რომელმაც განვითარების გრძელვადიანი პროგრამის სახე შეიძინა ამას მოჰყვა ახლადგებული ხუთი მსხვილი სამრეწველო საწარმოს ექსპლუატაციაში შეყვანა, ხოლო ოთხს, ადრეარსებულს, ჩაუტარდა გენერალური რეკონსტრუქცია ახალი დასაქმების ადგილების შექმნით, რაიონის რვა სოფელში შეიქმნა საწარმოთა მიკროფილიალები, რომელშიდაც ადგილზევე დასაქმდა შესაბამისი სოფლის ახალგაზრდობის ნაწილი, მთლიანობაში 2500-ზე მეტი ახალგაზრდა. ტექნიკური გადაიარაღება და ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს გაფართოება 1500 კაცზე გათვლილი ახალი სამუშაო ადგილებით. აგრარულ სექტორში მიდგომების რადიკალური ცვლა, პოზიციების შეტრიალება ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, საგანმანათლებლო, კულტურის ბაზების ახალმშენებლობებთან დაკავშირებით და ა.შ. ამ პროცესს მოჰყვა უკუშედეგიც, 1985-1990-იან წლებში ვანის სოფლებში დაფიქსირდა რაიონიდან გასული 200-ზე მეტი ოჯახის მობრუნება და ყოფილ საცხოვრისში დამკვიდრე-

ბა ვიმეორებ წინა სტატიიდან რაიონში მოქმედებდა 300-ზე მეტი ორგანიზაცია შესაბამისი დასაქმებით.

დემოგრაფიული საღდოს რღვევის მანამდე არნახული ტალღა განაპირობა 1991 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა. ეს საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი და ამ პროცესთა დეტალიზებას აქ არ ვაპირებთ, რომელიც რაიონზე აისახა და პრაქტიკულად დაარღვია განონასწორებული სოციალურ-ეკონომიკური ბალანსი, სამუშაო ადგილებიდან დაწყებული, საარსებო პირობებით დამთავრებული, რის გამოც პრაქტიკულად ჩიხში შევიდა ცხოვრების პერსპექტივა, უმტკივნეულესი ფორმით შეეხო ახალგაზრდობას, მომავალ კადრებს და გახდა ბიძგი მათ მიერ რაიონის დატოვებისა, იქედან გამომდინარე, რომ ქვეყანაც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა, დასაქმების ადგილთა განულება ელვისეური ტემპით წარიმართა, ეს ადამიანები იძულებლნი გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანაც. მსგავს დღეში აღმოჩნდა რაიონის პედაგოგიური, სამედიცინო ტექნიკური შემოქმედებითი ინტელიგენციაც. საწარმოთა ნგრევის პარალელურად საბიუჯეტო დისპროპორციებმა წარმოშვა სახელფასო ზღვარის კატასტროფული შემცირება, ხელფასების ხანგრძლივი დროით გაუტეხლობა, ინფლაციური პროცესებიც და სამთავრობო აფიორამ, რომლის განხორციელებით დანაზოგი თანხების ბანკებში შეტანითა და შემდეგ მათი გაორმაგებულად დაბრუნების დაპირებით, რომლის სიცრუეც აღემატებოდა ბარონ მიუნჰაუზენის ფანტაზიებსაც. ადამიანებს არსებობის დარჩენილი მარაგიც გამოეცალათ.

ზემოაღწერილ სიტუაციიდან გამომდინარე, ორ ეტაპად გავყოფდი ვანის სოფლებიდან მოსახლეობის გადინებას. 1991 წლის ბოლოდან იწყება ინდივიდთა მიერ მდგომარეობის შემზადება, 1992-1993 წლებში რაიონში გამოვლინდა მცირე გასვლები, ხოლო კონკრეტულ მიზეზთა გამო, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, მასიური გასვლები ემთხვევა 1997-2002-2007 წლებს შორის ინტერვალებს, ამ დროში მოხდა რაიონიდან ინტელიგენციის გადინებაც.

ამდენად, 1992-2007 წლების მონაკვეთი უკიდურესად რთული აღმოჩნდა რაიონისათვისაც, ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთოსეთის დაკარგვა, ლტოლვილების შემოსახლება, ენერგეტიკული კრიზისი, ნაირნაირი შეიარაღებული დაჯგუფებების თარეში, ქალაქებთან და რაიონებთან სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლა, საბიუჯეტო-ფულადსაკრედიტო ხანგრძლივი კოლაფსი, აგრარულ სექტორში უკიდურესი სირთულეები, რაიონის 9 სამრეწველოს საწარმოს მიერ პრობლემათა გამო საქმიანობის ერთბაშად შეწყვეტა და ამ ნიადაგზე 2500-ზე მეტი კაცის ძირითადად ახალგაზრდების ქუჩაში უმუშევრად დარჩენა,¹ იგივე პროცესები ვაჭრობის საყოფაცხოვრებო, ტრანსპორტის, სამშენებლო ორგანიზაციებისა და ა.შ. ნამყვან სფეროებში, სამედიცინო მომსახურების ნაწილობრივ მოშლა და ა.შ. გახდა ბიძგი მოსახლეობის გადინებისა და უფრო მეტიც, თაობას რომელსაც მსგავსი მოვლენა არც ახსოვდა და არც განუცდია, აღმოჩნდა შიმშილის ზღვარზე. გაჭირვებული ოჯახები 894 (დაახლოებით 3000 კაცზე მეტი) ობოლი ბავშვები 400-მდე, 7344-კაცი, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ დახმარებას, სასწავლო პროცესში

გაკვეთილზე ნახევრადმთიერი მოსწავლეების ჯდომა, ეს პროცესი ჩვენს მიერ მიმოხილულ თარიღებში დომინირებდა და ა.შ. ექცა მთავარ სტიმულატორად, ბიძგად, ადამიანთა იმ მასას, რომელთაც ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობა გააჩნდათ გაცლოდნენ ჩამოყალიბებულ რეალობას და ამდენად, ადგილის დედას, რაიონს – სამშობლოს. საუბარი იმაზე, რომ ამ დროს რაიონის მოსახლეობას დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები „წითელი ჯვარი“, „წითელი ნახევარმთვარე“, „ექთ ჯორჯია“ და ა.შ. დახმარების ხელის განწვენა ნამდვილად იყო, მაგრამ პრობლემას ვერ მოხსნიდა და ვერც მოხსნა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს სოციალურ საკითხებს არ შეიძლება ქველმოქმედის პოზიციიდან მიუდგე, ეს უშედეგოა. ქველმოქმედება ვერ დაეფუძნება მუდმივეობას, ერის წიაღშია მოსაძებნი ის ძალა და რესურსი, რომელიც კრიზისებს გაუმკლავდება და გადალახავს. ჩემი აზრით, ამას ჭირდება უზარმაზარი პატრიოტული შემართება და მუხტი. ერთი წუთითაც ეჭვი არ შემაქვს

1 საერთოდ სამრეწველო ორგანიზაციები მშრომელთა კოლექტივთან ერთად ქუჩაში აღმოჩნდა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს 1500-მდე კაცი, პლუს ადამიანები მოქმედი სამი სამშენებლო ორგანიზაციიდან, ორი პროფტექსასწავლებლის პედაგოგიური ინტელიგენცია, სამედიცინო პერსონალის ნაწილი და ა.შ.

იძულებით, თავის გადასარჩენად, ქვეყნისგარეთ გასული ადამიანების პატრიოტულ გრძნობებში. პირიქით, სამშობლოს მოშორებულნი ეს ადამიანები, როგორც ჩანს, ზოგჯერ უმძიმესი შრომის შედეგად ცდობლობენ ქვეყანაში დარჩენილი თავიანთი ოჯახების, ოჯახის წევრთა, ზოგჯერ სანათესაოს გადარჩენას, ეს დასაფასებელია და მოქმედებაც კაცთმოყვარული, პატრიოტულია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანთა მასებს, არამარტო ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულებს, არამედ ქვეყანაში დარჩენილებსაც, რომელთაც წილად ერგოთ მუდმივი ფიქრი თავისა და ოჯახის გადარჩენაზე ზეალმატებულ პატრიოტიზმს ვერ მოსთხოვ, ზეალმატებული ფიქრი სამშობლოზე თუ მივინყებულები არა, რამდენადმე განელელებულია, მითუმეტეს იმ თაობისა რომელთაც ინტენსიური შეხება სამშობლოსთან, მის ტრადიციებთან, სანათესაო წრეებთან ჯერჯერობით არ ჰქონიათ, ეს მათი ნაკლი არაა, ცხოვრებამ განაპირობა ყოველივე. ფსიქიკურ ასპექტში უზარმაზარი დარტყმები გამოიწვია უიმედობის შედეგად სუიციდის ერთეულმა მაგალითებმა:

ბევრი რამაა დამოკიდებული ახალ თაობათა პატრიოტული აღზრდის მუხტის მინელეებაზე, ღირებულებათა გადაფასების მომენტში არაერთი ხელშესახები და დადებითი „ნაბან-წყალს“ გადაჰყვა.

რამდენადმე დამაფიქრებელია შემდეგი მდგომარეობაც. სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს 1421 ოჯახი, დახმარებას ითხოვს და იღებს 5181 პირი. ეს ადამიანები დღეისათვის ნამდვილად არიან მოქცეულნი სახელმწიფოებრივი ყურადღების ქვეშ, რაც დადებითი მომენტია, მაგრამ მისასალმებელი იქნება თუ ეს მონაცემები ცხოვრების მონესრიგების საფუძველზე კლების გზით წარმართება. ჩვენი მონაცემებით 2007 წლამდე გადინების პროცესი ინარჩუნებდა არსებულ ტემპს, შემდეგში იგი იკლებს, რადგან ვისაც სურდა და შეეძლო წასვლა წავიდა, თუმცა, სამუშაოს მაძიებლობა არ შეწყვეტილა. სამაგიეროდ დაგვრჩა წასახლარები, გამოკეტილი ოჯახები, რომლებიც დროებით იღება ზაფხულის პერიოდებში და საერთოდ მიტოვებული ოჯახები,¹ დაცლილი უბნები. შემაშფოთებელია პროცესი რაიონის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის.

წლების მანძილზე არსებულ სტატისტიკურ დინამიკას აქ არ შევეხებით, მაგრამ 1990 წლის ბოლოსათვის ვანის სკოლებში, პროფტექსასწავლებლების კონტინგენტთან ერთად მოსწავლეთა რიცხვი 8000-მდე აღწევდა, უფრო ადრე 9000-მდე, რაც რაიონის სოფლების სისხლსავსე ცხოვრებაზე მიუთითებდა. 2014 წლის მონაცემებით რაიონის სკოლებში 2559-მოსწავლე ირიცხება, მხოლოდ 2009-2014 წლების ხუთწლიან მონაკვეთში კონტინგენტი შემცირდა 1028 მოსწავლით, მარტო 2011-2012 წლებში 433 მოსწავლით ხუთ სკოლაში კონტინგენტი დავიდა 3-დან – 15-მოსწავლემდე, ექვს სკოლაში 40-მოსწავლემდე, 9 სკოლაში კონტინგენტი არ აჭარბებს 100-120 მოსწავლეს, ხოლო საპრასიას, სულორის, ყუმურის საშუალო სკოლებში, რომლებიც თავის დროზე სოფელთა შორის საბაზო სკოლებად ითვლებოდნენ შესაბამისად 36-53-58 მოსწავლე ირიცხება, შუამთის (193), ამაღლების (164), სალხინოს (126). თავის დროზე საკმაოდ კონტინენტმრავალი და დიდი სკოლებიც დღეს განიცდის მოსწავლეთა სიმცირეს, 15-20 წლიან ციკლში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირებულია სამჯერ და მეტად. ცხადია, ამას აქვს თანმდევი მოვლენები, რომელიც ცალსახად პედაგოგთა საათობრივი დაუტვირთაობით არ აიხსნება, თუმცა მასზე დამოკიდებულია პედაგოგიური ინტელიგენციის საარსებო პირობები და პედაგოგიური ინტელიგენციის გადინება რაიონიდან, მაგრამ აქვს უფრო შორს მიმავალი უარყოფითი ფესვები. ახალგაზრდობის, მომავალი საწარმოო ძალების, მომავალი ოჯახების იმ მასის შემაშფოთებელი შემცირება, რომელთა ხელშიც უახლოეს პერიოდებში უნდა გადავიდეს რაიონის ეკონომიკურ-სოციალური პოტენციალის სრულყოფა, აგრარულ, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მიმართულებათა, თუ შეიქმნება, სამრეწველო, სამშენებლო და ა.შ. კადრებით უზრუნველყოფა. ამ პროცესმა უკვე იჩინა თავი და ძლიან ახლო პერიოდში კიდევ უფრო გამოჩნდება, მითუმეტეს თუ არ მონესრიგდება მათი დასაქმება. ეს კონტინგენტი თავისთავად

1 მონაცემები ვანის უმეტესი სოფლებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში.“

იზრუნებს სამუშაო ადგილების დაძიებაზე და რადგან იგი ადგილზე არ იქნება მათი დიდი ნაწილის რაიონიდან გასვლაც გარდაუვალია.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრმა“ განახორციელა ვანის სოფლების ისტორიების შესწავლა (მასალები დაცულია კვლევის ცენტრში), რამდენადმე შესწავლილია დემოგრაფიული პრობლემაც. ამ ისტორიების კონკრეტული ნაწილი გასაჯაროებულია კიდევაც. ამჟამად, სტატიის ფორმატი არ იძლევა სშუალებას ღნიშნული მონაცემების სრულყოფილი მასშტაბით გამოტანისათვის, მდგომარეობა რეალურად დამაფიქრებელია, ბევრია მიტოვებულ ოჯახთა რიცხვი, ნასახლარები, დაცლილი უბნები, მითითებულია სამწუხარო ფაქტებზეც „რომ სოფელში შეძლებულ ოჯახად ითვლება ის, რომელშიდაც ორი პენსიონერი მაინც ცხოვრობს“ და ა.შ. ხაზგასმულია ოჯახისა და ოჯახთა მატერიალური მდგომარეობის საკითხი. ვერც გამრავლების, ბუნებრივი მატების საკითხები იძლევა დამამშვიდებელ სურათს, პირიქით, ჩვენს მიერ მიმოხილულ თარიღობრივ ჩარჩოებში XX საუკუნის მიჯნაზე გარდაცვალება 300-ზე მეტი ერთეულით აჭარბებდა დაბადებას. ისეთი რაიონისათვის, როგორც ვანია, სადაც პარალელურად მიგრაციული პროცესები პერმანენტულად ვითარდებოდა, ეს კოლოსალური ციფრია. სამწუხაროდ, დემოგრაფიული ბალანსი მნიშვნელოვანი უარყოფითი ტენდენციით მიემართება დღესაც.¹

რა შეილება საბოლოოდ ითქვას. ძნელია დაცარიელებული, ყოფილი სისხლსავსე სოფლების გამოკეტილი და მიტოვებული ოჯახების ხილვა, უფრო შემამფოთებელია მცხოვრებთა ასეთი მასშტაბური შემცირება, რომელიც დროისა და ამ დროში დაუნესრიგებელი ყოფის ფაქტორი გახდა. მკითხველი იოლად მიხვდება რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას. ამ ადამიანთა გარეშე არც საქართველოა სრულყოფილი საქართველო და არც ვანია სრულყოფილი რაიონი (მუნიციპალიტეტი). დღეისათვის ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორი იქნება ხვალინდელი დღე. ხოლო რაც შეეხება დემოგრაფიულ ფენომენს მონესრიგებულ სიტუაციაშიც კი, ზემომითითებული ციფრობრივი დანაკლისის გასწორებას მინიმუმ 50 წელი მაინც დასჭირდება. ის ნაბიჯები, რომელიც ბოლო სამ-ოთხწლიან ციკლში გადაიდგა ცხოვრებისეული ფაქტორების მოსაწერიგებლად, სამეურნეო ცხოვრებისა და ურთიერთობის დარგში საგანმანათლებლო, კულტურული ცხოვრების გაკეთილშობილების, ცალკეულ სოფლებსა და უბნებზე სირთულეთა აღმოფხვრის თვალსაზრისით მათზე გაღებული თანხები, ჯერჯერობით შესრულებული სამუშაოები და ა.შ. პერსპექტივის განცდას ნამდვილად ბადებს. ყოველგვარი ბიფირიმების გარეშე უნდა ითქვას, ის რაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე, ფიზიკურ ასპექტში გაკეთდა ვანის სოფლებისათვის კომუნიკაციების, გზების, ხიდე-ბოგირების, უბნების სააღმზრდელო დაწესებულებების მონესრიგების თვალსაზრისით, ექსპლუატაციაშია შეყვანილი რამდენიმე საწარმოც (თხილის, დაფნის გადამამუშავებელი და ა.შ.) ასე, რომ ერთიანობაში ამდენი რამ არ გაკეთებულა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ვანისათვის გაჩნდა ახალი პერსპექტივებიც ფართოდ განსახორციელებელი პროექტის სახით, მუხლჩაუხრლი შრომა და ყურადღებაც იქნება საჭირო ამ მნიშვნელოვანი წამოწყების ბოლომდე მისაყვანად. იმედები არის და შესძლებლობათა ფარგლებში სახელმწიფოებრივი ყურადღებაც იგრძნობა. დრო და შემართება გვიჩვენებს იმ პრობლემის დაწესრიგებისათვის გაღებულ ძალისხმევას, რომელზედაც აქ იყო საუბარი, რადგანაც ამ პრობლემის თითოეული ნიუანსი, გლობალური სახელმწიფოებრივი, სივრცესა და დროში სასიცოცხლოდ ეროვნული საკითხია.

დღეს როგორც ეტყობა ერის გამოღვიძება საჭირო, იმის გაცნობიერებით, რომ „პური არსობისა“ სამშობლოში უნდა შექმნა და მოიპოვო. საკითხისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ქვეყნის დაცლით გვემუქრება. ამას არც წინაპართა სისხლის ყვილი გვაპატიებს და არც მომავალი, თუ იგი გონების თვალთ შეხედავს მოვლენებს, როგორი პირობებიც არ უნდა იყოს – ქართველობა ვალდებულია შეინარჩუნოს საქართველო.

1 ოფიციალური მასალა დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში.“

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

უზარმაზარ ეროვნულ საქმეს აკეთებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, რომელსაც 1918 წელს თავისი ფილიალები მრავალ ქალაქში ჰქონდა გახსნილი. მათ შორის, საქართველოს გარეთაც – არმავირში, ბაქოში, განჯაში, გუმბრაში, კავკავში, ტუაფსეში და ნალჩიკში. განყოფილება მოქმედებდა ბათუმშიც, რომელიც იმ ხანად საქართველოს იურისდიქციაში არ შემოდიოდა.¹ საზოგადოება თავის მრავალფეროვან საქმიანობას გამგეობასთან არსებული სექციებით წარმართავდა. მათ შორის ერთ-ერთი უძლიერესი იყო სასკოლო სექცია, რომელიც გარდა სკოლებისა, ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, სახალხო კითხვებს, ლექციურ მუშაობას, მოძრავ სკოლებს, წიგნების (განსაკუთრებით სახელმძღვანელოების) გამოცემებს, ადგენდა სასწავლო პროგრამებს, ნიშნავდა სტიპენდიებს, პროვინციებში ავრცელებდა წიგნებს, დაანესა ვ. სარაჯიშვილისა და ი. ზუბალაშვილის სახელობის სამ-სამი (თითოეული 40-40 მან.) სტიპენდია და ა. შ. საზოგადოება ნაყოფიერად საქმიანობდა ეროვნული მუზეუმისათვის სიძველეთა შექმნისათვისაც, ერის გამოჩენილ შვილთა პანთეონის მოწყობისა და მოვლა-პატრონობისათვის, ჰქონდა საკუთარი წიგნების მაღაზია და საწყობი, ზრუნავდა საკუთარი სტამბისა და ქალაქის მარაგის შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემდა ჩამოეყალიბებინა წიგნების გამომცემელი ცალკე სექცია და ეს საქმე უფრო ფართო მასშტაბიანი და მიზანმიმართული გაეხადა.

1918 წელს საზოგადოებას სხვადასხვა ქალაქში 10 სკოლა ჰქონდა, რომელთა შენახვა საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ნალჩიკის სკოლაში იგი მასწავლებელს – 600, ხოლო კავკასის სკოლაში – 700 მანეთ ხელფასს აძლევდა თვეში, თანაც უზრუნველყოფდა ბინით, მაშინ, როცა საქართველოში მასწავლებელთა ხელფასი გაცილებით ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, ამ ქალაქში მასწავლებელთა მოძებნა მაინც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

რაც შეეხება დანარჩენ რვა სკოლას, მათში მასწავლებლები 400 მანეთ ხელფასს და უფასო ბინას ღებულობდნენ. სწორედ ამიტომ, მათში მასწავლებელთა პრობლემა არ იდგა (ბაქოს სკოლაში მაგალითად სამი მასწავლებელი მუშაობდა).²

განსაკუთრებით ენერგიულად საქმიანობდა საზოგადოების კავკავის განყოფილება, რომელსაც სკოლაში 165 მოსწავლე და სამი პედაგოგი ჰყავდა. სკოლას ძალიან ეხმარებოდა ადგილობრივი ქართველობაც, რომლებიც ყოველ თვეში კრეფდნენ გარკვეულ თანხას (პირველად მათ 6 000 მანეთი შეაგროვეს) სკოლის საჭიროებისათვის.³

რა თქმა უნდა, ყურადღება საქართველოში მოქმედ სკოლებსაც ექცეოდა. მაგალითად, 1918 წელს საზოგადოებამ ზუგდიდის სკოლა კორცხელში გადაიტანა და იქ ახალი მასწავლებელი დანიშნა. მასწავლებელი ბათუმსა (ა. მგელაძე) და მოდი ნახეშიც გაიგზავნა. ბათუმში ა. მგელაძის ჩასვლით იქ კარგა ხნის წინათ შეწყვეტილი სასწავლო პროცესი უნდა აღმდგარიყო. სკოლის გახსნა ლიკანშიც გადაწყდა, როგორც ცნობილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კურირებდა ვანის ქალთა საკვირაო სკოლასაც, რომელიც დაცული იყო რუსოფილური მიმართულების ზენოლისგან.

1918 წელს საზოგადოებას 100 ბიბლიოთეკა-სამკითხველი ჰქონდა.⁴ ამ წელს მისი დაგეგმილი ფინანსური შემოსავალი სულ 356 503 მანეთს შეადგენდა, მაგრამ მის გარდა მას 120 000 მანეთი ე. სარაჯიშვილმაც შეწირა. ასევე, ცდილობდნენ ხელისუფლება თუ სხვა ორგანოები (ეს უფრო იშვიათად ხდებოდა) დაგეგმილზე ზევითაც შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ

1. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. №108.

2. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. № 266.

3. იქვე.

4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. № 10.

საზოგადოებას. ამის მაგალითად გამოდგება 1918 წლის 27 მაისს, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე, თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ გ. კონიევის მოხსენების საფუძველზე 8 000 მანეთი გამოიყოფა, რომელიც საზოგადოების სკოლებს უნდა მოხმარებოდა.¹ ასევე მიიღო მან დახმარება (2000 მან.) ფოთის მუშათა საბჭოსაგან ადგილობრივი ორგანიზაციისათვის,² პარლამენტისაგან (2 000) კ. აბაშიძისა და ვ. გობეჩიას დაკრძალვის ხარჯებისათვის და ა. შ.³ ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა საზოგადოების გამომცემლობას 1918 წელს გამოეცა 25 წიგნი, რაზედაც მთლიანად 361 000 მანეთი დაიხარჯა.⁴ ასევე მოხერხდა დახმარებოდნენ მარტყოფის ბიბლიოთეკას და თბილისის კონსერვატორიის ერთ-ერთ ღარიბ მოსწავლეს. შეევესო თავისი ისედაც საკმაოდ მდიდარი ფონდები, რომელიც 1918 წლისათვის ასე გამოიყურებოდა: 6 616 ქართული ხელნაწერი და წიგნი (1919 წ. მათი რაოდენობა 6 952-მდე ავიდა), 5 994 უცხო წიგნი, 1 231 ერთეული სიგელ-გუჯრები, 1003 სამუზეუმო ნივთი, 5 495 ცალისაგან შემდგარი ნუმიზმატიკური კოლექცია, 3 450 ცალი ნახატი და ა. შ.⁵

1918 წლის 10 ოქტომბერს გამართულმა საზოგადოების წლიურმა კრებამ მისი კუთვნილი სკოლები ისევ თვითონ დაიტოვა, ოღონდ ხელისუფლებას მათ შენახვაში ფინანსური დახმარების აღმოჩენა სთხოვა. კრებამ ნაწილობრივი ცვლილებები შეიტანა სტრუქტურაში და სექციათა რიცხვი ოთხამდე გაზარდა. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იქნა დ. კარიჭაშვილი, საპატიო თავმჯდომარედ გ. ყაზბეგი, სასკოლო სექციის თავმჯდომარედ ლ. ბოცვაძე, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვის მომწყობი სექციისა ვ. კახიძე, სამნიგნობროსი თ. კიკვაძე და სამუზეუმოსი დ. კარიჭაშვილი. გამგეობის სხდომების გამართვა ყოველ შაბათს დადგინდა.⁶

1919 წელს საზოგადოებამ გადაწყვიტა თავისი სკოლები და ბიბლიოთეკები ერობებისა და ქალაქების თვითმმართველობებისათვის გადაეცა. ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იქედან, რომ საზოგადოება აღნიშნულ სფეროთა მოვლა-პატრონობას უკვე აღარ თვლიდა სავალდებულოდ, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ყველაფერი ეს ერთიან, სახელმწიფო სტრუქტურაში უნდა მოქცეულიყო, რადგანაც სწორედ სახელმწიფო უნდა გაძლოდა და თანაც უკეთ მას. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა საქართველოს გარეთ არსებულ დაწესებულებებზე, რადგან საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს არც დახმარების აღმოჩენა შეეძლო და უფრო მეტიც, უბრალოდ ხელი არ მიუწვდებოდა მათზე. სწორედ ამის გამო, დაიტოვა საზოგადოებამ თავის ხელში სკოლები არმავირში, ბათუმში, ბაქოში, კავკასია და ნალჩიკში.⁷ ჩვეულებრივად გრძელდებოდა მათთვის დახმარების განევაც. მაგალითად, 1919 წელს კავკასის სკოლას 366 000 მანეთი გამოეყო დასახმარებლად. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, გაირკვა, რომ საქართველოს გარეთ არსებული განყოფილებების ნაწილმა საქმიანობა თვითნებურად შეწყვიტეს. მაგალითად, ასე მოიქცა ბაქოში მოქმედი განყოფილება, რომელმაც თავისი ფუნქციები იქაურ ქართველთა ეროვნულ საბჭოს გადასცა.⁸ საზოგადოება იძულებული გახდა საგანგებო განცხადება გაეკეთებინა ამასთან დაკავშირებით და განყოფილებებისათვის მუშაობის გაგრძელება ეთხოვა.

1919 წელს დახმარებები საქართველოში არსებულ დაწესებულებებზეც გაიცემოდა. მაგალითად, გვარდიის სკოლებს გამოეყოთ 1 000 მანეთი და კახში გაიგზავნა 780 მანეთის სახელმძღვანელოები,⁹ წიგნები გაიგზავნა აწყურშიც, ახალციხის ბიბლიოთეკას გამოეყო 300 მანეთი¹⁰ და ა. შ. 1919 წელს გამართულ საზოგადოების წლიურ კრებაზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ბორჩალოს მაზრაში არსებული სკოლების მეტად სავალალო მდგომარეობაზე.

1. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. №108.
 2. იქვე, №266.
 3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. №11.
 4. იქვე, 1919 წ. №10.
 5. იქვე, 1918 წ. №92.
 6. „ერთობა“, №247, 266, 270.
 7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. № 28
 8. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №718.
 9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. №284.
 10. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ. №92.

დაადგინეს, რომ სწორედ იქ მიექცეოდა მეტი ყურადღება სასწავლო საქმეს. მაზრაში საზოგადოებას სკოლები ჰქონდა აკაურთაში, გომართში, ყალამიშა და წერაქვში, მაგრამ ძალიან ჭირდა იქ მასწავლებლების გაგზავნა.¹ საქმეს არ შევლოდა არც მაღალი ხელფასითა და ბინით დაინტერესება. განცხადება 1919 წლის იანვარში „ერთობაშიც“ კი დაიბეჭდა, რომლითაც მასწავლებლებს საზოგადოება 400 მან. თვიური ხელფასითა და უფასო ბინით ატენში, გერგეთში, გომართსა და ყალამირში ეპატიჟებოდა, მაგრამ ამას შედეგი მაინც არ მოჰყოლია.²

საზოგადოება 1919 წელს სხვა სახის დახმარებასაც გასცემდა. მაგალითად, 3 000 მანეთი მისცა სამკურნალოდ ავადმყოფ მასწავლებელ ე. გოგოლაშვილს,³ 1 000 მანეთით დაასაჩუქრა საიუბილეო საღამოზე შ. არაგვისპირელი, ხოლო 500 მანეთით ნ. ჩხეიძე,⁴ მსახიობის დღისთვის გამოჰყო 10 000 მანეთი,⁵ თავისი ხარჯებით დაკრძალა ლ. ბოცვაძე,⁶ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და დალუპულთა სიების დაზუსტება, რათა აღემართა პირველი მსოფლიო ომის მსხვერპლთა ძეგლი⁷ და ა. შ.

საზოგადოებამ აქტიურად დააყენა საკითხი, რათა თბილისში შეეკეთებინათ ილია ჭავჭავაძის სახლი და გაემაგრებინათ და მიეხედათ მისი ძეგლისა და საფლავისათვის.⁸ იგი ასევე იყო დაინტერესებული დიდუბის ეკლესიასთან ერთად, პანთეონისათვის მიწის ნაკვეთის გაფართოებითაც და ამის თაობაზე შევიდნენ კიდევ თხოვნით მთავრობაში, მაგრამ იქედან ყოვლად აღმაშფოთებელი პასუხი მიიღეს – მთავრობა ფართს იმ შემთხვევაში გამოჰყოფდა, თუკი მას საზოგადოება და ეკლესია... იყიდნენ.⁹

1919 წელს შეიძლება ითქვას განსაკუთრებული ყურადღება სახელმძღვანელოებისა და საერთოდ, წიგნების გამოცემის საქმეს მიექცა. როგორც საზოგადოების წლიურ კრებაზე აღინიშნა, მათ გამოსაცემად ჰქონდათ 60-მდე დასახელების სხვადასხვა სახელმძღვანელო, ხოლო 16 უკვე იბეჭდებოდა სტამბაში (სულ ამ წელს საზოგადოებამ 27 წიგნი გამოსცა)¹⁰ კრების მონაწილეების გადანყვეტილებით განათლების სამინისტროს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა ორგანიზაცია გარდაქმნილიყო სამინისტროს ტექნიკურ განყოფილებად, რომლის ძირითადი ფუნქცია სამინისტროს მიერ მონონებული წიგნების გამოცემა იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებამ წარმატებით გაართვა თავი სიძნელეებსა და დაამთავრა 1919 წელს გათვალისწინებული თითქმის ყველა სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, რაშიც უდაოდ დიდი როლი შეასრულა დ. სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძევა 200 000 მანეთმა.¹¹ ასევე ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია საზოგადოებას განათლების სამინისტრომ, გამოუყო 200 000 მანეთი, ე. სარაჯიშვილმა უანდერძა 180 000 მანეთი, ნ. ვაჟიკაშვილმა უანდერძა 26 000 მანეთი (ამ უკანასკნელის სურვილი იყო ნაანდერძევი თანხის ნაწილი დუშეთის მაზრაში ერთი სკოლის გახსნასაც მოხმარებოდა),¹² ნ. ბარათაშვილმა უანდერძა 5 000 მანეთი და ა. შ. ასევე, განიხილა 1919 წლის 2 აგვისტოს პარლამენტმა საზოგადოებისათვის ნახევარმილიონიანი სესხის მიცემის დეკრეტის პროექტი.

1919 წელს საზოგადოებამ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა, როცა შ. არაგვისპირელის, ვ. ბარნოვის, ა. ერისთავ-ხოშტარისა, დ. კლდიაშვილის, ვ. რუხაძის, გ. წერეთლისა

1. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №539,548.
 2. გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №9.
 3. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №674.
 4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. №110.
 5. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №718.
 6. გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. № 70.
 7. იქვე, №70.
 8. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №548, 696.
 9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., №151.
 10. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №539.
 11. იქვე, №700.
 12. იქვე, №548, 558, 695.

და გ. ქუჩიშვილის საავტორო უფლებები შეისყიდა.¹ ასევე შეისყიდა მან გამოსაცემად მ. ჭანიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონიც.

საგამომცემლო საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლას ხელს სტამბის უქონლობა უშლიდა. ამიტომ, საზოგადოებამ 1919 წელს განათლების სამინისტროს თხოვა სტამბის გადაცემა და დახმარების განევა 9-10000 ფუთი ქალაქის შექმნაში, რაც შესაძლებელს გახდიდა უმოკლეს ვადაში გამოცემა 100-150 აუცილებელი სახელმძღვანელო მანც, რომელთაგან 30 გამზადებული იყო, მაგრამ უსტამბობის გამო ვერ იბეჭდებოდა.²

საზოგადოებასთან სექციების გარდა ლიტერატორთა, კრიტიკოსთა, ისტორიკოსთა და ბუნებისმეტყველთა კომისიებიც არსებობდნენ, რომლებიც საკმაოდ ენერგიულად საქმიანობდნენ. მაგალითად, ისტორიკოსთა კომისიამ (მასში შედიოდნენ: გ. ნათაძე, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. ქავთარაძე, ა. ჟორჟოლიანი, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა და დ. უზნაძე) 1919 წელს დაადგინა, თუ რა წიგნები უნდა თარგმნილიყო უახლოეს მომავალში და მიუთითა, რომ რამდენიმე მათგანი სასწრაფოდ უნდა შესრულებულიყო. საშურ საქმედ იქნა მიჩნეული მონოგრაფიების შექმნა ერის გამორჩენილ მოღვაწეებზე დავით აღმაშენებელზე, სოლომონ I, ერეკლე II, და სხვებზე, მოიწონა გ. ნათაძის მიერ შექმნილი ინგლისის ისტორიის სახელმძღვანელო და ა. შ.³

ძალზე ნაყოფიერად დაიწყო საქმიანობა 1919 წლის 2 იანვარს შექმნილმა ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა კომისიამაც (წევრები – ი. გომართელი, შ. არაგვისპირელი, დ. ხომტარია, ვ. ბაქრაძე, დ. კასრაძე), რომელიც სხდომებს ყოველ პარასკევს მართავდა. კომისიამ დაადგინა თუ რა წიგნების გამოცემა იყო აუცილებელი. მათი აზრით, პირველ რიგში უნდა დაბეჭდილიყო ქართული, ხოლო შემდეგ თარგმნილი კლასიკა. თუ რომელი ავტორები უნდა თარგმნილიყო პირველ რიგში, ამის თაობაზე დ. კასრაძემ გააკეთა ორი მოხსენება. მის მიერ წარდგენილი ავტორთა სია დეტალური განხილვის შემდეგ ასეთნაირად დამტკიცდა: ფრანგული მწერლობა – მოლიერი, ჰიუგო, ვერჰარნი, მოპასანი, ფლობერი, მიროზო, ფრანსი და მეტერლინკი; გერმანული მწერლობა – გოეთე, შილერი, გრიმები, ჰოფმანი, ნიცშე, პაუპტმანი, ზუდერმანი და შნიცლერი; ინგლისური მწერლობა – დეფო, დიკენსი, სტოუ, უაილდი და შექსპირი; სკანდინავიური მწერლობა – ანდერსენი, იბსენი და ჰამსუნი და პოლონელი სენკევიჩი. დაადგინეს ჰონონარების მოცულობაც – რუსულიდან თარგმნილი 16 გვ. პროზა 200 მანეთი, 16 გვ. პოეზია 300 მანეთი, ევროპული ენებიდან თარგმნილი 16 გვ. პროზა 300 მანეთი, 16 გვ. პოეზია 450 მანეთი და პირველხარისხოვანი ორიგინალური ქართული ნაწარმოები 16 გვ. 450 მანეთი და მეორეხარისხოვანი 16 გვ. 300 მანეთი.⁴

კომისიამ მალე პრაქტიკულად დაიწყო გამოსაცემი წიგნების შექმნა და მთარგმნელების მოწვევა. მისი გადაწყვეტილებით, პირველად უნდა გამოცემულიყო პირველხარისხოვანი (განსაკუთრებით „სკოლისათვის და დემოკრატიისათვის საჭირო“), ხოლო შემდეგ მეორეხარისხოვანი და სპეციალური ხასიათის ნაწარმოებები. გამოცემის დროს უპირატესობა უნდა მისცემოდათ ქართველ მწერლებს, თუმცა დასაშვებად იქნა მიჩნეული პარალელურად თარგმნილი წიგნებიც დაბეჭდილიყო.

რაც შეეხებოდა ტომეულებს, ისინი დასურათებულნი და აუცილებლად ხელის მონერით უნდა დაბეჭდილიყო.⁵

საზოგადოებამ მთარგმნელებიც მიიწვია: ი. მაჭავარიანი, დ. კასრაძე, თ. სახოკია და ვ. ლამბაშიძე – ფრანგულიდან; ნ. იმნაიშვილი – გერმანულიდან; ი. ნაკაშიძე – ინგლისურიდან; გ. ყიფშიძე, ა. ფალავა, ნ. ნაკაშიძე, ნ. გიგაური-გაბაშვილი, კ. ფირცხალაშვილი და ნიჭიერ სტუდენტთა ერთი ჯგუფი რუსულიდან.⁶

1919 წელს ქართული ლიტერატურისათვის კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენა მოხდა.

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., №81.
 2. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., №679, 718.
 3. იქვე, № 558, „ერთობა“ № 11.
 4. გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., №94.
 5. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., №558.
 6. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., №744.

დანესდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამი პრემია, რომლებიც პირველად 1920 წლისათვის გაიცემოდა.

პრემიები დადიანის (1 200 მან.), ერისთავის (1 200 მან.) და ლოლობერიძის (900 მან.) სახელობის იყო. პრემიების დებულება ითვალისწინებდა მათ მინიჭებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში, ეთნოგრაფიასა და ქართულ მუსიკაში შესრულებული ნაშრომებისათვის. ლოლობერიძის პრემია უპირატესობას ანიჭებდა ქართულ ენაზე დანერილ ნაშრომებს, თუმცა შეიძლებოდა სხვა ენებზე შესრულებულ ნაშრომთა წარდგენაც. ერისთავის პრემია კი, როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ნაწარმოებზეც შეიძლებოდა გაცემულიყო, თუმცა უპირატესობა აქაც ორიგინალურს ენიჭებოდა. პრემიებზე ნაშრომთა წარდგენის ბოლო ვადად 1920 წლის 1 იანვარი განისაზღვრა.¹ მალე მათ მოსაპოვებლად მართლაც შევიდა ს. ბაქრაძის ლეგენდა „მზე და ჭაბუკი“, ს. კაკაბაძის გამოკვლევა „საქართველო ერეკლე II დროს“, ი. მჭედლიშვილის მოთხრობა „ოცნება და სინამდვილე“, ვ. ბარნოვის მოთხრობები: „ფეხი იბრუნა“ და „ამქრის მშვენება“, დ. მეგრელის პოემა „მწირი სარდალი“, დ. არაყიშვილის ნაშრომი „გრუზინსკოე ნაროდნოე მუზიკალნოე ტვორჩესტვო“ და ნ. ჯანაშიას გამოკვლევა „ახხაზსკი კულტ ი ბიტ“.²

1920 წელი საზოგადოებისათვის მთელი სიმწვავეით დადგა თავისი საქმიანობის მიმართულების განსაზღვრის საკითხი, ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომელიც ერთგვარ ანგარიშსაც წარმოადგენდა და თანაც მთავრობას სთავაზობდა გზას, რომელზეც დადგომა, მათი აზრით, საქმისათვის უფრო უმჯობესი იქნებოდა. როგორც წერილშია აღნიშნული, საზოგადოება წლების განმავლობაში აკეთებდა ეროვნულ საქმეს, აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, იდგა ენის სადარაჯოზე, სცემდა წიგნებს, აგროვებდა ისტორიულ სიძველეებს და ა. შ. მათი გადაწყვეტილებით, საზოგადოების კუთვნილ 24 სკოლიდან სახელმწიფოს უკვე გადაეცა 19, ხოლო 5 – კავკავის, ნალჩიკის, არმავირის, ბაქოსა და ბათუმის ისევ თვითონ დაიტოვეს. ასევე გადაეცა ერობებსა და ქალაქის თვითმმართველობებს მათი კუთვნილი 150 ბიბლიოთეკა-სამკითხველოდან 100 და მალე გადაეცემოდა დანარჩენებიც. მზადდებოდა მუზეუმის გადაცემაც. საზოგადოებას უძრავი ქონებაც გააჩნდა – სოხუმში სკოლა, ბათუმში ორი სკოლა და მასწავლებელთა ბინა, კავკავში სკოლა, ბაქოში სკოლა, ბიბლიოთეკა და თეატრი, თბილისში სასკოლო მუზეუმი, ეკლესია, საკრედიტო დანესებულებანი, საზოგადოების მუზეუმი და ბიბლიოთეკა და ქუთაისში სტამბა.

გამოქვეყნებულ წერილში საზოგადოება აყალიბებდა რა თავის მიზანს, თვლიდა, რომ მას ძირითადად უნდა დარჩენოდა სკოლებისათვის წიგნების გამოცემის ფუნქცია.

ამისათვის კი, გამოსაცემად უკვე შეძენილი ჰქონდათ ქართული მწერლობა და სცემდნენ ტომეულებს (მაგალითად ბარნოვისას), მიწვეული ჰყავდათ მთარგმნელიც. საზოგადოებამ 1919 წელს მთავრობისაგან 0,5 მილიონი უპროცენტო სესხი მიიღო, რომელსაც თავისი ნახევარი მილიონიც დაუმატა და სექტემბერში შეიძინა ქალაქი, რომლითაც სულ რაღაც ოთხ თვეში 25 წიგნი გამოსცა. დაიბეჭდებოდა უფო მეტიც, რომ მათ საკუთარი სტამბა ჰქონოდათ. გამოსაცემად კიდევ მზად იყო 115-მდე წიგნი, მაგრამ უკვე აღარ ჰქონდათ ქალაქი. ისინი ხელისუფლებას სთხოვდნენ ეშუამდგომლათ მომარაგების სამინისტროსთან, რათა შეღავათიან პირობებში შეეძინათ 8010 ათასი ფუთი ქალაქი, რისთვისაც საჭირო იყო 5,4 მილიონი მანეთის სესხი. თუ ამას დაემატებოდა სასკოლო ნივთებისათვის საჭირო თანხაც, მაშინ სულ საჭირო იყო 5 მილიონი მანეთის სესხი, რასაც საზოგადოება სამი წლით ითხოვდა. სამაგიეროდ, იგი კისრულობდა დაებეჭდა დედაენა 200 000 ცალი, ბუნებისკარი 100 000 ცალი და სხვა წიგნები. ვალის საგარანტიოდ საზოგადოება სახელმწიფოს სთავაზობდა თავის უძრავ ქონებას სოხუმში (სკოლის ორსართულიან შენობას), ბათუმში (ორ შენობას), ბაქოსა და კავკავში (თითო-თითო შენობას) და ა. შ.³ სამწუხაროდ, იმ ეტაპზე სახელმწიფომ ამ სესხის გაღება ვერ შესძლო.

1920 წელს საზოგადოებამ თავისი ფილიალების გაუქმება დაადგინა, რადგან მათი უმრავლესობა (ბაქოს, კავკავისა და ბათუმის გარდა) ფაქტიურად აღარ მუშაობდნენ.⁴ მაგალი-

1. იქვე, 1919წ., №700, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919წ., №275.

2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ.,

3. გაზეთი „საქართველო“, 1920 წ., №27.

4. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 741.

თად, ასეთი მდგომარეობა იყო თელავში, სადაც ფინანსური გაჭირვების გამო მხოლოდ სამკითხველო ფუნქციონირებდა და ცოტადენი დახმარება ღარიბ მოსწავლეებს ეძლეოდათ. იქ საზოგადოებაში მხოლოდ 2-3 კაცი იყო შემორჩენილი.¹ აგრეთვე ხონში, სადაც არსებობდა საზოგადოების დრამატული და ქალთა წრეები და სამკითხველო, მაგრამ ამათგან რეალურად მხოლოდ ქალთა წრე მუშაობდა. უჭირდა სენაკის განყოფილებასაც, რომელიც 1920 წელს იძულებული გახდა თავისი ბიბლიოთეკის წიგნებით შესავსებად დახმარება ავტორებისა და გამომცემლობებისათვის ეთხოვა.² უკეთეს დროში არც თბილისში მდებარე ნავთლულის ბიბლიოთეკა იყო. საზოგადოება იძულებული გახდა იგი გაეუქმებინა და მისი წიგნები ჩუღურეთის, ნ. ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკისათვის გადაეცა.³

მიუხედავად ყოველივე ამისა, საზოგადოება მაინც ახერხებდა მცირე მოცულობის დახმარების აღმოჩენას. მაგალითად, მან 500 მანეთი საბავშვო წიგნები აჩუქა დედობისა და ბავშვობის დამცველ საზოგადოებას, ჭყონაგორას ბიბლიოთეკას გაუგზავნა თავის გამოცემათა თითო ეგზემპლარი, ჟურნალ „ჯეჯილს“ 30 წლის საიუბილეოდ გამოუყო 1000 მანეთი,⁴ დ. კლდიაშვილი საიუბილეო საღამოზე დაასაჩუქრა 2000 მანეთით, 7 მწერალ მელანიას საიუბილეოდ გამოსცა მისი წიგნი და ა. შ. საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ილია ჭავჭავაძის ქვრივისადმი. 28 იანვარს საგანგებოდ განიხილეს მისი ეკონომიური გაჭირვების საკითხი და აღინიშნა, რომ ის 1 500 მანეთი, რომელიც მას ეძლეოდა (1200 მანეთი ბაკიდან და 300 მანეთი საზოგადოებიდან) ძალიან ცოტა იყო. ამიტომ, დაადგინეს ეს დახმარება გაზრდილიყო 2 000 მანეთამდე, თანაც ეთხოვათ ბანკისათვის, რომ დახმარება მასაც გაეზარდა. გადანყვეტილების შესრულებაზე თვალყურის დევნება პ. სურგულაძეს დაევალა. საზოგადოების მიერ გამოჩენილი ასეთი ყურადღება რა თქმა უნდა დასაფასებელია, მაგრამ განა გამართლება მოეძებნებოდა მთავრობის ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას დიდი ილიას მეუღლისადმი?

საზოგადოების საქმიანობა იმითაც იქცევდა ყურადღებას, რომ იგი ცდილობდა ღირსეული პატივი მიეგო საქართველოს სასახელო შვილების ხსოვნისადმი. მაგალითად, 25 იანვარს მან დიდუბის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი, იქ დაკრძალულ ღირსეულ მამულიშვილთა საპატივცემულოდ. ასევე დაადგინა, რომ ტრაგიკულად დაღუპული მფრინავი მაცამვილი დაეკრძალათ დიდუბეში მფრინავ გრიგოლაშვილ-მალაშხიას გვერდით და ა.შ.⁵

1. იქვე, №782.

2. გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., №243.

3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., №69.

4. იქვე, №15.

5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., №31.

ომარ კახნიძე – თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი.

სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

ქართველი ერის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა X-XI-XII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეებისა და მნიგნობრების საქმიანობას. ესენი იყვნენ: ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე მთაწმინდელი (920-1005 წწ.) და ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028 წწ.); ექვთიმე მთაწმინდელის ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ.); XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე; XI-XII საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი, გელათის აკადემიის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი (7:17-19, 36).

სწორედ ამ საუკუნეებში დაარსდა იყალთოსა და გელათის აკადემიები – საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრები. აქ ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა და ითარგმნებოდა და ინერებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი ქართულად (7:43-54). ამასთან ერთად, იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა, მევენახეობა (14:89-90).

თითოეულმა ამ მოღვაწეთაგან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ მეცნიერებათა ფორმირების საქმეში,

ასეთი წარმატებული მუშაობა, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ძველბერძნულმა და ლათინურმა ენებმა, საუკუნეებით დაამუხრუჭეს-შეაჩერეს ქართული ცნობიერების მტრებმა, რომელთა მიზანი იყო ქართული ტერიტორიების მიტაცება-გავერანება და ქართული სულიერების განადგურება.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის დროდადრო გამოჩნდებოდნენ მამულის და რწმენის შეუპოვარი დამცველნი. მათი დიდი მცდელობის შედეგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა წინსვლა კულტურის დარგში და კერძოდ განათლებაში, რასაც დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798 წწ.) (4:196).

განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი და წამმართველი იყო კათალიკოსი ანტონ I – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788 წწ.), რომლის მეცადინეობით მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ან აღსდგა საუკუნეების განმავლობაში შეწყვეტილი კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება. ანტონ I ენერგიულად შეუდგა სასწავლებლების ორგანიზებას ქართლ-კახეთის მთელს ტერიტორიაზე.

მისი ინიციატივით, 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია. აქ ისწავლებოდა რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ანტონ I-ის მიერ 1753 წელს დანერგილი ქართული ენის გრამატიკა.

ანტონ I უდიდესი დამსახურებაა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნა. მას ეკუთვნის: ასო, ხმოვანი, მარცვალი, არსებითი სახელი, ზმნა, დადებითი ხარისხი, მდებარეობითი, ზმნიზედა, ბრუნვა, სახელობითი, მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და სხვა (12:32)

გრამატიკული ამ ტერმინების შესახებ არსებობდა აზრი თითქოს ანტონ I-მა ისინი გადმოთარგმნა რუსული შესატყვისი ტერმინებიდან, რაც არაა მართებული. საქმე ისაა, რომ „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა ანტონის შექმნილია და გვხვდება გრამატიკის პირველსავე რედაქციაში, რომელიც დაინერა 1753 წელს. საკმარისია ბევრ ამ ტერმინს შევადაროთ რუსული შესატყვისი ტერმინი და სრულიად აშკარად წარმოიქმნება ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ კალკას, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ

როცა ანტონი წერდა პირველ გრამატიკას მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რუსული ენის გრამატიკაზე.

მაშ, საიდან მივიღეთ ასეთი „აბსოლუტური“ დამთხვევები?

ქართული ენის გრამატიკის წერისას ანტონი იყენებდა ლათინური და სომხური ენის გრამატიკებს, რომლებშიც ყველა ეს ტერმინი კალკირებული იყო ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან. რუსული გრამატიკულ ლიტერატურაშიც ლათინურის მეშვეობით იმავე ბერძნული ტერმინების კალკასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც, რუსული და ქართული ტერმინები ასე ჰგვანან ერთმანეთს (12:99).

1758 წელს თელავში, მეფის სასახლეში დაარსდა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი სკოლა. 1782 წელს ის გადაკეთდა თელავის სემინარიად, რომელიც გაუქმდა 1803 წელს, როგორც ბუდე თვითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციისა (3:315-317). იქ ისწავლებოდა: მათემატიკა, ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებრივი განსხვავების გარეშე.

ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო მისი გახსნის ინიციატორი, არქიმანდრიტი გაიოზ რექტორი (1746-1821 წწ.) (4:197).

გაიოზ რექტორმა 1789 წელს დაწერა ქართული „ღრამატიკა“, რაც 1796-1800 წლებში დაიბეჭდა მოზდოკში მის მიერვე 1796 წელს დაარსებულ სტამბაში (13:630).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქალაქ ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად 1756 წელს დანიშნულმა ანტონ I-მა, იმავე წლის დეკემბერში დაასრულა ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ვოლფის შვიდნაწილიანი „ფილოსოფიის“ მეშვიდე ნაწილისა „თეორიული ფიზიკა“ (10:13). ამ წიგნის დედანი ინახება იოსებ (სოსო) გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაკეტილ სტენდზე(ხარფუხში).

ეს სახელმძღვანელო სავალდებულო იყო თბილისისა და თელავის სემინარიებში. თბილისის სემინარიაში ამ სახელმძღვანელოთი კითხულობდა თვით ანტონ I და მის ლექციებს ესწრებოდა ერეკლე II. თარგმნისას ანტონი სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წწ) „ლექსიკონი ქართულით“ და არსენ იყალთოელის (XI-XII სს.) „ფისიკით“ (10:14).

ვლადიმირში ყოფნის დროს, კერძოდ 1762 წელს, ანტონ I-ს ქართულად უთარგმნია ქრისტიან ბაუმაისტერის (1709-1785 წწ.) თხზულებანი: „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“, „საყოფაცხოვრებო ფილოსოფია“ ანუ ეთიკა და „განსაზღვრება ფილოსოფიისა“ (12:90-91).

თბილისის სემინარიამ იარსება 1795 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა (1742-1797 წწ.) არ დაანგრია თბილისი. შაჰის ერთ-ერთი მიზანი იყო საბრძოლო იარაღების სახელოსნოების გაძარცვა-განადგურება და ხელოსნების წაყვანა ირანში. თელავის სემინარიამ კი იარსება საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამდე (1801 წ), რის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავამთავრებთ, თელავის სემინარიასთან დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფაქტის აღნიშვნით. საქმე ისაა, რომ თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე, 1783 წლის 28 მაისს, სემინარიაში გამართულ საჯარო დისპუტებზე (პაექრობანი), რაც მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებული მუშაობის შეჯამება-შემოწმებას და ეს იმართებოდა ამათუიმ დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ. პაექრობა წარმოადგენდა დიდ სადღესასწაულო აქტსაც.

რადგან თელავის სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა საგრამატიკო დისციპლინებს, ამიტომ ეს საზეიმო სხდომაც სწორედ საგრამატიკო თემისადმი ყოფილა მიძღვნილი. ძირითადი მოხსენება ჩაუტარებია რექტორს, გაიოზ არქიმანდრიტს (1:51).

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავიწყებთ იმ პოლიტიკური აქტის აღნიშვნით, რომლის თანახმადაც რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1777-1825 წწ.) გამეფების პირველსავე წელს, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ის მიერთებული იქნა რუსეთთან.

1802 წელს საქართველოს მთავარმართებლად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს პავლე ციციანოვი (1754-1806 წწ.), რომელიც იყო კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას საქართველოსა და ამიერ-

კავკასიისთვის სჭირდებოდა მოხელეთა დიდი შტატი. მაღალ, დიდ თანამდებობებზე მუდამ ნიშნავდნენ რუსებს, მაგრამ დაბალ ადგილზე საჭირო იყო ადგილობრივი წარმომადგენელიც, ოღონდ იგი რუსულის მცოდნე ან რუსულ სკოლაში ნასწავლი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან მიერთებისთანავე, ქართული სკოლების უმეტესობა დაიხურა. რუსეთის მმართველობამ საჭიროდ სცნო მხოლოდ რუსული სკოლების არსებობა, როგორც საიმედო საყრდენი თავისი პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში. რუსული ორკლასიანი პირველი სასწავლებელი 1802 წელს იქნა გახსნილი, რაც იმავე წელს დაიხურა. მისი დახურვის მიზეზი იყო ის, რომ ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, პირვანდელი განზრახვის მიხედვით, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ-რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი (8:73).

რუსული პოლიტიკის უკეთ გატარების მიზნით, 1803 წლის 27 ივლისის მოხსენებით ციციანოვი მეფეს არწმუნებდა თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაში იმით, რომ რუსული ენის ცოდნა აუცილებელია ამ მხარეში, სადაც სამართლის წარმოება რუსულადაა და თარჯიმნებიც არიან, მაგრამ ადგილობრივი თავადაზნაურობა იმდენად უფიცია, რომ წესისამებრ მშობლიურ ენაზედაც ვერ საუბრობსო (19:5).

ციციანოვის ინიციატივით, 1804 წელს თბილისში აღადგინეს ქართული სტამბა, რომელიც მტრებმა 1723 წელს გაანადგურეს (12:88).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ციციანოვს გაუხსნია 1804 წლის 31 მაისს და ამ სასწავლებელს უარსებია 26 წელი (8:76), რომელიც სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდა და მოხელეებს ზრდიდა. მაგრამ მონაფეოზა სასწავლებელს გაურბოდა, განსაკუთრებით ათიან წლებში, როცა საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა.

კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი იყო ალექსი პეტრიაშვილი, რომელსაც სასწავლებლის გახსნის დღეს მგზნებარე სიტყვით მიუმართავს საზოგადოებისთვის. სასწავლებელი 1814 წლამდე საქართველოს მთავარმართებლის სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციაში შედიოდა, ხოლო 1814 წლიდან კი გადარიცხულ იქნა ხარკოვის სასწავლო ოლქის უწყებაში (16:3-4).

ამ სასწავლებელში 1828 წელს მიუბარებიათ საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოს-ქიმიკოსი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818-1876 წწ.), რომლის მიერ შექმნილი „მუდმივეფექტიანი წყვილი“ კეთილშობილი ლითონების, კერძოდ ოქროს მისაღებად ცნობილი იყო რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში 1843 წლიდან (10:24-30).

1811 წლის 1 ოქტომბერს, უწმინდესი სინოდის მიერ თბილისში დაარსდა მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარია. ეს იყო მეორე ოფიციალური რუსული სასწავლებელი, რომელიც მეფის მთავრობამ გახსნა საქართველოში (16:5). ეს სემინარია დაიხურა 1917 წელს, რომლის ერთადერთი ქართველი რექტორი 1916-1917 წლებში იყო დეკანოზი კორნელი კეკელიძე (1879-1962 წწ) (6:310).

თბილისის სასულიერო სემინარიას დასახული ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი: 1) მას უნდა აღეზარდა კულტურის მსახურნი და თვითმპყრობელობისთვის საიმედო, სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები და 2) მოემზადებინა მისიონერები მთაში ქრისტიანობის დასანერგად, რომ ხელისუფლება უფრო მტკიცედ გაბატონებულიყო და დაემონა კავკასიის მთის ხალხი (2:108).

დარეჯან დედოფლისეულ (მეფე ერეკლე II-ის მეუღლისეულ) სასახლეში, ავლაბარში, გახსნილმა ამ სემინარიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში (8:87).

თბილისის სასულიერო სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლათა რეორგანიზაცია გატარდა 1835 წლის 1 სექტემბრიდან. სემინარია დაუქვემდებარეს კიევის აკადემიის ოლქს და ამიერიდან ამ ოლქს უნდა ეზრუნა და ხელმძღვანელობა გაენია მისთვის. რეორგანიზაციის გატარების შემდეგ სასწავლებელში რუსულის სწავლება მიანდეს მხოლოდ რუსებს, ქართველს აღარ ნიშნავდნენ (2:126).

სასულიერო სემინარიაში მსოფლიო ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა რუსეთის ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორია საეკლესიო ისტორიასთან ერთად (16:7).

საქართველოში ფიზიკისა და გეოფიზიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1844 წელს თბილისში გეოფიზიკური ობსერვატორიის გახსნამ (10:8). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ობსერვატორიის არსებობა დაფიქსირებულია 1158 (15:32) და 1258 (7:23) წლებშიც კი. გარდა ამისა, ამინდზე პირველი დაკვირვება დაინიშნა 1932 წლიდან.

თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას გააჩნია განვითარების საინტერესო ისტორია (5:142, 155-159).

1825 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ისწავლებოდა: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თარგმნა, ცეკვა, თათრული ენა, საღვთო სჯული, გეოგრაფია, ისტორია, ხატვა, გეომეტრია, ალგებრა, რუსული და ქართული სიტყვიერება, ფორტიფიკაცია, გეოდეზია. მოსწავლეთა დატვირთვა იყო 40-46 საათი კვირაში და გაკვეთილები ტარდებოდა დილით და საღამოს 4-4 საათი (19:16).

1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ეს დებულება ითვალისწინებდა ერთ გიმნაზიას თბილისში და 20 სამაზრო (საერო) სასწავლებელს თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამაზრო ცენტრებში (8:104).

ამ დებულებით, სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო 1835 წლის დებულებით ისინი გადაკეთდა სამკლასიან სასწავლებლად (16:11).

თბილისში გიმნაზია გაიხსნა 1830 წლის მარტში, საქართველოს მთავარმმართველ პასკევიჩის დროს. უფრო სწორად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად (8:105) და მასთან ერთად გაიხსნა პანსიონიც აზნაურთა შვილებისთვის (16:11).

თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ჯერ სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.) და მისი დაპატიმრებიდან, 1832 წლიდან ვიდრე 1868 წლამდე კი მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ზაქარია ყორღანოვი.

1837 წელს მეფე ნიკოლოზ I ესტუმრა ამიერკავკასიას. მის მგზავრობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში გამოაშკარავდა მრავალგვარი ბოროტმოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარმმართველი როზენი თავისი ოჯახის ყველა წევრითურთ. მექრთამეობა და სახაზინო ფულის მითვისება „სავალდებულოდ“ ითვლებოდა ყველა მოხელისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს გასსენ მილერს გაუფლანგავს გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლების მშენებლობისთვის გადადებული 50 000 მანეთი. დირექტორი ამ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც გამჟღავნდა 1839 წელს, ციმბირში გაგზავნეს ყოველგვარი უფლების აყრით. მეფის მგზავრობას შედეგად მოჰყვა როზენის მოხსნა (18:93).

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება იწყება მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებიდან. 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის (1811-1887 წწ.) ინიციატივით ქართველი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას, რომელიც 1846-1848 წლებიდან საფუძვლად დაედო მთავრობის საჯარო ბიბლიოთეკას (19:209).

1848 წლის დებულებით, თბილისის გიმნაზიაში ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო იყო ქართული და თათრული ენები, მაგრამ სიმძიმის გამო მხოლოდ ერთი ენა გახდა სავალდებულო (19:21).

თბილისის გიმნაზია, რომელიც ერთადერთი იყო მთელს ამიერკავკასიაში, შედარებით ნაკლები მომზადებისა და ცოდნის ახალგაზრდებს უშვებდა. ამის გამო, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა პირდაპირ შესულიყო მოსკოვის უნივერსიტეტში (16:12).

მეორე გიმნაზია საქართველოში დაარსდა ქ.ქუთაისში 1848 წელს და მათ (თბილისის და ქუთაისის გიმნაზიებს) მიეცათ ის უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის გიმნაზიებს სრულიად რუსეთის 1828 წლის წესდებით. იმავე წელს საქართველოში გიმნაზიის კურსი 8-წლიანი გახდა (16:13).

1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი, ხოლო საკმაოდ გვიან, 1917 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (11:12-15).

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

მოწინავე ქართული პრესა ბრძოლას აწარმოებდა ერთი მხრივ იმისთვის, რათა ხალხის მშრომელი მასების ცნობიერებაში შეეტანა იმის შეგრძნება, რომ „განათლება ყველაზე უფრო ძლიერი ძალაა“ და რომ ახლა თოფითა და ხმლით მეზობელ ქართველ ვაჟკაცთა დრო აღარ არის, ახლა არის სწავლისა და მეცნიერების დრო; მეორე მხრივ – პრესა ბრძოლას აწარმოებდა ხალხის განათლების უფლებებისთვის, სკოლების რიცხვის გადიდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის (8:379).

1864 წელს მთავრობამ შემოიღო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კლასიკური და რეალური. ეს გიმნაზიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ როგორც სასწავლო გეგმით და სწავლის შინაარსით, ისე უფლებებით. აქ პირველად დაარსდა პედაგოგიური საბჭო სასწავლო და აღმზრდელობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უქმდებოდა წოდებრივი პრივილეგიები და ფიზიკური დასჯა „როზგი“-„განკეპვლა“.

1865 წელს თბილისში დაარსდა ქალთა პირველი თანრიგის ღია სახელმწიფო სასწავლებელი, პედაგოგიური ციკლით. იმავე წელს კი, ქუთაისში გაიხსნა ქალთა ელემენტარული სკოლა.

1866 წელს ქ.თელავში გაიხსნა წმ.ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი (თბილისისა და ქუთაისის ასეთივე სასწავლებლის სტრუქტურით, გეგმით და პროგრამით), რომელიც 1867 წლიდან განთავსდა ერეკლე II-ის სასახლეში.

1867 წლის დებულებით, ქართული ენა სავალდებულო გახდა მხოლოდ ქართველებისთვის, სომხური-სომხებისთვის და თათრული-თათრებისთვის.

პირველი ნაბიჯი ქართული ენის შესაკვევად გადაიდგა 1861 წელს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში მკვეთრად შეამცირეს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა.

მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ კავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ქართველების მიმართ განათლების დარგში გამოხატულება ჰპოვა 1873 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში, რომლითაც ადგილობრივი ენები კავკასიის საშუალო სასწავლებლებში რჩებოდა მხოლოდ ოთხ კლასში და ისიც როგორც არასავალდებულო საგანი-ვისაც სურდა ადგილობრივი ენის გაკვეთილები, მას ხელფასი უნდა გადაეხადა მასწავლებლისთვის.

ამ დებულების შესამუშავებლად, 1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა თბილისში მოიწვია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორების ყრილობა.

ჯერ კიდევ ყრილობამდე, ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო აღნიშნავდა: მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების წინ წამოწევისა ზიანის მომტანია რუსული ენისთვის. ამ პოლიტიკით ჩვენ მივდივართ არა რუსი ხალხების არა ასიმილაციისკენ, რაც ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს, არამედ მათ საშუალებას აძლევს ადვილად გავიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავიანთი ბუნებრივი ენით (19:42).

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნომბერს დაინიშნა კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

იანოვსკის დანიშვნას სიხარულით შეხვდნენ მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვები. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ იანოვსკი ორმაგ თამაშს ეწეოდა: 1879 წლის 22 დეკემბრის წერილში იგი მხარს უჭერდა ადგილობრივ ენაზე სწავლებას დაბალ კლასებში, ხოლო 1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით ხელქვეითებს ამცნობს, რომ კავკასიის ხალხები უმეცარნი არიან, რომელთა შორის უნდა განმტკიცდეს რუსული ცივილიზაცია რუსული ენის საშუალებით. თუკი ამ ერების გადაგვარება ვერ შეძლეს წარსულში დამპყრობლებმა, ამის მიზეზია დამპყრობელთა უკულტურობა, გაუნათლებლობა. სკოლა კი, რომელსაც ცარიზმი ფლობს, იანოვსკის აზრით, მძლავრი იარაღია, რომელიც აქ განამტკიცებს რუსულ ცივილიზაციას (19:88).

იანოვსკის უნდოდა გაეტარებინა თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, გაედევნა ქართული ენა, გადაეგვარებინა ქართული ახალგაზრდობა და ამით ლახვარი ჩაეცა ეროვნული კულტურისა და შემოქმედებისთვის ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, გადაგვარებული თაობების სახით ხელისუფლებისთვის მიეცა გონებით დაკნინებული და სულით დამონებული მოხელე-ჩინოვნიკობა.

იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ განაპირა ქვეყნებში სკოლა უნდა იყოს რუსული ცივილიზაციის დამწერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუხვრელი.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით, იანოვსკი თავის ხელქვეითებს წერდა: კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მათში სასწავლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად... ეს ცივილიზაცია აღმოჩნდება წინათ აქ არსებულ ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე (19:91).

იანოვსკის ცბიერი და ორმაგი ბუნება კარგად გამოავლინა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხლივაში“: იანოვსკის ისე, როგორც ყველა ფლიდსა და გაიძვერა მოხელეს, თავი მოაქვს ქართველი ერის მეგობრად და ქართველი ერის ახალგაზრდობის მოამაგედ.

80-ანი წლების მიწურულში ხელისუფლება აუქმებს 1881 წლის სასწავლო გეგმას და დანყებითი სკოლებიდან სავსებით დევნის ადგილობრივ ენას და სავსების სწავლებას აწყობს რუსულ ენაზე ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე. მაგრამ რუსული ენის შესწავლის პროცესში მასწავლებელს სჭირდებოდა მშობლიური ენის მოშველიება უცხო სიტყვებისა და ფრაზების ასახსნელად. განათლების მესვეურნი მალე დარწმუნდნენ, რომ ამ მეთოდით მიზანს ვერ მიაღწევდნენ. გარუსების საქმეში მეტი ეფექტის მისაღწევად, განათლების მესვეურებმა ორ მთავარ ზომას მიმართეს: რუსული ენის შესწავლის საქმეში მშობლიური ენის სრულ აკრძალვას და ბავშვის საზოგადოებრივ ენად რუსულის ენის გადაქცევას.

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორ ლევიტსკის აზრით, მშობლიური ენა ხელს უშლის სხვა ენის შესწავლას და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა (რუსული) ენის შესასწავლად (19:109-112).

1881 წლის მიწურულში გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვალთა და აღდგენილ იქნა მთავარმმართველობა. რეაქციის გაძლიერებას განათლების დარგში მოასწავებდა რეაქციონერ დელიანოვის დანიშვნა განათლების მინისტრად.

მეფის რუსეთის ბრძოლა განათლების წინააღმდეგ, საზოგადოდ, სწორედ ასეთი ფორმით წარმოდგა საქართველოში. თვით რუსეთში კი, ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სახვა ფორმით. სახელდობრ: „ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთი დარწმუნდა თავის ძლიერებაში და ალექსანდრე I და ნიკოლოზ I იმპერატორები მეცნიერებას აღარ აქცევდნენ ყურადღებას. მეტიც, ალექსანდრე I ზოგიერთები ურჩევდნენ ყაზანის უნივერსიტეტის დაწვას, რადგან მასში ურწმუნოებისა და რევოლუციის იდეები სუფევსო. ხოლო პეტერბურგის საუკეთესო პროფესორა სამუშაოდან დაითხოვეს და მეტიც: უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების „გაძლიერების“ მიზნით ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორად დანიშნეს უბნის პოლიციის უფროსი“ (9:29).

სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ქართული ენის გაუქმებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსწავლეებში და ზოგიერთ მასწავლებელში. მოსწავლეებს და არასაიმედო მასწავლებლებს დაუწყეს თვალთვალი და ეს უფრო გაძლიერდა, როცა ცნობილი გახდა სემინარიელების მიერ საეჭვო ლიტერატურით სარგებლობის შემთხვევები.

სემინარიელების დაინტერესებას სხვადასხვა ლიტერატურით ხელს უწყობდა სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე იაკობ გოგებაშვილიც (1840-1912 წწ).

ქართველი ახალგაზრდობის გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა ე.წ. „ივანოვის ბიბლიოთეკამ“. 1870 წლის „დროების“ № 47-ში განთავსებული წერილი „სამნიგნობრო და საკითხავი ოთახი“ იტყობინებოდა, რომ მიმდინარე წლის 19 ნომბერს ფოსტის ქუჩაზე, სემინარიის მოპირდაპირედ ზუბალოვის სახლში გაიხსნა აღნიშნული ოთახი, სადაც წიგნებით სარგებლობა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე სახლში წაღებითაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

საქმე ისაა, რომ იმ დროს გაზეთები ცალკობით არ იყიდებოდა და მხოლოდ თვეობით გამოიწერებოდა თანხის წინასწარ გადახდით, რასაც ყველა მსურველი ვერ შეძლებდა. ვინმე ივანოვმა თავისი ფული ჩადო საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში და არ დაუწყია მევახშეობა (19:211).

მოსწავლეების მიერ სემინარიის ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად კონტროლდებოდა.

სინოდის ოპერ-პროკურორის 1884 წლის 4 მაისის განკარგულებით სემინარიის ბიბლიოთეკიდან ამოიღეს მრავალი „არასასურველი“ წიგნი, მათ შორის დ. მენდელეევის წიგნი „ქიმიის საფუძვლები“.

1883 წლის მაისში თბილისის სემინარიის რექტორად დაინიშნა პავლე ჩუდეცკი, რომელმაც მაშინვე დაიწყო სემინარიელების გაკონტროლება არასაიმედო ლიტერატურით სარგებლობასთან დაკავშირებით (19:235).

თბილისის სემინარიის მოსწავლეთა მღელვარების მიზეზები იყო ცუდი ნიშნებისთვის დასჯითი რეჟიმი, თვით კარცერში რამდენიმე საათით მოთავსებით, ცუდი კვება და დაგლეჯილი ტანსაცმელი. ჩუდეცკის მიერ ბევრი მოსწავლე იქნა გარიცხული სემინარიიდან აკრძალული ლიტერატურით სარგებლობისთვის (19:240-248).

სემინარიის ადმინისტრაციამ რეპრესიები გააძლიერა მას შემდეგ, რაც 1885 წლის დეკემბერში მას ხელში ჩაუვარდა სემინარიის უდემდამო მოსწავლე იოსებ ლალიაშვილის „დღიური“, საიდანაც გამჟღავნდა ბევრი საიდუმლოება: არალეგალური ჟურნალ „ყვავილის“ არსებობა და საიდუმლო წრის არსებობა მისი წევრების დასახელებით. 1885 წლის 9 დეკემბერს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ი. ლალიაშვილი ამორიცხა სემინარიის საერთო საცხოვრებლიდან და ამიტომ მოუხსნეს სახაზინო ხარჯი. სანაცვლოდ დაუნიშნეს 6 მანეთი თვეში. ი.ლალიაშვილი იძულებული გახდა ბინისა და სადილის საფასურისთვის მიეცა კერძო გაკვეთილები. მაგარამ ჩუდეცკიმ აიძულა მოსწავლის მშობლები, უარი ეთქვათ ი.ლალიაშვილის მასწავლებლობაზე.

ამის შემდეგ, ი.ლალიაშვილს სახლში უპოვეს აკრძალული ლიტერატურა და ჩუდეცკიმ აიძულა იგი თხოვნა შეეტანა სემინარიიდან ამორიცხვის მიზნით. ეს თხოვნა მან დაწერა 1886 წლის 13 მარტს და იგი გარიცხულ იქნა თბილისის სემინარიიდან (17:24).

ი. ლალიაშვილმა რამდენჯერმე თხოვა ჩუდეცკის სემინარიაში აღდგენა ან ცნობის მიცემა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სემინარია. ორივე თხოვნაზე მან უარი მიიღო. იგივე თხოვნით, იგი ჩუდეცკისთან კაბინეტში მისულა 1886 წლის 24 მაისს დილის 11 საათზე და ისევ უარი. ამის შემდეგ მან ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯალი ჩასცა ჩუდეცკის, რომელიც კაბინეტიდან გავარდნილა მეზობელ ოთახში და კისერში ხანჯლის დაკვრით იქ იქნა მოკლული (17:25-29).

საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა პავლემ (პეტრე ვასილის ძე ლებედევმა, 1827-1892 წწ.) ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში დასწყევლა მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. ამავე სიტყვაში მან ანათემას გადასცა მთელი ქართველი ერი, რის გამოც დიმიტრი ყიფიანმა სადგურ ხაშურიდან პავლეს გაუგზავნა ისტორიული წერილი, სადაც იგი პავლეს ურჩევდა დაეტოვებინა მის მიერ შეურაცხყოფილი საქართველო.

ყოველივე ამას მოჰყვა ეგზარქოსის გადაყენება და დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იგი 72 წლის ასაკში მოკლა ვინმე რუსმა ბერმა თავში უროს ჩარტყმით. დიმიტრი ყიფიანი დაკრძალულია მთაწმინდაზე. მის ხსოვნას აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
 შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
 მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
 თავდადებულის საფლავსა.

 „დედა-შვილობამ მეტს არ გთხოვ:
 შენს მინას მიმაბარეო,
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო!“

[1892წ]

იოსებ ლალიაშვილი გასამართლებულ იქნა 1886 წლის 16 ივნისს და მას მიესაჯა 20 წლით გადასახლება კუნძულ სახალინზე. განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნა მისი არასრულწლოვანება-იგი დაბადებულა 1866 წლის 2 იანვარს და ჯერ კიდევ არ იყო 21 წლის. სახალინიდან იგი გაქცეულა იაპონიაში და 1889 წელს კი ამერიკაში, სადაც იგი გარდაცვლილა სან-ფრანცისკოში 1913 წელს (ვინმე ჭავჭავაძის თქმით). სინოდმა კი სემინარიის რექტორ ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს, მარიამს თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა. იმ დროს, თბილისის სასულიერო სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის ხელფასი 40-50 მანეთს არ აღემატებოდა (17:30-37).

ჩუდეცკის მკვლელობის შედეგად მთავრობამ სემინარია გაანადგურა. მხოლოდ ერთ დღეს სემინარიიდან დაითხოვეს 34 მოსწავლე; ბევრი კიდევ მანამდე ან მას შემდეგ. გახშირდა სემინარიელების მღელვარება, რასაც ხშირად ინვევდა ადმინისტრაციის უადგილო მოთხოვნები და შენიშვნა-გაფრთხილებები. იყო შემთხვევები სემინარიიდან გარიცხვისა და სხვა სემინარიაში შესვლის აღკვეთით ან ქ. თბილისში ცხოვრების აკრძალვით.

დიდი არეულობა მომხდარა სემინარიაში 1893 წლის 1-4 დეკემბერს. ამ გამოსვლების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რექტორ სერაფიმეს მოთხოვნით შედგენილ იქნა სია საეჭვო მოსწავლეებისა მათი მოკლე დახასიათებით. ამ დროისთვის სემინარიაში ყოფილა 412 მოსწავლე. 1-4 დეკემბრის არეულობის გამო სემინარია დახურეს 1894/5 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

მეცხრამეტე საუკუნის სემინარიელების უკმაყოფილებანი, სწავლების მაშინდელი სისტემის მიმართ, გაგრძელდა მეოცე საუკუნის პირველ ათიან წლებშიც. უკმაყოფილება გრძელდებოდა იმის გამო, რომ ხელისუფლება ძალიან ცდილობდა რუსულ ენას მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ორი შემთხვევა.

1903 წელს დირექტორების, ინსპექტორების, პედაგოგების, მეურნეთა, სასულიერო პირთა ერთ-ერთ ფართო შეკრებაზე პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ენისთვის ზიანის მომტანია მისი ცალკე საგნად სწავლება და რომ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე. როსტომაშვილის ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა იაკობ გოგებაშვილმა, რის შემდეგაც როსტომაშვილმა უკან წაიყო თავისი სიტყვები.

1905 წელს მთავრობამ შექმნა რევოლუციასთან მეზობლი შავრაზმული ორგანიზაცია, რომლის წევრი იყო ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ტიმჩენკო-იაროშჩენკოს ქალი. იგი რუს მოსწავლეებს ასე მიმართავდა: გახსოვდეთ რომ ხართ რუსი, საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტიქტების მიბაძვაო. ეს მოხდა 1912 წელს. ამის გამო საჩივარი შევიდა მთავრობაში 200 მშობლის ხელმოწერით, მაგრამ შემდეგი სავალალო: რამდენიმე რუსი და ყველა ქართველი მასწავლებელი გადაიყვანეს ქუთაისიდან. სასწავლებლის ინსპექტორმა კონსტანტინე ლოლობერიძემ კი თავი მოიკლა-მას ბრალს სდებდნენ ტიმჩენკოს წინააღმდეგ ქმედებაში (20:63-64).

აი, ასეთი მძიმე რეჟიმის პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების მიღება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ა. – საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 51-65.
2. ბაკურაძე ი. – ტფილისის სასულიერო სემინარია 1817-1835 წლებში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 107-126
3. ბერიძე ვუკ. – დავით რექტორი-ლექსიკოგრაფ საბა-ორბელიანის გამგრძელებელი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I. 1936, 310-332.
4. გამსახურდია ს. – სწავლა-განათლება ძველ საქართველოში. თბ., 1975.
5. ერემიშვილი ი. – ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა. ქუთაისი, 1997.
6. ვართაგავა ი. – მოგონებები, II. თბ., 1962.

7. თავზიშვილი გ. – უმაღლესი განათლების ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი პირველი. თბ., 1938.
8. თავზიშვილი გ. – სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870. თბ., 1948.
9. პარკაძე ვ. – დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“. თბ., 1954.
10. საქართველოს ფიზიკოსები, შეადგინა – ვ. პარკაძემ. თბ., 1982.
11. ტორაძე გ. – მუსიკის სამყაროში. თბ., 2010.
12. ფოცხიშვილი ა. – პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო. თბ., 1990.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2., 1977.
14. ლამბაშიძე რ. – ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბ., 1986.
15. ჩაკვეტაძე ვ. – გელათის აკადემია. თბ., 1958.
16. ნერეთელი ქ. – სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში. თბ., 1978.
17. ხუნდაძე არკ. – რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. ტფ., 1932.
18. ხუნდაძე ტრ. – საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სნავლა-ალზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული I. ტფ., 1937, 74-106.
19. ხუნდაძე ტ. – ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1951.
20. ხუნდაძე ტროფიმე – ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. თბ., 1976.

„ვანელი“ ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით

ქართულ ისტორიულ სინამდვილეში ფეოდალური კლასი, სპეციფიკურობიდან გამომდინარე არ ან ვერ უწყობდა ხელს სანარმოო ძალთა განვითარებას და შემოიფარგლებოდა ტრადიციულად არსებული სამეურნეო ურთიერთობებით.

ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტური ფორმაციის ჩასახვამ საქართველოში ბიძგი მისცა ფეოდალური წარმოების ახალ მიმართულებებზე გადასვლას, ეს ნიშნები რამდენადმე „ვანშიც“ შეინიშნება.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს „ფეოდალური დაჩიხულობის“ ლაბირინთში თანდათანობით გამოიკვეთა კარიბჭე, საიდანაც შესაძლებელი გახდა შესაბამისი სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობით საზოგადოებრივი განვითარების შედარებით სწორ გზაზე გამოსვლა.

აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით საინტერესო და ნიშანდობლივია თავად ნიკოლოზ ჩიჯავაძის¹ მოკრძალებული ძალისხმევა „საჩინოს“ სამეურნეო ეკონომიკური განვითარების საქმეში, რომელიც, ძირითადად, მისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. (იგი ფლობდა „საჩინოს“ – დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს). ნიკოლოზ ჩიჯავაძის ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, რამდენადმე უკავშირდება მის განსწავლულობას, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდა სანარმოო ძალთა განვითარების ეკონომიკური საფუძვლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ევოლუციურ სახელმწიფოებრივ განვითარებასთან, რომ ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ მოქმედი, სამეურნეო ურთიერთობანი საჭიროებდა ცვლას. ამგვარი ხედვა ნიკოლოზს უდაოდ შეუქმნა შესაბამის გამოცდილებასთან ერთად კომერციული საქმისადმი დაინტერესებამ. კავკასიის სოფლის მეურნეობის მრეწველობის გამოფენებში მონაწილეობამ, რისთვისაც მან 1864 წლის 17 ოქტომბერს ოქროს მედალი, ხოლო 1860 წელს პეტერბურგში მონყობილი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გამოფენაზე მონაწილეობისათვის სიგელი მიიღო.

ვინაიდან, ამჟამად, ჩვენს მიზანს ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა წამოადგენს, საჭიროდ მივიჩნევთ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი დოკუმენტის განხილვას. ამ მხრივ საინტერესოა ნიკოლოზ ჩიჯავაძესთან ზუგდიდის მაზრაში მცხოვრები მწყემსების კვარაცხელიასა და ზარქუას მიერ დადებული ხელწერილი, რომელიც 1872 წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ხელწერილში აღნიშნულია, რომ ისინი მოიყვანენ ნიკოლოზ ჩიჯავაძის ტყეში კერძოდ, გორმალის ტყეში თხის არვეს, ცხვრის ჯოგს და ცხენებს. „ორ წელიწადს, რომლისთვის ვალდებული ვარ ჩვენ კვარაცხელია და ზარქუა ჩუენგან მორეკილ ძუელის თხა და ცხვრისაგან ოცის თავი მოგართვათ, ხოლო ახლისაგან ათის თავი, თიკანი და კრავი და ორმოცი კარგი სულგუნი.“² აღნიშნულ საბუთს ხელს აწერს ვანის საზოგადოების მამასახლისი აბრამიძე.

1875 წლით დათარიღებულ საიჯარო ხელწერილთა შორის მოხსენიებულია გიორგაძეები, ვაშაყმაძეები, აბრამიძეები, ლასხიშვილები, მრავალთა შორის მოვიყვანთ ერთ-ერთ ხელწერილს:

„1875 წელსა იანვრის 30 დღესა, ყმანი მაქსიმე ზალისკას ძე, ექვთიმე საბიას ძე, ეგნატე კაციას ძე, პავლე კაციას ძე და სევასტი პეტრეს ძე გიორგაძეები გაძლევთ ამა ხელწერილს თქუენ კნიაზ ნიკოლოზ ვახუშტის ძეს ჩიჯავაძეს მას შინა, რომ ჩვენ გვებოძა თქვენგან სამოდოთ³ თქვენი ადგილი ქუთაისის უეზდში, საჩინოში, სულორს დაბლა სახელდობრ მულრუნა საზღვართა შორის აღმ. დასავ. და სამხრეთით თქვენი ჩიჯავაძის ადგილი და ჩრდილოეთით ახვლედიანთ შვიდი ქცევა და ვიკვრით ის მოდი რაც თქუენგან განწესებული იქნება საყოველთაოდ არ დაგაკლოთ. ყმანი მაქსიმე ზალისკას ძე, ექვთიმე საბიას ძე, ეგნატე

1 იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი, პოდპორუჩიკის ჩინის მქონე.

2 ქუთაისის ისტორიული მუზეუმი 6413/143

3 იჯარით

კაცისაჲ ძე, სევასტი პეტრეს ძე გიორგაძე, რადგან ამათ წერა არ იცოდა ამათ მაგივრად ჩემთვისაც ხელს ვანერ თხოვნით პავლე გიორგაძე, სევასტი გიორგაძე.

რომ უწერილობის გამო ყმების მაქსიმე ზალიკას ძის, ექვთიმე საბიას ძის, ეგნატე კაცისაჲ ძის და სევასტი პეტრეს ძის გიორგაძეებისა მათის თხოვნით მათ მაგიერ და მისთვისაც ხელი მოაწერა პავლე კაცისაჲ ძემ გიორგაძემ, ამას ვამოწმებ ბეჭდის დასმით.

30 იანვარს 1875 წელს

ვანის საზოგადოების მამასახლისი ლომგერი ნიკოლეიშვილი¹.

მინების იჯარით გაცემამ რომ საყოველთაოდ მზარდი ხასიათი მიიღო დასტურდება 227-ე საბუთით².

„სამოცი ქცევა მამფორიებს დიმიტრის მამისთვალს მიქელას ამას გარდა ამაღლობელს და თედორე ნაფეტვარიძეს ორმოცდაექვსი ქცევა ხავთასის და თუალავაძეს, ოცი ქცევა მახარაძეს ანტონიას და კვირიას, ოთხი ქცევა მიქელა ივანიაძეს, თექვსმეტი ქცევა თამაზას და გრიგოლას გოგაძეს, ოზდახუთი ქცევა ივანეს კორძაძეს და მიქელა გოგაძეს, ათი ქცევა სიმონას და როსთომას გაბუნიებს, ოცი ქცევა ივანე მახარაძეს, ექვსი ქცევა ბუჭუა კახაძეს, სიმონა მოსავლიძეს, თოთხმეტი ქცევა ანდრია ხავთასს, სამი ქცევა სიმონა ხავთასს და როსთომას ათი ქცევა კიდევ, ოთხი ქცევა როსთომა ხავთასს კიდევ, ამაღლობელს თორმეტი ქცევა, ათი ქცევა იესე შათირიშვილს, ოცი ქცევა ბეჟანა მამფორიას და ფარცხალაძეს ნიკოლზსს, ათი ქცევა იესეს ნაფეტვარიძეს და ბასილა მამფორიას“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკოლოზ ჩიჯავაძე იჯარით გასცემდა არამარტო სავარგულ მინებს, არამედ საძოვრებსაც.³

სავაჭრო საქმის განვითარების მხრივ საინტერესოა 168-ე საბუთი.

„ათას რვაას სამოცდა თოთხმეტსა წელსა ნოემბრის ოცდაექვს დღესა მე ქვემორე ხელის მომწერელმა სოფელს ვანს მცხოვრებელმან გლეხმან დათა ლორთქიფანიძემ გთხოვთ თქვენ შტაბს კაპიტანს თავადს ნიკოლოზ ვახუშტის ძეს ჩიჯავაძეს თქვენდამი კუთვნილს ამავე სოფელსა შინა მდგომარეს ერთი დუქნის ადგილი მაქირავოთ, რომელშიც გაძლიო თქვენ ჩიჯავაძეს ყოველს წლობით ოცდაათი შაური“⁴ ხუთი წლის ვადით.

1865 წელს იმერეთის გუბერნიაში განხორციელებული მიწის რეფორმის საფუძველზე, რომელსაც მოჰყვა ბატონყმობის გაუქმება, ჩანს, რომ ნიკოლოზ ჩიჯავაძის მფლობელობაში მიწის საკმაოდ სოლიდური მარაგი იყო დარჩენილი, რასაც ადასტურებს აღნიშნული დოკუმენტები.

1874 წლის 8 თებერვლით თარიღდება 690-ე საბუთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნოტარიულად პირობის წერილი დაუდვიათ ურთიერთს შორის ერთი მხრივ ნიკოლოზ ჩიჯავაძეს და მეორე მხრივ თ. პლატონ სიმონის ძეს წულუკიძეს და ადოლფ ლაზარეს ძეს ეტლინგერს (როგორც საბუთში იკითხება) პირველს მიუცია ყველა თავისი ტყეები მეორე მხარისათვის 6 წლის ვადით. ამით ჩანს, რომ თავადი იწყებს ხეტყის ორგანიზებულ რეალიზაციას, რომელიც „ვანის“ მაგალითზე პირველი არ არის ვინაიდან ანალოგიურ ქმედებას მიმართა თავადმა ნესტორ ერისთავმა („ვანში“ ჩამოსახლებულ რაჭის ერისთავთა ჩამომავალმა) ვინმე ცეცხლაძის მეშვეობით ნესტორი მუხის მორებსა და გამზადებულ მასალას აწვდიდა ვარციხეში ანანოვის ღვინის ქარხანას ღვინის კასრების დასამზადებლად და გარკვეულ მოგებასაც იღბდა ხე-ტყის ამგვარი რეალიზაციით.

განხილულ დოკუმენტურ მასალიდან ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში სამეურნეო საქმიანობა ყოველ შემთხვევაში დღევანდელი ვანის სივრცეზე, საიჯარო ფორმით ხორციელდებოდა, რომელიც დამახასიათებელი და განპირობებული გახლდათ ქართული ფეოდალური კლასის ინტერესით, რადგან აღნიშნული ფენა იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთებით, ყოველგვარი პიროვნული წინსწრებითი ხარჯის გარეშე ღებულობდა შემოსავალს, რომლითაც იკმაყოფილებდა ცხოვრებისეულად საჭირო მოთხოვნილებებს, მაგრამ ამას გააჩნდა დამახასიათებელი და უარყოფითი შედეგი: ამ პროცესში, არც გამაიჯარებელი და არც მოიჯარე დიდად არ

1 ქიმ ის 595
2 ქიმ ის 227
3 ქიმ ის 311
4 ქიმ ის 168

ფიქრობდა შრომის ტექნიკური პროცესის გაუმჯობესებაზე, რადგან იგი დაკავშირებული იყო ზედმეტ ხარჯებთან, რაც თავის მხრივ აბრკოლებდა სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის ნორმალურ განვითარებას.

ბატონყმობის გაუქმებისა და კაპიტალისტურ სანყისებზე გადასვლას გზადაგზა მოჰყვა ფეოდალური კარჩაკეტილობისა და მეურნეობრივი აზროვნების სტერეოტიპების ნგრევა, გაჩნდა მოთხოვნა სამეურნეო საქმიანობის. სიახლეებისა ფეოდალთა მცირე ნაწილი აჰყვა ამ გამოწვევას. ამასვე ადასტურებს ნიკოლოზ ჩიჯავაძის დამოკიდებულებაც სამეურნეო საქმიანობისადმი.

ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილავთ შესაბამის დოკუმენტს.

„1862 წელსა ოქტომბრის 1-სა, მე ქვემოთ ამისა ხელისა მომწერელი ფაბრიკანტი აბრეშუმის ზაოდისა კარლ ფრანცოვიჩი დეფურის გაძლევთ კონტრაქტსა ამას თქვენ კნიაზს ნიკოლაი ვახუშტის ძეს ჩიჯავაძეს მას ზედ რომელ თქვენისა ბრძანებით, და ნების მოცემით, მე მიმყავს ტფილისში თქვენის კაცის შვილები, რომელნიც უნდა იყვნენ იქ ტფილისში ჩემთან ფაბრიკაში სამუშაველად ლუკა ვაშაყმაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ანტონ ხელაძე, ამბაკო დვალიშვილი და სტეფანე დვალიშვილი და მე კარლ დეფურმა ამ ზემოთ დაწერილთ ხუთს ბიჭსა უნდა მივსცე ყოველს თვითეულს წელიწადს ჩემის დაწერილის რიცხვიდგან თითო ბიჭს ორმოცდაათი მანეთი ვერცხლისა, ამას გარდა კიდევ თქვენისვე ბრძანებით მიმყავს თან თქვენივე კაცის შვილები, იოსეფა ტყეშელაშვილი, ალექსი დვალიშვილი, ლუკა მჭავანაძე და სამსონ ტყეშელაშვილი და ამ ოთხ ბიჭსაც უნდა მივსცე თვითეულს ბიჭს თითო წელიწადს ოცდათექვსმეტი მანეთი ვერცხლისა, აგრეთვე მიმყავს ალექსი მჭავანაშვილი და ამასაც უნდა მივსცე წელიწადში ორმოცი მანეთი და ამასთანავე ვიკვრი რომელ ეს ბიჭები ჩემის ხარჯით კარგის საქმელით და კარგის სასმელით შევიწახო და ღვინოც ზომიერად დავალევი, მივსცე ნიფხავ-პერანგები, პრიაჩკით გარეცხილები და ტანისამოსი შესაფერი და ფეხსაცმელი ჩემსავე ხარჯითა, და ამას ზემოთ დაწერილს ჯამაგირიდგან უნდა ტფილისში მივსცე ამ ბიჭებს, მათისა საჭიროებისათვის, რადგან ტფილისში მათთვის ცოტა ფული იქნების საჭირო და რასაც მივსცემ, ის მიცემული უნდა გამოვრიცხო იმავე მათის ჯამაგირიდგანა და რაც დარჩება ფული, ის მორჩენილი ფული უნდა გამოვგზავნო ქუთაისს ცალ-ცალკე კონვერტებში გაკეთებული მესაათე ივანე ტაიგელთან და ტაიგელმა ის ჩემგან გამოგზავნილი ფული უნდა მისცეს იმ კაცსა, რომელიც იქნების დანიშნული და გამოგზავნილი ტაიგელთან თქვენ კნიაზ ნიკოლოზ ჩიჯავაძისაგან. ესრედ რომელ ზემოთ განცხადებული ბიჭების ჯამაგირის ფული მე უნდა ფორტით გამოვგზავნო მესაათე ტაიგელთან და ტაიგელმა უნდა ჩააბაროს იმ კაცს, რომელსაც დანიშნავს მისაღებად თქვენი ბრწყინვალეობა ამაზედ ჩემს საკუთარს ხელს ვანერ მე. ამასთანავე ვიკვრი მე კარლ დეფური, რომ უკეთუ ამ ბიჭებთაგან რომელიმე გახდების ავად მე წამლის მიცემით და ყოველნაირათ ყური უნდა უგდო ისე ვითარცა შვენის სახლის უფროსსა ჩემსავე ხარჯითა. რაზედაც ხელს ვანერ და მასთანავეცა უნდა ვასწავლო ამ ფაბრიკის ხელობა“¹. აქ არ ჩანს კონკრეტულად რა ხელობაზეა საუბარი, მაგრამ აშკარაა, რომ ნიკოლოზი ზემოთ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე მოქმედებს. შეგირდთა მომზადება კარლ დეფურის ინტერესებშიც შედის რაც თავის მხრივ ნიკოლოზ ჩიჯავაძისა და კარლ დეფურის საერთო სანარმოო ურთიერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე მეტყველებს.

ზემოთ განხილული დოკუმენტების კვლევიდან გამომდინარე ნიკოლოზ ჩიჯავაძემ სწორად შეაფასა იმ პერიოდისათვის საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების სანყისმა ბიძგი მისცა დამკვიდრებულ სამეურნეო-ეკონომიკურ ღირებულებათა გადაფასების პროცესს, და თავის მხრივ განაპირობა სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ახლებურ სტილზე გადასვლის აუცილებლობა. ამ პროცესში აქტიურად ჩართული აღმოჩნდა ნიკოლოზ ჩიჯავაძეც, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს შესაბამისი მოქმედებით პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ახალ მოთხოვნათა მიხედვით გარდაქმნას და ცდილობს ორგანიზებული სახე მისცეს მოქმედებას.

1. ქიზ. ის 431

გურამ ყიფიანი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოგრაფიული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი

(განაცხადი)

გადავწყვიტე დავაანონსო ჩემს მიერ შექმნილი „ძველი სამყაროს არქიტექტურულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“.

„ძველი სამყარო“ პირობითი ცნებაა და სათაურიდანვე ჩანს, რომ უახლეს პერიოდებს ეს ლექსიკონი არ ეხება, ე.ი. XVIII-XXI საუკუნეების არქიტექტურას. აქ ცხადია, ვერ ნახავთ განმარტებას – „რკინა-ბეტონი“, „აეროვაგზალი“, „ავტოტრასა“ და ა.შ.

ბოლო ოთხი საუკუნე, ვთვლი, რომ არქიტექტურული „თანამედროვეობა“ და მათი ტერმინოლოგიის დამუშავება არქიტექტურის უახლესი ისტორიის სპეციალისტთა საქმეა.

ნებისმიერი განმარტებითი ლექსიკონის მიზანი ერთიდაიგივეა: გაზარდოს შემეცნება და ცნობადობა, ე.ი. თავიდან ავიცილოთ ტერმინოლოგიური დაბნეულობა. ეს შეიგრძნობა ყველგან, სპეციალურ ლიტერატურაშიც და მოხსენება-პრეზენტაციების დროსაც.

„ტერმინოლოგიური დაბნეულობა“ კატასტროფულ დონეს აღწევს სტუდენტთა შორის. მათ უგროვდებათ „ნაცნობი-უცნობი“ სიტყვები, თანდათანობით უჭირთ შეკითხვის დასმაც, რაც უკვე ფსიქოლოგიურ მოვლენას განეკუთვნება.

ლექსიკონი შეეცდება მათ შეკითხვებს პასუხი გასცეს და რაც მთავარია გაუადვილოს სპეციალური ლიტერატურის კითხვა, ანუ მათ სწრაფად უნდა მოიძიონ უცნობი სიტყვის განმარტება.

ლექსიკონის პროექტი მე ჯერ არ წარმიდგენია არცერთ „ფონდში“, დაველოდები ჩემი კოლეგების მოსაზრებებს მის შესახებ.

დროა დრო მეხმარებოდნენ ჩემი ყოფილი სტუდენტები და უკვე ჩემი უმცროსი მეგობრები, არქიტექტორები – სოფო პაქსაშვილი და ნანო ზაზანაშვილი, არქეოლოგები მადონა მშვილდაძე და ინგა დემეტრაშვილი. მიკრეფდნენ ტექსტებს, ამუშავებდნენ ილუსტრაციებს, რაც არსებითია ამ ხასიათის ლექსიკონისათვის და სხვ.

ლექსიკონის სტრუქტურას მკითხველი ადვილად შეიცნობს. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები იმას გვაუწყებს, რომ ისინი ლექსიკონში ასევე განმარტებული იქნება.

(Statement)

I have decided to announce the launch of my new book: “Explanatory Dictionary of Architectural Terms of Old World”

“Old world” is a nominal concept and as the title suggests, this dictionary does not refer to the most recent periods, ie XVIII-XXI centuries architecture. And of course, a reader is less likely to find definitions of the terms such as: “reinforced concrete”, “terminal”, “aerostation”, “highway” and etc.

I personally believe, that the last four centuries, contemporary world of architecture and working on its terminology is the job that should be carried out by specialists of recent history of architecture.

Any dictionary has only one single purpose: to increase knowledge and awareness, to avoid terminological confusions, which are found almost everywhere, in specific literature, reports and presentations and etc.

Nowadays “terminological confusion” reaches catastrophic levels among the students. They are overwhelmed with “known unknown” words, and they find it difficult to even ask questions, mostly because of psychological reasons.

The dictionary aims to give answers to questions and, most importantly, to make specific literature easier to read and to provide easy and fast explanations.

I have not yet submitted any dictionary project to any “Foundation” and I am looking forward to hear my colleagues’ opinions on the matter.

From time to time, I got support from my former students and now my younger friends - architects:

Sopo Paksashvili and Nano Zazanashvili; archaeologists: Madona Mshvildadze and Inga Demetrasvili. They typed texts for me and worked on illustrations, which are so crucial for such dictionaries and etc.


The reader will find the structure of the dictionary quite easy to understand. The highlighted words in the text shall mean that they will be explained in the dictionary.

აგორა (ბერძნ. ἀγορά)

სამხედრო დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი დანესებულება ძველ საბერძნეთში - სახალხო კრება, აგრეთვე ის ადგილი, სადაც ასეთი შეკრებები იმართებოდა.

ბერძნული ქალაქების ის არეები, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი ნაგებობებისაგან შედგენილ ერთიან ანსამბლს. მოქალაქეთა ძირითადი თავშესაყრელი, მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ცხოვრების ცენტრი. ელინისტური პერიოდიდან თანდათანობით აგორა რელიგიურ ფუნქციასაც იძენს. ერთი ქალაქის ფარგლებში აგორა შესაძლოა რამდენიმე ყოფილიყო (შდრ. ბაზარი; ფორუმი; მოედანი)

ელინისტური ქალაქის ასოსის აგორა




ატრიუმი (ლათ. atrium)

თავდაპირველად რომაული სახლის ძირითადი დარბაზი ცენტრალური კერით. მოგვიანებით სახლის შუაგული, სანახევროდ ღია დარბაზი, შიდა ეზო, მისაღები. ატრიუმთა უმრავლესობა შეიცავდა, როგორც იმპლუვიუმს, ასევე კომლივიუმს. ვიტრუვიუსის კლასიფიკაციით არსებობდა ატრიუმის ხუთი ძირითადი სახეობა.


რომაული ტაძრების წინა ეზო (იხ. პარადისი) უადრესი ქრისტიანული ტაძრების წინა, წმინდა განბანისათვის გამიზნული ეზო, ცენტრალური ჭით. ქრისტიანული ბაზილიკების დასავლეთ მხრიდან გამართული ღია, სარიტუალო ეზო, განბანისათვის გამიზნული ფიალით.

- იხ. ატრიუმი – დისპლუვიატუმი
- ატრიუმი – კორინთული
- ატრიუმი – ოთხხვეტიანი
- ატრიუმი – ტოსკანური
- ატრიუმი – ტესტუდინატიუმი



ატრიუმი – დისპლუვიატუმი

(ლათ. displuviatum) დისპლუვიატუმი ნიშნავს წვიმის წყლის გარეთ გადაშვებას. ესაა ოთხქანობიანი სახურავით აღჭურვილი ატრიუმი – სახურავის კალთები თანაბრად დახრილი და ნალექისეულ წყლებს მიმართავს სივრცის გარეთ და არა შიდა ეზოში.



ატრიუმი - კორინთული (ლათ. cōrīnthus)

კონსტრუქციულად თითქმის იგივეა, რაც ტოსკანური ატრიუმი. ვიტრუვიუსის ტექსტიდან ისე ჩანს, რომ კოჭები სცილდება კედლებს და ეყრდნობა ატრიუმის გარეთ აღმართულ სვეტებს.

ატრიუმი - ოთხსვეტიანი (ბერძნ. τετρα-στυλιος)

ზედა სტრუქტურა მთლიანად ოთხ ცენტრალურ სვეტს ეყრდნობა.

ატრიუმი - პერისტილოსი (ბერძნ. περι-στυλιος)

ელინისტური და ეტრუსკული საცხოვრებლების სინთეზით მიღებული რომაელთა სახლები. აქ ნაგებობის გრძივ ღერძზე, ატრიუმს პერისტილოსი ესაზღვრებოდა. მათ გარს ერტყათ სხვადასხვა დანიშნულების სათავსები.

საცხოვრებლის აღნიშნული ტიპი საბოლოოდ ახ. წ. II საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა.

ატრიუმი - ტოსკანური (ლათ. tuscānium; იგივეა რაც etruskuli)

აქ კოჭები განივად კედლებზე განფენილი, მათ ეყრდნობა იმპლუვიუმის ჩარჩო და გადახურვის ქანობები.

ატრიუმი - ტესტუდინატუმი (ლათ. testūdinatum)

ოთხქანობიანი სახურავით გადახურული ატრიუმი, იმპლუვიუმის გარეშე.

ბაზილიკა (βασιλική – სამეფო სახლი; ლათ. bāsīlica)



სახელწოდება მომდინარეობს ათენის აგორაზე მდებარე არქონტის (ბასილეოსის) საუნჯეობ დარბაზიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ნაგებობა სამნავიანი ყოფილა.

1. რომში ბაზილიკებს სავაჭრო და სამოსამართლო დანესებულებების ფუნქცია ჰქონდათ. ამ გრძივ ნაგებობებში სივრცეს სამ ან ხუთ ნავად (nāvis) ანაწევრებდა ასევე გრძივად განთავსებული კოლონადები. ამასთანავე ცენტრალური ნავი გვერდით ნავებთან შედარებით განიერი და მაღალი იყო. ფრონტალურ მხარეებზე ბაზილიკები აღჭურვილნი იყვნენ **პორტიკოსებით** (კარიბჭეები), ხოლო ნაგებობის სიღრმეში შექმნილი იყო ნახევარწრიული ნიშა (ექსედრა, აფსიდა), სადაც ხშირად ღვთაების ქანდაკება იდგა.

2. ძველ რომში ბაზილიკა ეწოდებოდა ცალნავიან დარბაზებს, აგრეთვე სვეტთა ერთი რიგით დანაწევრებულ ორნავიან ნაგებობებს, ამასთანავე იმ ვილებსა და ქალაქგარე სახლებს, სადაც საქმიანი გარიგებები მიმდინარეობდა.


3. ქრისტიანული ეკლესიის ის სახე, რომელიც ტიპოლოგიურად რომაული ბაზილიკების გეგმარებით სქემას იმეორებს, დასავლეთში ისინი გადახურულნი იყვნენ ხის ფფრმებით, ხოლო აღმოსავლური ქრისტიანული ბაზილიკები უმეტესად ნახევარწრილინდრული კამარებით. ნავების რაოდენობა სამი, ან იშვიათად ხუთი იყო. სივრცე ნაწევრდებოდა, როგორც სვეტთა, ასევე ბურჯთა რიგებით.

ბაზილიკათა უმეტესობა დასავლეთის მხრიდან შეიცავდა ატრიუმსა და ნართექსს, ამ უკანასკნელს კი ხშირად ებმოდა ექსონართექსი.




ბალხი (ავლ. გუმბათი ბალხი)

პარაბოლოიდური გუმბათი. იგი ეფუძნება კვადრატს ან მასთან მიახლოებულ სწორკუთხედს. იქმნება კუთხეებიდან ამოყვანილი აგურის დახრილი წყობით და ოთხი სექტორის შეუღლებით. სახელი დაერქვა იმ ტოპონიმის მიხედვით, სადაც პირველად დაფიქსირდა გუმბათის აგების ამდაგვარი ტექნოლოგია (ეს პუნქტი ლოკალიზდება ჩრდილოეთ ავღანეთში).



გვირგვინი

ცრუ გუმბათი, ხის კონსტრუქციული შესაძლებლობებით მიღწეული ნაგებობის (ძირითადად ქართულ დარბაზულ სახლებში) ზედა დამაგვირგვინებელი სტრუქტურა, რომელიც იქმნება ძელების ან მორების ჰორიზონტალური წყობებით.




ყოველი მომდევნო, ჰორიზონტალურად დაფენილი ძელების წყობა რამდენამდე ცენტრისკენაა ნაზიდული და ქვედა რიგთან შედარებით მათი ზომები თანდათანობით მცირდება.

განირჩევა გვირგვინის რამდენიმე სახეობა.

კლასიფიცირებული ალ. სუმბაძის მიერ:


1. კვადრატულ-კუთხოვანი წყობა.
2. კვადრატულ-პარალელური წყობა.
3. რვაკუთხოვანი კუთხური.
4. რვაკუთხოვანი პარალელური.
5. შერეული და
6. თორმეტკუთხოვანი კუთხური წყობა.

გვხვდება „ქვის გვირგვინებიც“, დარბაზული სახლების დამცრობილ მოდელებში. ეს ნაგებობები ძირითადად სამარხეულ არქიტექტურას განეკუთვნება.




ეტრუსკული ტაძარი – სამცელიანი ტაძარი

ეტრუსკულ სამყაროში გავრცელებული საკულტო ნაგებობანი. აქ სწორკუთხა პოდუმი შედარებით დიდი მონაკვეთი სვეტებიან პრონაოსს ეთმობოდა, ხოლო რამდენამდე მცირე, საკუთრივ საკულტო სივრცეებს – სამ, გრძივ, ერთმანეთისადმი პარალელურ „სათავსოს“. ყოველი მათგანი ადიტონს შეიცავდა. უხილველი მხოლოდ ცენტრალური ცვლა იყო. ნაგებობას ერთიანი, ორკალთიანი სახურავი ფარავდა. ეტრუსკულ სამყაროში ტაძრის ამ ტიპის (სამცელიანი) პოპულარობა განაპირობა ეტრუსკთა ზეციური და მიწისქვეშა ტრიალებისადმი განსაკუთრებულმა თაყვანისცემამ.



ზიკურატი (შესაძლოა უფრო სწორი ფორმა იყოს ძიგურატი („ziggurat“). ტერმინი ალბათ აქადურიდან მომდინარეობს).

სახელწოდება შუმერული, ასურული და ბაბილონური საკულტო ნაგებობებისა. ისინი წარმოადგენდნენ კვადრატული ან სწორკუთხა ფუძის მქონე პლატფორმებისაგან შედგენილ საფეხურებიან პირამიდებს, რომლის ზედა ნიველირებულ ბაქანზე აღმართული იყო უზენაესი ღვთაებისადმი მიძღვნილი ტაძარი. პლატფორმები ერთმანეთს საფეხურებით ან პანდუსებით უკავშირდებოდა. მისი სტრუქტურა ალიზითაა ნაგები, ხოლო ვერტიკალურად დანაწევრებული საფასადე სიბრტყეები მოპირკეთებული იყო მოჭიქული აგურებით. როგორც ირკვევა ზიკურატი პირველად სამხრეთ შუამდინარეთში ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე შეიქმნა.




თეატრი (ბერძნ. θέατρον, სიტყვასიტყვით: სანახაობა)

სანახაობებისათვის შექმნილი ნაგებობა. მისი წარმოშობა უკავშირდება საბერძნეთში დიონისეს კულტისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულებს. მან საფუძველი ჩაუყარა ბერძნულ დრამას და სანახაობითი წარმოდგენების გამართვისათვის საგანგებო შენობის შექმნის აუცილებლობა განაპირობა.

თავიდანვე თეატრის ძირითადი ბირთვი ორქესტრა იყო, წრიული მოედანი და მის ახლოს მსახიობთა მოსაკაზმავი და საინვენტარო სათავსოები (სკენე). ორქესტრას ნახევარწრიულად შემოუყვებოდა ხარისხებად ამალღებული მერხთა რიგები.

თავდაპირველად თეატრები ხისაგან იგებოდა და დროებით ნაგებობას წარმოადგენდა, მაგრამ მისი გეგმარებითი სქემა უცვლელი დარჩა დიდი სანახაობითი ნაგებობისათვის. ბერძნულ თეატრთა ძირითადი მახასიათებელია ის, რომ იგი წარმოადგენდა გადაუხურავ, ღია ნაგებობას. ამავე დროს, მრავლად შეიცავდა ცალკეულ განაკვეთებსა და სათავსებს.

რომაული თეატრები, რომელთა გეგმარებითი საფუძველი ასევე ბერძნული სქემაა, მაინც საგრძნობლად განსხვავდება პროტოტიპისაგან. აქ ორქესტრა ნახევარწრიულია, შეიცავს ამფითეატრიდან გასასვლელთა მოხერხებულ სისტემას და სხვ.




კოლხური სახლი

სახლი აღწერილი აქვს ვიტრუვიუსს თავის II წიგნის, I თავში. როგორც ირკვევა იგი წარმოადგენდა მორების ურთიერთჭდობით ამოყვანილ კედლებითა და ასეთივე კონსტრუქციით

ნაგები გადახურვით ფორმირებულ სახლს, მისი ზედა ნაწილი პირამიდული ფორმის ცრუ-გუმბათს წარმოადგენდა ერთდღობა.

სახლი აგების შემდგომ თიხით ილესებოდა. ვიტრუვიუსის ტექსტის რეალურ არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლხური სახლის სახელწოდებით აღწერილია ხის კონსტრუქციული შესაძლებლობებით ნაგები დარბაზული სახლი, მისი კოლხური სახესხვაობა.




ლოტოსი (ბერძნ. λωτός; ლათ. lōtōs)

მდინარე ნილოსის შროშანი, აფრიკის ჩრდილო, ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლზე გავრცელებული ყვავილი.

ამ ყვავილის სახე მეორე ათასწლეულიდან საფუძვლად ედება ერთ-ერთ, ეგვიპტური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ მცენარეულ სვეტს – ლოტოსისებურს, მისი ასახულობა ხშირია ორნამენტულ არშიებზეც და სხვ. ლოტოსისებური სვეტი ეგვიპტეში აღორძინდა პტოლემეაოსურ ხანაში.

საქართველოში მიკვლეულია ლოტოსისებური კაპიტელის რამდენიმე ნიმუში, თუმცა მათ თარიღზე რაიმეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია. ლოტოსის ყვავილის სახე ჩვენს ნიმუშებში თითქოსდა დორიულ კაპიტელთან არის შეუღლებული. იხ. ჰაპირუსისებური სვეტი; პალმისებური სვეტი, ლოტოსისებური სვეტი.



ლავრა (ბერძნ. λάρνα – ხეობა)

მამათა დიდი მართლმადიდებლური მონასტერი.

თავდაპირველად ის ქვაბულებში დაბინავებულ განდეგილ ბერთა საძმოებს წარმოადგენდა. თანდათანობით ლავრები სამონასტრო კომპლექსებად იქცნენ და იურიდიული სტატუსიც მოიპოვეს, რომლის თანახმადაც ლავრას უშუალოდ პატრიარქი ან უწმინდესი სინოდი განაგებდა და არ შედიოდა ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში.


ავსოლეუმი, მავსოლეიონი (ბერძნ. Μουσάλειον)

ნაგებობა ჰალიკარნასოსში კარიის ტირანის, „მეფის“, მავსოლის საძვალე. აიგო მისი მეუღლის არტემისიას ძალისხმევით ძვ. წ. IVს-ის შუაწლებში არქიტექტორ ჰიფესოსის მიერ.

მისი რელიეფური პლასტიკა შექმნეს ბერძნული გვიანკლასიკური ხანის დიდმა მოქანდაკეებმა სკოპასმა, ლეოხარესმა, ბრიაქსიმმა, ტიმოთეოსმა.

ნაგებობა წარმოადგენს კუბის ფორმის მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულ იონიურ კოლონადას, პირამიდული სახურავით, რომელიც კვადრეგით სრულდება.

მავსოლეუმი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის ერთ-ერთია. არსებობს ამ ნაგებობის რამდენიმე ავტორის მიერ შექმნილი



გრაფიკული რეკონსტრუქცია. შემდგომში მავსოლეუმი ზოგადად მონუმენტური სამარხეული ნაგებობის აღმნიშვნელად იქცა, მაგ: ოქტავიანეს ავგუსტუსისა (d. წ. 28 წ.), იმპერატორ ჰადრიანეს (ახ. წ. 134 წ.) და მრ. სხვ.

ნართექსი (ბერძნ. νάρθηξ; ლათ. narthex)

ქრისტიანული ტაძრების (ძირითადად ბაზილიკების) წინკარი, დახშული გალერეა ან ღია პორტიკოსი გამართული ტაძრის დასავლეთი მხრიდან. ნართექსს ზოგჯერ გადახურულ გალერეასაც უწოდებდნენ, რომელიც ტაძარს სამი მხრიდან ერტყა გარს (გარდა აღმოსავლეთის მხრისა).

ნამაზგა, ნამაზგა მეჩეთი

მეჩეთი, რომელიც მხოლოდ მუსულმანთა ორი დიდი დღესასწაულის, ყურბან-ბაირამისა და რამაზანის დადგომისას იხსნება მლოცველთათვის.

„ოქროს კვეთა“
 „საუკეთესო შეფარდება“ (კვეთა, პროპორცია).

ტერმინი ლეონარდო დავინჩის მიერაა დამკვიდრებული. ძველი ბერძნები ამ პროპორციას „კიდურასა და შუათანა („მომდევნო“) რიცხვის შეფარდებას უწოდებდნენ.

ეს ისეთი შეფარდებაა, რომელიც ჰარმონიულად აკავშირებს ერთმანეთთან რაიმე ქმნილების მთლიანობასა და მისი ნაწილების სიდიდეებს.

პლატონს საუკეთესო ურთიერთკავშირად მიაჩნდა განზომილება, რომელიც თვით „სხეულში“ – ქმნილებაში არსებობდა და დააკავშირებდა ნაწილებს ისე, რომ წარმოშობილიყო „ნაწარმოები“ როგორც ერთიანი და მთლიანი, ანუ როცა სამი რიცხვიდან (განზომილებიდან) შუალედური ისე უნდა შეეფარდებოდეს მესამე განზომილებას, როგორც პირველი შუალედურს. ე. ი. მცირე მონაკვეთი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი შეეფარდება მთლიანს.

ამ პროპორციის რაოდენობრივი გამოსახულება მიიღება ირაციონალური რიცხვების რიგით: 0,056; 0,090; 0,146; 0,236; 0,382; 0,618; 1,0; 1,618; 2,618..... და ა.შ.

ამ რიგში ყურადღებას იპყრობს ის, რომ ყოველი მომდევნო რიცხვი, წინა ორი რიცხვის ჯამია. ამასთანავე ყოველი წინა რიცხვი გაყოფილი მომდევნოზე გვაძლევს $\approx 0,618...$ ეს რიცხვი პრაქტიკაში ხშირად დაიყვანება 0,6-მდე.

მაგ: $0,056:0,090=0,622...$
 $0,090:0,146=0,616...$
 $0,146:0,236=0,6186...$ და ა.შ.


მსგავს თვისებებს შეიცავს მთელი რიცხვების რიგიც, რომელიც გამოავლინა XIII-ის იტალიელმა მათემატიკოსმა ლეონარდო პიზელმა (მეტსახელი ფიბონაჩი). 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144... და ა. შ. ამ პროპორციის ზუსტი მნიშვნელობა გამოისახება ფორმულით $\sqrt{5}-1/2$. ამ პროპორციის პრაქტიკულ გამოყენებას ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტის ხუროთმოძღვრებაში ვხვდებით (მაგ. ფარაონ მიკერინის (მენკაურას) პირამიდაში).

მონაკვეთის „ოქროს კვეთით“ დაყოფის სქემა გულისხმობს, რომ C ისე შეეფარდება B-ს, როგორც B შეეფარდება ა-ს.

ორდერი (გერმ. Ordnung; ფრ. Ordre; ინგლ. ორდერს; ლათ. Ordo-დან – წესრიგი, კანონი, გადაბმულობა, რიგი) არქიტექტურული წესრიგი და მისი კანონიკურობა.

იგი წარმოადგენს კონსტრუქციული და ესთეტიკური კატეგორიების ერთიანობას. ის დამყარებულია მოდულურ სისტემაზე, მკაცრად განსაზღვრულ პროპორციებზე და მეტროლოგიურ ზღვრებზე.


ორდერი ძირითადად ეწოდება ბერძნული არქიტექტურის მხატვრულ კანონებს: დორიულის, იონიურის,



კორინთულის, რომლებიც შეიქმნენ სანყისი მოდელების განვითარების საფუძველზე, ვერტიკალური (სვეტები) და ჰორიზონტალური კონსტრუქციული დეტალების ერთიან სისტემად ჩამოყალიბების შედეგად.

ორდერის ყველა ელემენტი მხატვრულად და ტექტონიკურად ერთმანეთს ეპასუხება. არქაულმა, ეოლიურმა ორდერმა ადრევე შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა. რომაული ორდერები, ტოსკანური, დორიულ-ტოსკანური, კომპოზიტური, ბერძნული ორდერების შემოქმედებითად გადამუშავების შედეგია, ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რენესანსისა და მომდევნო პერიოდების არქიტექტურაში.

ხშირად ორდერით, როგორც წესრიგი და კანონი, კლასიფიცირდება ძველი აღმოსავლური არქიტექტურაც. იხ. ორდერი დორიული, ორდერი იონიური, ორდერი კორინთული, ორდერი ეოლიური, ორდერი ტოსკანური, ორდერი კომპოზიტური, ორდერი ეგვიპტური, ორდერი აღმოსავლური.



დორიული ორდერის კონსტრუქციული სისტემა

პაგოდა (სანსკრ. Pagode)

ბუდისტური ან ინდუისტური, მრავალსართულიანი კოშკურა ტაძარი, გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში (ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, კორეა და სხვ.)


როგორც ჩანს სახელწოდება წარმოიშვა სტუპას ერთ-ერთი სახეობა „დაგობა“-საგან.

პაგოდას არქიტექტურული სახე ჩამოყალიბდა, როგორც კოშკურა ტაძარი, მრავალსართულიანი მაღლივი შენობა, სადაც ყოველი მომდევნო სართული ფართობით ნაკლებია ქვედაზე.

მათი სახურავის ქანობები რკალისებურია და ერთ-გვაროვანნი.



ტრანსეპტი (ლათ. trans-saepta; ფრ. transept)



განივი ნავი, ბაზილიკებსა და ჯვრის გეგმის მქონე ეკლესიებში გრძივი სივრცე, რომელიც ტაძრის დასავლეთ-აღმოსავლეთ ნავს ჰკვეთავს სწორხაზოვნად და ქმნის ნაგებობაში ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულ უღებასაც.

ძირითადი და გადაკვეთი (ტრანსეპტი) ნაგებობები, გადაკვეთის არეალში ბუნებრივად წარმოშობს არქიტექტურულ დომინანტს – გუმბათს.

ფორტიფიკაცია (იტალ. fortificatorio, მიღებულია ლათ. fortis-დან; ისევე როგორც ფრ. fortification) – სიმაგრე.

ფორტიფიკაცია – სამხედრო არქიტექტურისა და ინჟინერიის ძირითადი დარგი, „მეცნიერება სიმაგრეთ შესახებ“. დამოუკიდებელი დარგი, რომელიც აერთიანებს სამშენებლო საქმესა და სამხედრო ხელოვნებას. მისი მიზანია საქალაქო ტერიტორიის ეფექტური დაცვა და მტრისათვის დაბრკოლებების შექმნა.

ქალაქი


ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელიც წარმოადგენს ცენტრს გარკვეული ტერიტორიისათვის და სადაც მიმდინარეობს გადანაწილების პროცესები. მაგ. პოლიტიკური და სამხედრო შეხედულებებისა, რელიგიური წარმოდგენებისა, სასაქონლო-ურთიერთგაცვლითი, ან ადმინისტრაციული მოქმედებების. ის საგანმანათლებლო ცენტრსაც წარმოადგენდა (შემეცნებათა გადანაწილება) და ა. შ.

დროთა განმავლობაში საქალაქო სივრცე იქცევა ბაზრადაც და პოლიტიკურ ბაზისადაც და სხვ. მაგრამ მისი თავდაპირველი წარმომშობი ადამიანისა და საზოგადოების უადრეს ეტაპებზე ყოველთვის ტაძარი, წმინდა ადგილი იყო. იხ. პოლისი.

ქარგილი


ხის წინასწარული და დროებითი კონსტრუქცია (ზოგჯერ აგურის ჩანართებით), რომელიც იმეორებს დაპროექტებული მრუდხაზოვანი სტრუქტურების (თალი, კამარა, გუმბათი) მოყვანილობას, რათა აგურით, ქვითა თუ ბეტონით ამოყვანილი ყოველი მონაკვეთი დააფიქსიროს და მთლიანობაში მოიყვანოს.

ხის თარგი, მრუდხაზოვანი არქიტექტურული თემებისა და საინჟინრო ნაგებობებისათვის (მაგ. თაღოვანი ხიდებისათვის).




ჩაჰარ-ტაგი (სპ. - Chāhār-tāg)

ოთხთაღედი, ოთხ ბურჯზე დაფუძნებული და ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათით დასრულებული ნაგებობა. ბურჯებს შორის ოთხი თაღოვანი ლიობი წარმოიშვება. ნაგებობის ეს ტიპი საფუძვლად დაედო გვიანდელ (სასანურ) ზოროასტრულ სამლოცველოებს (ათუმგა), იხ. ჩაჰარ-კაპუ.



თბილისის „ათუმგა“,



ჩაჰარ-ტაგი.

ძოგრაფოსი (ბერძნ. ζα-γράφος)

მხატვარი, ფერმწერი.

საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდანვე (ახ. წ. IVს-ე) მოღვაწეობდა მთავარი მხატვარი (ἀρχι-ζαγράφος) და არქიტექტორი (ἀρχι-τέκτων) ავრელიოს აქოლისი. იგი იხსენიება

მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე მიკვლეულ წარწერაში (ეპითაპია) და მცხეთაშივე, ეკლესია „ანტიოქი“-ს სტრუქტურაში ჩაშენებულ სტელაზე.

ხუროთმოძღვარი, ხუროთა მთავარი

იგივეა, რაც არქი-ტექტონი (ბერძნ. ἀρχι-τέχτων) თანამედროვე ტერმინოლოგიით არქიტექტორი.

მშენებელთა ხელმძღვანელი. ძველი სამყარო არ არჩევდა ჩვენთვის უკვე ორ პროფესიად ჩამოყალიბებულ დარგებს: არქიტექტურასა და ინჟინერიას. არქიტექტონი არქიტექტურული იდეის ავტორი, პასუხისმგებელი იყო მის მიერ დაგეგმარებული ნაგებობის მდგრადობაზეც და ჰარმონიულობაზეც (მშვენიერებაზე).

ჰატორიკული კაპიტელი

ეგვიპტური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფიგურული სვეტისთავი, რომლის ფასადები ქალღვთაება ჰატჰორის რელიეფური გამოსახულებებითაა შემკული. ჰატჰორი - ძველეგვიპტურ მითოლოგიასა და რელიგიაში ნაყოფიერების, სიყვარულისა და სიხარულის ქალღვთაებაა. იგი ქალის სახითა და ძროხის ყურებით გამოისახებოდა.



შემოკლებანი

აზერბ. – აზერბაიჯანული

ავლ. – ავღანური

ბერძნ. – ბერძნული

გერმ. – გერმანული

გ. ჯაფარიძე – ჯაფარიძე გოჩა

ილ. აბულაძე – აბულაძე ილია

იტ. – იტალიური

ლათ. – ლათინური

ლ. სუმბაძე – სუმბაძე ლონგინოზი

ნ. ჩუბ. – ჩუბინაშვილი ნიკო

საბა – სულხან საბა ორბელიანი

სანსკრ. – სანსკრიტი

სპ. – სპარსული

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ფრ. – ფრანგული

ერთი ოცნების ტყუპისცალი

(წერილი მეორე – ტიცციან ტაბიძე)

მეცნიერთა დაკვირვებით, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, გარემო, კლიმატი... გარკვეულწილად განაპირობებს დიდი ადამიანების, გენიოსების დაბადებას. სრულიად ვიზიარებ სწავლულთა მოსაზრებას, რომ მშობლიური მიწის ატომებისაგან შედგება ადამიანის ორგანიზმი, რომ მშობლიურ გარემოსა და პიროვნებას შორის ქიმიურ ელემენტთა პერმანენტული ცვლაა, რაც ინდივიდის თვითმყოფადობის, მეობის, მისი პატრიოტული სულისკვეთების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო – როგორც გალაკტიონი, ასევე ტიცციანი, ღრმად არიან გაჯერებულნი ჭყვიშის ატომებით, ფერებით, სევდითა და იდუმალი ხმებით.

„ულამაზესი, ედემის დარი... სხვა საქართველო მაინც სად არი, რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?“ (ტ. ტაბიძე). „ალბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს, მასზე თუ გალობდნენ მგოსნები“ (ვ. მაიაკოვსკი). სამშობლო თითოეული ჩვენთაგანის სუნთქვა, გულის ფეთქვა და გულის ფანცქალია. ყრმობიდან შევისისხლხორცეთ რაფიელ ერისთავის ეს გულისგულამდე ჩამწვდომი ღვთაებრივი სტრიქონები:

*„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლოც ის არი.“*

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გემსჭვალავს დუტუ მეგრელის ციური ზემთაგონებით გადმოცემული უკეთილშობილესი გრძნობა, გრძნობა სასოებისა და მამულის ერთგულებისა:

*„მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩენია აქ სიკვდილი.“*

არის თქმულება, გადმოცემა – ქვეყნად რამდენი ადამიანიც იბადება, ცაზე იმდენი ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებაო. გადმოცემის სისწორის რა მოგახსენოთ, მაგრამ XX საუკუნის ქართული პოეზიის ცაზე გალაკტიონისა და ტიცციანის ორი კაშკაშა ვარსკვლავი რომ ამობრწყინდა – ამაში დღეს ეჭვი არავის ეპარება. ტიცციან ტაბიძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ჩვენს მწერლობაში.

„საქართველოთი გახარებული, საქართველოთი გამწარებული, საქართველოთი გულანთებული, საქართველოთი გულდათუთებული, ერთი სიტყვით, საქართველოთი დაავადებული კაცია იგი. ყოველი მისი საუკეთესო ლექსის სტრიქონი გაჟღენთილია სამშობლოთი“ (მ. მაჭავარიანი).

*„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი!“ –*

დღესაც ლოცვასავით გაისმის პოეტის ეს უგულწრფელესი, პატრიოტული აღსარება, „ქონდრის კაცსაც რომ დევად აგანთებს“ და ძვალ-რბილში სიხარულის ჟრუანტელად დაგივლის.

ჭყვიშის, ორპირის არაჩვეულებრივმა პეიზაჟმა, „მეფის ჭალის“ სანახებმა, კავკასიონის მთების უსპეტაკესმა მწვერვალებმა აწოვეს „ღალიან – ბარაქიანი“ ძუძუ ტიცციან ტაბიძის პოეტურ შთაგონებას და ასე იზრდებოდა ყოველდღიურად მის არსებაში, „გულში სიმღერის გამბედაობა“, მას მართლაც ედგა მხრებზე საქართველოს უღელი, „თბილისის აგონიით მკვდარი პოეტის „გულის მონაწიურია“ ეს უბრწყინვალესი ლექსი:

*„მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.“*

ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
 ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი,
 ოღონდ, ლამაზო, არ დამიღონდე,
 მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.
 ათას სალამურს გააქვს გუგუნი,
 ერთად ამღერდნენ გურიის მთები.
 თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
 არც სიკვდილისთვის დაგემდურები.
 ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი
 სინდისით აღარ მოეთხოვება,
 დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
 მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას.“

ასე უშუალოდ, უსათუთესი გრძნობით ბარეორს არ უმღერია თავისი სამშობლოსთვის.

ერთ „სანყალ პოეტს“ იმაზე მეტი, რაც ტიცციანის კალამმა დაგვიტოვა, ნამდვილად არ მოეთხოვება. ის, ხომ სრულიად ახალგაზრდა (44 წლის) შეინირა ავადმოსაგონარმა 1937 წელმა.

1895 წლის 2 აპრილი, წლების მანძილზე, არამართებულად იყო მიჩნეული ტიცციან ტაბიძის დაბადების თარიღად. თუმცა, ავტობიოგრაფიაში პოეტი სწერდა: „დავიბადე 1895 წლის 2 აპრილს... დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად“... დოკუმენტური მასალების შესწავლით დადგინდა, რომ ტიცციან ტაბიძე დაბადებულია 1893 წლის 2 ივლისს და 14 ივლისს მონათლული. ამაზე მეტყველებს საეკლესიო წიგნის ჩანაწერი, რომელიც მისი ბაბუის – სტეფანე ტაბიძის მიერაა შესრულებული. თუმცა რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ წელს, თვესა და რიცხვში დაიბადა ადამიანი, რომელმაც ერს, კაცობრიობას ფასდაუდებელი სულიერი საგანძური დაუტოვა.

ის, როგორც პოეტი, შემოქმედი ნამდვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან დაიბადა აპრილის თვეში, როცა ზეცას თითქოს ზეთი მოსტირის, სულიც აფეთქებული ატმის ტოტივით ყვავილობს და ნედლი ფიქრის სუნთქვა უკვდავი ხეებს გამოაქვთ მწვანე კვირტებად...

ყრმა ტიცციანი შესაშურ ოჯახურ ატმოსფეროში იზრდებოდა. მამა – იუსტინე ტაბიძე, საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მონაფეთა არეულობაში მონაწილეობისათვის, რევოლუციური განწყობილებებისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასიდან გამორიცხეს. სიცოცხლის ბოლომდე ეთაყვანებოდა რუს სამოციანელებს: ნ. დობროლიუბოვს, ნ. ჩერნიშევსკის, დ. პისარევს, თითქმის ზეპირად იცოდა ნეკრასოვის მთელი შემოქმედება. ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მაგრამ ამ ცდებიდან არაფერი გამოვიდაო – წერს ტიცციანი.

პოეტის დედა ელისაბედ ოქროპირის ასული ფხაკაძე, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებიდან იყო. საოცრად გამჭრიახი, სათნო, ღვთისნიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. თავისი მტკიცე ხასიათის გამო ტიცციანი მას „ოთარაანთ ქვრივსაც“ ეძახდა. ფასდაუდებელია მისი ამაგი მეოცნებე ბავშვის სწავლა-აღზრდის საქმეში.

„მე არ მახსოვს როგორ ვისწავლე წერა-კითხვა. ოთხი წლისა ვიყავი, როცა ჩვენსავე შენობაში მონყობილ სკოლაში დავდიოდი და ადვილად ვერკვეოდი ანბანში, ეს ძალიან ახარებდა დედაჩემს...“

1905 წელს მამამ კლასიკური გიმნაზიის პირველი კლასისათვის მოსამზადებლად ქუთაისში წამიყვანა... რევოლუციურად განწყობილი ხალხით სავსე მატარებელში მოვხვდით, ოდესიდან შავრაზმელების მიერ მოკლულ პროფესორ საბა კლდიაშვილს მოასვენებდნენ. ქუთაისის სადგურში მატარებელს დროშებითა და მარსელიოზას სიმღერით შეხვდნენ. საბა კლდიაშვილის დაკრძალვა მრავალათასიან დემონსტრაციად იქცა. ჩვენმა გიმნაზიამ რევოლუციას და უახლოეს მემარცხენე პოეზიას თავისი ხარკი გადაუხადა...

ლექსების წერა ძალიან ადრე დავიწყე, ბეჭდვა კი, მე-6 კლასიდან. თავდაპირველად ქუთაისის გაზეთებში ვბეჭდავდი, შემდეგ თბილისშიც. ორიგინალური ლექსების გარდა მაშინ მთელი

რიგი თარგმანებიც დაგვუქმდე“ (ტ. ტაბიძე, ტ. I, თბ. 2012 წელი. გვ 4-5).

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის უამს ეცნობა ტიცციანი იმ მეგობრებს, რომლებიც შემდგომში „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრები გახდნენ. „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ჟურნალ „მატიანეს“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე 1915 წელს, „ცისფერყანწელთა“ გაერთიანების შექმნაზე, მათ როლსა და ღვაწლზე ქართული ტროპული აზროვნების, ახალი სივრცეების დაუფლებისა და ქართული ლექსის კულტურის ამალგების საქმეში, მათ ნოვატორობასა და ვერსიფიკაციულ მრავალმხრივობაზე.

ტიციანი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. შესანიშნავად იცნობდა რუსულ, ევროპულ, მსოფლიო ლიტერატურას. ის იყო „ცისფერყანწელთა“ დაუცხრომელი იდეოლოგი და თეორეტიკოსი, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა, სწორუპოვარ გალაკტიონთან ერთად ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული საბჭოთა პოეზიისა.

კარგად ცნობილია, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფიდან მრავალს განათლება რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული. ქართული პოეტური კულტურის განახლებისთვის ბრძოლაში მყარად ეყრდნობოდნენ თანამედროვე მსოფლიო კულტურის მიღწევებს. ისინი დაუცხრომლად ილტვოდნენ, რათა მოეხდინათ რუსულ-ევროპულ აღმოსავლურ კულტურათა სინთეზი ქართულთან. ამაზე ამჟამად მეტყველებს ტიცციანის თითქმის საპროგრამო ლექსი „ქალდეას ქალაქები“ (1916 წ.).

*„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს
და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში,
ჩემს ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“.*

(მცირე განმარტებანი: „გაფიზი“ იგივე პაფეზი შირაზელი დაიბადა დაახლოებით 1310-1320 წლებში, გარდაიცვალა 1389 წელს. პაფეზის ყაზალეები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ყაზალი არაბულ-სპარსულ პოეზიაში – ორტაეპიანი სტროფია, იყენებდნენ ევროპულ პოეზიაშიც. პაფეზი არაბულად ყურანის ზეპირად მცოდნეს ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი განათლებული და მორწმუნე პიროვნება იყო. პოეტის შემოქმედება XIX საუკუნის ევროპაშიც გაიცნეს. გოეთემ „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ მეორე წიგნს „ჰაფეზის წიგნი“ უწოდა და თავის აღმოსავლელ კოლეგას ბევრი აღფრთოვანებული სტრიქონი უძღვნა. ამან ჰაფეზის პოეზიის დიდი პოპულარობა გამოიწვია.

ტიციანის ლექსში „ქალდეას ქალაქები“ ნახსენებია სიტყვა პრუდონი, პრუდონი კი არა აქ იგულისხმება ცნობილი ფრანგი პოეტი და ესეისტი სიული-პრიუდომი (1839-1907 წწ.).

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი სარგის ცაიშვილი: „ცისფერყანწელთა“ დიდი დამსახურება ჩვენ სხვაგან უნდა დავინახოთ და არა ე.წ. ქართული სიმბოლისტური სკოლის დაარსებაში.

მოძალბებულ ეპიგონობასა და პროვინციალიზმთან ბრძოლაში მათ ფართოდ გაუღეს კარი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გამოცდილებას და იგი ქართული ლექსის განახლების ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნიეს (გარკვეული სოციალური პირობების გამო არც დეკადენტური განწყობილებები იყო მათთვის მთლიანად უცხო), მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მათ ეს ძიებები არ შემოუფარგლავთ რომელიმე ერთი სკოლის ფარგლებით და „პარნასელებიდან“ მოკიდებული მათი დაჟინებული მზერის არეში მოექცა თითქმის ყველა იმხანად არსებული ახალი მოდერნისტული სკოლა (ს. ცაიშვილი, „წინამორბედნი და თანამედროვენი“, მეცნიერებათბილისი 1986 წელი, გვ.134).

საბედნიეროდ, უტყუარი პოეტური ალღოს წყალობით მათ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი ქართული პოეზიის დიდ ტრადიციებთან, მშობლიურ ძირებთან. ტიცციანი გაზაფხულის მდინარესავით აივსო, განყრა, ადიდდა და ერთბაშად მოსკდა, მოვარდა ლექსის მენყერად. თავის გრძნობათა ნადუღმი დანთქმული პოეტი, როგორც დიდი აკაკი იტყოდა, იღვრებოდა უფაქიზეს ლირიკულ განცდებად. აი, როგორ გადმოგვცემს ის ლექსის შექმნის, დაბადების ურთულეს პროცესს:

*„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.“*

„ძნელია ჩვენი დროის ლირიკოსთა შორის მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც თავისი ლექსი დაეტენოს ისეთი მძაფრი განცდებით, ისეთი თავდავინყებით... ყოვლისმომცველი ალტაცებით, როგორც ეს „ლექსი მენყერის“ და „მამ გამარჯვებას“ ავტორმა შესძლო“ (გურამ ასათიანი).

ტიციანს, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, ღრმად სწამს, რომ მისი სიკვდილის შემდეგაც გააგრძელებენ სიცოცხლეს მისი ლექსები:

*„აქედან ვიცი – მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ ესეც დარჩება,
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს მეყოფა გამოსარჩლებად.“*

წლების მანძილზე ვმსახურობდი გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმებში, განუხრელად ვენეოდი მათი მარად უჭკნობი პოეზიის პროზაგანდას. დღესაც სიხარულის ელდებად ედება გულს მათი ჯადოქრული სტრიქონების ცეცხლი. არ იქნება ინტერესმოკლებული თუ მკითხველს შევახსენებ ტიციანისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს, რომელშიც გულწრფელად გამოვხატე მისდამი მოკრძლება, სიყვარული და უღრმესი პატივისცემა:

*„თოვლივით თეთრი თეთრ ხალათში გნახე ზმანებით,
ოცნება შენი ყანჩასავით დარჩა ფშანებთან...
ვინა თქვა – ცეცხლის ჟრუანტელი რომ ფერფლს დანებდა,
კვლავ ლაჟვარდოვან სივრცეებში მიექანები.
მუხლმოდრეკილი ლოცულობდი ძვირფას ხატებთან
და გადახსნილი გულის სისხლით წერა გენება...
ტანჯულ ქვეყანას რომ ეწეროს გადაშენება,
მამინ რუსთველის გენიაც ვერ გაგვანათებდა.
ამოცისკარდა, ამომზევდა შენი მიზანი,
დღეს სამშობლოში ჯავარიან სიტყვას გიქებენ,
უღვთოდ ჩამქრალო გაზაფხულო – ასე ადრიან...
მე სამუდამო ხაშმით შენი ლექსი ვიცანი,
მისი ნექტარი, საოცარი, გვიან ვიგემე
და გულიც შენზე მწუხარებას გაუფატრია!“*

უამრავ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდნენ „ცისფერყანწელები“, მრავალი საკუთარი გამოცემაც ჰქონდათ. მათი სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მაინც მინდა რამდენიმეზე გავამახვილო ყურადღება: 1. ალმანახი „ცისფერი ყანწები“ (1916 წელი), მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა. 2. ალმანახი „ლიგეია“, რომელიც დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში, მხოლოდ ორი ნომერია მოღწეული, გამოდიოდა 1918 წელს. ლიგეია სახელია ედგარ პოს პერსონაჟი ქალისა პოემაში „ალ-აარაფი“. ამ ალმანახში დაიბეჭდა გრიგოლ მეგრელიშვილის მიერ თარგმნილი ედგარ პოს „ყორანიც“. ალმანახის რედაქტორი უცნობია, მაგრამ რადგან მასში მხოლოდ სიმბოლისტური ნაწარმოებები დაიბეჭდა, ჩვენი ვარაუდით იგი „ცისფერყანწელთა“ გამოცემა უნდა იყოს. მესამე „ცისფერყანწელთა“ ალმანახია „მეოცნებე ნიამორები“ (რედ. ვ. გაფრინდაშვილი, 1919-1924 წლებში ჯერ ქუთაისში გამოდიოდა, შემდგომ – თბილისში).

„ალმანახი გვამცნობს „ცისფერყანწელთა“ როგორც ესთეტიკურ კრედოს, ისე ევოლუციის სურათსა და შემოქმედების ნიმუშებს. იგი იყო წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცემა, არ შემოდიოდა არც პოლიტიკა, არც პუბლიცისტიკა, არც ყოფითი ამბები... გამოიცა თერთმეტი ნომერი. ბოლო ნომერს მოსცილდა სიტყვა „მეოცნებე“. შედგებოდა უცვლელად 16 გვერდისაგან“ (ს. სიგუა „მოდერნიზმი“, „მწერლის გაზეთი“, თბ. 2008 წ. გვ.109).

ზემოთ ჩამოთვლილ ალამანახებს ემატება „შვილდოსანი“ (რედ. სანდრო ცირეკიძე), იგი 24 გვერდისაგან შედგებოდა. სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილებების ამსახველი ლექსები იბეჭდებოდა ამ ალმანახშიც. „ცისფერყანწელები“ ფართოდ იბეჭდებოდნენ გაზეთ „ბახტრიონში“ (რედ. გ. ლეონიძე), გაზეთი „ლაშარი“ მათი გაზეთი იყო, მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. აქ დაიბეჭდა ტიცციანის ლექსი „ცხენი ანგელოსით“.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლოზუნგი „დაბრუნება მინასთან“, რომელიც წამოყენებულია ესეში „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“, სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა. ამ პერიოდში 1922-1924 წლებში გამოდიოდა გაზეთი „ბარიკადი“ (რედ. ტ. ტაბიძე), ამავე სახელწოდების გაზეთს სცემდა შარლ ბოდლერი 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს.

ტიციან ტაბიძემ ერთ-ერთ ესეში წარმოგვიდგინა სუდეიკინის, გუდიაშვილისა და კაკაბაძის მიერ მოხატული კაფე „ქიმერიონი“.

„მაშინ „ცისფერყანწელებს“ ეგონათ, რომ სოციალური რევოლუციის პარალელურად ისინი ახდენდნენ რევოლუციას პოეზიაში და თითქოს ამიტომ ბოლშევიკები მათი მფარველები უნდა ყოფილიყვნენ.“

ეს მიაბიჭური ოცნება მალე დათრგუნა 1924 წლის სასტიკმა რეპრესიებმა და ყანწელთა მაჟორული ჰანგები შეცვალა ნამდვილმა სევდამ და სასონარკვეთამ“... (ს.სიგუა „მოდერნიზმი“, თბ. 2008 წ. გვ.113).

1923 წლის 21 იანვარს გამოიცა „სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ყოველკვირეული გაზეთი – „რუბიკონი“.

ტიციან ტაბიძის ნათარგმნი „დადას მანიფესტები“ ამ გაზეთში დაიბეჭდა. ასე, რომ „ცისფერყანწელებს“ ლიტერატურულ სარბიელზე საკმაოდ მყარი პოზიციები ეკავათ.

უთვალსაჩინოესი ფრანგი პოეტი ლუი არაგონი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, ეხებოდა რა გზაჯვარიდენზე მდგომი პოეტების შემოქმედებას: „... მათ მხოლოდ იმ ნიშნით კი არ უნდა ვაფასებდეთ, თუ საიდან, რომელი მიმდინარეობიდან გამოვიდნენ ისინი, არამედ მთავარია, საბოლოოდ სად მივიდნენ.“

ტიციანმა და მისმა მეგობრებმა იმანენტურ ძალთა სრული გამოხმობით, შინაგანი ბრძოლებითა და განსაკვიფრებელი ძალისხმევით გადმოლახეს ადრეულ შემოქმედებაში დავანებული მოდერნისტული სკოლების გავლენა, დეკადენტური განწყობილებები და თანდათან მკვიდრად დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. საქართველოში საბჭოური ნყობილების დამყარების შემდეგ იწერება ტიცციან ტაბიძის მაღალი პოეტური გრძობით, განცდითა და ტემპერამენტით აღბეჭდილი ლირიკული შედეგები: „ლექსი მენყერი“ (1927), „რია-რია“ (1927), „ამოდის, ნათდება“ (1927), „გალაკტიონ ტაბიძეს“ (1927), „მამ გამარჯვება“ (1928), „ოქროყანა“ (1928), „ანანურთან“ (1929), „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“ (1932), „სამშობლო“ (1935) და სხვა.

პირველი მისი საბჭოური ვრცელი ნაწარმოებებია პოემები: „თვრამეტი წელი“ (1928), „ფრონტებზე“ (1928), „რიონი - პორტი“ (1928), „გულდაგულ“ (1929), ამას მოჰყვა შესანიშნავი ნარკვევების წიგნი „გულდაგულ“.

ტიციანი დღითიდღე მალღდებოდა, გაბედული ნაბიჯებით მიიწედა ახალ-ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად.

ღვიძლი ბიძაშვილისადმი – გალაკტიონისადმი მიძღვნილ წერილში „მარტოობის ორდენის კავალერი“ ერთგან აღნიშნავს: „იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და მომხიბლავი“ (ტიციან ტაბიძე, პროზა. ტ. II, გვ.222). იგივე სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ ტიცციან ტაბიძეზე, კაცზე, პოეტზე, რომელიც მუხლმოდრეკილი ლოცულობდა ძვირფას ხატებთან, საუბრობდა დიდებულ წინაპართა აჩრდილებთან. ასე მგონია – გადახსნილი ჰქონდა ვენები და გულიდან მოდენილი სისხლით წერდა თავის „მშანთავ“ სტრიქონებს და ალავერდს გადადიოდა ახალ ცხოვრებასთან:

„დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს,
 ცარციით კი არა, სისხლით რომ ვწერდი...
 საბჭოთა მინა! – გიკოცნი ფესვებს,
 ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი!“

როგორც ვიცით, 1913-1917 წლებში ტიცციან ტაბიძე მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა.

აქ უპრიანია გავიხსენო ბრძენი ილიას სიტყვები „მგზავრის წერილებიდან“, სადაც ის მოსკოვში გატარებულ ოთხი წელიწადის შეფასებას იძლევა: „ოთხი წელიწადი იყო რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბენვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოკვანდავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღყურძენაცა. ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბენვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ტიცციან ტაბიძისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია რუსეთში გატარებული ოთხი წელიწადი, როგორც ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისათვის იყო.

რუსეთში სწავლის ჟამს გაეცნო ტიცციანი გამოჩენილ რუს პოეტებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. საყოველთაოდ ცნობილია მისი მეგობრობა კონსტანტინე ბალმონტთან, ანდრეი ბელისთან, სერგეი ესენინთან, ვალერი ბრიუსოვთან, ბორის პასტერნაკთან, ვიქტორ გოლცვეთან, პავლე ანტოკოლსკთან, ზაბოლოცკისთან... ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდთან მეგობრობდა.

„ტიციანი მრავალფეროვანი, დიდი დიაპაზონის ადამიანი და მხატვარი იყო, დიდი ტემპერამენტისა და სინაზის მატარებელი. მას უყვარდა ცხოვრება, შრომა, იგი იყო აზრის და საქმის ადამიანი, პოეტი, მოაზროვნე, ესთეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ორატორი, „ცისფერყანწელების“ იდეოლოგი, დაულალავი ორგანიზატორი, რედაქტორი, გამომცემელი, მეპრესე, ფელეტონისტი, ახალგაზრდობის დამხმარე და ამავე დროს ნამდვილი „ამფიტრიონი“ (გიორგი ლეონიძე).

1921 წელს ტ. ტაბიძემ და გ. ლეონიძემ ქართულ ენაზე გამოსცეს მათ მიერ თარგმნილი რევოლუციონერ პოეტთა ლექსების პირველი კრებული.

1922 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „ბარიკადი“. 1922 წელს ის გახლდათ მოთავე კაფე „ქიმიერიონის“ დაარსებისა.

კაფე „ქიმიერიონი“ იმ დროს წარმოადგენდა ქართველ „ხელოვანთა ყავახანას“ – იმ მყუდრო თავშესაფარს თუ საკრებულოს, სადაც ქართველი მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები და მათი თაყვანისმცემლები თავს მოიყრიდნენ ხოლმე, სადაც იკითხებოდა ახალი ლექსები და მოთხრობები...

ტიციან ტაბიძე იყო 1930 წელს მთანმინდაზე მწერალთა (შემდგომში - ლიტერატურული) მუზეუმის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

1934 წელს გამოვიდა ტიცციან ტაბიძის ლექსების „რჩეული“ ქართულად, ხოლო ერთი წლის შემდეგ, მოსკოვის გამომცემლობამ გამოსცა ამავე სახელწოდების წიგნი რუსულ ენაზე. დასახელებული რჩეულების გამოცემამ საყოველთაო აღიარება მოუტანა პოეტს. პირველხარისხოვანმა სიტყვის ოსტატებმა თარგმნეს მისი ლექსები რუსულად, რომლებთანაც ურთიერთობა უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან იწყება.

ტიციან ტაბიძე იყო დელეგატი საქართველოს მწერალთა I და II ყრილობებისა, 1934 წელს საბჭოთა კავშირის მწერალთა I ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ყრილობაზე მან ასე მიმართა დამსწრეთ: „გამოავლინო ახალი სოციალისტური მშენებლობისა და განთავისუფლებული შრომის, ცხოვრების თრთოლვა, აი ახალი ადამიანის სიმამაცის საქმე, ოპტიმისტური პოეზიის საფუძველი, და ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიპოვოთ მისი გამოსავლინებელი საშუალება.“ ყრილობებზე, საზოგადოებრივ სხდომებზე, სოფლად თუ ქალაქად, ფაბრიკა-ქარხნებში, ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით გამართულ მიტინგებზე უფრო ხშირად და მძლავრად გაისმოდა მისი მგზნებარე პოეტური სიტყვა. თავის გამოსვლაში სიამაყით განაცხადა,

რომ ქართველებს ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური პოეზია გაგვაჩნია, ნებისმიერ ერს გამოადგებაო თავის მოსაწონებლად, ქართველ ხალხს უკვდავებისთვის სხვა რომ არ იყოს, თავისი ხალხური შემოქმედებაც ეყოფოდაო.

ვერ დამისახლებთ ვერცერთ გამოჩენილ ქართველ პოეტს, მწერალს, რომლებიც არ დაინტერესებულყვნენ ეროვნული ხალხური პოეზიის შეკრებისა და შესწავლის საქმით, ამ მხრივ არც ტიციაანია გამონაკლისი.

კახეთში იმყოფებოდა სტუმრად, ყაზბეგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის საქმეს მესვეურებდა, თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში მოგზაურობდა, სასიქადულო პოეტი ყოველთვის გამოძებნიდა დროს მოესმინა, ჩაენერა ხალხური მთქმელებიდან, ავტორმთქმელებიდან უნიკალური ფოლკლორული მასალები.

ტიციან ტაბიძე გახლავთ ინიციატორი 1935 წელს ყაზბეგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობისა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი და გიორგი ლეონიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (1938 წელი).

„თუ ვინმეს მისამართით შეიძლება ვიხმაროთ სახელად მოღვაწის ტიტული, მათ შორის გახლავთ ტიციაანი, რადგანაც იშვიათად თუ გაუკეთებია ჩვენი საუკუნის მწერალთაგან ვინმეს ეროვნულ ლიტერატურათა დაახლოებისა და დაძმობილების საქმეში იმდენი, რამდენიც მან გააკეთა.“

ტიციან ტაბიძე ამ შემთხვევაში სრულიად ავლენს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რითაც ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნება ხასიათდება თავისი გულგამლილობითა და სტუმარმასპინძლური ნიჭით მან მრავალი მეგობარი შესძინა ქართულ მწერლობას“ (ავთანდილ ნიკოლეიშვილი „თვალთახედვა“ გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1987 წელი).

სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ ტიციაანისა და ბორის პასტერნაკის მეგობრობა. ამ ორი ადამიანის ბედი უშუალოდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. დიდმა და ერთგულმა მეგობრებმა ბოლომდე შესვეს უსამართლობის მწარე ფილა.

ბორის პასტერნაკი საქართველოზე, ქართულ კულტურასა და მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული შემოქმედი იყო. სწორედ მან გააცნო რუს მკითხველს ქართული პოეზიის, ქართული სიტყვის ლაზათი და განუმეორებელი სილამაზე. ტიციაანის დახმარებით მშვენივრად ააჟღერა რუსულ ენაზე ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის... მისი თანამედროვე ლირიკოსების პაოლო იაშვილის, ტიციაან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის და სხვათა ლექსები. ნამდვილ ბედნიერებას უწოდებდა ბორის პასტერნაკი ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნაზე მუშაობას. ბორის პასტერნაკის წერილები ტიციაანისადმი, პოეტის მეუღლისადმი ნინო მაყაშვილისადმი შესანიშნავად გადმოგვცემს იმ თბილ ურთიერთობას, რაც ტიციაანის ოჯახს პასტერნაკის ოჯახთან აკავშირებდა.

ჩვენი სასიქადულო სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი იგონებს:

„ვინ არ მინახავს ტიციაანის სახლში... მასთან გავიცანი ბორის პასტერნაკი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, იური ტინიანოვი, ვიქტორ გოლცევი, ოსიპ მანდელშტამი, ნიკოლოზ ტიხონოვი, პავლე ანტოკოლსკი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ილია ერენბურგი და სხვები... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მისი კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისთვის, მისი მოყვარული და კეთილშობილი გული ყველგან მეგობრებს პოულობდა, უყვარდა ცხოვრება მთელი თავისი სიხარულით... მისი მთავარი სალოცავი კი საქართველო იყო.“

ვლ. მაიაკოვსკისთან მეგობრობა ტიციაანისა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან სწავლის პერიოდიდან იწყება. მას აქვს მშვენიერი წერილი „შეხვედრები მაიაკოვსკისთან“, სადაც მას იგონებს, როგორც მაღალკლანჭებიან, მოკლეშარვლიან მუდამ შემართებულ ჭაბუკს, ანთებულს რევოლუციური განწყობილებებით, რომელიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ქართულად. იხსენებს მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკისა და სხვა ფუტურისტების

გამორჩენას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, აღელვებდა, იტაცებდა სტუდენტ ტიცინანს. ეს მეგობრული გრძნობა მშვენივრად გადმოგვცა ლექსში — „მაიაკოვსკის დედა და დები“:

„ ჩემ წინ იშლება საერთო ყრმობა და ქუთაისში რევოლუცია,
 თუ იყო მასში გამბედაობა, ეს თქვენს ქვეყანას გადმოუცია
 და მე ვიცოდი, რომ მაიაკოვსკის, არ დარჩენია ამ ქვეყნის ვალი,
 პოეზიისთვის ბრძოლებს ვინ მოსთვლის, მას დევის ჰქონდა ფეხი და კვალი!

.....

არ იყო მისთვის უცხო ალერსი რევოლუცია, წითელი პერსნა,
 მან ის იმღერა ვაჟკაცურ ლექსით — რაც საქართველოს მთებში მოესმა.“

საოცარი გრძნობითა და განცდით იწერება 1936 წელს მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ლექსი „ბალდათის ზეცა“. ის პათეტიურად მიმართავს პოეტს, რომელსაც გადაუხდელი ვალი თან წაჰყვა ბალდათის ზეცის:

„გულდასანყვეტი დაგვრჩა მრავალი, მაინც საერთო გვაქვს ერთი ვალი,
 რაც მე მანვალებს ღამე და დღეცა, ლაჟვარდოვანი ბალდათის ზეცა.

.....

სხვისა სხვამ გვითხრას, მე ბალდათის ცის, მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა,
 დღეს აპრილია, აპრილმა იცის, ვაშლის ხეებით სულის გატანა,
 როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი, ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს,
 მოდი ამ მეწყერს კაცი გადურჩი, ან საირმეზე ირმების ბლავილს.
 ასე მგონია, შენი სიკვდილიც, სიზმარი არის მხოლოდ უხეში
 და ამ აპრილის რძიანი დილით, დადგები მუხად ბალდათის ტყეში.“

ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი სახელი, როგორც რევოლუციის ტრიბუნისა და უბრწყინვალესი შემოქმედის, თან წაჰყვება მომავალ საუკუნეებს.

საყოველთაოდ ცნობილია დიდი რუსი ლირიკოსის, რჩეულთა შორის რჩეული პოეტის სერგეი ესენინის მეგობრობა ტიცინანთან, „ცისფერყანწელებთან“, მისი სტუმრობა საქართველოში. ამაზე ნათლად მეტყველებს ეს პატარა წერილი გამოგზავნილი 1925 წლის 20 მარტს ტიცინან ტაბიძისადმი:

„ძვირფასო მეგობარო, ტიცინან!

აი, მე უკვე მოსკოვში ვარ. ძალიან გამეხარდა ჩემი მეგობრების ნახვა და ვიხსენებ და ვუამბობ მათ თბილისის ამბებს...

საქართველომ მომხიბლა, როგორც კი შევსვამ ჩემთვის დაგროვილ ჰაერს მოსკოვსა და პიტერში, მაშინვე გამოვბრუნდები უკან, თქვენკენ, რომ გნახოთ და გადაგეხვიოთ... მომიკითხე ყველა ჩემი კარგი მეგობარი – პაოლო, ლეონიძე და გაფრინდაშვილი. ჩემ მაგივრად ეამბორე შენს მეუღლეს და ქალიშვილს, თუ ძნელი არ იქნება მომწერე ორიოდ სიტყვა“.

ს. ესენინის გარდაცვალება 1925 წელს – ძალიან განიცადეს „ცისფერყანწელებმა“, განსაკუთრებით ტიცინან ტაბიძემ. მთელი დღეები გაოგნებული და უაღრესად გულდამძიმებული დადიოდა. „ესენინის ტრაგიკული დაღუპვა (თვითმკვლელობა თუ მკვლელობა...) მისთვის ორგვარად შემზარავი იყო, ერთის მხრივ – ეს იყო მეგობრის დაკარგვა, მეორეს მხრივ – საკუთარი მომავლის გაცნობიერებაც. გაცნობიერება იმისა, რომ სიცოცხლე ასეთ ვითარებაში სირცხვილიც კი იყო. ამ შემთხვევაში თავის თავს გულისხმობს. სულმა სული იცნო“ (ზოია ცხადაია, ჟურნალი „მატიანე“ ვანი 1916 წ. №7, გვ.55).

ლექსში „სერგეი ესენინს“, უმძაფრესი ტრაგიკული განცდითაა გადმოცემული ტიცინანის ღრმა მწუხარება მეგობარი პოეტის გარდაცვალების გამო:

„გაუხედნავი კვიცი იყავი და სისხლიანი როგორც ჩალატარ,
 დარჩები ლექსში გაურიყავი, ცოდვას ამ ლექსს საფლავში გატან,
 მოგდედა სევდა დიდ ტრამალების და მოატანე დარიალამდე
 სული სულს როგორ დაემალება?! ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდნენ

.....

.....
 გდიოდა ლექსი შენ როგორც სისხლი, მოურჩენელი გულის იარა,
 თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

.....

 და გულში სტირის შენი ანდერძი, სადღგრძელოში გვახსოვდე მარად,
 წითელ ღვინოში შენ პურის კერძი წამოიზრდები სისხლის ტომარად.
 ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი, მონღოლის სისხლი გვიდულს ორთავეს,
 სული დააპეს და მერე ძორი... ძორიც ძერებმა გამოათავეს.

.....

 ჩოფურაშვილთან ვიყავით ნუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არლანი,
 საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი.
 სამწუხაროა ყველა ესენი და უფრო მწარე კიდევ ის არი,
 ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ! — ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი.“

ამ ლექსის ფინალში, როგორც მის სხვა მრავალ ლექსში, აშკარად იგრძნობა პოეტის წინათგრძნობა, მისი ცხოვრების, სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულისა:

„ამხანაგებო, თუ ღრმა ლელეში, ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს
 ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს.“

„ნუთუ ბედისწერამ წინასწარ განსჭვრიტა და ბრმად გაიაზრა მისი დასასრული?..“ (შ. ნიშნიანიძე).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შეუდარებელი მხატვრისადმი ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსი „იმათი იყოს ეს სადღგრძელო“ (1926 წ.), ის მისანივით წინასწარმეტყველებს თავის საბედისწერო აღსასრულზე:

„გაიარს კიდევ ათიოდ წელი და ჩვენს ცხოვრებას უფრო მიქელავს,
 ჩვენიც იქნება შესანდობელი, შეგვაბრალებენ სანყალ ნიკალას.“

სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი შედეგური „ანანურთან“, რომელიც მისი ოცნების ქალს, უმშვენიერეს ქალბატონს, თამუნია წერეთელს ეძღვნება (ეს ქალბატონი „ლაღიძის წყლებში“ მოლარედ მუშაობდა – ა. თ.). ასე მთავრდება:

„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
 შენ ჩემს სიკვდილში არ გიძღვის ბრალი.“

„ტიციან ტაბიძის ლექსები ჰაეროვანია, უღერადი ფართოტალღოვანი ხმოვნების ზვირთები გვაოცებენ. ყურადღებას თანხმოვნებზე ამახვილებს, მიწა კი არა ყური იპოვა, როცა იგი ლექსებს კითხულობს იდუმალი ხმით: ნაღდი „აღმოსავლეთია“, მაგრამ დიდებული „აღმოსავლეთი“, რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლო“ (ა.ბელი).

სამაგალითოდ მოვიტან ლექსს „ქალღეას ბალღანი“. ლექსში სმენით ეფექტებს ქმნის ალიტერაცია, ნაცადი საშუალება პოეტისათვის. აშკარაა, წ,ქ,ც, ბგერების მონაცვლეობა, რომელიც განსაკუთრებულ უღერადობას ანიჭებს სათქმელს (ზოია ცხადაია).

„ძველი სიტყვები დაფიცების, დაფინყებული
 ძველი ქალაქი დღეს ნაცარი, უწინ ქებული,
 ძველი ქალღეა სწავს ოცნებას და ეძახის სულს,
 ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარსულს“.

(1916 წელი)

აქვე შეგვიძლია მოვიტანოთ სხვა მაგალითი:

„მთა მიჰყვება მთას, მთა მთას აწყდება, დგას ლანქერების კორიანტელი.“

„დაჭიმული ძარღვივით მთრთოლვარეა ტიციან ტაბიძის ლექსი, რომელშიც უშუალოდ და ზოგჯერ ყოველგვარ აქსესუარებს მოკლებული პირდაპირობით გამოვლინდა მისი პიროვნება. ერთი მხრივ – არისტოკრატიული და მეოცნებე, მეორეს მხრივ კი — ხანჯალივით ალესილი და ცხოვრების სინამდვილეს თვალეში ჩაშტერებული...“

ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ერთგვარად „გაურანდავი,“ ასახვის საშუალებათა ზუსტ სიმწეობრესა თუ წესრიგისაგან გაუცხოებული მისი ლექსი, სწორედ შემოქმედებითობის პირველყოფილებით, ინდივიდუალურობის მძლავრი მუხტით არის დღესაც აღმტაცი და შთამაგონებელი: აქ ილანდება თვით ცხოვრება...

ტიციანი იყო განსაკუთრებული ტალანტი, რომლის უპირველესი ნიშნებია მძლავრი პიროვნული ენერგია და დაუოკებელი სწრაფვა თვითგამოსახვისაკენ (აკაკი ვასაძე, „ტიციან ტაბიძე.“ თბ. გამომც. „მერანი“ 1985 წ. გვ.4).

ჭეშმარიტ პოეტს უფლება აქვს შემოქმედებითობის სფეროში გაცხადდეს ყოველნაირი სახით, თუ კი ამ სახეს პოეტის ხასიათი სწვდება, თუ კი ეს სახე პოეტის ბუნებას უთანხმდება და გამოხატავს იმას, რასაც პოეტი შემოქმედებითად ნამდვილად განიცდის... ლექსში გამოხატულ გრძნობას, სახესა თუ ფიქრს ხომ თვითონ პოეტის პიროვნება უნდა ადასტურებდეს. პიროვნება, რომლის ხასიათი და შემოქმედებითი ენერგია უშუალოდ გამოვლინდება ლექსის გამომსახველობით ფორმაში. (აკაკი ვასაძე „ტიციან ტაბიძე“ თბ. გამომც. „მერანი“ 1985 წელი. გვ.30).

ტიციან ტაბიძე ჭეშმარიტი რაინდი იყო, რაინდული სულის მატარებელი. მისი თვალთახედვით პიროვნების ყველაზე მაღალი თვისება არის გმირობა, საბრძოლო შემართება, ამიტომ მიმართავს ის ხშირად წარსულის სურათებს, აცოცხლებს წარსულის გმირებს.

„მან მოახერხა, თავისი განუმეორებელი პოეტური ხმის მეშვეობითა და ცხელი პოხიერი სიტყვის წყალობით სიცოცხლეშივე თავი ქართველი ხალხის სულისა და გულში დაემარხა სამუდამოდ, სანატრელ სიცოცხლეს რომ არასოდეს გაჰყოდა“ (შალვა ფორჩხიძე).

ტიციან ტაბიძის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში მის მთარგმნელობით საქმიანობას საპატიო ადგილი უკავია. პოეტს სახვადასხვა დროს უთარგმნია: ალ. პუშკინის, კ. ბალმონტის, თ. სოლოგუბის, ალ. ბლოკის, შ. ბოდლერის, პ. ვერლენის, ავ. ისააკიანის, ლ. არაგონის, ნ. პიქმეთის, ა. გიდაშის, ი. ბეხერის, ზ. ჰიპიუსის, ლ. ლენაუს, დ. მერეჟკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. არც ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატისა“ და თ. დოსტოევსკის „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე“ თარგმანები გამოსვლია ურიგო.

„ყველაზე მეტად პოეზია ამშვენებს ჩვენს პლანეტას და ყველაზე მეტად იგი კვებავს სხვა დარგის გიგანტთა სულსა და ჭკუას. მონტენის სამაგალითო წიგნი ჰორაციუსის ლექსები იყო. ტოლსტოი ამბობდა: უტიუტრეოდ ცხოვრება შეუძლებელიაო“ და მისი ლექსის „ბინდის“ კითხვისას ცრემლები წასცდებოდა ხოლმე... მხოლოდ ისეთი ლექსი თუ პოეტია საჭირო, ურომლისოდაც ცხოვრება გაძნელებოდა. ეს აზრი ზოგმა ჩვენს დროშიაც დაამტკიცა, მაგ: საქართველოში – „გალაკტიონმა“ (აკაკი განერელია, „რჩეული ნაწერები“, ტ. II, გამომც. „მერანი“, თბ., 1978 წ., გვ. 9-10).

სწორედ ასეთ საჭირო პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება ტიციან ტაბიძეც, რომელმაც ქართულ პოეტურ აზროვნებას დიდი გასაქანი მისცა. ეს ლექსი გახლავთ ამის დასტური:

*„არცერთი სიტყვა არ დამცდენია
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა, –
როცა პნკარები პნკარებს სდევნიან –
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.*

.....
.....

*სანამ წარმოთქვამ — ლექსი შენია,
იტყვი, სხვა უცხო მას დაიტაცებს
და თუ ვაჟკაცის ხელი სჩენია,
მაშინ სხვის ხელშიც ის ივაჟკაცებს.
ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს,
თუ სიყვარულის ბოლმა გამურა,
თვითონ ვერ იცნობ შენ ბაიათებს,
დაუტაცია ხალხს სალამურად.
და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი*

უძილო ღამეს ხელში ეკავა;
 მოსკდება წვიმა თქემით და ქაფით
 და მოვარდება ლექსი ნელკავად.
 გადაიარა და გადათელა,
 როგორც კალია გათელავს ყანას,
 მერე დაენტო თაფლის სანთელად,
 რომ გაანათოს მთელი ქვეყანა.“

1935 წელი

(ტ. ტაბიძე, „პოეზია“ ტ. I, თბ., 2012, გვ.211)

ტიციან ტაბიძის რაინდული, ვაჟკაცური სულისკვეთება, მისი შემართება, პოეტური ენერჯია, მოზღვავებული ტემპერამენტი და გრძნობა ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელი უშუალობითა და ბუნებრიობით, გულწრფელობით, სიტყვის ლაზათიანობით არაერთ მის ლექსში აისახა. ზოგჯერ ის მოკრძალებით, თავმდაბლურად გვიცხადებს:

„ამხანაგო და ძმაო მკითხველო, რომ ჩემზე უფრო გსურდეს მოსმენა.

ჩემი ლექსების — მე აღარა მწამს, მაშ, იქონიე ცოტა მოთმენა“...

მაგრამ, იქვე ფრიად დამაჯერებლად დასძენს:

„მჯერა, გულშიაც გამკრავს ნელკავი და ლექსი თვითონ ამოდუღდება,

ხბო რომ აწვალებს რძეგამშრალ ძროხას, პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება!“

1933 წ.

ვახდენ პერიფრაზირებას მუხრან მაჭავარიანის სიტყვებისას – როცა პირველად ტიციან ტაბიძის ლექსები წავიკითხე, ისეთი ალმური მეცა სახეში, თითქოსდა გახურებულ თონეში ჩამეხედოსო.

„უცილო სჩანს ის ფაქტი, რომ „ცისფერყანწლებმა მყარი, გარკვეული მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დამყარებული სკოლის ჩამოყალიბება ვერ შესძლეს, ხოლო რიგ შემთხვევაში მათივე შემოქმედებითი ნიმუშები პირველ ხანებში მაინც აშკარად ცოდავენ ეკლექტიზმით და ოდენ მიბაძვის დონეზე რჩებიან... მკრეხელობა იქნებოდა ქართული ლექსის მოდერნიზაციისა და შესაძლებლობათა უმაგალითოდ გაფართოების გზაზე „ცისფერყანწელთა“ ღვანლის იგნორირება“ (ს. ცაიშვილი, „წინამორბედნი და თანამედროვენი“. გამომც. „მეცნიერება“, 1986, თბ. გვ. 90).

ტიციან ტაბიძემ რთული შემოქმედებითი გზა განვლო, მისი ცხოვრება და შემოქმედება სავსე იყო წინააღმდეგობებით. ის გულწრფელად აღიარებს რომ გარკვეული ხარკი გადაუხადა სიმბოლიზმს. არ შეიძლება არ ვირწმუნოთ მისი ეს გულწრფელი აღსარება ლექსად:

„ნუ გაიკვირვებ, როცა გეტყვიან,

რომ ჩუმად არის ახლა ტიციან,

პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყვეა,

ამის შესახებ მათ არ იციან.

რა საჭიროა აქ ფირფერობა,

მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“,

მტანჯველი იყო ეს გაორება,

მონანიება კი არის სადა.“

„დადაიზმი“ – (ფრანგ.სათამაშო ცხენი). გადატანითი მნიშვნელობით უაზრო ბავშვური ტიტინი. დეკადენტური, ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტერატურაში, მხატვრობაში. გაჩნდა და გაფორმდა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში (1916 წლიდან) სამშობლოა შვეიცარია, გამოცხილი ჰპოვა საფრანგეთში, გერმანიში და სხვა. სიკვდილის მოლოდინით დამფრთხალნი ვერ პოულობენ გამოსავალს, ვერ ამყლავნებენ სოციალურ სინამდვილესთან შეგუების უნარს, ამირომაც სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს გაქცევა ცხოვრებიდან, დავიწყება სინამდვილისა. ისინი მიიჩნევენ, რომ იდეას, შინაარსს არაფერი კავშირი არ აქვს ხელოვნებასთან. პოეტური სიტყვის გასაფორმებლად დადისტები ეძებენ უაზრო ნეოლოგიზმს. ეს უკიდურესი ფორმალისტური მიმდინარეობა დაიშალა 1920-იანი წლების დასაწყისში,

დადაისტების ნაწილი გადადის ციურრეალიზმში, ნაწილი კი ხარკს უხდის ექსპრესიონიზმს.“

როცა ტიცციან ტაბიძის ლექსებს ვკითხულობთ ამკარად ვგრძნობთ უსაზღვრო შესაძლებლობებს პოეზიისას, მანამდე აღმოუჩენელი, უხილავი სივრცეების დაუფლების დაუოკებელ წყურვილს. ძალზედ მრავალმხრივია და მრავალფეროვანი მისი პოეტური პალიტრა. მან გალაკტიონთან ერთად სახეობრივი აზროვნების უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. ქართული ლექსის „ევროპული კულტურის რადიუსზე“ გამართვაში საერთოდ „ცისფერყანწელების“ დამსახურებაც საკმაოდ დიდია.

„სამშობლოს თავდადებული სიყვარული მის პოეზიას მაინც ყველაზე ღრმა ხნულად გასდევს. საქართველო და სიცოცხლე, საქართველო და პოეზია, აი, მისი შემოქმედების დედააზრი“ (დემნა შენგელაია).

ბოლო დროს ტიცციანი ძალიან ბევრს მოგზაურობდა შავიზღვისპირეთის სუბტროპიკულ ზონაში, ბევრი იმოგზაურა საბჭოთა კავშირშიც: მოსკოვში, ლენინგრადში, ბელორუსიაში, უკრაინაში, სომხეთში, ჩრდ. კავკასიაში, შუა აზიაში, ეცნობოდა სოციალისტურ მშენებლობას, ახალ ხალხებს, მათ შორის პოეტებსაც.

ასე მომზადდა ნიგნი „სამშობლო“ (1936 წ.) დიდ საბჭოთა კავშირზე. ლექსი „სამშობლო“ დიდებული ჰიმნია მშობლიური მიწა-წყლის, სოციალიზმის აღმშენებლობის, მშობელი ხალხის. მოგვაქვს ამონარიდები ამ შესანიშნავი ნაწარმოებიდან:

*„მთაც ლამაზი გვაქვს, ბარიც ლამაზი, დიდხანს გადარეს მგოსნებმა ედემს,
გახედავ და თვალს აბრმავებს ვაზი, გახედავ თვალი ვერ ატანს ქედებს
ლამეა, თეთრი ირმის ნანველი, დღე შვინდისფერი ვარაყიანი,
ჩერქეზის ქალებს უჭირავთ ცელი, სუქდება მიწა ბარაქიანი.
ანბანის ქებას ვინ დაიქადებს, დღეს უანბანო არავინ არი,
ასე მოადგა აჭარის ქედებს ჩაის ლაყვარდის ცის ქარავანი.
ასე მოადგა ლაგოდეხის ველს, კამეჩიანი ირმების ურდო.
რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს, თუნდ რუსთველის ლექსი გაქურდო.
ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცის უფრო მტანჯველის რომ ვიყო მთვლელი,
ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოც, ვარ ყრმა უცადი და პირტიტველი.
ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება, ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი,
არ უნდა კვესით გულს ამღერება, ცეცხლმიუდებლად ინვის აბედი!..“*

ტიციანი ტაბიძემ უბრწყინვალესი პოეზიის გარდა, შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებები, შესანიშნავი ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები დაგვიტოვა სახელოვან თეატრალურ მოღვაწეებზე – კოტე მარჯანიშვილზე, ალექსანდრე სუმბათაშვილზე, ზაქარია ფალიაშვილზე, ნატო ვაჩნაძეზე... სასიქადულო მხატვარ ნიკო ფიროსმანზე და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეზე. ძალზედ საინტერესოა მისი წერილები ვლადიმერ მაიაკოვსკიზე და ანდრეი ბელიზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე, საიათნოვაზე, ოვანეს თუმანიანიზე, ალექსანდრე გრიბოედოვზე, ვასილ ბარნოვზე, შიო არაგვისპირელზე... ამ ნარკვევებსა და წერილებში კარგად ჩანს მისი ღრმა განსწავლულობა, ფართო დიაპაზონი, ჰორიზონტი.

ტიციანი მრავალმხრივ იყო დაინტერესებული ვაჟა-ფშაველათი. „იგი თავისი პოეზიის შინაგანი ბუნებით ამკარად ბევრ რამეში ენათესავებოდა ვაჟა-ფშაველას... აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტური გამომსახველობის სისადავე და ის დიდი უშუალობა, რაც ორივე პოეტმა თავისი შემოქმედების ძირითად პოეტურ ხერხებად აქცია“ (ს. ცაიშვილი, „წინამორბედნი და თანამედროვენი.“ გვ. 143).

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბუნების განცდა ტიცციანის შემოქმედებაში, მისი პეიზაჟური ლირიკა. 1927 წელსაა დაწერილი ბრწყინვალე შედეგრი „ამოდის, ნათდება“:

*„ამომავალ მზის ოქროს ნათელი, თავზე ადგება საქართველოს მთებს
და ნამქერებში ლამენათევი მთვარე ანათებს და არც ანათებს.
ზევით ღრიალით მიგორავს თერგი, ქვევით გრიალი გაუდის არაგვს,
მზეს გაუდვია ყინულის ქერქი, მთა დაუფშვნია უხილავ წერაქვს,*

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს, გადააფარებს ყაზბეგს შვინდებად,
შერცხვეს ვაჟკაცი, თუ ამ მზეს ხედავს და სიკვდილს კიდევ შეუშინდება,
მივჩერებივარ ცას გაკვირვებით და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა,
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით, ხიმიკაურის გული ჩამედგა.“

არაერთ მწერალს, კრიტიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს აღუნიშნავს და მეც დაბეჯითებით ვიმეორებ: ტიცინ ტაბიძე ექსტრაორდინალური, უალრესად ექსტრავაგანტური ხმის პოეტია, ის თავის ლექსში გაურბის შედარების გამომხატველი სიტყვების გამოყენებას, რაც განსაკუთრებულ ელფერს მატებს მის ლექსებს. მაგალითისთვის მინდა შეგახსენოთ რამდენიმე ნიმუში:

- „დაბადებიდან სიმღერა გვახლავს, კამეჩს რომ ზურგზე აუნვავს ბალანს“.
- „ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება“.
- „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყურები“.
- „ხარ დანგრეული შენ „მოდინა-ნახე“, ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.“
- „ვარ ავსებულნი შენით გულამდე და მოვარდნილი ცრემლების ნარღვნა“.
- „თვალეებს ცრემლებად ველარ განვდება რომ იყოს თერგი ორი ამდენი“.
- „ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი?! საიათნოვას შიგ საფლავში გავუტეხო ფიცარი.“

თვითგამოხატვის ასეთი ხერხებითა და საშუალებებით, ტიცინ ტაბიძე შექმნა პოეზიის ფრიად მომჯადოებელი სამყარო, ყველასგან განსხვავებული პოეტური ხელწერით, წინ ტროპული აზროვნების უხილავი სივრცეები გადაგვიშალა.

არ იქნება ურიგო მკითხველს გავაცნო მურმან ლებანიძის ლექსი მიძღვნილი ტიცინისადმი:

„მე შენი ლექსი ბრონეულის ყვავილს მაგონებს,
თუ შეიძლება რომ ყვავილი ნაკვერჩხლის იყოს,
გამწევი ხარის ვენაცვალე ქედს და ძაღლონეს,
ვენაცვალე შენს მშანთავ სტრიქონს.
წმინდა გიორგის სამშობლოში ბევრი აღონებს –
გადახვევია ჩვენი ვაზი დღეს უცხო ჭიგოს,
მაგრამ მოგძებნის, გამოგარჩევს, არ დააყოვნებს,
დაგახატავს მაგ შუბლზე ნიკორს.
შენი ცისფერი და მზისფერი ორდენის ღირსი
კიდევ არიან პოეტები, გაძლებენ ჭირში,
არ ჩამძვრალან ჯერ სამალავში.
დამადე მკერდზე მოწყალების ყვავილი – შანთი,
რომ აშიშხინდეს ხორცი ჩემი, წამიძეხ სანთლით
და ჩამრიცხე შენს ამალაში.“

1937 წელს პაოლო იაშვილი აიძულეს თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. ტიცინის დაავალეს ეთქვა, რომ მეგობრობდა კაცთან, ვინც ხალხის მტერი და მოლაღატე იყო. „სიამის ტყუპისთვის“ სიცოცხლეში არ უღალატინია და მკვდარს როგორ უღალატებდა? ის ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილს, ეს იყო მართლა გაფრთხილება ყველა რაინდული სულის პოეტისა. მის რაინდობაზე ღალადებს პოეტ ზაურ ბოლქვაძის ეს სტრიქონები:

„როცა მძლავრ ცეცხლად ენთე მელექსე,
მაშინ დაგფარეს არყოფნის ნისლით,
მაგრამ ქართულ მზეს ვერ ჩამორეცხეს
სახელი შენი შენივე სისხლით.“

.....
იმ მიხაკივით კვლავ გულზე გშვენის
ბეჭედი შენი მენყერი სიტყვის...
და დღეს აფრთხილებს სიკვდილი შენი
ყველა ვაჟკაცი პოეტის სიკვდილს.“

(ზ. ბოლქვაძე)

რაოდენ დასანანია, რომ ტიცინან ტაბიძე თავისი შემოქმედებითი ნიჭის აყვავებისა და გაფურჩქვნის ასაკში წავიდა ამ ცხოვრებიდან, წინათგრძნობა ფატალური უტყუარობით აუხდა. მას, მართლაც არ აცალეს შთაგონების დავაჟკაცება. მეგობარი პოეტისადმი – ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში „ილიაილი“ გვხვდება ერთი ასეთი პასაჟი:

*„ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბაღამით
და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება?!“*

ავილოთ 1922 წელს დაწერილი ლექსი „ნინა მაყაშვილს“ (ტიციანის მეუღლე – ა.თ) აქაც სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს თავზე მის წარმოსახვას:

*„ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი,
ჩვენი ორდენი, პოეტების, შხამის ყანებით.
თავისმკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე დემონი:
მე ვხედავ იმ მორგს, მონამლული სადაც დავწვებით.
ღმერთს, პოეზიას, შენს სიყვარულს მე დავაფიცე:
წამებულეებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!“*

(1922)

ავის მომასწავებელი წინათგრძნობა მსჭვალავს მის შვილისადმი მიძღვნილ ლექსსაც:

*„მე ასე გინერ, შვილო, ორ აპრილს,
არ ვიცი – კიდევ რამდენი დამრჩა.“*

(1926)

„ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი ლიდერი ტიცინან ტაბიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა: ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, გაზეთ „ბარიკადის“ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად(1921), საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს მდივნად (1930-1932).

დიდია ტ. ტაბიძის დამსახურება საბჭოთა მწერლობის წინაშე, ის იყო ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის უბადლო მომღერალი, ამ ხალხებს შორის სიყვარულის გზად და ხიდად გადებულნი.

შემადრწუნებელი და გამაოგნებელია ტიცინანის ასეთი საბრალდებო დასკვნის წაკითხვა:

1. იყო ნაციონალ-ფაშისტური კონტრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი.
2. ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში.
3. იყო საფრანგეთის ჯაშუში საბჭოთა კავშირში.

4. ბრალი ედება 58/6, 58/7 და 58/11 მუხლებით და ბოლოს დასკვნის სახით სწერია: დანაშაული ნაწილობრივ აღიარაო – ბოროტება უფრო შორს ვერ წავა, ყველა ჯოჯოხეთის ცეცხლში დაინგება, ვის სინდისსაც შერჩა პოეტის ცოდვა ლაქებად.

„სამეულმა 1937 წლის 15 დეკემბერს ტ. ტაბიძის დახვრეტა დაადგინა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

1954 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე გამოცხადდა ტ. ტაბიძის რეაბილიტაცია — ამ წლის 26 ივნისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გააუქმა საქართველოს სსრ შინსახკომის სამხედრო სამეულის 1937. 15. XII დადგენილება.

1956 წლის 6 ივნისს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ (ოქმი 16) ტიცინან ტაბიძე აღადგინა მწერალთა კავშირის წევრის უფლებებში სტაჟით 1934 წლიდან.“ (რ. კვერენჩილაზე, „წამების გზა“, წიგნი I, თბ. 2014 წ, გვ. 390-391)

მთელი 20 წლის განმავლობაში ტაბუდადებული იყო ტიცინანის შემოქმედება, მაგრამ ბოლომდე მივიწყებას არ მისცემია მისი სახელი. კონსპირაციულად მაინც ახერხებდნენ მისი წაწარმოებების გაცნობას.

პოეტის რეაბილიტაციის შემდეგ გამოიცა: „ლექსები“ (1955), „წერილები და ნარკვევები“ (1957), ხოლო 1960 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის ძველი მუშაკის

– შალვა დემეტრაძის, ცისფერყანწელთა მეგობრის მიერ შედგენილი „რჩეული“ და პირველი სამტომეული (1966), შემდგომში ტიცციანის მრავალი ახალი გამოცემაც შეემატა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს.

უსაფლავოდ დარჩენილმა პოეტმა სამუდამო განსასვენებელი მშობელი ხალხის გულში ჰპოვა. მას ღრმად სწამდა, რომ „საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული“. ჟამთა წიაღიდან თითქოსდა დღესაც ჩაგვესმის ყურში ტიცციანის ვაჟკაცური, ომახიანი ხმა:

*„სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლულიც ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილი არ მჯერა!“*

ზოგიერთმა უღირსმა ქართველმა, სხვა ჯურისა და გვარ-ტომის გველაძეა, გაუნათლებელმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც მაშინ თანამდებობები ეკავათ და ხელთ ძალაუფლება ეპყრათ, უწყალოდ გასწირეს ტიცციან ტაბიძე, მაგრამ, საბედნიეროდ, ღირსეულმა ქართველმა ხალხმა თავის გულსა და ხსოვნაში გამორჩეული ადგილი მიუჩინა მას, როგორც დიდ მამულიშვილსა და შემოქმედს. მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი პოეტის სიტყვების გულწრფელობაში:

*„... საბჭოთა მინა და წყალი
ვერ ნახავს პოეტს ჩემს უერთგულესს!“*

ტიციან ტაბიძის სახელი, მისი უჭკნობი პოეზია მარად იცოცხლებს საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ერთად, რამეთუ:

*„ხალხის ოცნება პოეზიას აღუდგენია
და პოეზიაც უკვდავებას ხალხით აპირებს“.*

(ტ. ტაბიძე).

უწინდესი კალისტრატე ცინცაძე – სულიერი მისია

უზადო სულიერი აღმადგენა – ვანის რაიონმა, მართლმადიდებელ საქრისტიანოს, წმინდანი ალუზარდა

თუ საქართველოში ვინმე, ჩვენი ვანის შესახებ რაიმეს დაწერას დაიწყებს, ირგვლივ მოფარფატე ფოლიანტებად დაიბადება უკვე მერამდენედ ნახსენები „ოქრომრავალი ქვეყანა“, „ოქროს საწმისი“, „არგონავტები“... რასაც მოყვება დიდი მეფე პოეტთა-გალაკტიონი, შემდეგ ტიცინი, კორნელი კეკელიძე და ა.შ.. როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ, ერს დიდ ადამიანებს, 200-300 წელიწადში ერთხელ მოუვლენს ხოლმე უფალი. XIX-XX საუკუნეები ქართველებისთვის უდაოდ დახუნძლული აღმოჩნდა დიდებულთა ქვეყნად მოვლენით. სწორედ ამიტომ ინება ყოვლისშემქმნელმა უწყვეტად და ღირსეულად გაეგრძელებინა ეს ნუსხა. გაეგრძელებინა და შეევსო როგორც საზოგადოებრივი ღვანღმოსილებით, ასევე სულიერად ძლიერი პიროვნებებით. „უფლის ნატერფალის“ გასაგრძელებლად, უფალმა ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პატარა სოფელში დაიბერტყა მადლმოსილი კალთა – 1866 წლის 12 აპრილს, მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერში, სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა კალისტრატე(ბიჭიკო) მიხეილის ძე ცინცაძე (მშობლები: დედა – ეკატერინე გოგორიშვილი, მამა-მღვდელი მიხეილი (რომელსაც განათლება მიღებული ქონდა ჯრუჭის მონასტერში მიტროპოლიტ დავით წერეთლის კარზე)).

პატარა კალისტრატეს წერა-კითხვა მისმა დამ – მატრონამ ასწავლა, ხოლო „ჟამნის“ შესწავლა, მამის შეგირდმა დიაკვნებმა. 1875 წელს იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. წარმატებით დასრულების შემდეგ, 1882 წელს, ეპისკოპოს გაბრიელის რეკომენდაციით, თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, სადაც მკაცრი რეჟიმი და ანტიქართული განწყობა სუფევდა. სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი კრილოვი თავიდან ყოყმანობდა კალისტრატეს მიღებაზე, მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსის განაწყენებას მოერიდა და დათანხმდა.

მაშინდელ თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და კირილე ლორთქიფანიძე. ასევე ფუნქციონირებდა გაზეთები: „დროება“, „ივერია“. ამავე დროს გაძლიერდა რუსეთის რეაქციული წრეების ზენოლა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე. საქართველოს ეგზარქოსი პავლე, მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი და კავკასიის განათლების ოლქის მზრუნველი იანოვსკი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველობას დაევიწყებინა თავისი წარსული-ანწყო და არ ეფიქრა მომავალზე. მიუხედავად სემინარიის მასწავლებლების მცდელობისა – ეროვნულ და რევოლუციურ იდეებს არ შემოეღწია სასწავლებელში, მაინც ვერ ახერხებდნენ. აქ ერთად ცხოვრობდნენ: ალექსი(ანტონ) გიორგაძე, გიგო შენგელია, იოსებ ლალიაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, იეროთეოზ აივაზაშვილი. სწავლის დასაწყისში კალისტრატეს უჭირდა ბერძნული და რუსული ენების შესწავლა, მაგრამ ბეჯითმა შრომამ შედეგი მოუტანა და მალე იგი ერთ-ერთი გამორჩეული იყო სემინარიაში. მეგობრობდა დამამთავრებელი კურსის სემინარიელებთან: ბესარიონ ხელაიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ისიდორე რამიშვილთან, ბართლომე მოსეშვილთან, ივანე გიორგაძესთან, პეტრე ჭარაიასთან, ალექსანდრე და კონსტანტინე ჟორდანიებთან.

კალისტრატე ცინცაძე ხშირად დადიოდა მთაწმინდაზე ზაქარია ჭიჭინაძის სახლში, სადაც ეცნობოდა მრავალრიცხოვან საისტორიო დოკუმენტების ხელნაწერებს, თავისუფალ ლიტერატურას. სემინარიაში გამეფებული მკაცრი რეჟიმის მიუხედავად, იყვნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომელთაც დიდი შთაბეჭდილება და წარუშლელი კვალი დატოვეს ახალგაზრდებზე. კალისტრატე დიდი სიყვარულით იხსენებდა: თ. ჟორდანიას, ალ. ალბოროვს, პ. პოტოცკისა და ქართულის მასწავლებელს იოსებ მექანარიშვილს. ამ პერიოდში კალისტრატეს

ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა. როგორც თავის მოგონებებში წერს, 1886 წლის 24 მაისს, მისმა თანაკურსელმა იოსებ ლალიაშვილმა სიცოცხლეს გამოასალმა რექტორი ჩუდუცი, რის გამოც ეგზარქოსმა პავლემ, წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, ქართველი ერი საჯაროდ დაწყევლა. მისი სიტყვები ასე მთავრდებოდა: „ჩვენ წრეში არსებობენ ბავშვები, რომელთა მიმართ ვერ მოახდინა გავლენა სკოლის კეთილმა და თბილმა დამოკიდებულებამ. ისინი შეპყრობილნი არიან გარეშე, ცრუ და მავნე ზემოქმედებით... უზნეო ადამიანებს შეუძლიათ გახდნენ ეკლესიის მსახურნიც კი. წყუღიმც იყოს ის ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედთ შობს“. ამ სიტყვებმა ქართველები აღაშფოთა, რასაც ქუთაისის თავადაზნაურთა წინამბრძოლი დიმიტრი ყიფიანი შეენირა ჯერ გადასახლებით, შემდეგ კი ვერაგული სიკვდილით. ამ ფაქტმა ვერ დააშინა ქართველი საზოგადოება. პირიქით, მისი მთანმინდაზე დაკრძალვა იქცა ეროვნულ ძალთა გაერთიანების მძლავრ დემონსტრაციად. სემინარიელი კალისტრატე ამ მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა და სწორედ ეს გარემოება გახდა მისთვის სამშობლოს ინტერესების ბრძოლის სამოქმედო გეგმად.

1882 წელს, სემინარიის დასრულების შემდეგ, 1889 წლიდან, რექტორის-პაისი ვინოგრადოვის რეკომენდაციით, კალისტრატემ სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც, როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა, თავი გამოიჩინა და 1892 წელს იგი ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაუბრუნდა საქართველოს. კიევში გაიცნო მან მომავალი მეუღლე ოტილია ტომასი, რომელსაც უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ამ დროს მისი პროფესორის ოჯახში, ბავშვების აღმზრდელად მუშაობდა. ასე რომ, კალისტრატემ სამშობლოში ჩამოიყვანა ლუთერანი მეუღლე, რომელიც ჩამოსვლისთანავე მართლმადიდებლად მოინათლა და ჯვარიც დაინერეს. გაუჩნდათ ექვსი შვილი: ნინო, ეკატერინე, ანგელინა, მიხეილი, მარინე და მელანია. სამი შვილი ახალგაზრდა დაელუპათ, ხოლო მისი შთამომავლობა სამი შვილისაგან გაგრძელდა.

ძალიან ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდი. იგი ქართველი სტუდენტებისათვის ყველაზე სასურველი სასწავლებელი იყო რუსეთის იმპერიაში. აქ ქრისტიანული თეოლოგიის აღიარებული ავტორიტეტები მოღვაწეობდნენ. კიევის აკადემია დაამთავრეს: ისტორიკოსმა დიმიტრი ფურცელაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, დეკანოზმა გიორგი ხელიძემ, მწერალმა ნიკო ლომოურმა, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებმა: კირიონ II, ლეონიძემ, მიტროპოლიტმა ნაზარ ლეჟავამ, მიტროპოლიტმა გიორგი ალადაშვილმა, ეპისკოპოსებმა დიმიტრი აბაშიძემ, პიროს ოქროპირიძემ და სხვა სასულიერო პირებმა. 1888 წლის სექტემბერში რუსეთის სამოქალაქო ისტორიის პროფესორმა ზავიტნევიჩმა ნაიკითხა ლექცია რუსეთის დიდ მთავარ ვლადიმირზე, სადაც ლექციის დროს პროფესორი შეეხო X საუკუნის ბიზანტიის საკითხებს, მაგრამ საერთოდ არ ახსენა ქართველები. ახალგაზრდა სტუდენტმა კალისტრატემ მორიდებით, მაგრამ მაინც უსაყვედურა პროფესორს, რითაც მისი ლოგიკური მსჯელობისა და განსწავლულობის წყალობით, მოწონება დაიმსახურა. აკადემიაში წარმოდგენილ მის ნაშრომში – „ივერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში“, „პირველწყაროთა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ცხადყოფდა საქართველოს ეკლესიის მოციქულებობრიობას. აქვე აშუქებდა ივერიის საკათალიკოსოს ისტორიის რიგ გაურკვეველ საკითხებს სასანიანთა ბატონობის პერიოდში, საეკლესიო სამართალს, ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, მთავარეპისკოპოსთა სიას, ეკლესიის იერარქიულ აღნაგობას. ნაშრომის რეცენზენტებმა მაღალი შეფასება მისცეს მას“ – ვკითხულობთ 1892 წლის სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“.

1890 წელს, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო დედისგან მიღებულმა წერილმა ძალიან დააღონა კალისტრატე. თანაკურსელ ილია ფერაძის მიერ გაბრიელ ეპისკოპოსისადმი საგანგებოდ მიწერილი წერილის წყალობით, საქმეს ეშველა – მეუფე ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა ამ პრობლემას. „აკადემიის თავის დანებების განსაცდელისაგან გამომიყვანა მისმა მამობრივმა ზრუნვამ“ – წერდა ეპისკოპოსზე კალისტრატე. როდესაც იგი იმავე წელს საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისში მადლობის სათქმელად ეახლა მეუფე გაბრიელს, საქართველოს ეკლესიის მომავალზე მოფიქრალმა ეპისკოპოსმა ასეთი რამ უთხრა კალისტრატეს – „მე და ალექსანდრე ოქროპირიძე უკვე დავბერდით, დღეს თუ ხვალ სიკვდილიც თავის

მოვალეობას შეასრულებს. განათლებული ბერები გარდა ლეონიდისა ჩვენ არ გვყავს.. თუ სამშობლო გიყვარს ხშირად იფიქრე ბერობაზეო“. აი, ასე დაამთავრა თავისი დარიგება მეუფე გაბრიელმა ახალგაზრდა კალისტრატესთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1892 წელს კალისტრატე ცინცაძე საქართველოში ღვთისმეტყველების კანდიდატის ნოდებით დაბრუნდა. აქ, ის ხონის სასწავლებელში გაანაწილეს საღვთო სჯულის მასწავლებლად, მაგრამ იქ ადგილი არ აღმოჩნდა. მიუხედავად გაბრიელ ეპისკოპოსის სურვილისა, მას წინააღმდეგობები ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელშიც შეხვდა, რის შემდეგაც იგი თბილისში გამოემშურა. 1893 წელს დაინიშნა დიდუბის ეკლესიაში, სადაც 11 აპრილს ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 18 აპრილს მღვდლად – ეგზარქოს ვლადიმერის მიერ. ტაძრის გვერდით, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი იყო, სადაც იმ პერიოდში განჯიდან გადმოსვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. კალისტრატე ცინცაძე სწორედ აქ გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ, მის ცხედართან წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვებით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნებაში და ბუნების შემწეობით ეძებს და ჰპოულობს მას, ვისაც ძალუძს შვების მოცემა... ამ სახედ, წმიდის მოციქულის სიტყვის თანახმად, მან ბუნება აღიარა ხმად ღვთისა კაცთა მიმართ-წიგნად, სადაც ამოიკითხა, რომ შვება და ღებნა შეუძლია მიაწიჭოს ადამიანის გულს მხოლოდ მან, ვინც არის მიზეზი ადამიანისა და თვით ბუნების გაჩენისა“.

უნძინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე ერთ-ერთი რჩეული მამამთავარია, რომელსაც საქართველოს ისტორიის ყველაზე ძნელბედობის ჟამს მოუწია მღვდელმთავრობა. მაშინდელი ხელისუფლების მიერ, ქრისტიანული სარწმუნოების დევნის გამო, ამ პერიოდში სასულიერო პირობა, გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სასულიერო მოღვაწეობის საფეხურები, სწრაფად და ზეალმაჯლობით მიდიოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი 1893 წლის 11 აპრილს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 18 აპრილს მღვდლად. ამ დროიდან მოყოლებული აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს საეკლესიო, ისე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. 1903 წლიდან ქაშუეთში გააგრძელა მოღვაწეობა. 1909 წელს კი დეკანოზის ხარისხში აიყვანეს.

რუსეთის იმპერიაში მომხდარი დიდი ცვლილებების შემდეგ, როდესაც 25 თებერვალს იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა, 12(25) მარტს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, ქართველმა სამღვდელეობამ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, საზეიმოდ გამოაცხადა. დეკანოზი კალისტრატე ჯერ ეკლესიის დროებით მმართველობაში, ხოლო 17 სექტემბერს მმართველობის უმაღლეს ორგანოში-საკათალიკოსო საბჭოში აირჩიეს წევრად, სადაც ყველა იმ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა, რაც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პრობლემებს ეხებოდა. ამიტომ, იგი სხვა საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად, გენუის კონფერენციისათვის გაგზავნილი წერილის გამო, ანუ ამ ერთობლივი საქმიანობის ბრალდებით, 1923 წლის იანვარში დააპატიმრეს. ხელისუფლებას სურდა ისინი ციხეში მორალურად გაეტეხა და ამიტომ მათ არც საკვებს აძლევდნენ და დაუძღურებულ ავადმყოფებთან ექიმებსაც არ უშვებდნენ. ასეთ ყოფაში მან საპრობილემში – მეტეხის ციხეში, სამი წელი გაატარა. სასულიერო პირთა დაკავებისა და განაჩენის გამოტანის ასლები, შსს არქივშია დაცული, სადაც ამის გარდა, რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრთა წერილებიცაა ჩაკრული. დოკუმენტის შინაარსი ასეთია: ამბროსი ხელაია, ნესტორ ლეჟავა, კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, მარკოზ ტყემალაძე, იასონ კაპანაძე, ნიკოლოზ არჯევანიძე და ნიკოლოზ თავდგირიძე, ცნობილ იქნან ბრალდებულად იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, სადაც წინასწარი შეთანხმებით შეადგინეს მონოდება და გენუის კონფერენციას გაუგზავნეს იმ მიზნით, რომ გამოეწვია უცხო სახელმწიფოების ჩარევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში(ინტერვენცია). კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, ზემოთ აღნიშნულ საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად, მემორანდუმში დააფიქსირა ის ფაქტი, რომ თითქოს „საქართველოს ერს ართმევენ ქონებას და გააქვთ საზღვარგარეთ, მინა-წყალს ურიგებენ სხვა ტომის შემოხიზნულ ხალხს“ და ა. შ. აქედან გამომდინარე, მაშინდელი არსებული კანონმდებლობით, ისინი იმსახურებდნენ სიკვდილით დასჯას, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა რა რიგი საპატიო მიზეზები-დანაშაულის აღიარება და რიგ საკითხთა დაუმტკიცებლობა, უდანაშაულოდ ცნო ისინი და

სასჯელი შეუმსუბუქდათ(სასჯელის მოხდის საზღაურად, ჩაეთვალათ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო).

1925 წლის 31 ოქტომბერს, კათალიკოს-პატრიარქის – ამბროსის ლოცვა-კურთხევით, იგი წინონმინდელი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. აი, როგორ მიმართა უწმინდესმა კალისტრატეს: „დღეს შენ მიიღე უმაღლესი ღირსება და ხარისხი, გუშინ კი მიეცი ღმერთს ალტქმა, რომ იშრომო და იმოღვაწეო ამ ხარისხში თავგანწირულად, მოგილოცავ ამ ხარისხს და გისურვებ, ზიდო იგი ალტქმისებრ ღირსეულად, მოგეტანოს ჩვენი დედაეკლესიისათვის ის სარგებლობა, რომელსაც ის მოელის შენგან. ამის გარანტია გვაქვს ჩვენ წარსულს შენ საქმიანობაში. შენი მოღვაწეობა დაიწყო ჩვენი ეკლესიის მონობის დროს, მაშინ, როდესაც იმის ბედ-იღბალს განაგებდნენ რუსეთის სინოდი და მისგან დაყენებულნი, ქართული ენის არმცოდნე ეგზარქოსები. შენ იმ მონობის დროს ემსახურებოდი ეკლესიურ ავტოკეფალური უფლებების აღდგენას, წერდი ავტოკეფალიის შესახებ წერილებსა და წიგნებს. მივალნიეთ ეკლესიის თავისუფლებას... ამ დღიდან შენი შრომა და ღვაწლი ეკლესიის საკეთილდღეოდ ყველამ კარგად იცის...

ბოლო ხანებში, როცა ჩემი ჯანმრთელობა შეირყა იმდენად, რომ ინტენსიური მუშაობა არ შემეძლო, იძულებული შევიქენ, მომექებნა საიმედო თანაშემწე, ჩემი ყურადღება შენ მიიპყარი, როგორც ეკლესიის ერთგულმა და მისთვის თავდადებულმა მუშაკმა, ხოლო თხოვნა, რომლითაც მოგმართე, იყო არაჩვეულებრივი, მიგელო მღვდელმთავრის ხარისხი, უარგეყო ოჯახური სიამოვნება...

ბოლოს აღვნიშნავ იმას, რომ მშობელი ეკლესია თქვენ გაჯილდოებთ მიტროპოლიტის პატივით. აქ გმართებს კეთილგონიერება, თავმდაბლობა, განდიდების სურვილის უარყოფა. დიდია შენგან მიღებული ღირსება და პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა, რომელიც შენ მოგელის. აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, რაც ეკლესიის კეთილდღეობისათვის უსიამოვნება შეგხვდება ცხოვრებაში. რამდენად ამაღლდები, იმდენად უფრო მეტად უნდა დამდაბლდე, აქ არის ნამდვილი სულიერი სიმაღლე“ – ეს იყო ღალადი უფლის მოციქულთა პირით გადმოცემული და ჩვენამდე სისხლის წვეთებით მოტანილი. ღალადი მართლმადიდებელი მწყემსმთავრობის სიმდაბლისა და ამავე დროს სულიერი სიმაღლისა, მნიშვნელოვან და გადამწყვეტ პერიოდში მედგრად დგომისა, ურყევი სიმტკიცის მქონე წინაპართა ნაკვალევის ღირსეულად გაგრძელებისა, რასაც კალისტრატე სრულად გრძნობდა. იგი სავსებით ითავისებდა მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, რადგან ეს იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უიშვიათესი შემთხვევა, როცა ახლანდნაკურთხი ეპისკოპოსი, იმავე დღეს მიტროპოლიტის პატივში აჰყავდათ. მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა თვით კალისტრატე ცინცაძემაც, რომელშიც მან მთელი თავისი შინაგანი ბუნება და უბრალოებით სავსე გული გადაუშალა მთელს საქართველოს, რომელშიც თავისი სიტყვებით აღწერა ის ხასიათი და შემართება, რაც ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა ახასიათებდეს: „თქვენ მოგეხსენებათ, რომ წესი მღვდელმთავრად განმზადებულის განცხადებისა შეიცავს საჯაროდ თქმულს აღსარებას... ნება მიბოძეთ, მეც აღვიარო სამღვდლო და საერო დასთა წინაშე გულისა ჩემის ზრახვანი! ვინც მიცნობს, უეჭველად იცის, რომ მღვდელმთავრობაზედ აზრი არც თავში მომსვლია და არც გულში გამივლია. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართაგან, რომელთა შორის პირველი თქვენ ბრძანდებით, უწმიდესო მამამთავარო, თითქმის ყოველდღე მესმოდა, იტვირთე ჯვარი მძიმე მღვდელმთავრისაო, ყველას მოკრძალებითა და უარით გისტუმრებდით... მაშ, რამ, ან ვინ გამაბედვინა მოსვლა წინაშე თქვენსა? ერთის მხრივ, მოციქულთა შორის თავმა, რომელიც იტყვის: ძალი უფლისა უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო, მეორეს მხრივ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრის საქართველოს სამოციქულო ეკლესიისადმი სიყვარულმა და უზომო პატივისცემამ – გაიგო თუ არა ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართა ბეჯითი სურვილი, მან გადმოცა: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა დაუტევეო ცოლიცა და შვილიც, აღილო ჯვარი თვისი და შეუდგე უფალსა: რომელი არა ივინყებს ცის მფრინველთა და ველის შროშანთა, არ მოგვაკლებს თავის მონყალებას ჩვენცაო... ამასთან ერთად გამოირკვა, რომ საქართველოს ეპისკოპოსთა კრებული, მორწმუნე ერი და საკათალიკოზო სახლი ჩემ მიერ დაუმსახურებელი თანაგრძნობით

შეეგებნენ თქვენი უწმიდესობის სურვილს. ხოლო თბილისის სამღვდელთა სრულ ნდობასა და თავდადებულ თანამშრომლობას აღუთქვამს ჩემს უღირსებას... რა უნდა მექნა ყოველივე ამის შემდეგ, თუ არა მოვსულიყავი წინაშე თქვენსა და სიმდაბლით მომეხსენებინა: მორჩილ ვარ ბრძანებას თქვენისა და არა რას მცირესა წინააღმდეგომსა ვიტყვი... მე კიდევ ვსაჭიროებ თქვენს ბრძნულ რჩევასა და დარიგებას, ხელმძღვანელობასა და განსაკუთრებით ლოცვა-ვედრებასა. ამისათვის კადნიერებით გთხოვთ: ან და მარადის ევედრებით მას, რომელი უძლურთა ჰკურნებს და ნაკლულთათა აღავსებს, გარდამოავლინოს ჩემზედა მაღლი სულისა წმიდისა და მომანიჭოს ძალი და სიმხნე წინამდებარისა მსახურებისათვის.“

1925 წლის 11 ნოემბრიდან, მიტროპოლიტი კალისტრატე, კათალიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ დაინიშნა. მიენიჭა ბარტყულაზე ჯვრის ტარების უფლება და მღვდელმთავართა შორის ღვთისმსახურების დროს უპირეტესობა. ურთიერთშორის დაპირისპირება და ქიშპობა თან სდევდა ჩვენს ერს ქვეყნისათვის რთულ პერიოდებში როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაშიც. გამონაკლისი ისტორიის არც ეს მონაკვეთი ყოფილა. კალისტრატეს სულიერმა აღმავლობამ წონასწორობა დააკარგვინა ე.წ. „განახლებისა და რეფორმების ჯგუფის“ ხელმძღვანელებს, ეპისკოპოსებს-დავითსა (კაჭახიძე) და ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) და იერიში კალისტრატეზე მიიტანეს. მათ ბოლშევიკური ხელისუფლების დახმარებითა და ნაქეზებით, 1926 წლის 26-27 დეკემბერს, ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო ყრილობა და მიიღეს გადაწყვეტილება კათალიკოს ამბროსისა და სასულიერო იერარქების გადაყენების შესახებ. 30 დეკემბერს მიტროპოლიტმა კალისტრატემ უარი განაცხადა პატრიარქის მოსაყდრეობაზე. 1927 წლის 12 იანვარს გაათავისუფლეს წინონმინდებლობიდანაც და რიგით მღვდლად დატოვეს ქაშუეთის ეკლესიაში. მაგრამ ახლადარჩეული ქრისტეფორე III მალევე მიხვდა, რომ კალისტრატეს არასწორად მოექცა და მიტროპოლიტმა დავითმაც ბოდიში მოიხადა მის წინაშე.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ქრისტეფორე III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1932 წლის 10 იანვარს, საგანგებოდ შეკრებილმა საკათალიკოსო სინოდმა, კალისტრატე ერთხმად გამოარჩია პატრიარქის თანამოსაყდრედ. ხოლო 21 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-6 კრებაზე, იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. მისი აღსაყდრება მოხდა 1932 წლის 24 ივნისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

უწმინდეს კალისტრატეს მოღვაწეობას არა ერთი უდიდესი საქმე და სიტყვა ამშვენებს. იგი ყველაფერში გინივრული კომპრომისებით მოქმედებდა, რითაც გადაარჩინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. მან მოახერხა საერო ხელისუფლებისაგან წართმეული იურიდიული სტატუსის დაბრუნება, მოახერხა ურთიერთობა რუსეთის ეკლესიასთან, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მოაქცია არაქართული სამრევლოები და დედაეკლესიას შეუნარჩუნა მრევლი. გაქრობისაგან და განადგურებისაგან იხსნა საეკლესიო სინმინდენი, რეპრესიებიდან იხსნა არაერთი სასულიერო პირი და ეკლესიისადმი პატივისცემით განმსჭვალა საერო ხელისუფლების ათეისტი ჩინოვნიკებიც. მისი არსებობის, სიცოცხლის, ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყველგან და ყოველთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მომავალი იყო – „კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში, დემოკრატიის იდეას ავითარებდა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის კანონზომიერების საფუძვლებს საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაში ხედავდა. თავისუფლება და დემოკრატია ქრისტიანული პოლიტოლოგიის ფესვს წარმოადგენს და ისტორიის მიზანიც ამ ფესვის გახარება და განაყოფიერებაა. ესაა ეკლესიოლოგიური თვალსაზრისი, რომლის საყრდენი პუნქტი სიყვარულისა და კაცთა შორის სათნოების სახარებისეული გაგებაა“ („ქართველი მღვდელმთავრები“ სერგო ვარდოსანიძე). უწმინდესმა აკურთხა ის ადგილიც, სადაც შემდეგ თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი აშენდა. ასე, რომ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უწმინდესი კალისტრატე მაშინდელი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახე იყო. მისი პიროვნული სიდიადიდან გამომდინარე, მას პატივს სცემდა როგორც მორწმუნე მრევლი, ასევე ათეისტებიც. ტყუილად არ წერენ მასზე ყველა წყაროში: „ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, სამუდამოდ დაამახსოვრდათ ბიბლიური მწყემსმთავრის ჭკვიანი თვალები, რომელნიც ნათელს ჰფენდა გარშემომყოფთ“... გასული საუკუნის 50-იან წლებში ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭაბუკი-ირაკლი შიოლაშვილი, მისმა ნათლიამ-ზოილე

დვალისმვილმა (აღსანიშნავია, რომ დედა ზოილევ ნარმოშობით ვანიდანაა-სოფელ სულორიდან, მაშინდელი დვალისმვილების თემიდან), სვეტიცხოვლობაზე ჩამოიყვანა ვლადიკავკაზიდან მცხეთაში და ლოცვა-კურთხევის ასაღებად მიიყვანა უწმინდეს კალისტრატესთან. – „მაშინ არცერთმა არ ვიცოდით, რომ ეს იყო ორი პატრიარქის შეხვედრა“ – დასძენს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

კალისტრატე ცინცაძის მახვილ თვალსა და უზუსტეს ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს არ გამოპარვია, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, 1917 წლამდე საქართველოში ეგზარქოსების ისტორიული პორტრეტების აღწერა. იგი მრავალრიცხოვანი საეკლესიო საბუთების მოშველიებით სრულად აღადგენს იმ ეპოქის სურათს და ამასთანავე, ეგზარქოსების დახასიათებისას ობიექტურობას ყოველთვის ითვალისწინებს. უწმინდესის მოგონებებიდან კარგად ჩანს, რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში მოვლენილი ეგზარქოსები როგორ გამოირჩეოდნენ ანტიქართული სულისკვეთებით, რომელნიც ფეხქვეშ თელავდნენ ივერიის უძველესი სამოციქულო ეკლესიის კანონიერ უფლებებს, აბუჩად იგდებდნენ ქართველ ხალხს და დაუსრულებლად ითხოვდნენ მათ გარუსებას, მაგრამ საბედნიეროდ ამას ვერ ახერხებდნენ. იგი იხსენებს იოანიკე რუდნეცს, რომლის აზრითაც იგი „ქართველი ველურების გამო უფალს მადლობდა, რომ ცოცხალი გადარჩა“, პავლე ლებედევს, რომელმაც ქართველი ერი საქვეყნოდ დაწყევლა და მათ ნიჰილისტურ, სეპარატისტულ ხროვას უწოდებს, პალადი რაევს, რომელმაც დიდუბის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიად გამოაცხადა და ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით შეცვალა, ვლადიმერ ბოგოიავლინსკის, რომელიც მისი მღვდლად მაკურთხეველი იყო და რომელსაც ძალიან სძულდა ქართული სალოცავები და ქართველთმოდულე იყო, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისათვის მიუღებელი კაცი – ფლაბიანე გორდეცკი, რომელმაც გააუქმა ეგზარქოს პალადის აკრძალვა ყრმათათვის ქართველ წმინდანთა სახელის არდარქმევის შესახებ, ფლაბიანე მალევე ალექსი ოპოცკიმ შეცვალა, რომელმაც ქაშუეთის ტაძრის პროექტი დაიწუნა და გენერალ ივანე ამილახვარს (ივანე ამილახვარი ქაშუეთის აღმშენებლის-გივი ამილახვარის შთამომავალია), ხახვის თავის მსგავსი გუმბათებიანი და „ხოროებიანი“ ეკლესიის აშენება შესთავაზა და რომლის ბრძანებითაც, კაზაკებმა მათრახებით სცემეს ავტოკეფალიის აღდგენაში მონაწილე სამღვდლოება და რის საფუძველზეც ქართულმა ინტელიგენციამ, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, საქართველოდან გააძევა იგი.

უწმინდესი კალისტრატე არც მთავარეპისკოპოს ნიკონს შეხვედრია უბრაოდ. აი, რა უთხრა მას შეხვედრისას: „რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასოდეს მოხდება: ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს? ხოლო თუ გვირევიან ისეთნი, რომელნიც გარუსებულად გვაჩვენებენ თავს, ისინი... ნაძირალები არიან, როგორებიც არც თქვენ გჭირდებათ და არც მითუმეტეს ჩვენ“. ნიკონის მცდელობა, რომ ქართველებს ავტოკეფალიაზე ფიქრი დაევიწყებინათ, მარცხით დამთავრდა, რადგან იგი მალევე სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ბოროტულად გამოიყენა რუსეთის ხელისუფლებამ და დევნაში მოექცა ეპისკოპოსი კირიონი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, მღვდელმონაზონი ნიკოლოზ ნამორაძე და კიდევ უფრო გაძლიერდა რეპრესიები. შემდეგი ეგზარქოსი-მთავარეპისკოპოსი ინოკენტი ბელიაევი, პირდაპირობის გამო ვერ იტანდა კალისტრატე ცინცაძეს, მისთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო მისი პერსონა და „მას გული არ უდგებოდა ივერიაში“. დანარჩენთა მსგავსი იყო ეგზარქოსი პატრიმ ოკნოვიც, პლატონ როუდესტვენსკი, რომლის დროსაც (მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა) გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და 1917 წლის აგვისტოში იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა...

განსაკუთრებული და ცალკე აღსანიშნავია უწმინდესის ღვანლი ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობაში. როგორც ცნობილია, ტაძარი პირველად VI საუკუნის I ნახევარში იქნა აგებული ცამეტი ასურელი მამის მიერ, ხოლო მეორედ XVIII საუკუნის I ნახევარში, დიდი ქართველი თავადის გივი ამილახვარის მატერიალური დახმარებით, მაგრამ XIX საუკუნის 80-იანი წლებში ეკლესია იმდენად ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩენილა, რომ 1897 წელს ახალი ტაძრის აშენების იდეას ჩაყრია საფუძველი. მშენებლობის მეთვალყურეობა წინამძღვარს – კ.

ცინცაძეს ჩააბარეს და მისივე ინიციატივით გადაწყდა ტაძრის ციკოლის ამაღლება რუსთაველის გამზირის დონემდე. ხოლო ქვემო სართულში ეკლესიის მოწყობა. ახლადშენებული ტაძრის კურთხევა, 1910 წლის 31 სექტემბერს მოხდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეროვნულ-საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე დაფუძნებით, პირველად აშენდა ასეთი არაჩვეულებრივი ტაძარი, რაშიც განსაკუთრებული წვლილი კ. ცინცაძეს მიეკუთვნება. მან თავისი სულიერი მოღვაწეობის უმეტესი წლები, სწორედ ამ ტაძარში გაატარა და განსაკუთრებით უყვარდა კიდეც. რაოდენ დასანანიცაა, რომ 1924 წელს, ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება მას ქაშუეთის ეკლესიის განძეულობის გადამალვას აბრალვდა, რომელიც გასაყიდად სჭირდებოდათ, რათა მშენიანი გამოეკვებათ. 30-იანი წლებიდან კი ისევ ტაძართა ნგრევის საშიშროება დადგა, რაც ქაშუეთსაც ემუქრებოდა, ხოლო მის ადგილზე ჰიგიენის სახლის (აბანოს) აშენებას გეგმავდნენ. კ. ცინცაძემ წერილობრივი თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ბერიას, რომელმაც დადებითი რეაგირება მოახდინა აღნიშნულ ფაქტზე და ტაძარი დანგრევას გადაურჩა. (უჩვეულო ამბავია, რომ ლ. ბერიას დედა მართა ჯაყელი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო და იგი საათობით ლოცულობდა სიონის ტაძარში ღვთისმშობლის ხატთან)

უწმინდესმა კალისტრატემ, 1947 წელს ქაშუეთის მოხატვა, ცნობილ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს შესთავაზა. დიდი წინააღმდეგობისა და უსიამოვნებების მიუხედავად, მაინც მოახერხეს საკურთხევის მოხატვა. ლ. გუდიაშვილი თავის მოგონებებში თბილად ახასიათებს წმ. კალისტრატეს: „იგი დიდებული ადამიანი იყო. პატრიოტი, განათლებული, ისტორიის, საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე... უაღრესად კაცთმოყვარე... მე იგი ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოციქულად ჩავხატე... მას ეს ძალიან ესიამოვნა“

კალისტრატე ცინცაძის ცხოვრების მთავარ განმსაზღვრელ ბირთვს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის დალოცვილი, კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, გულმხურვალედ იძიებდა და სწავლობდა ავტოკეფალიის საწყისი პერიოდის ისტორიას, მის იერარქიულ დამოკიდებულებას იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოსადმი. ყველაფერი არსებულ წყაროებზე დაყრდნობით საფუძვლიანად შეისწავლა და ფართო საზოგადოებას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უძველესი ავტოკეფალურობა დაანახა და დღენიადაგ მის განმტკიცებაზე ზრუნავდა. 1894 წელს, ჟურნალ „Постыр“-ში გამოქვეყნებულ მის ნარკვევს „Автокефальности грузинской церкви“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაშიც მეცნიერულად იყო დასაბუთებული ავტოკეფალიის კანონიერება. ამ ნაშრომმა წყობილებიდან გამოიყვანა მაშინდელი ეგზარქოსი ვლადიმირი, რომელიც ჟურნალის რედაქტორს დეკანოზ დავით ლამბაშიძეს ჟურნალის დახურვით დაემუქრა. ამიტომაც, საქართველოში ჩამომსვლელი ყველა ეგზარქოსი თვლიდა, რომ კალისტრატე ცინცაძე რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო. იგი ეპისკოპოსებთან კირონთან, ლეონიდთან, ანტონთან და არქიმანდრიტ ამბროსისთან ერთად, ავტოკეფალიის საკითხის მწვავედ დასმისათვის ამზადებდა ქართველ საზოგადოებას. ისტორიკოს სერგი გორგაძესა და დეკანოზ ანტონ თოთიბაძესთან ერთად შეიმუშავეს ავტოკეფალიის აღდგენისა და მართვა-გამგეობის პროექტი. განხილვაში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები: კ. კეკელიძე, ნ. თალაკვაძე, ნ. ჯაში, ქრ. ციციქიშვილი. საეროთაგან: ე. თაყაიშვილი, ა. ყიფშიძე, ნ. არჯევანიძე. მეორე განხილვას კი საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა დაესწრო. მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. ავტოკეფალურმა მოძრაობამ, ამასთანავე მოამზადა პეტიცია კავკასიის მეფისნაცვალის სახელზე, რომელშიც მოკლედ მიმოხილული საქართველოს ეკლესიის ისტორიით, ნაჩვენები იყო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1811 წლის ბრძანებულების უკანონობა, ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ. კერძოდ, „ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში“(როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის გამო რუს კაზაკთა მათრახებით სცემეს მონაწილე სასულიერო პირები). 1906 წელს კალისტრატემ გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „Об автокефальности грузинской церкви“, რომელიც შინაარსობრივად ძლიერი შეწინააღმდეგება და პასუხი იყო მონინალმდეგე

ძალებზე და მათ აბსურდულ, ფანტასტიკურ თვალსაზრისებზე (ეს ნაშრომი ავტოკეფალისტებმა წარმატებულად გამოიყენეს ასევე პეტერბურგში საგანგებო სხდომაზე აღდგენის კანონიერების დასაცავად).

1917 წლის 25 მარტს, როდესაც აღდგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, კალისტრატე ცინცაძე ერთ-ერთი პირველი იყო ვინც დროებით მმართველობაში შევიდა. ამავე წლის ივნისში, იგი პეტერბურგში გაემგზავრა ეპისკოპოს ანტონ გიორგაძესთან და არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან ერთად, სადაც რთული საუბრები ჰქონდათ რუსეთის სინოდთან-ისინი მხოლოდ ეროვნულ ავტოკეფალიაზე იყვნენ თანახმა. უკვე მიტროპოლიტი კალისტრატე, როგორც საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ბოლომდე ენერგიულად იცავდა ჩვენი ეკლესიის ინტერესებს. 1926 წლის 25 დეკემბერს, მან თბილისში ჩამოსულ ბაქოს მიტროპოლიტ პეტრეს, შეხვედრისას დაუფარავად განუცხადა: „მეუფეო, პირადი შეხვედრების დროს, თქვენ მეგობრობას გვთავაზობთ, წერილობით კი მოითხოვთ თქვენდამი დამორჩილებას, „რასკოლნიკებს“ გვეძახით, ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით ავრცელებთ ცრუ ხმებს, ვითომც ჩვენს ტერიტორიაზე ვავინროვებთ რუსთა სამრევლოებს... განა ყოველივე ეს მეგობრობის ნიშანია? სჯობია გულახდილად ვილაპარაკოთ. თუ ჩვენ „რასკოლნიკები“ ვართ, რისთვის მიიღეთ ჩვენი მღვდელმთავრების ნაკურთხი მღვდლები? თუ დამიჯერებთ ჩვენ დიდი ხანია ცნობილნი ვართ. რომელმა აღმოსავლეთის პატრიარქმა დაადასტურა ჩვენი ავტოკეფალიის შეჩერება, ან ახლა რა საჭიროა აღმოსავლეთის პატრიარქების განსაკუთრებული აქტი ჩვენი ცნობისათვის? უხმოდ მიიღეს ჩვენი დამოუკიდებლობის ძალით შეწყვეტა, უხმოდვე მიიღეს იმავე დამოუკიდებლობის აღდგენა“... მიტროპოლიტი პეტრე წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და განაცხადა: „თქვენ სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ივერიის წმიდა ეკლესიას ვინ არ იცნობს, ვინ იტყვის, რომ იგი „რასკოლის“ მატარებელია“... კალისტრატემ დიდი როლი ითამაშა რუსეთის სინოდის ხელმძღვანელობის ურთიერთშეთანხმების დარწმუნებაში. მეორეს მხრივ, მან საქართველოს რუსული სამრევლოები დაარწმუნა, რომ აქ არსებულ რუსულ სამრევლოებს, ადგილობრივი საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნის შემთხვევაში, ყველა პირობას შეუქმნიდა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და მალევე შეიმუშავა კიდევაც დებულება დეკანოზ ივანე ლოზოვოისთან ამ საქმის შესახებ. ამ ფაქტმა ბევრი სასულიერო პირის განრისხება გამოიწვია, რასაც ანონიმური წერილიც მოჰყვა კალისტრატესადმი. ავტორი წერდა: „რა საჭიროა ავტოკეფალურ ეკლესიაში ასეთი ბატონობა მიენიჭოთ რუსის დეკანოზებს? ნელ-ნელა ისპობა ჩვენს ეკლესიაში ძველი გალობა, ძველი ეკლესიური კითხვა, ყველაფერი ის, რაც ჩვენი ერისა და ეკლესიის სიამაყედ ითვლებოდა. მართალია მძიმე დროს გიხდებათ მოღვაწეობა, მაგრამ რისი შენარჩუნებაც შეიძლება, იმას მაინც ნუ მოვშლით“. ამ წერილმა ემოციურად იმოქმედა კალისტრატეზე, მაგრამ მისი ჩვეული სიბრძნით იგი მიზანმიმართულად მუშაობდა როგორც საჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, ასევე რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქებთან, რათა რუსეთის ეკლესიას დროულად ეცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

1943 წლის 14 სექტემბერს, როდესაც რუსეთის პატრიარქად მიტროპოლიტი სერგი აირჩიეს, უწმინდესმა კალისტრატემ მას ოფიციალური წერილით მიულოცა და ორ ეკლესიათა შორის ურთიერთობის სურვილი გამოთქვა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. ასეთი პოზიციის ცვლაზე რეაგირება იოსებ სტალინმა მოახდინა, რომელმაც პატრიარქ სერგის უთხრა: „როდემდე უნდა იყოთ ასეთ არანორმალურ დამოკიდებულებაში საქართველოს ეკლესიასთანო“. დადებითი შედეგი იოსებ სტალინის აქტიურობისა და მიმართულების მიცემისა, ამკარა იყო: იმავე წლის 28-31 ოქტომბერს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა თბილისში ჩამობრძანებულ სტავროპოლისა და პიატიგორსკის მიტროპოლიტ ანტონთან. მიღწეულ იქნა შეთანხმება ექვარისტული კავშირის აღდგენის შესახებ. აი, როგორ მიმართა მან უწმინდეს კალისტრატეს: „პატივი და დიდება თქვენ, რადგან პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიას შორის ლოცვითა და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე“.

1945 წლის 6 ოქტომბერს, უწმინდესმა კალისტრატემ საქართველოში უმასპინძლა რუსეთის პატრიარქ ალექსი I-ს, რომელმაც მოილოცა თბილისის ეკლესიები, დაესწრო სვეტიცხოვლობას მცხეთაში. 1949 წელს კი კალისტრატე არჩეულ იქნა მოსკოვის სასულიერო

აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრად -თანდათან ორ სამწყსოს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა დათბა. კალისტრატე ჯერ კიდევ 1926 წელს, უწმინდეს ამბროსის სახელით, მსოფლიო პატრიარქ ბასილი III-ს მიმართავდა თხოვნით-საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, რაზეც მსოფლიო საპატრიარქო თავს იკავებდა. უწმინდესი კალისტრატე ალბათ ვერც იფიქრებდა იმას, რომ სვეტიცხოველში ერთ დროს მის მიერ დალოცვილი ახალგაზრდა იქნებოდა ის მომავალი პატრიარქი(საუბარია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ზე), რომელიც მისი დაულალავი მეცადინეობით მიაღწევდა იმას, რომ 1990 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას.

რთულ პერიოდში დაიწყო და კიდევ უფრო აუტანელ პერიოდში გაგრძელდა უწმინდეს კალისტრატეს სულიერი მოღვაწეობის როგორც აღმასვლის, ასევე კათალიკოს-პატრიარქობის ხანაც. ძნელი და უთანასწორო იყო მისი ბრძოლა ბოლშევიკური იდეოლოგიური მანქანის წინააღმდეგ. დღემდე ცნობილია „დაუდგენელი“ ბოროტმოქმედების მიერ ეკლესია-მონასტრების ძარცვა, სასულიერო პირთა მკვლელობები, დარბეული ბეთანიის, შიო-მღვიმის და კაბენის მონასტრები. ადგილობრივი პარტიული ლიდერების მიერ დაბეგრულ იქნენ ეკლესია-მონასტრები და მოქმედი სასულიერო პირები, რომელთაც უკიდურესად უჭირდათ გადასახადების გადახდა და ამით უმძიმესი ვითარება იყო შექმნილი. აღმაშფოთებელია ერთი ასეთი ფაქტი: თბილისის კიროვის რაიონის ფინანსური ინსპექციის ინსპექტორმა, უწმინდესს ასეთი ულტიმატუმი წაუყენა-თუ არ გადაიხდიდა დაწესებულ გადასახადს, გაუქმდება სიონის ტაძრის ხელშეკრულება და ტაძარი დაიხურებაო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ვითარება იქნებოდა საქართველოს დანარჩენ ეპარქიებში, როცა ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარს საპატრიარქო ტაძარს ართმევდნენ. მან წერილები დაგზავნა ყველასთან, ვისზეც ხელი მიუწვდებოდა – ფინსახკომის თავმჯდომარეს კ. ციმაკურიძეს, პირადად ეწვია უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველს მირიანაშვილს, რომელმაც არ მიიღო... დამცირებული კალისტრატე ფარ-ხმალს არ ყრიდა და გამუდმებით, შეუჩერებლად მიმართავდა ამა თუ იმ ინსტანციას. ასეთი საგანგებო წერილით მიმართა მან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. ჩარკვიანს: „სამსახურეობრივ და სინდისის მოვალეობად ვთვლი მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი კულტურული დაწესებულებაა ჩვენში. მან სულიერად გამოზარდა ჩვენი ხალხი, გადაარჩინა გათათრებას და გარუსებას, შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე. დოგმატური სწავლით იგი არ განსხვავდება სხვა ეროვნებათა მართლმადიდებელ ეკლესიისგან, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე მას გამოუმუშავებია თავისებური კილო კითხვისა და გალობისა, წერისა და წირვა-ლოცვის შესრულებისა... ჩვენში რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოვლინებულ „განმანათლებლების“ პირით გიორგი ხუცეს-მონაზონისა და შოთა რუსთაველის ენას ძალის ყეფად თვლიდა, მიქაელ მოდრეკილის ჰანგებს მგელთა ხროვის ყმუილს უწოდებდა და „ბრძნულად“ გვიჩვენებდა რუსული საგალობლების ნოტებს მიანერეთ ქართული სიტყვები და ეზიარეთ კულტურული ხალხის ღვთისმსახურებასო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის არსებობა უზრუნველყოფილია დიდი სტალინის შუქმფრქვეველი კონსტიტუციით, ჩვენს ეკლესიის კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს ბოლო სულ მოკლე ხანში“... მას მაგალითად მოჰყავდა მთელი რიგი საქართველოს რაიონებისა, სადაც უკიდურესად შევიწროებული იყვნენ სასულიერო პირები, საშინელი მდგომარეობა იყო შექმნილი და გულისტკივილით დასძენდა: „ფინანსთა სახკომის ინსპექტორების ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში მოუღებს ბოლოს ათასეჭვსწლოვანს საქართველოს ეკლესიას“... უწმინდესი კალისტრატე სხვადასხვა ფორმით ცდილობდა დახმარება გაენია არაფრისმქონე და სახტად დარჩენილი პირებისათვის. მას დღედაღამ არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ საქართველოში მოქმედ ეკლესიათა რიცხვი ძალიან შემცირდა. ყველაზე თავზარდამცემი კი იყო მისთვის, ის რომ ჯერი სვეტიცხოვლის დახურვაზე მიდგა. ეს ნაბიჯი კი ფაქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას ნიშნავდა. 1941 წლის 3 მარტს უწმინდესმა შეხვედრა ითხოვა კ. ჩარკვიანთან, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც მეორე წერილით მიმართა მას: „დახურულ ეკლესიათა შორის არის მსოფლიოში სახელგანთქმული მცხეთის „სვეტიცხოველი“, რომელიც ცნობილია არა მარტო იმით, რომ იშვიათი ისტორიული ძეგლია, არამედ უმთავრესად იმით, რომ ის არის ქართველი ერის აკვანი და ემბაზი,

ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ურყევი ტრადიციით, საქართველოს ეკლესიის მამადმთავრის, კათალიკოს-პატრიარქის კურთხევა უეჭველად უნდა მოხდეს სვეტიცხოველში. ამის გამო ხსენებული ტაძრის არამოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი ნაბიჯია ათეულ საუკუნოვან ეკლესიის დამოუკუდებლობის გაუქმებისაკენ. ვფიქრობ, სანამ საბჭოთა კავშირში მოქმედებს დიდი სტალინის ბრწყინვალე კონსტიტუცია და არსებობს რწმენისა და ღვთისმსახურების შესრულების თავისუფლება, ქართველობაშიც უნდა დარჩეს მშობელი ეკლესიის მიერ გამომუშავებული თავისებურება, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის თავის, კათალიკოს-პატრიარქის სვეტიცხოველში კურთხევის წესიც“... მიუხედავად ყოველგვარი ძალისხმევისა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინერციით აღებული პროცესი არ ნელდებოდა. ვარაუდი იმისა, რომ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ რელიგიის ადმინისტრაციული წესით გაუქმება და საქართველოს ათეისტურ სახელმწიფოდ გამოცხადება, რეალური აღმოჩნდა, რაც 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმამ ჩაშალა. მთავრობა მიხვდა, რომ თუ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის ძალისხმევას და შემართებას არ გამოიყენებდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, კატასტროფა გარდაუვალი იყო. ამიტომ საპირისპიროდ შეიცვალა ეკლესიისადმი დამოკიდებულება. უწმინდესმა კალისტრატემ, მიუხედავად თავს დამტყდარი მრავალი უბედურებისა, მხარდაჭერა გამოუცხადა ხელისუფლებას და ეკლესიის სახელით შთამბეჭდავი განცხადება გააკეთა, რაც მაშინვე ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა. გარდა იმისა, რომ მეომართა შეწვევისათვის, ჩვენს ეკლესია-მონასტრებში ლოცვები აღევლინებოდა, აგრეთვე დაიწყეს შემოწირულობათა შეგროვება ფრონტის სხვადასხვა საჭიროებისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ი. სტალინის საქართველოში გამოგზავნილ სამადლობელ დეპუტას კალისტრატე ცინცაძისადმი, რომელიც აგრეთვე პრესაში დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ აგრესიული პილიტიკა შემგუებლობით შეიცვალა, ჯერ კიდევ მაინც ჰქონდა ადგილი ტკივილით სავსე ნაბიჯებს. ერთ-ერთი იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის სამრეკლოდან დიდი ზარის ჩამოხსნა. ამავე დროს დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ ი. სტალინი კრემლში შეხვდა ადგილობრივ სინოდის წევრებს და მათ პატრიარქის არჩევის უფლება მისცა. ასევე უფლება მისცეს გაეხსნათ ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიები, სასწავლებლები. 1941 წლის 1 დეკემბრიდან უკვე ჩანდა, რომ ი. სტალინსა და უწმინდეს შორის საერთო ენა გამოინახა, მაგრამ კალისტრატე მაინც ფრთხილობდა, რადგან მისი აზრით ეს კეთილგანწყობა მაინც მოჩვენებითი იყო და დიდი წინდახედულება იყო საჭირო. ის ფაქტი, რომ კათალიკოსი სტალინს პირადად შეხვდა, ხალხურ თქმულებას უფრო ეფუძნება, რადგან მრავალჯერ მცდელობის მიუხედავად, ეს შეხვედრა არ შედგა. 1948 წლის 21 ივლისს მან ასეთი შინაარსის წერილით მიმართა ბელადს: „კაცთა შორის რჩეულო, ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალთ მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ, ამის ღირსი არა ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელ საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელი მწყემსის კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქისაგან“. თავის მხრივ, უწმინდესმაც არაერთი წერილი მიიღო სტალინისაგან და 1946 წელს დააჯილდოვეს კიდევაც „სამამულო ომში ეკლესიისაგან განუღი დახმარებისათვის“. აქვე დავამატებდი იმასაც, რომ უწმინდესმა აგრეთვე შეადგინა საეკლესიო კალენდარი, რომელიც დიდი ნდობით სარგებლობდა როგორც მორწმუნეებში, ისე სამეცნიერო წრეებში. როგორც ამბობენ, კალენდრის საგანგებო წარწერით გამზადებულ ეგზემპლარებს, საჩუქრად უგზავნიდა სტალინსა და ბერიას.

უწმინდესი კალისტრატეს გამჭრიახ გონებას არ გამოჰპარვია, ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნისადმი გამომხატურება მიტაცებული მინა-წყლის შესახებ: „მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მინა-წყლის და დაჩაგრული, შეგინებული ღვიძლი ძმების დედასამშობლოსათვის დაბრუნება გარდაუვალ ამოცანად“, საუკუნო ზრუნვის საგნად იყო ქცეული. ბიზანტიის დაცემის შემდგომი პერიოდის განსჯისას, იგი დასაბუთებულად ითხოვდა, რომ „თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მინა-

წყალი: არტანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბუთის, ლაზისტან-ჭანეთ-ტრაპიზონის, გირესუნის ჩათვლით“. ამ წერილისა და ზოგადად გამოხმაურებათა შედეგად, საქმე იქეთკენ მიდიოდა, რომ თურქეთთან ომი გარდაუვალი იყო, მაგრამ საუბედუროდ დასავლეთმა მხარი თურქეთს დაუჭირა და დღესაც, 21-ე საუკუნის გადასახედიდან, აუხდენელ და განუხორციელებელ ოცნებად დარჩა ჩამოთვლილი ტერიტორიების დაბრუნება...

წერილი უწმინდეს კალისტრატეზე, შავით თეთრზე კამკამა წყალივით მისით მიედინება სტროფებად, ხაზებად, სიტყვებად... უსასრულოდ შეიძლება მასზე საუბარი, აზრის გამოთქმა მოღვაწეობაზე, თითოეული მისი გადადგმული ნაბიჯის ანონ-დანონვა კონკრეტულ პოლიტიკურ ასპექტში და ამ ნაბიჯთა უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე მართლმადიდებელი სარწმუნოების ურთულეს პერიოდში. კეთილისმსურველი ანუ მოყვასი და მოყვარული კაცობრიობისა, მის თამამ და ერთი შეხედვით ორჭოფულ ნაბიჯებს, კალისტრატეს წინდახედულებას მიაწერს, რომელსაც უბრალო მოკვდავი ვერ განჭვრეტს და ვერ მიხვდება, ხოლო მტერი სალი გონებისა და ურთიერთშორის ქრისტესმიერი სიყვარულისა, უცილობლივ განაქიქებს და მუქი შტრიხის გასმას მოისურვებს მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდზე. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უწმინდესის ფონდში დაცულია კიდევაც ანონიმი ავტორის შთამბეჭდავი დახასიათება კათალიკოს-პატრიარქისა, რაც იმის ნიშანია, რომ იგი ადვილად ახდენდა დადებით და გულმხურვალე სიყვარულით სავსე გავლენას საზოგადოებაზე-როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მწყემსმთავარი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, 1952 წლის 3 თებერვალს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი „პატრიარქთა შორის ერთ-ერთი მოკამკამე ვარსკვლავი“ იყო, რომელიც გულწრფელი სიყვარულით დაიტირა ხალხმა. ოცი წელი, როდესაც უწმინდესი ედგა სათავეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, იყო ურთულესი პერიოდი ჩვენი ხალხისა და ეკლესიისა. იგი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმინდეს კირიონ II, ლეონიდეს, ამბროსისა და ქრისტეფორეს გვერდით. „ისტორია პირუთვნელი სააქაო სამსჯავროა“ (ს.ვ.)-ეს სიტყვები სრულად გამოხატავს დროში მოგზაურობის იდუმალების გასაღებს. მომავალი თაობებისათვის ბევრი რამ გაუგებარი იქნება კალისტრატეს ცხოვრებიდან საბჭოეთის მთავრობასთან მიმართებაში, მაგრამ თუ იმ ეპოქის რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს არ გააანალიზებ, ძნელია ჩანვდე იმ მკაცრ სინამდვილეს, რომელშიც უწმინდესს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

2016 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა, უწმინდესი კალისტრატე ცინცაძე წმინდანად შერაცხა (ამ დღესვე წმინდანებად შერაცხეს ორი მეფე – ბაგრატ მესამე, სოლომონ პირველი და ილუმენიები – ნინო ამილახვარი და თამარ მარჯანიშვილი). ამ მადლიანი დღის წყალობით, კიდევ ერთი სულიწმინდის შარავანდედით შემკული კათალიკოს-პატრიარქი შეემატა საქართველოს, მართლმადიდებელ სამყაროს, ქრისტიანებს და რაც ჩვენთვის უზომოდ საამაყო და საპატივცემულოა – ვანს, თავის მშობლიურ მიწას. ვმადლობთ უფალს ყოფიერებისათვის, არსებობისთვის, უკვდავების მონიჭებისათვის და ვთხოვთ ამ ყველაფრის დატევნისათვის, საქმედ ქცევისთვის, რაც წმინდა კალისტრატეს ყოველთვის იდეალურად გამოსდიოდა. დღევანდელი გადასახედიდან სანატრელი და სათაყვანებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს გვერდით ერთ დროს, როგორც ერთ-ერთი უბრალო ვანელი და ამავე დროს უდიდესი სულიერი განზომილების ადამიანი დადიოდა, რომელიც დაუღალავმა „საქმემან მისმან“ ხატად, წმინდანად აქცია და კურთხეულ ზეციურ საქართველოდან მლოცველი გახადა ღვთისმშობლის წილხვედრი „ქართველთა ქვეყნისა“...

გამოყენებული მასალა:

1. „ქართველი მღვდელმთავრები“ – სერგო ვარდოსანიძე
2. „საუბრები კათალიკოს-პატრიარქებზე“ – ინტერნეტ მასალა, ვიდეო ვერსია
3. „წმ. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე“ (1932-1952წწ.) საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ-ჟურნალი „ამბიონი“
4. გაზეთი „რეზონანსი“. „საქართველოს ახალი წმინდანი – გმირი პატრიარქი, რომელმაც დანგრევას გადაარჩინა ქაშუეთის ეკლესია“ – ია აბულაშვილი

სოფელ სულორის ტოპონიმი

პრეამბულას მაგიერ

დღევანდელი ზეთანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, ნებისმიერი მეცნიერების კონკრეტული მიმართულება, პრობლემის საფუძვლიანად შესწავლის მსურველს, იმდენ საკვლევ მასალასა და საფიქრალს უჩენს, რომ ყოვლად შეუძლებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთმა და იმავე მკვლევარმა საინტერესო და საფუძვლიანი ნაშრომი შექმნას. აქედან გამომდინარე ჩემი საენათმეცნიერო ხასიათის ნაშრომი – „სოფელ სულორის ტოპონიმია“, რომელიც ნაკითხული იქნა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სცილდება ჩემი, როგორც ლიტერატურათმცოდნის კვლევის სფეროს. მისი შექმნის მიზეზი გახდა ბოლო პერიოდში სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციების მიერ შეკრებილი მასალები, რომლებიც ჭეშმარიტებას ხშირად უნებლიედ, მაგრამ მაინც გამრუდებულად წარმოადგენენ. ყოველივე ეს კი შეიძლება მომავალში, დაინტერესებული მკვლევარისათვის, დოკუმენტურ მასალად იქცეს. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე სამზეოზე გამომეტანა ფორმითა და შინაარსით ჰარმონიული და სხარტულა – ჩემი სოფლის ტოპონიმები. ხოლო თუ რამდენად შევძელი ეს მკითხველმა განსაჯოს.

სულორი სტრატეგიულ ადგილას მდებარე სილამაზითა და კლიმატით გამორჩეული ადგილია. ყოველივე ეს განაპირობებდა მომხდურით თუ მოყვრით მისით დაინტერესებას. ეს დასტურდება ამ მხარის შესახებ არსებული უცხოელ თუ ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებით, მკვლევართა სტატიებით, ბოლო პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენებით და სხვ. უკანასკნელ ხანებში საქართველოში არსებული სამწუნარო დემოგრაფიული პროცესები და მოსახლეობის მიგრაცია რა თქმა უნდა სოფელ სულორსაც შეეხო. ნელ-ნელა ცარიელდება იგი. შესაბამისად ჩნდება რეალური საფრთხე, რომ ის იშვიათი ტოპონიმური მარგალიტები, სოფლის ისტორიისა და გეოგრაფიის, ადგილების მიკროკლიმატის, ლანდშაფტის, მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო, სპეციფიკური რიტუალების, მცენარეული საფარის გავრცელების, მინის მასივების, კლდეების, მცენარეების სპეციფიკური მოხაზულობისა და გარეგნობის, წარმართული და ქრისტიანული ელემენტების, კუთხური ცრურწმენების, ქაჯების, ჭინკების, მალადურების, ტყის კაცების, ალების ნაალაგარ-ნამოქმედარის გადმომცემელ-გამომხატველნი შეიძლება უკვალოდ გაქრნენ და დაიკარგონ. გარედან მოსული მკვლევარი, რაოდენ პროფესიონალი და კეთილსინდისიერიც არ უნდა იყოს იგი, ხშირ შემთხვევაში სოფელში შემთხვევით შემხვედრ მცხოვრებისგან ზუსტ ინფორმაციას უბრალოდ იმიტომ ვერ ჩაინერს, რომ არცთუ იშვიათად ასეთი „შემთხვევითი რესპოდენტი“ სოფლის ბირჟაზე დავანებული მარადიული ჰარლამენტარი, ნებისმიერ ამბავს მოუყვება და ჩაწერინებს გარედან მოსულ მკვლევარს, ოღონდ კი ვინმემ ყური დაუგდოს და მოუსმინოს. აქედან გამომდინარე სამეცნიერო მასალების შემკრები ფრთხილად უნდა იყოს, რომ „ენანყლიან რესპოდენტისაგან“ ჩაწერილი ამბები მიუნჰაუზენის ფანტაზიისაგან გამოარჩიოს. ჩემი შრომითი ბიოგრაფიის გამოისობით მქონდა ბედნიერება, რომ უშუალოდ მენახა, ღამე გამეთია იმ ადგილებში, რომელთა უცნაური და ღრმაშინაარსიანი სახელწოდებების გაგება და მოსმენა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა და მანიჭებს.

ჩვენი ფიქრით, მთიანი ქართული სოფლის მცხოვრებლები, ჩემი სოფლის მაგალითზე, პირობითად ოთხ ჯგუფად შეიძლება გავყოთ. 1) – ადამიანები, რომლებიც სოფელში საოჯახო მეურნეობით არიან დაკავებულნი და მისდევენ მინათმოქმედებას, მეხილეობას ან მეფუტკრეობას. ისინი სოფლის ტოპონიმის საცხოვრისიდან დაახლოებით 2-3 კილომეტრის რადიუსში იცნობენ კარგად. 2) – ადამიანები, რომლებიც ზემოდასახელებულ საქმიანობასთან ერთად მეცხოველეობასაც ეწევიან. ისინი ადგილების სახელწოდებებს იცნობენ პირობითად სოფლის

გარშემო 3-4 კილომეტრის დაშორებით. 3) – ტყისმჭრელები, გამოცდილი მონადირეები, მათი ცოდნა სოფლის ადგილების სახელწოდებისა პირობითად ვრცელდება 5-6 კილომეტრზე. და 4) – ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ყოველივე ზემოთქმულთან ერთად საზაფხულო იალაღებზე მიერეკებიან პირუტყვს და მთელ ზაფხულს მთაში ატარებენ. მათი ცოდნა ადგილების სახელწოდებებისა უფრო მასშტაბურია და პირობითად ვრცელდება 6-დან 8-10 კილომეტრის რადიუსში.

აი, ის პირობითი რუკა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მშობლიური სოფლის ტოპონიმთა ცოდნისა, რომელიც ზემოდასახელებულ პროფესიათა მიმდევარ ადამიანებთან რამდენჯერმე გადავამოწმე და ყოველთვის თითქმის ერთი და იგივე შედეგი მივიღე.

ადგილობრივთა სამეურნეო სპეციალიზაციის თავისებურებები და, ასევე ზემოხსენებული სხვა ფაქტორები, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გარედან მისულმა მკვლევარმა, მასალების მომძიებელმა, რომელიც დაინტერესებულია ჭეშმარიტი ისტორიისა და დოკუმენტური ამბების ჩანერით და არა თვალყურსასეირო ინფორმაციის შეგროვებით. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სრული ჭეშმარიტება: – ადგილის კურდღელს ყველაზე კარგად ადგილის მწვეარი დაიჭერს.

ქვეყნის, რეგიონისა თუ ცალკეული დასახლებული და დაუსახლებელი კუთხეების სახელწოდებების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოების ჭეშმარიტი ისტორიის გასარკვევად. ტოპონიმების წარმოშობა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არის შემთხვევითი ფაქტი. მისი წარმოქმნა, რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული ადგილისადმი პიროვნების, ან პიროვნებათა ჯგუფის განსაკუთრებულ დამოკიდებულების, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ჩვევა-ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების, ცალკეული კუთხისთვის ნიშანდობლივი რიტუალების, ლანდშაფტის ფიზიკური თავისებურების, ან ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილას მომხდარი სამახსოვრო ფაქტების ფიქსაციაა. ასე მაგალითად სოფელ სულორში დაფიქსირებული: ბერთაქედი, კორლანო, წყაბოძალი, ხუცნაყანები, ვანოიესნაბინვარი, სათევზიე ღელე, საკაკილიე, ნამჭედვარე, მუხაგახვრეტილი, ორნანალიები, საკავის გორი, სახნავა, სახმარღელე, ხარკუდე, დასასვენებელი რცხილე, დიდბალი, პეტერე სანადირო, დიდი უხტომი, პატარა უხტომი, ქაშვეთი, კატაკოდიების უბანი, საქაჯიე ღელე, ქვაბისკარი, ქვანატეხი, მოხოულე, ანოული, ბზვარე, ლამაზ გორი, დიდვაკე, ბერის ტყე, ზედა საყივარე, ქვედა საყივარე, სატალახე, ღარები, ქალამანე, ციხიე, სანისლიე და სხვ.

ტოპონიმები, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი სამკვიდრო ადგილებისა და წინაპრების მხატვრულ-მეტაფორული, ზოგჯერ ქარაგმული, მარადიული საუბარია თანამედროვეობასთან. ამიტომ თუ გვინდა გავიგოთ ჭეშმარიტი ისტორია ამ ხმას ყური უნდა მივუგდოთ, მისი მოსმენა და სათანადოდ გაგება ვისწავლოთ. სანახევრო მოსმენა გაგებას, რაც საფუძველი ხდება ჭეშმარიტების გამრუდებისა, სჯობია საერთოდ არ ვისაუბროთ კონკრეტულ თემაზე. მაგ: სოფელ სულორში, ალპურ საძოვრებთან ახლოს არის ადგილი ოსნაკლავა. ამ ტოპონიმს უზუსტესად შეუნარჩუნებია ერთი ისტორიული ფაქტი. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის შემდეგ, ახალციხის საფაშოს მეზობლად მდებარე ეს სოფელი, მაშინდელი დვალისშვილების თემი, სავარაუდოა, რომ რომელიმე ქართველი მებატონის დაქვემდებარებაში არ იყო; და თუ იყო, ისიც ნომინალურად, რადგან გზამიუვალი ამ მთიანი სოფლის გაკონტროლება მაშინ ძალიან გაჭირდებოდა. გვიანდელ მე-17, მე-18 საუკუნეებში სოფელი ჩიჯავაძეების, უფრო გვიან ლორთქიფანიძეების გამგებლობაში შედიოდა. სოფლის მცხოვრებთა თავის რჩენის ერთ-ერთი საარსებო წყარო ტყე იყო. აქ არის იშვიათი ჯიშის ხეები სამშენებლო მასალად და კარგი სანადირო ადგილები. ჩიჯავაძეებს აქაური კაცი რომ არ გამოდგომიათ, ტყის მცველად ვილაც შეუხედავი და უნდო გოლიათი ოსი დაუყენებიათ. სოფელმა მასთან საერთო ენა რომ ვერ გამოიხატა, თოფზე გამობმული თოკით, საერთო ძალით მოკლეს ოსი და ადგილსაც დაერქვა ოსნაკლავა.

სოფელი სულორი მდებარეობს ვანის რაიონში, მდინარე სულორის, რიონის მარცხენა შენაკადის ნაპირზე, ზღვის დონიდან 250 მ. სიმაღლეზე. მისი შემოგარენის მთათა სისტემა

მალღება 2000 მეტრამდე. სოფელ სულორს 1929 წლამდე დვალისხვილების თემი ერქვა, რაც განპირობებული იყო ამ სოფელში დვალისხვილების გვარის სიჭარბით. სოფელში არის ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. კლდიდან ამომდინარე ბუნებრივი ცხელი წყალი 38 გრადუსამდე ტემპერატურით, რომლის აბაზანებს იყენებენ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, რბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

მდიდარი არქეოლოგიური მასალა და გვიანდელი პერიოდის ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ სოფელი უძველესი დროიდან დასახლებული ყოფილა. არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ სოფელი ანტიკური ვანის აღზევების პერიოდში მდებარეობდა სამხრეთ საქართველოში მიმავალ მნიშვნელოვან საქარავნო გზაზე, რაც უდავოდ ხელს შეუწყობდა მის კულტურულ დაწინაურებას. ამის ფაქტობრივი მტკიცებულება ბევრია.

ფრანგი კონსული და მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც 1820-1824 წლებში შემოიარა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ერთგან მიუთითებს, დაახლოებით 1820 წელს, იმყოფებოდა სოფელ დვალისხვილებში (დღევანდელი სოფ. სულორი) და სოფლის ტეროტორიაზე მდებარე გოგირდოვანი წყლის აბანოებში. გამბა აღფრთოვანებულია ნახევრად დანგრეული აბანოების შენობის ხილვითა და აქაური ჰავის სიჯანსაღით. „მას (აბანოებს) ანტიკური და დიდებული იერი ჰქონდა. გარეგნული ფორმით იგი დიდად წააგავდა ვერგილიუსის საფლავს მონპოზილიში“ „...იმერეთის ამ მაღალ ადგილას ჰაერი ძალზე სუფთაა და ციებისგან მოკეთებული ჯარისკაცები აქ სწრაფად შეძლებენ გამოჯანმრთლებას.“ (გვ: 160-161).

სოფელ სულორის ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფია, მიუხედავად საინტერესო მასალებისა, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. (მცირე გამოწაკლისის გარდა ლ.დ) მაგ: მდინარე სულორის ხეობაში, ლიხეთში (სოფლის საძოვარი) აღმოჩენილი კოლხური მონეტები, ამ ადგილის მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ ნარსულზე მიგვითითებენ. თვით ტერმინი ლიხეთი თავის გეოგრაფიულ-სემანტიკური აგებულებით საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში მაგ: ლიხის ქედი, ან თვით ამ ადგილის ბუნებრივი გაგრძელება ლიხეიტა. ეს ტოპონომიური წარმონაქმნი გარკვეულწილად გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოცანაა, რამეთუ ლიხეიტა ერთ-ერთი მთის მწვერვალს ჰქვია და იქ არავითარი ბუნებრივი წყლის რეზერვუარი არ არსებობს. სავარაუდოდ არც ადრე არსებულა.

სოფელ სულორის ტოპონიმები მართლაც, რომ გვესაუბრებიან ამ კუთხის ნარსულზე. მდინარე სულორის ხეობაში, ქვაბისკარის სახნავი მიწების შემდეგ მდებარეობს ადგილი საკაკილიე. ადგილობრივები აქ ხშირად პოულობდნენ უცნაურ მძივებსა და ყელსაბამებს. მოგვიანებით ამ ადგილას მართლაც აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული, უნიკალური, მოჩუქურთმებული საბრძოლო ხელცული.

სოფელ სულორში გავრცელებულ ტოპონიმთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ადამიანის სახელსა და გვარს ტოპონიმთა ფუძეებად. ხოლო ანთროპონიმები მიკროტოპონიმებში ძველი საჩინოს ამ მრავალმხრივ საინტერესო კუთხეში მაინც განსაკუთრებით გავრცელებულია. ძველადაც და ახლაც მინის ნაკვეთის კუთვნილების აღმნიშვნელი ტოპონიმები „სეული – სოული“. მაგალითად: ადამიანთა სახელები მიკროტოპონიმებში – ბაბუესოული – საყანე ადგილი მდ. სულორის ხეობაში; სოფლის ცენტრიდან 1,5 კმ-ის მოშორებით. უცნაურად დამრეცი ადგილი, რომელიც სიმინდის კარგ მოსავალს იძლეოდა. მარკესოული – ადგილი მამალე და კორდელეს მიდამოებში. ესეც სიმინდის მოსავლით გამორჩეული. ივანესოული – სოფელ სულორის ახლანდელი ცენტრალური სასაფლაო ადგილი. საინტერესოა ამ ტოპონიმის ისტორია. იგი დღეს გადაქცეულია წყევლის სინონიმად. მაგ: შენ ნადი ივანესოულში! იგივეა, რომ ადამიანს ნაადრევი სიკვდილი უსურვო. ვფიქრობ, ეს მყარი გამოთქმა თუ ერთ შემთხვევაში საშინელი წყევლაა – ალბათ მსგავსი „შენ ნადი ჯანდაბაშიო“. (ჯანდაბა – სპარსეთში მდებარე უდაბნოა, იქ გადასახლებულ ქართველთა უკან ვერ დაბრუნების ადგილი), მეორე შემთხვევაში სრულიად უწყინარი ტოპონიმური ერთეულია. მაგ: სოფლის მეორე ნაწილში ვენახიანი ადგილის სახელწოდება ივანესოული, რომელიც პირიქით, ბაღჩითა

და ყურძნის ხარისხითაა გამორჩეული. კაპიტისოული – ადგილი მდ. სულორის ხეობაში ქვაბისკარის შემდეგ. ძველად საყანე ადგილი ყოფილა. ვანოიესნაბინვარი, ილიელესნაბინვარი, პროკლეიესნაეზვარი, სარაპიესოული. (ადგილები სოფ. სულორის შემოგარენში). ასევე საკმაოდ ხშირია ისეთი ანთროპონიმები, ტოპონიმური ერთეულები, რომელთა ფუძედ ადამიანის გვარია. ძირითადად ასეთი ერთეულები გვაუწყებენ ადამიანის საცხოვრისის, სახნავ-სათესი მიწის, ბღვენახების, ნისქვილების, ტყეების, საძოვრების, წყაროების და სხვა სავარგულების წარსულში კონკრეტული ადამიანების კუთვნილებას. ასეთია მაგ: სოფელ სულორში, ხახუტაშვილების უბანში – ხელაძეების წყარო, ადვიშვილების ნაყანები, პაიკიძეების ნისქვილი (მდ. სულორის ხეობაში), ხოდელიძეების (ხვედელიძეების) ნისქვილი, ხურციძეების აბანო და სხვა.

ძალიან ხშირად ტოპონიმთა ფუძეებად გვხვდება ზედსართავი სახელები. მაგ: დიდი ტახტიანი, პეტერე (პატარა) ტახტიანი, შავი ტყე, პეტერე სანადირო, დიდი უხტომი, პატარა უხტომი, დიდბალი, დიდვაკე. ხშირია ზმნიზედები ფუძეში. მაგ: ზედა საყივარე, ქვედა საყივარე, ზედა ღარები, ქვედა ღარები, შუა გორე, შუაქეთი, შუაგორეს წყალი და სხვ.

სოფელ სულორში საკმაოდაა გავრცელებული მიკროტოპონიმები, რომლებიც მიღებულია ხელოსნობის ან პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვათშეერთებებით, ან კონკრეტული ადგილის რაიმე საგანთან, ბუნებრივ მოვლენასთან, ან ცხოველთან მიმსგავსების შედეგად. მაგ: ლიხეიტბა, ლიხეთბოლო, ლამაზ მთა, ხარკუდე – (ეს ადგილი მართლაც ჰგავს ხარის უკანა ნაწილს). ქალამანე (ქალამანთან მსგავსება), ნაზაოდარი, ნამჭედვარე, მუხაგახვრეტილე, საყინვიე (ბუნებრივი მოვლენა ყინვა), წყარუე, საკონდახე, დათვსანუმი, გზაბოძალი, ხუცნაყანები, ბერთა ქედი, როდინი (აქ არის დიდი როდინის ქვა), ადესეები, ვაშლარე, ნაშვავეები, განყვეტილი, თავშეყრილი, უღელტეხილი, კოკოსი ქედი და ა.შ.

სოფელი სულორი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, რადგან იგი არის ბოლო დასახლებული პუნქტი ვანიდან სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ გზაზე. შესაბამისად ის სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები თუ სანადირო ადგილები პირობითად დაახლოებით 10-12 კმ. სიგრძის და 5 კმ. სიგანის ტერიტორიას მოიცავს, შესაბამისად ძალიან მდიდარია ტოპონიმური ერთეულებით. ჩვენ აქ წარმოვადგენთ მდინარე სულორის ხეობის ტიპონიმთა ლექსიკონს პირობითი ადგილმდებარეობის თანმიმდევრობით:

1) – დვალისკვილების აბანო. (სოფლის დასაწყისში). 2) – ღელასკურე. (მდ. სულორის შენაკადი). 3) – დუქნები. (სოფლის ცენტრი). 4) – ქვანთახებე. (მდ. სულორის შენაკადი). 5) – ვაშლარე. (ვაშლებიანი ადგილი) 6)-ნაწისქვილები. (ვასილიეს ნისქვილი). 7) – ნამჭედვარე. (დიდი კლდის თავი). 8) – ქვაბრანე. 9) – სერანე. 10) – ჯიხური. 11) – ნაზაოდარი. 12) – ბაბუესოული. 13) – ლიხეთბოლო. 14) – ლოყინარი. 15) – ციხიე. 16) – საჩილაყოს ვაკე. 17) – შაშვლელე. 18) – ქვაბისკარი. 19) – საკაკილიე. 20) – სათევზიე ღელე. 21) – კაპიტის ნაბინვარი. 22) – ეკლები. 23) – დიდ მსხალი. 24) – ლოყინარი. 25) – დიდვაკე. 26) – თავშეყრილები. 27) – კაკოურე. 28) – მაროულე. 29) – გულეზე. 30) – ხუჩოული. 31) – ლომყანე. 32) – სერი. 33) – სატურე. 34) – ბზვარე. 35) – ანეული. 36) – ნასესკვარე. 37) – ორღელე. 38) – ჯიხური. 39) – ციხიე. 40) – თენგოიეს ნაბინვარი. 41) – საყინვიე. 42)-დიდი ტახტიანი. 43) – პეტერეტახტიანი. 44) – წიფლები. 45) – იოური, დასასვენებელი რცხილე. 46) – ხვანჩე. 47) – წყაბოძალი. 48) – ქალაბანე. 49) – დიდბალი. 50) – ციხიე, გრძელსერი. 51) – სატალახე. 52) – ოსნაკლავე. 53) – წყარუე. 54) – ქვედა ღარები. 55) – ზედა ღარები. 56) – ქვედა საყივარე. 57) – ზედა საყივარე. 58) – სანისლიე. 59) – სახადი. 60) – ბეჟიე. 61) – კორღანო. 62) – მგვალი გორი. 63) – შუაქეთი. 64) – ხუცნაყანები. 65) – პეტერეუხტომი. 66) – დიდი უხტომი. 67) – პეტერე სანადირო. 68) – დიდი სანადირო, საჯოგიე და სხვ.

სოფელი სულორი, რომელიც რომაული ამფითეატრის ფორმის მთის კალთებზეა გაშენებული, რაც ცალკეული უბნების თანაბარ სიხლოვეს განაპირობებს სოფლის ცენტრთან და რაც ნებისმიერი დასახლებული პუნქტისთვის უაღრესად მოსახერხებელი მდებარეობაა, განთქმულია სუფთა, ცივი მდინარეებით, წყაროებით, ნაკადულებით, ღელეებით და სხვ. შესაბამისად სოფელი არა მარტო უნიკალური თვისებების მქონე გოგირდოვანი აბანოს

წყლითაა ცნობილი და საინტერესო, ამავე დროს სულორი მტკნარი წყლის საუკეთესო რეზერვუარია, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეა და რომელსაც გონიერი და გამჭრიახი მეურნის თვალი ხშირად აკლია. შესაბამისად ძალიან საინტერესოა სოფლის ჰიდრონიმები და მიკროჰიდრონიმები. სოფელ სულორში მიედინება სოფლის სახელწოდების მქონე მდინარე სულორი. უფრო სწორად, რადგან 1929 წლამდე ამ კუთხეს დვალიშვილების თემი ჰქვიადა, სოფელს დაერქვა მდინარის სახელწოდება. უაღრესად საინტერესო ჰიდრონიმია სულორი, რომელსაც ზეპირი და წერილობითი წყაროები სხვადასხვა ახსნას უძებნის. სოფლის ზოგი უხუცესის თქმით, მდინარის სახელწოდება სულორი, შედგება ორი ნაწილისაგან: სულ+ორი. ე.ი. ორი პატარა მდინარის შეერთებით მიღებული. მართლაც, სოფლის ცენტრიდან 2-3 კილომეტრის მოშორებით „ნაზაოდარზე“ მდინარე სულორი ორ ნაწილად იყოფა – ლოყინარი და საკუთრივ სულორი. ასევე სოფლის უხუცესთა და დაინტერესებულ პირთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელწოდება სულორი მდინარეს ახალციხის საფაშოდან მომავალმა ერთ-ერთმა მოთარეშე თურქულმა რაზმმა დაარქვა. როდესაც სიციხითა და წყურვილით შეწუხებულმა ამ მეკობრეებმა მდინარის ცივი წყალი დალიეს, ერთხმად თქვეს სულორიაო. – („სუ“ თურქულ-აზერბაიჯანულად მართლაც წყალს ნიშნავს, ხოლო „ორდ“ ოქროსწნული). ჯერჯერობით ამ ტოპონიმის ზუსტი წარმომავლობა სადაო და გაურკვეველია. მდინარე სულორს აბანოებთან უერთდება საკმაოდ წყალუხვი ხეობა, შაშხაფის წყალი, რომლის სახელწოდება შეიძლება მომდინარეობდეს შხეფისგან. სოფლის ცენტრში მდინარე სულორს უერთდება სამი საკმაოდ წყალუხვი ხეობა დელასკურა, ქვანთახება და მამალელელე, უფრო ზევით ქვაბრანეს წყალი, დიდელე, სახმარლელე, ლოყინარი, სათევზიე ლელე და სხვ.

სოფელში ბევრია წყაროები და შესაბამისად, მიკროჰიდრონიმთა ერთი წყება ან სიტყვათშეერთებითაა მაგ: ქვანთახებე, ან ლექსემებით მიღებული (წყალი, წყარო, ლელე, ხევი და სხვ).

1) – ტოპონიმები და წყალ ლექსემები: შაშხაფის წყალი, შუაგორეს წყალი, მამალე ლელე, კორდ ლელე, სათევზიე ლელე, დელასკურე.

2) – გვარი და წყარო ლექსემები: პაპუნაშვილების წყარო, ხელაძეების წყარო, ხახუტაშვილების წყალი.

3) – ადამიანის სახელი და წყარო ლექსემები: შალვაიეს წყარო, პლატონიეს წყარო, ზუბიკიეს წყარო.

4) – საგინებელი (საგნებელი) სახელი და ლექსემები: ღრანჯეების წყარო და სხვ.

სოფელ სულორის ტოპონიმთა შესწავლა საშური საქმეა და მომავალში ბევრ საინტერესო მასალას გამოავლენს.

დიდგორის ბრძოლა – საბრძოლო ხელოვნების ნიმუში

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შენიშნული – ქართველი ხალხის ბრძოლების ისტორიაში „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დიდგორის ბრძოლას უკავია.“¹

თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მისი შეფასება გვხვდება, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებში (ისინი ვრცლად მოგვითხრობენ აღნიშნული ბრძოლის შესახებ) კერძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი – „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისი.“ არაბი ისტორიკოსები: ალ. ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ფრანგი ჯვაროსანი რაინდი გოტიე, სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი და ა.შ. არც ის არის შემთხვევითი, რომ დიდგორის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, სამხედრო თუ სხვა თვალსაზრისით, შეეხო ფეოდალური ეპოქის საქართველოს ისტორიის, ასევე, ამავე პერიოდის სამხედრო ხელოვნების ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი. დიდგორის ბრძოლას საგანგებო კვლევა მიუძღვნა შ. მესხიამ *[იხ. მისივე „ძღვეთი საკვირველი“, თბ. 1974]*. აკად. რ. მეტრეველმა კი ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული საკითხი *[იხ. მისივე დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1986]*. დიდგორის ბრძოლა საომარი ხელოვნების კუთხით განიხილა ივ. შაიშველაშვილმა *[იხ. ქვ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშველაშვილი, დიდგორის ბრძოლა, „დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით“, თბ. 1974]* და სხვებმა.²

წინამდებარე შრომაში ჩვენ მიზნად ვისახავთ ვუჩვენოთ, რომ დიდგორის ბრძოლაში გამარჯვება, ქართველი ჯარის სარდლობის, კერძოდ დავით აღმაშენებლის, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემოჭრილ, მრავალრიცხოვან მტერზე გამარჯვების კარგად მოფიქრებული გეგმის იდეალური რეალიზაცია გახლდათ და, რომ ამ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება დავით აღმაშენებლის, როგორც დიდი სტრატეგისა და მხედართმთავრის, გენიალური ნიჭის გამოვლინების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

სანამ ამ ბრძოლაში უშუალოდ დავითის საბრძოლო სტრატეგიას განვიხილავთ, მანამდე რამდენიმე სიტყვით მის მიერ გატარებულ სამხედრო რეფორმასაც გვინდა შევეხოთ. დავითის ისტორიკოსის სიტყვით – „ხოლო საემპაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უნესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა.“³ მემათიანე ამ ფრაზით მიგვითითებს ლაშქარში მკაცრი დისციპლინის დანერგვაზე. ლაშქრის რეორგანიზაციამ, რათქმაუნდა, ხელი შეუწყო მეფის საბრძოლო სტრატეგიების ეტაპობრივ განხორციელებას, მაგრამ მკაცრ დისციპლინასთან ერთად აღსანიშნავია ის პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც ქართულ ლაშქარში სუფევდა. მეფე, სარდალი თუ რიგითი მეომარი, ღმრთისა და წმინდა ჯვრის შეწვევის იმედით, თავგანწირვით იბრძვიან მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ.

ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა გაბატონებული მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში ევროპული ლაშქარი არაორგანიზებული იყო, განსხვავებით „ძველი ეპოქის“ (ანტიკური) ევროპული ლაშქრებისაგან. მაგ.: „მაკედონური ფალანგა“ და რომაული „ტესტუდო“ (ლათ: ტესტუდო) ანუ „კუ“ დისციპლინირებული და ორგანიზებული მანევრებით ადვილად აღწევდნენ წარმატებებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია დავითის ისტორიკოსის მიერ დავითის ალ. მაკედონელთან შედარება – „და მსგავსად ალექსანდრესა ქმნა“⁴... „მეორემან ალექსანდრე განიზრახა.“⁵ ის აშკარა მსგავსებას ხედავს ამ ორ უდიდეს მხედართმთავრს შორის. ჩვენი აზრით, ეს მსგავსება და მათი ბრძოლის სტილი იმითაც ჰგავს ერთმანეთს, რომ ორივე მათგანი ბრძოლის დროს წინ მიუძღვის და სარდლობს თავიანთ ლაშქარს. აღნიშნული და სხვა ფაქტებიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ

1 რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1986, გვ. 184.

2 გასაგები მიზეზების გამო, საკითხის შესახებ ვრცელ ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას ვერ გთავაზობთ

3 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I თბ., 1955, გვ. 352.

4 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ. გვ. 335.

5 იქვეა

დიდგორის ბრძოლა ნამდვილად „საბრძოლო ხელოვნების კლასიკური ნიმუშია.“

გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობაზე ან თუნდაც ამ ბრძოლის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობას, ხაზი გვინდა გავუსვათ მხოლოდ, ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ, როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებების გამო, აღმავლობის გზაზე შემდგარი, ჩვენი სამშობლო ალებული პერიოდის მუსულმანური სამყაროსათვის დიდ საფრთხედ ჩანს აღქმული, რის დასტურადაც მიგვაჩნია ის გარემოება, რომ „განძელ-თბილელ-დმანელ“¹ მოციქულთა თხოვნას დახმარების შესახებ უმაღლეს მოწყვეა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დიდი კოალიციის შექმნა. ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ საქართველოს წინააღმდეგ შექმნილ ამ კოალიციას „ქრისტიანთა“ (ჯვაროსანთა) წინააღმდეგ სახელმძღვანელო ბაღდადის გამგებელი, მარანდისა და ალექსანდრის მფლობელი „სელჩუკ მფლობელთა შორის უპირველესი“ ნეჯმ ად-დინ ილ ლაზი სარდლობს.

ეჭვგარეშეა, დავით აღმაშენებელს უყურადღებოდ არ დარჩებოდა ის გარემოება, რომ მას საქმე ჰქონდა, მართალია, მრავალრიცხოვან, მაგრამ სახელდახელოდ შეკრებილ, ერთიან ხელმძღვანელობასა და სამხედრო თვალსაზრისით წინასწარ წვრთნას მოკლებულ, არამტკიცე კონგლომერატთან. ასეთ მტერთან გამარჯვების მისაღწევად კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მთავარ ძალებთან პირველივე შეტაკებაში უპირატესობის მოპოვებას და ამ უპირატესობის შენარჩუნებას ბრძოლის დასრულებამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებელი წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმით მოქმედებდა. ამ გეგმის ნაწილს შეადგენდა, როგორც მტრის ავანგარდული ნაწილებისთვის გამანადგურებელი დარტყმების მიყენება (დავით აღმაშენებლისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო ის, რომ მტრის ავანგარდული ძალების დამარცხება, ამ გზით საბრძოლო მოქმედებიდან მათი გათიშვა დანარჩენებზე ძლიერ ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღად იქცეოდა, მითუმეტეს სახელდახელოდ შედგენილი კოალიციური ლაშქრისათვის.), ასევე მრავალრიცხოვან მტერთან შესაბამელოდ დიდგორის ველის შერჩევა.

დიდგორის ველი, „დამრეცი კალთების მქონე დანანევრებული ეროზიული ნიადაგით“,² მტერს არ მისცემდა (არც მისცა) საშუალებას რიცხოვრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

როგორც საისტორიო წყაროები ადასტურებენ, დავით აღმაშენებელი კარგად ორგანიზებული და წინასწარ საომარად გამზადებული ლაშქარით ხვდება მტერს, კერძოდ, როგორც ფრანგი ჯვაროსანი რაინდი გოტიე (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გოტიეს სხვა საისტორიო წყაროებიც ეთანხმება) გადმოგვცემს: დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ „რაზმებს თავისი ადგილი მიუჩინა, ორასი ფრანგი ჯვაროსანი მეომარი რომ ჰყავდა, მონინავეში დააყენა პირველ დაკვრათა მისაცემად. მყისვე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირალებით ჩნდებიან და ამავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურობით მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხვეცეს მოთმინებით განიცდის და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევენ და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შენეწითა წმინდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით... სწრაფად დაითრგუნება.“³ მხედველობაშია მისაღები ქართველთა ლაშქრისა და მათი ცალკეული მეთაურების უდიდესი ნდობა გულადი და უშიშარი მეფისადმი, რომლის გარეშეც ნებისმიერი ბრძოლისას გამარჯვება გარანტირებული ვერ იქნება.

დავით აღმაშენებელი აცნობიერებს რა დიდგორის ბრძოლის სასიცოცხლო მნიშვნელობას, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ხალხის არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, უპრეცედენტო გადანყვეტილებას იღებს – ქართულ ლაშქარს უკან დასახვე გზას წინასწარ უხერგავს (ხელმძღვანელობს პრინციპით – ან გამარჯვება, ან სიკვდილი) და ამ გადანყვეტილების შესახებ თავადვე ამცნობს ბრძოლისთვის დარაზმულ ქართულ ლაშქარს.⁴

1. დასახ. ნაშრომი, გვ.340

2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, გვ. 506

3. ზ.ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი) გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 27.

4. იქვე.

5. იქვე

ჩვენს მიერ მოხმობილ გოტიეს ცნობაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე სხვა გარემოებაზეც, კერძოდ, დავით აღმაშენებელი როგორც ბრძოლებში მრავალნაცადი, უბადლო სამხედრო სტრატეგი თავად აკონტროლებს, როგორც ქართული ლაშქარის ორგანიზებულობის, ასევე მათი ბრძოლისთვის მზადყოფნის საკითხს – „რაზმებს თავისი ადგილები მიუჩინა, ორასი ფრანგი მონინავეში დააყენა... ჯარი ბრძოლის წინ გაამხნევა და ანუგეშა.“⁵

დავით აღმაშენებელი თავადვე ხელმძღვანელობს მთავარ ძალებს. მეფე მის მიერვე დასახული გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში დარწმუნებულია, რომ მტერი, მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა სწრაფად დაითრგუნება და ქართულ ლაშქარსაც ამ მოტივითვე ამხნევეს.

მეფემ კარგად იცის, რომ დიდგორის ველზე (რელიეფის გამო) გამარჯვების მისაღწევად მტკიცე დისციპლინისა და კარგად ორგანიზებული ჯარის ყოლაა არსებითი მნიშვნელობის და არა მრავალრიცხოვნება. სწორედ ეს გარემოება მიგვაჩნია ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ გარემოებად იმ ფაქტისა, რომ მიუხედავად რეზერვების არსებობისა (ვგულისხმობთ, რომ დავით შეეძლო ბრძოლის ველზე გამოეყვანა 40 000 ყივჩაღი მეომარი, მათგან, მხოლოდ 15 000 გამოიყვანა) დავითმა ბრძოლის ბედი ქართულ ლაშქარს ანდო. დაახლოებით 56 000-იანი არმიიდან უმრავლესობა – 40 000, ქართველი გახლდათ, ამაში იკითხება ქართველთა პატრიოტული შემართების უდიდესი ფენომენი და ისიც, რომ ამ გრძნობის აღზრდის ტრადიციას უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მტრის მრავალრიცხოვან კოალიციასთან გამარჯვების მისაღწევად დაგეგმილ საომარ ოპერაციათა პირველი ეტაპი (ბრძოლის დაწყებისთანავე უპირატესობის მოპოვება და მტრის რიგებში პირველსავე წუთებში ქაოსის შეტანა) თურქ-სელჩუკთა ბრძოლაში გამოცდილ მძიმედ შეჯავშნულ ფრანგ ჯვაროსნებს მიანდო.

ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ ბრძოლის დაწყების წინ დანიშნულებული და ბრძოლაში პირველად ჩაბმული 200 კაციანი რაზმი ევროპელი რაინდებისგანაა დაკომპლექტებული. რადგან, მძიმედ შეჯავშნული რაინდები მრისხანე ძალად აღმოჩნდებოდა მტრის წინა რიგებისთვის. უკანდახეულ მტერზე კი ქართველი ლაშქრის მიერ ფლანგებიდან იერიშის მიტანას დავითის გეგმის მიხედვით მტრის რიგებში ქაოსი უნდა შეეტანა და ბრძოლის ველიდან მათი პანიკური გაქცევა უნდა გამოენვია (გეგმა ზედმინვენით შესრულდა კიდეც). აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შემთხვევითი სულაც არ არის ის გარემოება, რომ „პირველსავე ომისა იოტა ბანაკი მათი და ილტვოდა.“¹

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად რეალური საფუძველის არსებობისა გადაჭარბებულად მიგვაჩნია ს. კაკაბაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „დიდგორის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ჯვაროსანმა რაინდებმა შეიტანა.“²

ჩვენი აზრით, ჯვაროსანმა რაინდებმა მრავალრიცხოვან მტერზე გამარჯვების დავითისეული გეგმის მხოლოდ პირველი (საწყისი) ეტაპი განახორციელეს წარმატებით. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იქნება გვეფიქრებინა ის, რომ პანიკურად გაქცეული მტრის დევნაში მძიმედ შეჯავშნულ რაინდებს რაიმე წვლილი შეეტანათ. გარდა ამისა ასეთ უზარმაზარ ძალასთან დაპირისპირებისას ორასკაციან რაზმს, როგორი საბრძოლო დონისაც უნდა ყოფილიყო ის, ცხადია შეეძლო გარკვეულ ეტაპზე რაღაც ტაქტიკური მომენტალური, ლოკალური უპირატესობის მოპოვება, მაგრამ თუ არ იქნებოდა ფლანგებიდან გამანადგურებელი დარტყმები რომელსაც ქართველი მეომარები ასრულებდნენ, კოალიცია ძალიან იოლად მოახერხებდა ბრძოლისას დაქსაქსული კონკრეტული ნაწილების შემჭიდროებას და ძირითად ძალებთან ერთად კვლავ ბრძოლაში ჩაბმას, ამის მაგალითები საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში უამრავია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ილ ღაზი და მისი სამეთაურო კორპუსიც არ

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 341

2 ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, გვ. 217.

წარმოადგენდნენ საბრძოლო მოქმედების ტაქტიკის უცოდინარ პირებს. ამდენად, გამარჯვება უზრუნველყო ბრძოლაში ჩაბმულმა ქართველობამ (ლაშქარმა) და მისმა სამეთაურო შტაბმა დიდი მეფის ხელმძღვანელობით ზედმინევით გაანალიზებული სამხედრო სტრატეგიული გეგმის მიხედვით. ამაზე სხვა აზრი სამხედრო სტრატეგიის ლოგიკის სივრცეში ვერ ჯდება, მითუმეტეს ჯვაროსანთა რაზმთან დამოკიდებულებაშიც. თუმცა, დასაფასებელია მათი წვლილი საბრძოლო გამარჯვებაში.

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ მრავალრიცხოვან მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად, პირველსავე შეტაკებაში მიღწეული უპირატესობის შენარჩუნებას არანაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე უშუალოდ დიდგორის ველზე მომხდარ შეტაკებაში მიღწეულ წარმატებას. ახლა საჭირო გახდა კვალდაკვალ და ორგანიზებულად მოჰყოლოდნენ პანიკაში ჩავარდნილ და ზურგმექცეულ მტერს, რათა მათ დაქსაქსულ და დამარცხებულ ძალებს გონს მოსვლის და ხელახლა გაერთიანების საშუალება არ მისცემოდათ. გაქცეული და უკანდახეული მტრის დევნით დიდგორის ბრძოლის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო.

უდავოა, რომ დამარცხებული მტრის ორგანიზებული დევნა დავით აღმაშენებლის მეთაურობით შემუშავებული ბრძოლის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რაც კარგად ჩანს დავითის ისტორიკოსის სიტყვებში – „მეოტთა სიმარჯვით და განკრძალვით სდევნიდა.“¹ ბუნებრივია ის შედეგიც, რომ მტერმა აღნიშნული დევნისას გაცილებით დიდი ზარალი ნახა, ვიდრე ბრძოლის ველზე.

დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ თუ მტერი, რომელმაც დიდგორის ველზე, ბუნებრივი პირობების გამო, თავისი რიცხოვრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა, გონს მოვიდოდა და ლაშქრის ხელახლა ორგანიზებას შეძლებდა, გაშლილ ველზე ის ამ პოტენციურ უპირატესობას რეალურ შედეგად აქცევდა და დიდგორის ველზე ქართული ლაშქრისთვის მიღწეული წარმატება წარუმატებლობაში, შესაძლოა კატასტროფულ მარცხში გადაზრდილიყო. სწორედ ამ მოტივით აიხსნება ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი მიზანმიმართულად და ორგანიზებულად დევნის მტერს (სამი დღის განმავლობაში დევნის მათ, ეს მაშინ, როცა უშუალოდ დიდგორის ველზე შეტაკებამ მხოლოდ „სამი ჟამი“ (დაახ. სამი საათი გასტანა).

ამდენად, როგორც საისტორიო წყაროების ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა ქართველთა მიერ თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ლაშქართან მიღწეული „ძღვევადსაკვირველი“ დავით აღმაშენებლის მხედართმთავრული ნიჭის ნათელი გამოვლინებაა.

ამ ბრძოლაში ნათლად გამოჩნდა, რომ იმ დროს საქართველო მტკიცე საფუძველზე მდგომ ეკონომიკურად და მასშტაბურ საბრძოლო ოპერაციების ჩატარების თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც საბრძოლო სამხედრო ხელოვნების სრულყოფასა და სამეთაურო კორპუსის განსწავლულობასა და სიმამაცეზე, უდიდეს პატრიოტულ მუხტზე აკეთებს აქცენტს.

მეფე დავით აღმაშენებელმა წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმით:

I. სწორად შეარჩია მრავალრიცხოვან მტერთან გასამართი ბრძოლისათვის ისეთი ადგილი – დიდგორის ველი, სადაც მონინალმდეგეები ვერ შეძლებდნენ რიცხოვრივი უპირატესობის გამოყენებას.

II. სწორად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებულ მრავალრიცხოვან კოალიციურ ლაშქართან წარმატების მისაღწევად არსებითი მნიშვნელობისაა ბრძოლის პირველსავე წუთებში ინიციატივის ხელში აღება და ამ მიზნით მძიმედ შეჯავშული ჯვაროსანი რაინდების გამოყენება.

1 ქართლის ცხოვრება, ტ.1, 1955.გვ.341

III. მრავალრიცხოვან მტერზე სრული გამაჯვების მისაღწევად მიზანმიმართულად და ორგანიზებულად დევნა თურქ-სელჩუკებს საშუალებას არ მისცემდა ლაშქარის ხელახლა ორგანიზება მოეხდინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ბრძოლის ბედი რადიკალურად შეცვლილიყო და ქართველების მიერ აღნიშნულ ბრძოლაში მიღწეული წარმატება წარუმატებლობაში გადაზრდილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარემო ერთი ომისა, პარიზი 1929.
2. ზ. ანჩაბიძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ. 1966.
3. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, თბ. 2000.
4. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები ტ. IV, 1942.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979.
6. შ. მესხია, „ძღვევად საკვირველი“, თბ. 1979.
7. ჯ. სტეფანე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ. 1974.
8. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1986.
9. ქართული ისტორიოგრაფია, ტ. XII, 1971.
10. ქართული ისტორიოგრაფია, ტ. XIII, 1974.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955.
12. ქვ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარი, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966.
13. ქვ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, 1974.
14. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1983.
15. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII. თბ. 1977.

ვასილ ლომინაძე – მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორი

ვანური წარმოშობის ფესვების მქონე მეცნიერთა სახელოვან კოჰორტას ამშვენებს პროფესორ ვასილ ლომინაძის ბრწყინვალე სახელი. ქართველ მეცნიერთა შორის მეცნიერების ორგანიზაციის საქმეში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია ისეთი სწავლულები (ჩემი აზრით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე და კიდევ რამდენიმე თუ აღემატება მას), რომლებსაც ამ ურთულეს პროცესში უფრო დიდი მოცულობის სამუშაო ჰქონდეს შესრულებული. 2013 წელს პროფესორ ვ. ლომინაძეს დაბადებიდან 100 წელი, ხოლო მის მიერ დაარსებულ სამეცნიერო ორგანიზაციას, საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, 60 წელი შეუსრულდა. ამიტომ, ყველა ქართველის და უპირველეს ყოვლისა, ვანელის ვალია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეს სამშობლოს წინაშე სრულად ვალმოხდელი მამულიშვილი და სათანადო პატივი მივაგოთ მის სამეცნიერო წრეებისთვის დაუფინყარ სახელს.

ვასილ პავლეს ძე ლომინაძე დაიბადა 1913 წელს ქუთაისის გუბერნიის ამავე სახელწოდების მაზრის სოფელ სალომინაოში, რკინიგზელის ოჯახში. 1928 წელს მან წარჩინებით დაასრულა ქუთაისის საშუალო სასწავლებელი (სამწუხაროდ, ჯერჯერობით გაურკვეველია რომელი) და იმავე წელსვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1932 წელს ვასილი ამთავრებს უნივერსიტეტს და 1933 წელს მუშაობას იწყებს ქვეყნის ჰიდრომეტსამსახურის ამიერკავკასიის სამმართველოს ამინდის ბიუროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ დროიდან მოყოლებული მთელი მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ამიერკავკასიაში ჰიდრომეტეოროლოგიური მეცნიერების განვითარებასთან.

1938-1941 წწ. ვასილ ლომინაძემ გაიარა ასპირანტურის სრული კურსი ლენინგრადის, აკადემიკოს ა. ვოეიკოვის სახელობის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. აღსანიშნავია, რომ ამ ობსერვატორიის თანამშრომელი და შემდეგში დირექტორი (1925 წ) იყო ფარდობითობის ზოგადი თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი (რა თქმა უნდა ლეგენდარულ ა. აინშტაინთან ერთად) ალექსანდრე ფრიდმანი, რომელიც ასევე ითვლება დინამიკური მეტეოროლოგიის მამამთავრად. ომის დაწყების წინ იგი დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ფრონტის ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს პროგნოზების ბიუროში, რომლის ხელმძღვანელობაც მას დაეკისრა 1942 წლიდან. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა და უნარიანმა ორგანიზატორმა. მან დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო მეტეოროლოგიის მომზადების საქმეში. ომიდან დემობილიზაციის შემდეგ ბატონი ვასო სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჰიდრომეტეოსამსახურის პროგნოზირების განყოფილებას. 1947 წელს მან დაიცვა დისერტაცია და მალე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე გახდა.

ომის შემდგომ წლებში სახალხო მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ ჰიდრომეტეოროლოგიური მეცნიერება მრავალი ამოცანის წინაშე დააყენა. სამუშაოთა ამ დიდი მოცულობის შესასრულებლად და პრაქტიკისათვის აუცილებელ მრავალ ასპექტში სამეცნიერო კვლევების გასაშლელად 1953 წელს თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორიის ბაზაზე, რომელიც უძველესი იყო მთელს კავკასიაში, ჩამოყალიბდა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ საქმეში ბატონმა ვ. ლომინაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა და მის

პირველ დირექტორადაც დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მას საშუალება მიეცა საუკეთესოდ გამოეყენებინა საკუთარი მაღალი პროფესიული დონე და დიდი ორგანიზატორული ნიჭი, რის შედეგადაც მალე შექმნა კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული და შრომისუნარიანი მრავალრიცხოვანი დისციპლინირებული კოლექტივი.

უკვე გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულისათვის ინსტიტუტმა გამოსცა 10 სამეცნიერო შრომათა კრებული და მონოგრაფია, შეასრულა ჰიდრომეტეოროლოგიურ გამოკვლევათა ციკლი სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. მასში შესრულებულმა კვლევებმა რეგულარული ხასიათი მიიღო და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა... შედეგმაც არ დააყოვნა. ბატონი ვასილის ძალისხმევით იგი საკავშირო სტატუსის მქონე ამიერკავკასიის რეგიონალურ ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა და ბაქოსა და ერევანში მის დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი განყოფილებები და ცენტრები ჩამოყალიბდა.

ინსტიტუტის დაარსების პირველივე წლებში მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვნად განპირობებული იყო პროფესორ ვ. ლომინაძის პირადი ადამიანური თვისებებით, იგი კარგად იცნობდა თითოეულ თანამშრომელს, ზრუნავდა მათზე, როგორც პროფესიული დონის ამაღლების კუთხით, ისე წმინდა ადამიანური ასპექტითაც. მისი ინიციატივით მრავალი ახალგაზრდა გაიგზავნა სასწავლებლად მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკისა და ქვეყნის სხვა ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, სადაც მომზადდა საკვალიფიკაციო ნაშრომები და დაიცვეს სამეცნიერო ხარისხები. მისი დირექტორობის პერიოდში ინსტიტუტში 9 სადოქტორო და 70 საკანდიდატო დისერტაცია იყო დაცული.

ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად ვ. ლომინაძე დაჯილდოებული იყო დიდი მეცნიერული ინტუიციით, რაც მას საშუალებას აძლევდა ინსტიტუტისათვის მოეხდინა სწორი სამეცნიერო ორიენტირება, ჩაეყენებინა იგი ცხოვრებისეულ და ყველაზე აქტუალური გამოკვლევების კალაპოტში.

ამინდის პროგნოზის პრობლემა ტრადიციულად ითვლებოდა ინსტიტუტის ერთ-ერთ ტრადიციულ თემატიკად და ბატონი ვასოც ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ამ მიმართულების ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით გასაძლიერებლად. მან დიდი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი აღნიშნული პრობლემის გარშემო მიმდინარე სამუშაოებში რიცხვითი მეთოდების დანერგვისა და იმ დროისათვის თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების კომპლექსის შექმნას.

პროფესორი ვ. ლომინაძე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ღრუბლების ფიზიკისა და მათზე აქტიური ზემოქმედების პრობლემისადმი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტის ფარავნის პოლიგონზე, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დამუშავდა სეტყვასთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდი, რომელიც შემდგომში წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში და დიდი ეკონომიკური მოგებაც მოუტანა ქვეყანას.

60-იანი წლების დასასრულს ვ. ლომინაძის ძალისხმევით აგებულ ინსტიტუტის ახალ თორმეტსართულიან კორპუსში (ის ახლანდელი თამარის ხიდის მარცხენა მხარეს, მტკვრის სანაპიროზე იყო აგებული) ამოქმედდა საღრუბლო კამერების კომპლექსი, ხოლო 70-იანი წლების დასაწყისში ფართო მასშტაბის სამუშაოები დაიწყო სევანის ტბის (სომხეთი) აუზში ნალექთა ხელოვნური გაზრდის პრობლემებზე. ამის პარალელურად ვ. ლომინაძე მფრინავი ლაბორატორიის გამოყენებით ამიერკავკასიის რეგიონში სწავლობდა ტროპოსფეროს ტურბულენტური სტრუქტურის თავისებურებებს. ორგანიზაციული საქმიანობისგან მოუცლევლობის გამო, მან ვერ მოასწრო სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რომელიც აღნიშნულ თემაზე უკვე მზად ჰქონდა საბჭოზე წარსადგენად.

ბატონი ვასილი დიდი გულისყურით ეკიდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიის სხვა დარგების განვითარებასაც. მისი უშუალო მონაწილეობით ფარავნის მეტეოროლოგიურ პოლიგონზე შესრულებულ სამუშაოებში ფართო განვითარება ჰპოვა ალპურმა მეტეოროლოგიამ,

გარემოს დაბინძურების საკითხების შესწავლამ, კლიმატოლოგიურმა, აქტინომეტრიულმა, ჰიდროლოგიურმა და ჰიდრომელიაციურმა სამუშაოებმა და ღვარცოფებისა და მათთან ბრძოლის მეტად აქტუალურმა და ორიგინალურმა კვლევებმა.

ფართო ფრონტით წარმოებულმა ინტენსიურმა გამოკვლევებმა ინსტიტუტს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ბატონი ვ. ლომინაძე მინვეული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში, სადაც გაეცნო ჰიდრომეტეოროლოგიური გამოკვლევების თანამედროვე დონეს და იქ მიღებული გამოცდილების თბილისში და ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში დანერგვას. თავის მხრივ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი აწყობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ექსპედიციებს, მასპინძლობდა სხვადასხვა რანგის მეცნიერებსა და სპეციალისტებს. აქაც ვლინდებოდა მისი დამახასიათებელი თვისებები: ჩინებული ორგანიზატორი, ქვეყნის დიდი პატრიოტი და მომავალ თაობაზე მზრუნველი მამულიშვილი.

ბოლოს, ბატონი ვასილ ლომინაძისთვის ღვთისგან მომადლებულ თვისებასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენო რამოდენიმე ეპიზოდი ჩვენი ურთიერთობიდან.

1972 წლის გაზაფხულზე ხსენებულ სამეცნიერო დაწესებულებაში, აქტინომეტრიულ განყოფილებაში პროფესორ იასონ ცუცქერიძის ხელმძღვანელობით, სტუდენტურ პრაქტიკას გავდიოდი. ამ პერიოდში ინსტიტუტში ყოველკვირეული სამეცნიერო სემინარები ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიის სხვადასხვა საკითხებზე, რომელსაც, როგორც წესი, ბატონი ვასო ხელმძღვანელობდა. მე მაშინ იმდენად ღრმად არ მესმოდა სამეცნიერო სემინარების მნიშვნელობა, მაგრამ ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორისა და სემინარების ხელმძღვანელის საქმიან და პრინციპულ მიდგომას თითოეული მოხსენებისადმი კარგად აღვიქვამდი და მომწონდა კიდევ არსებული სტილი. თუმცა, შინაგანად ზოგჯერ არ ვეთანხმებოდი მას, მაგრამ ხმამაღლა გამოთქმას ვერ ვბედავდი.

ამის შემდეგ სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადის), უნივერსიტეტში შევასრულე სადიპლომო სამუშაო აკადემიკოს კ. კონდრატიევის ჯგუფში, რომლის მშობლიურ უნივერსიტეტში დაცვის შემდეგ განაწილებისათვის ვემზადებოდი. იმ წელს, 1973 წლის ზაფხულში, კახეთში მოსულმა ძლიერმა სეტყვამ მთლიანად გაანადგურა ყურძნის მოსავალი. მაშინ ე. შევარდნაძე ახალი მოსული იყო ხელისუფლების სათავეში და რესპუბლიკის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებიც ახალი ტალღით მძვინვარებდა. კახეთის რეგიონში რუისპირის ცნობილი სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის ხელმძღვანელობასაც მიწვდნენ და სათანადოდ „გამოხშირეს“ კიდევ. თუმცა, ისინი კადრების არასაკმარისი მომზადების დონეზე უთითებდნენ და მათ გადახალისებას კატეგორიულად მოითხოვდნენ. ამაში მართალიც იყვნენ და მოთხოვნას მთავრობაში გაგებით მოეკიდნენ. ე. შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულებებით უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტს 100 კურსდამთავრებულის რუისპირში სამუშაოდ გაგზავნა დაევალა. გამონაკლისს მხოლოდ ფეხმძიმე და შვილებიანი ქალბატონები წამოადგენდნენ. აბა მე ვინ დამინდობდა და ერთ-ერთი პირველი ჩამწერეს კახეთში გასაგზავნთა სიაში, ანდა იქ სამი წლით მაინც წასვლა ფაქტობრივად სამეცნიერო კარიერის დასრულებას თუ არა, დიდ შეფერხებას მაინც წარმოადგენდა. რალა დამრჩენოდა, დახმარებისათვის ჯერ ბატონ ვასილს მივმართე, მან ყურადღებით მომისმინა, დამპირდა, რომ მცდელობას არ დააკლებდა ჩემს, მასთან ინსტიტუტში სამსახურის დაწყებას. განაწილების დღეს ინსტიტუტის კადრების განყოფილების უფროსიც გამოგზავნა შესაბამისი მოთხოვნითა და დასაბუთებით, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად მისი მაღალი ავტორიტეტისა და კაცური მცდელობისა, განაწილების სამთავრობო კომისიამ მაინც დამტოვა კახეთში გასაგზავნთა სიაში. მე მაღლობა გადავუხადე ბატონ ვასილს მამობრივი მზრუნველობის გამოჩენისათვის და მაინც, ალბათ, ჩემში მომავალი

პერსპექტივის დანახვის საფუძველზე, დამპირდა, რომ რუისპირიდან მალე გადმოიყვანდა თბილისში და შემდეგ ლენინგრადში ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაშიც დამეხმარებოდა. მეც თითქოს შევეურიგდი ბედს, მაღლობის მეტი რა ეთქმოდა ამ ღვთისნიერ ადამიანს, პირადად ჩემგან და კიდევ ათასი ჩემნაირი ბედისმძებნელი ახალგაზრდა სპეციალისტისაგან.

მაშინ ჩემი მომავალი მაინც პირადი სურვილის შესაბამისად გადაწყდა. მშველელად ღმერთმა მომივლინა მართლაც ღმერთივით ადამიანი (მაშინ კიდევ უფრო აღმატებული მიმაჩნდა მისი პიროვნება), მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი (შემდეგ პრეზიდენტი), აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, რომელმაც შესძლო სამთავრობო კომისიის გადარწმუნება და სამუშაოდ მასთან წამიყვანა, აბასთუმნის საყოველთაოდ აღიარებულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ბატონ ვასილსაც ძალიან გაუხარდა, რომ ამ საკმაოდ რთულ სიტუაციაში, მაინც ჩემს მიზანს მივალწიე და მომავალი გზაც მამაშვილურად დამილოცა.

ბატონი ვასილი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან 1975 წელს, შემოქმედებითი ძალების მაქსიმალური აყვავების პერიოდში. მას ბევრი შეუსრულებელი ჩანაფიქრი დარჩა, რომელთაგან გარკვეული ნაწილის შესრულება მის მიერ შექმნილ მეტეოროლოგიურ სკოლას დააკისრა განგებამ.

პროფესორ ვასილ ლომინაძის ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოსა და მეცნიერების ინტერესების უანგარო სამსახურის ნათელ და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ მისი სახელი და სამეცნიერო მოღვაწეობა მუდამ ცოცხლად დარჩება ქართველ და უცხოელ სწავლულთა შორის.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“ –

მადლობას უხდის:

– გულწრფელი მადლობა ბიზნესმენსა და მეცენატს ბატონ, ბეჟან ნაქაძეს წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი **ოზარ კახანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

რედაქტორ-გამომცემელი – **ბეჟან ნაქაძე**

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადგიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ოზარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ურა დვალისვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალისვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ქრისტინე მეძველია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ქუთაისის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი

ოზარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

ზაურ თათვიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ნერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54